

# ფანიშვილი ქაბაქაძე

ლექსები • სიმართლე ბაირონის შესახებ

თახტმანი, გამოყვლევა და უომენტაჲები  
ინესა მუხაბიშვილისა



საქსთველმს ბაირონის საზოგადოება

**რედაქტორი**  
**მედია ზაალიშვილი**

**მხატვარი**  
**გია ბულაძე**

**დიზაინი**  
**გამომცემლობა „ლოგოს პრესი“**

© ინესა მერაბიშვილი, 2002

ISBN 99928-0-363-0

საქართველოს ბაირონის საზოგადოება  
გრიბოედოვის ქ. 2, 380008 თბილისი

## სარჩევნი

<i>მთარგმნელის წინასიტყვაობა</i> .....	9
<i>შესავალი</i> .....	12

### ნაწილი პირველი

*ლორდ ბაირონი, ლექსები* .....

15

ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მის ჩავორსის  
ქორწინების შემდეგ.....

17

მოგონება .....

18

ოდეს მკითხეს, როგორია სიყვარულის დასაწყისი .....

19

ჩემს ვაჟიშვილს .....

20

ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია.....

22

ლედის, რომელმაც მკითხა, თუ რატომ

მივემგზავრები ინგლისიდან გაზაფხულზე.....

25

ათენელ ქალწულს (Ζώνη μισ, σὰς ἀγαπᾶ.) .....

27

სესტოსიდან აბიდოსამდე .....

29

ჩემი ეპიტაფია .....

31


პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები .....	32
თირზას .....	33
ინესას .....	36
ატირებულ ლედის .....	39
მახსოვხარ მარად! მახსოვხარ მარად! .....	40
ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი .....	41
<i>ციკლიდან „ებრაული მელოდები“</i>	
მოდის ლამაზი, როგორც ხატება .....	52
იტირეთ მათთვის.....	54
სწუხს სული ჩემი.....	56
როცა ატირდი .....	58
წყვეულ სიკვდილმა ჩაგიგდო ხელში .....	59
შენი სიცოცხლე დასრულდა, გაქრა.....	61
და თუ იმქვეყნად .....	63
უძინართა მზევ.....	64
რომანსი .....	65
გემშვიდობები.....	66
სტანსები ოგასტას.....	69
ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა, III სიმღერა, ადასადმი მიძღვნილი სტრიქონები.....	72
წყვედიადი .....	75
დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ.....	79
ტომას მურს .....	80
ჩემი ქორწინების დღეს.....	81



ეპიგრამა .....	82
ჯონ კიტსი .....	83
სტანსები.....	84

## ნაწილი მეორე

<i>ლეჰსი – წარსულის გამოძახილი.....</i>	<i>85</i>
მთარგმნელის ბოლოთქმა.....	225
<i>კომენტარები წიგნის პირველი ნაწილისათვის.....</i>	<i>227</i>



## მთარგმნელის წინასიტყვაობა

**ღ**ინამდებარე წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ლორდ ბაირონის ლექსების ჩემეულ თარგმანს მოიცავს. ეს ის ცნობილი ლექსებია, პოეტის ცხოვრების საკვანძო ეპიზოდებს რომ უკავშირდება. და მისი დიდი შემოქმედების სულს ასხივებენ.

რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს, აქ მკითხველს უკვე ლექსების შექმნის ამბავს ვთავაზობ.

მხატვრული ნაწარმოებისა და, განსაკუთრებით კი, ლექსის მეტნაკლებად სრული და სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართო და ღრმა ცოდნის მეშვეობით, რასაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა ოდენ მკითხველის ზოგად ინტელექტუალურ მარაგსა და ესთეტიურ-შემეცნებით გამოცდილებას, არამედ, აგრეთვე, კონკრეტულ ცოდნას მწერლისა და ნაწარმოების შესახებ. სიტყვაძუნწი კომენტარი, მოგეხსენებათ, სრულად ვერ ფარავს იმ ინფორმაციას, რომელსაც მწერლის ბიოგრაფიული მასალა გვთავაზობს. ეს ცოდნა აუცილებელია არა მარტო იმ ენის მატარებელი საზოგადოებისათვის, რომელზედაც ლექსი შეიქმნა, არამედ, აგრეთვე, იმ მკითხველისთვისაც, რომელიც ნაწარმოებს თარგმანში ეცნობა.

მეორე მხრივ, ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელიცაა ლექსის თარგმნა. ამდენად, მთარგმნელი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება ასეთ მასალას და მასვე ხელეწიფება კიდევ თარგმანთან ერთად მკითხველს წარმოუდგინოს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ამბავი, რომელსაც პირობითად წარსულის გამომცახილს ვუწოდებთ, და სწორედ მის ფონზე გთავაზობთ დიდი ინგლისელი პოეტის ლექსების ქართულ თარგმანს.

ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ინტენსიური შესწავლა ოციოდე წლის წინ დავიწყე.

იმ ვეება სამყაროსთან ერთად, რომელსაც ბაირონის პოეზია და მისი განვლილი გზა გვთავაზობს, იმ შარავანდელით მოსილ დიდებასთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეობამ იხილა, თვალნათლივ დავინახე, თუ როგორ ცდილობდნენ ორი საუკუნის მანძილზე ადამიანები დაეფარათ და დაეკნინებინათ მისი დიდი მისიის სიმართლე, ხოლო პიროვნების სისპეტაკე ბილწი ავსიტყვაობით შეეღახათ.

ყოველივე ეს ორ ფენომენტთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. პირველი გახლდათ სისხლის აღრევის ცილისწამება, ხოლო მეორე – მისი მემუარების განადგურება.

მმართვედა, თავად შემესწავლა მრავალი წყარო, რათა სიმართლე საკუთარი კვლევით გამოემჩნია.

ამ ძიებამ უაღრესად საინტერესო გზით მატარა – გავეცანი ზღვა მასალას ბაირონის შესახებ, მოხსენებებით გამოვედი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, შევხვდი მსოფლიოს წამყვან ბაირონოლოგებს, ვიმოგზაურე მის ნაკვალევზე, სტუმრად ვეწვიე მრავალ სახლსა და ადგილს, სადაც ბაირონს უცხოვრია და ფეხი დაუდგამს, არაერთი დღე დავყავი მის უსაყვარლეს მამულში, გავიცანი მისი გვარისა და ოჯახის შთამომავლები, საკუთარი თვალთ ვიხილე მისი ხელნაწერები და პირადი ნივთები, შევიძინე უამრავი მეგობარი.

და აი ამ ორი სიმართლის ძიებისა და დადგენის გზაზე, ჩემდა გასაოცრად, მესამე სიმართლის აღმოჩენის ბედნიერება მხვდა წილად, სიმართლისა, რომელიც, პირველი ორისაგან

განსხვავებით, თვალში არავის სცემია და უშფოთველად ფსკერზე იყო მიძინებული.

ეს მოხდა მაშინ, როცა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მივაკვლიე ბაირონის ცხოვრების ერთ შეუსწავლელ, მაგრამ ძალზედ შთამბეჭდავ ეპიზოდს ქართველ ქალთან შეხვედრისა.


იქიდან მოყოლებული ყოველდღე დიდი სიფრთხილითა და რუდუნებით თითქოსდა მტვერსა და ჭუჭყს ვაცლიდი ამ უმშვენიერეს ძეგლს, რათა ის სინათლეზე გამომეტანა და ბაირონის სამყაროში მისთვის კუთვნილი ადგილი მომეძებნა.

აქაც საოცრებას წავაწყდი – თურმე ამ ამბავს ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერაში თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ერთადერთი მკვეთრად გამოხატული და ღიად დარჩენილი საკითხი ელოდა – ადრესატი თირზასადმი მიძღვნილი ლექსებისა.

ირკვევა, რომ თირზა, რომელიც უცნობი რჩებოდა დღემდე, ქართველი ყოფილა. ქართველი ქალის ტრაგიკულმა ბედმა შეძრა ბაირონი, რაც მის შემოქმედებაში ახმიანდა.

*ინესა მერაბიშვილი*

## შესავალი

 ორდ ბაირონი მიჩნეულია იმ ერთადერთ ინგლისელ პოეტად, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურისა და პოლიტიკის განვითარებაზე. ბაირონი ის ერთადერთი პოეტია, რომელსაც ბერტრან რასელმა „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიაში“ მთელი თავი მიუძღვნა, რომელზედაც ჯუზეპე მაძინიმ თქვა: „ჩვენ არ გვინახავს უფრო ელვარე გამოცხადება „მარადიული სულის ბორკილაყრილი გონისაო“, ხოლო გოეთემ დასძინა: „ინგლისელებს შეუძლიათ ილაპარაკონ ბაირონის შესახებ რაც სურთ, მაგრამ უფრო დიდი პოეტი მათ არ ჰყავთ“. მაძინის ისიც უთქვამს, „კონტინენტზე შექსპირის შესწავლა რომ დაიწყეს, ეს ბაირონის გამო მოხდაო“, რამეთუ ბაირონმა მართლაც იხსნა ინგლისური ლიტერატურა ხანგრძლივი იზოლირებისაგან (პროფ. ვ. დე სოლა პინტო). ამიტომაცაა, რომ ასე გაბედულად იტყვის შატობრიანი: „ინგლისელებს სიფრთხილე მართებთ. თუ მათ დაამსხვრიეს იმ კაცის (ბაირონის) იმიჯი, რომელმაც ისინი ააღორძინა, მაშ, რაღა დარჩებათ?!“

ბაირონისეული ვარცხნილობა და ჩაცმის სტილი რომანტიკული ამბოხების ნიშანი იყო. მის გავლენას განიცდიდნენ ვიქტორ ჰიუგო, ალფონს ლამარტინი, ჰაინრიხ ჰაინე, ადამ მიცკევიჩი, შანდორ პეტეფი, ეჟენ დელაკრუა, ბენჟამენ დიზრაელი,

ჰექტორ ბერლიოზი, ოტო ბისმარკი, ალექსანდრ პუშკინი, ალექსანდრე ჭავჭავაძე... „Нет, я не Байрон, я другой“, – იტყვის მისგან მონუსხული ლერმონტოვი, ხოლო გრიბოედოვის პიესაში „ვაი ჭკუისაგან“ გაისმის არტისტული გამოძახილი იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც ბაირონს სამშობლოში გადახდა. ბაირონის მონათესავე სული ობოლი ბარათაშვილში ატირდება, გალაკტიონს თანამედროვენი ქართველ ბაირონად მონათლავენ.

აი, რას იტყვის მის შესახებ ფიოდორ დოსტოევსკი: „მოვიდა დიადი და მძლავრი გენიოსი, მგზნებარე პოეტი. მის ბგერებში გაისმა კაცობრიობის მაშინდელი სევდა და რწმენის ყოვლად უიმედო დაკარგვა საკუთარ დანიშნულებასა და იდეალებში. ეს იყო ახალი და ადრე არგაგონილი მუზა შურისძიებისა და ნაღვლისა, წყევლისა და სასოწარკვეთისა. ბაირონიზმის სული მოედო თითქოს მთელს კაცობრიობას, და ისიც ერთიანად გამოეხმაურა მას.“

ალბათ, ღირს აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ბაირონიზმი არის უპრეცედენტო მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ შემდგარა არც ერთი მწერლის სახელობის ლიტერატურული მიმდინარეობა, რაც ერთიანად მეტყველებს ბაირონის უდიდეს გავლენასა და მნიშვნელობაზე.

ჩვენ არ ვიცით, რა გზით განვითარდებოდა ევროპის კულტურა უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე, რომ არა ჯორჯ გორდონ ბაირონი და ბაირონიზმი, რომ არა ბაირონის მეამბოხე, მაგრამ უკეთილშობილესი სული, მსოფლიო მწუხარება და ჯვარცმად მიჩნეული თავგანწირვა.

თუმც პოეზია იყო ბაირონისათვის უერთგულესი თანამგზავრი, ლექსზე მაღლა იგი საქმეს აყენებდა. „იყო პირველი კაცი – არა სულა\*, არამედ ვაშინგტონი ან არისტოტიდე – წინამძღოლი ნიჭით და სიმართლით – ეს ნიშნავს იყო ღმერთკაცი“, – ამბობდა იგი. საკუთარ პიროვნებაში მას დიდი საქმის კეთებად სამარლიანობისათვის ბრძოლა წარმოედგინა. ამ ნიშნით

\* იხ. „რომაელ სულას“ კომენტარი, გვ.230.

იყო აღნიშნული მისი ცნობილი საპარლამენტო გამოსვლები და, საერთოდ, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი არა მარტო როგორც ინგლისელისა, არამედ როგორც მსოფლიო მოქალაქისა. ამ შეგნებით დაუდგა იგი გვერდში იტალიელ ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამ შეგნებითვე გაემგზავრა საბერძნეთს, როცა ელადამ დასახმარებლად მოუხმო. მისი სიცოცხლე საბერძნეთის თავისუფლებას შეეწირა.

მისმა სიკვდილმა შეძრა ელადა და მერე მთელი ევროპა. ბაირონის დაღუპვის ამბავი ისე დაატყდა ლონდონს, ვითარცა მიწისძვრაო, წერდა იმდროინდელი „ლანდენ მეგეზინი“.

თოთხმეტი წლის ალფრედ ტენისონი ტყეში გაჭრილა, რათა განმარტოებით ეგლოვა პოეტი, მერე კლდეზე ამოუტვიფრავს: „ბაირონი მოკვდა“.

„ბაირონი მოკვდა! ეს მე მითხრეს ხალხით სავსე ოთახში. ღმერთო ჩემო, რომ ეთქვათ, მზე ან მთვარე მოსწყდა ზეცასო, ისე ვერ შემძრავდა და უფრო საშინელ და საზარელ სიცარიელეს ვერ მაგრძნობინებდა...“, – სწერდა მეგობარი ქალი ტომას კარლაილს, იმ კარლაილს, რომლისთვისაც ბაირონი იყო „უკეთილშობილესი სული ევროპისა“, და რომელმაც მისი სიკვდილი, ვითარცა საკუთარი ძმისა, ისე განიცადა.

ამბობენ, ყოველი ეპოქა წარსულს ხელახლა აღმოაჩენსო. თუ მეოცე საუკუნის ადამიანის წყალობით ასაფეთქებლად ყალყზე შემდგარ ცივილიზაციას გადარჩენა უწერია, მომავალში ის აუცილებლად განსაკუთრებულად დააფასებს უწმინდეს სიფაქიზემდე ამაღლებულსა და ამავდროულად საუკუნოდ ჭეშმარიტად მართალს.

ოცდამეერთე საუკუნეში ბაირონს ახლად აღმოჩენა ელოდება.



ნაწილი პირველი

ღმრთად ზაღზაღნი  
ღმრთად

თარგმანი  
ინესა მერაბიშვილისა

ყველა ერის შემთხვევაში ბუნებრივ  
მდგომარეობასთან მიახლოებული  
ენა, როგორც ამბობენ, არის პოეზია.  
მე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მაგრამ  
ვიცი, რომ ეს ასეა.

ლორდ ბაირონი



ნაწყვეტი, დაწერილი კალიან მალე  
მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ

ენსლის სერებო, დგახართ ცივნი, მიუკარებნი,  
აქ გაიქროლა უზრუნველმა ჩემმა ბავშვობამ,  
გოდებენ ღამით ჩრდილოეთის მძაფრი ქარები  
და არვის ძალუძს ამ მწუხარე მოთქმის ჩახშობა!

იმ ნეტარ დღეებს რად ეწერათ გადაშენება,  
როს ბედნიერი არ ვითვლიდი წუთებს აროდეს;  
მერის ღიმილი, ცისიერი მისი მშვენება  
ველარასოდეს მომაჩვენებს თქვენს თავს სამოთხედ.


\*



## მოგონება

მორჩა, გათავდა! – ყოველივე იყო სიზმარი,  
იმედის სხივით აღარ ბრწყინავს ჩემთვის ცისკარი;  
უბედობის ჟამს სუსხიანმა მწარე ქარბუქმა  
ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟი დარდით მოქუფრა.  
გემშვიდობებით – სიყვარულო, ლხენავ, იმედო!  
ნეტავ შემეძლოს, მოგონებავ, შენც გაგიმეტო!

\*




## ოდეს მკითხეს, როგორია სიყვარულის დასაწყისი

მე რად მკითხე, როგორია  
„სიყვარულის დასაწყისი„?  
მისი ბედი შენს ხელშია:  
გამოჩნდები – ჩნდება ისიც!

ხოლო თუ გსურს, რომ იცოდე,  
როგორია მისი ბოლო –  
ვიდრე ვცოცხლობ, ის იცოცხლებს,  
არ მშორდება ტანჯვა მხოლოდ!

\*



## ჩემს ვაჟიშვილს

ოქროსქოჩორა და ლურჯთვალემა,  
დედას რომ ჰგავხარ, გულს ეამება;  
როს დასთამაშებს ღიმილი სახეს,  
ფოსო გიმშვენებს ალისფერ ბაგეს,  
განცდა წარსულის შემომაპარა  
შენმა დანახვამ, ჩემო პატარავ!

შენ მამის სახელს ამბობ ტიტინით,  
გვარი კი სხვა გაქვს – ამას მივტირი,  
ბოდიშს არ გიხდი, თუმც მინდა გწამდეს,  
კეთილი ზრუნვით მოვიხდი სასჯელს;  
დედის აჩრდილი მუდამ დაგფარავს,  
მეც მაპატიებს წარსულს, პატარავ!

მის სადა საფლავს სიმწვანე ავსებს,  
უცხო მკერდს წოვდი, გაჩენისთანვე  
დაგყვა სირცხვილი და უიღბლობა –  
ობლობის ბედმა ასე ინდომა:  
მაგრამ ერთ იმედს შეხვდი თამამად –  
მარად შენი ვარ, ჩემო პატარავ!

დე, შუბლი შეკრას უგრძნობმა ხალხმა,  
ბუნების ძალის მე მუდამ მწამდა,  
მორალს არ ვუსმენ და შვილად გიცნობ,  
შენ, სიყვარულის უტკბესო პირმშოვ.  
ჭაბუკურ ვნების კვალს არ დავფარავ –  
საწინდრად დამრჩი, ჩემო პატარავ!

ვიდრე დაეტყო ნაოჭი სახეს,  
ვიდრე სიცოცხლის ნახეარს გავლევ,  
ასე ინება გამჩენმა ღმერთმა –  
ძმას და ვაჟიშვილს მე შენში ვხედავ,  
და ამ ცხოვრებამ სადაც მატარა,  
ყველგან შენ მყავდი სევდად, პატარავ!

შმაგი ჭაბუკის მიდგია სული,  
თუმც შენთვის მეწვის მამური გული:  
ჩემი ცხოვრების იქეც ოცნებად,  
ჩემი ჰელენი შენში ცოცხლდება,  
გულმა, რომელმაც გრძნობა ატარა,  
არ მიგატოვებს, ჩემო პატარავ!

\*



## ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია

ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია,  
რომ ჰაილენდის მღვიმეთ მხარეში  
ვეგებებოდე მწუხრს, თუ განთიადს,  
კვლავაც ვაპობდე სივრცეს თარეშით.  
თავისუფალი სულის ქომაგმა  
ვით ავიტანო საქსონთ სიხარბე,  
მთებთან ტრფიალი როგორ მომაკლდა,  
მომნატრებია მე ზღვის სილაღე.

ბედო! ამას გთხოვ, წაიღე უკან  
სიმდიდრე მთელი, რაც რამ მომეცი,  
რჩეული გვარიც წაიღე უკან,  
მძულს ყველა მონა, ყველა მომთმენი.  
იქ დამასახლე, სადაც წყლის თქაფუნს



უსმენს და ხედება კლდე ფრთაზვიადი,  
ოცნებას ერთს თუ ვინახავ სათუთს –  
დაბრუნდებოდეს ის განთიადი.

ვიცი, სამყარო ჩემთვის არ ქმნილა,  
წლებით ჭაბუკი, ვარ დაზაფრული.  
რატომ არ მეტყვი, ღმერთო, ახდილად,  
თუ სად მომისწრებს მე აღსასრული.  
გამახსენდება სიზმარი წროფელი,  
აღსავსე ხიბლით, ნეტარი მარად,  
რად გამაღვიძე ამ სატანჯველში,  
სიცხადის სხივო. წყეულის დარად.


ვინც მე მიყვარდა, ვისაც ძმად ვთვლიდი.  
ყველა გაფრინდა, ყველა წავიდა,  
მე მარტო ვდგავარ ქარგადავლილი,  
იმედიც, ალბათ, მიტომ წამიხდა!  
თუმც გამიქარწყლებს დღეს წამით ღვინო  
ამ წუთისოფლის ყველა სიავეს,  
და შმაგი სულიც ბობოქრობს თითქოს,  
გულს ვერვინ შველის, გულს – ნაიარევს!

საუბედუროდ ლხინის დროს ვისმენ  
სიტყვებს არცა მტრის, და არც მეგობრის,  
არამედ მათი, ისევ და ისევ,  
ქვეყნისგან ხეირს ვინც გამოელის.  
ვეღირსებოდე კვლავაც იმ წამებს,  
რომ გვერდით ისევ მყავდნენ ერთგულნი,  
გავექცეოდი ხომ მე იმ წამსვე  
ღამის უქმ თევას, ცნობილს რჩეულთთვის.

შენ კი, მშვენივლით სავსე დიაცო,  
გთვლიდი იმედად. შვების საწინდრად,  
გულში რომ გრძნობა აღარ ციაგობს.  
ღღეს შენს ღიმილსაც ვიგდებ საცინლად!  
მზად ვარ დაეტოვო დაუფიქრებლად  
სევდაც, სიამეც, ქვეყნის – ცოდვილის,  
რომ თვითონ ვიქცე მე სრულქმნილებად.  
ძალა რომ ჰქვია, კეთილშობილი.

მინდა მოვცილდე, მოვწყდე კაცთ მოდგმას.  
ხალხი კი არ მძულს, – მათ თავეს ვარიდებ.  
სულს, რომ სწუხს მუდამ, სტირის და მოსთქვამს.  
მყუდრო სავანე სურს იმთავითვე.  
ფრთები რომ მომცა გარეულ მტრედის.  
ცის კარს გავაპობ, გავცდები ფრენით!  
მაშინ ვიქნები მე სულ სხვა ბედის  
და მოვისვენებ მარადის შვებით.

\*



ლედის, რომელმაც მკითხა, თუ  
რატომ მივმეგზავრები ინგლისიდან  
გაზაფხულზე

ცოდვილი წამით შეჩერდა ზღურბლზე,  
როცა განდევნეს ედემის მხრიდან,  
ტანჯვა-წამება ეწერა შუბლზე,  
გარდასულ დღეთა წყურვილი ღრღნიდა.

მოჰყვა ხეტიალს უცხო მხარეში,  
და გრძნობაც თითქოს უფრო განაზდა;  
შვებას ხედავდა ნებით თარეშში,  
მოიგონებდა წარსულს ანაზდად.

დე, ასე იყოს, მშვენებავ ჩემო!  
აღარ ვიხილავ შენს სათნო სახეს;  
ოხვრა წარსულზე მე ბედად მერგო,  
ტანჯვის საწინდრად არ მინდა მყავდე.

მოვწყდები ყოველს! ისე არ მოხდეს,  
რომ ვერ დაეუსხლტე ცდუნების ძალას –  
მიჭირს, ეუმზერდე ჩემსა სამოთხეს  
და არ ვინდომო იქ დაერჩე მარად.

\*



## ათენელ ქალწულს

(Ζῶη μὴν, σὰς ἀγαπᾷ.<sup>1</sup>)

განშორების უამი დადგა,  
ათენელო ქალწულო!  
გული, გული დამიბრუნე,  
გთხოვ, არ ამითვალწუნო.  
თუმცა ის ხომ შენ გეკუთვნის,  
შენი ტრფობით ამაცობს,  
ვიდრე წავალ შემოგფიცებ,  
Ζῶη μὴν, σὰς ἀγαπᾷ.

ქარი გეტრფის ეგეოსის,  
როცა გიშლის დალალებს,  
შენი გიშრის წამწამთ რხევა  
ვარდის ღაწვებს ალალებს.


<sup>1</sup> Ζῶη μὴν, σὰς ἀγαπᾷ – ზოი მუ, სას აღაპო – ბერძნულად ნიშნავს „ჩემო სიცოცხლე, მე შენ მიყვარხარ“.

შენი თვალის ეშხმა მომსპო,  
შეელის მზეერას რად მაპყრობ,  
ტანი ლერწამს რად მივიგავს?  
Ζάη μιἰ, σάς άγαπᾶ.

ოდეს გნახე, მე იმ დღიდან  
შენი კოცნა მწყურია,  
ტრფობის ნიშნად ყვავილს გიძღვნი,  
სიტყვა განწირულია.  
სული განცდას ვეღარ იტევს,  
ლამის მკერდი გააპოს,  
სიყვარული შემომფიცე,  
Ζάη μιἰ, σάς άγαπᾶ.

განშორების ყამი დადგა,  
სტამბულს მივემგზავრები,  
შენს ფიქრებში დავიბუდებ,  
როცა მარტო დარჩები.  
გული ათენს უნდა დარჩეს,  
გული როგორ გავაპო,  
შენს სიყვარულს როგორ დავთმობ  
Ζάη μιἰ, σάς άγαπᾶ.

\*



## სესტოსიდან აბიღოსამდე

ცივი დეკემბრის უკუნი ღამით  
ლუანდრს ნაპირზე ჰერო ელოდა,  
ჭაბუკი ტალღებს აპობდა გზნებით,  
და სიოც თითქოს მისთვის მღეროდა.

უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,  
ტალღა აზვირთდა, სრუტე ღელავდა,  
იყო მძვინვარე თქეში და ქარი,  
და ჩირაღდანაც აღარ ელავდა.


მე უბადრუკი ამ დროის შვილი,  
მხოლოდ უწყინარ მაისს მივენდე,  
თხემით ტერფამდე ვარ გათოშილი,  
და ამ გმირობით თავს ვიიმედებ.

თუ ჰელესპონტი მართლაც გაცურა,  
ლენდრს ეწადა ქალის ტრფიალი,  
ვაგლახ, რომ უკვე სხვა დრო მოსულა  
მხოლოდ დიდების ვარ მოტრფიალე.

არ ვიცი, ეს გზა ვისთვის რა იყო,  
დმერთი არ გწყალობს, არ გეშველება,  
რადგან მიჯნური წყალში ჩაიხრჩო  
და მეც წარმიტანს ციებ-ცხელება.

\*





## ჩემი ეპიტაფია

ღმერთი, ბუნება, სიჭაბუკე თავისი ეშხით,  
ლამპარს სათუთად დარაჯობდნენ ანთებულს ჩემში,  
თუმც, რომანელმა – ვინც რომ იყო ზორბაც და მძლავრიც,  
სამივე ერთად დაამარცხა, ჩააქრო ალი.

\*



## კორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები

ალალი იყოს ზრუნვა ჩემი უფაქიზესი,  
რაც მიმატოვე, დამაობლა თვით სიყვარულმა,  
შენი ხატება კვლავ იქნება სევდის მიზეზი,  
რომ უშენობა დაიტიროს ცრემლმა ფარულმა.

თუმც ნათქვამია, დრო განკურნავს ყველა იარას,  
გული ეს ჩემი ძველებურად აღარ ხალისობს,  
და თუ იმედი სულ დაიმსხვრა და დაინაცრა,  
მე ხსოვნა შენი გადამირჩა სამარადისოდ.

\*



## თირზას

ვიცი, შენს საფლავს ხსოვნის ნიშნად ქვაც კი არ აღევს,  
მინდა სიმართლეს გავუსწორო მზერა თვალებში,  
ვაი თუ ყველამ დაგივიწყა, არვის ადარდებ,  
ასე უდროოდ, ასე მალე რატომ წახვედი.

ცხრა მთის გადაღმა, ცხრა ზღვის მიღმა მეგულებოდი,  
და სიყვარული ჩვენი თურმე იყო ამაო,  
შენსკენ მოჰქროდა ერთი ფიქრი – კვლავ შევხვდებოდით,  
თუმც დამსხვრეული იმედები დამრჩა სანაცვლოდ.

ჩემთვის არ გითქვამს არცა სიტყვით, არცა თვალებით  
„იყავ მშვიდობით, საუკუნოდ ვართ მეგობრები,“  
რომ დამრჩენოდა ეს ნუგეშად, თუმცლა წამებით  
ვიცხოვრო უნდა, როს ამქვეყნად არ მეგულები.

როცა სიკვდილი გიმზადებდა მსუბუქ ადსასრულს,  
როცა წარსულმა გაიელვა უხმო წამებით,  
გულს ვინ ეწადა? თუ ნატრობდი შენგან შორს წასულს,  
ვისაც უყვარდი და უყვარხარ კვლავ გამალებით.

სხვისთვის თუ იყავ უფრო მეტი ზრუნვის საგანი?  
გულს ვის უკლავდი, როცა თვალში შუქი გაგიქრა?  
ვიდრე სიცოცხლის და სიკვდილის ჰპოვე სამანი,  
ხომ ჩუმი სევდით მიზაეებდი წუხილს, საფიქრალს.

მაგრამ, როს ახლა ამ სევდასაც მოელო ბოლო  
და სამუდამოდ სხვა სივრცეთა ხარ ბინადარი,  
სხვას ვერას ვიტყვი, ცხარე ცრემლი წამომსკდა მხოლოდ,  
მოედინება ჩემს ლაწვებზე, ვით ნიაღვარი.

სადაც მე დიდხანს არ დამიდგამს ფეხი თავადაც,  
აქ დაგიტირე, ამ კოშკებში, ამ დარბაზებში,  
რისთვის მომიხმეს, თუ მელოდა ტანჯვა მარადჟამს,  
ბებერ ქონგურებს ვეფერები ამ განსაცდელში.

სხვა ცის ქვეშ მახსოვს მე ცრემლები ჩვენი გულწრფელი,  
ჩვენს თვალთამზერას ვერ ხედავდა უცხო ახდილად,  
გულში მწვდებოდა შენი ფიქრი გამოუთქმელი,  
მთრთოლვარე ხელი მეხებოდა მხოლოდ ფაქიზად.

შენი ამბორი წმინდა იყო და უწყინარი,  
დიდრონ თვალეებში გამოკრთოდა ზრახვა უმწიკვლო,  
ვნება იქ უმალ გაქრებოდა, ვით უჩინარი,  
და სიყვარულის ყველა განცდა იყო უბიწო.

მე, გულჩათხრობილს, შენი ხმა თუ მახალისებდა,  
შენით ვისწავლე სიცოცხლესთან ლაღი ტრფიალი,  
ჰანგი უტკბესი მიქარწყლებდა დარდსა და სევდას  
ღვთიურ სიმღერით ჩამესმოდა ცათა შრიალი.


სადა ხარ ეხლა, სად გეძებო სულზე უტკბესო?  
თან წარიტანე სანუკვარი ის სახსოვარიც?  
შენი თან დამაქვს, ისლა დამრჩა ხსოვნად უბედოს,  
როგორც არასდროს, ვარ ბედკრული და უპოვარი.

წახვედი მაშინ, როს სიცოცხლე შენი ჰყვოდა,  
მასვი ვარამის და კაეშნის მწარე სამსალა,  
და თუ ვიწამეთ, რომ ცხოვრება მხოლოდ გაორდა,  
შენ მოისვენებ, მე ტკივილი მარად დამძალავს.

თუ სათნოება შენი გულის შეებას მონახავს,  
და სული შენი ცათა მიღმა გაცისკროვნდება,  
ლოცვა-ვედრებით მომაწიე ნეტარ მომავალს –  
თან წამიყვანე, ამისრულე ერთი ოცნება.

ბედის ბორბალი დატრიალდა რადგან უკუღმა,  
თავად მოწყალე, პატიებას შენგან მოვითხოვ,  
და თუ ამ ქვეყნად ჩვენს სიყვარულს ბედმა უმუხთლა,  
მჯერა შევხვდებით, როს საუფლო ცათა მომიხმობს.

\*



## ინესას

1

არ გამიღიმო, არ შემომცინო,  
ვერ გიპასუხებ რადგან ღიმილით,  
უფალს ერთსა ვთხოვ, შენ აგაცდინოს,  
ამაო ცრემლი, სევდა, ტკივილი.

2

იკითხავ, ალბათ, რა დარდი მტანჯავს,  
ყმაწვილს რა მიდრღნის გულს და გონებას,  
ამაოდ იღწვი, არ გირჩევ გარჯას,  
ვერ დამიამებ სულის გოდებას.

3

ვერც სიყვარელი, ვერც სიძულვილი,  
აუხდენელი ვერც რამ ოცნება,  
ვერ მაიძულებს, მქონდეს სურვილი,  
კვლავ შევიყვარო მე ეს ცხოვრება.

4

მიზეზი ამის მხოლოდ ერთია –  
მომბეზრებია ქვეყნად ყოველი,  
შენი დანახვაც თუ სულერთია,  
მე ამ ქვეყნიდან რაღას მოველი.

5

ჩემშიც იმ დარდმა დაისადგურა,  
რომ აწვალეხდა დევნილ აპასფერს,  
განგებამ შვება აქ არ არგუნა,  
კარგს არ უქადდა არც იქ არაფერს.

6

ნეტავ შემეძლოს ჩემს თავს გავექცე,  
სხვა სივრცეებში გავიჭრებოდი,  
ვაგლახ, სულ თან მღევს და არ მასვენებს  
ეს შხამიანი ფიქრის ღემონი.

7

რაც რომ არ ვცანი და შევაჩვენე,  
ვიცი ანიჭებს მრავალს სიამეს,  
გამოღვიძებამ ტანჯვა მაჩვენა,  
ღმერთო, ნუ მოსწევ სხვას ამ სიავეს.

8


ნუგეშად მხოლოდ ისლა ვიწამე,  
ხეტიალს როცა მივანდე ბედი,  
როგორც რომ უნდა ვევენო, ვეწამო,  
მე უკვე ვნახე ამაზე მეტი.

9

რა არის იგი ამაზე მეტი?  
ამას ნუ მკითხავ, გთხოვ, გევედრები,  
გულს არ გაგიხსნი, გახსოვდეს ერთი,  
გულით ჯოჯოხეთს თუ შევედრები.

\*






## ატირებულ ლედის

მოთქმით იტირე, დიდო ასულო,  
მამის სირცხვილი, ქვეყნის დაცემა;  
ცოდებები მშობლის, მისი წარსული  
აგდევნებია ვით ანათემა!

ბედმა სამშობლო სხვა სიმძიმით, –  
იტირე! – მეტად რომ არ დანაცროს;  
შენივე ხალხის წრფელი ღიმილი  
მჯერა, დაგხვდება ცრემლის სანაცვლოდ!

\*



მახსოვხარ მარად!  
მახსოვხარ მარად!

მახსოვხარ მარად! მახსოვხარ მარად!  
ვიდრე არ შთანთქავს ლეთე სიცოცხლეს,  
ვერ მოიცილებ კოშმარის მაგვარ  
სირცხვილს, სინანულს, ჩემგან იცოდე!

მახსოვხარ მარად! გჯეროდეს ჩემი.  
მაგრამ შენზე ხომ კვლავ ორნი ვფიქრობთ!  
ქმარი, რომელსაც დაადგი რქები,  
და მე, რომელიც დემონად გიცნობ!

\*



## ოდა ნაკოლემონ ბონაკარტიისადმი

*"Expende Annibalem - quout libras in duce summo invenies?"*

*Juvenal, Sat X*

..იმპერატორი ნეპოსი სცნო სენატმა, იგი სცნეს იტალიელებმა და ვალიის მაცხოვრებლებმა. მისი ზნეობრივი ღირსებანი და სამხედრო ნიჭი საქვეყნოდ იყო განთქმული; ხოლო ისინი, ვინც მისი მმართველობიდან პირად სარგებელს ელოდნენ. წინასწარმეტყველური ტონით მოასწავებდნენ საყოველთაო კეთილდღეობის აღორძინებას.

...ამ სამარცხვინო გადადგომით მან რამოდენიმე წლით გაიზანგრძლივა სიცოცხლე იმპერატორსა და განდევნილს შორის არსებული გაურკვეველი მდგომარეობით, ვიდრე..."

ვიბონი, რომის იმპერიის დაცემისა  
და განადგურების ისტორია

## I

მორჩა, გათავდა! გვირგვინოსან მეფეს გუშინდელს,  
დაპყრობის უინით აღტყინებულს, აღსავსეს რისხვით,  
დღეს მთლად დაცემულს, კვლავ გწადია არ შეუშინდე  
მრისხანე ბედს და სიცოცხლისთვის ამაოდ იბრძვი!  
შენ მრავალ ტახტთა დამპყრობელი და მტერთა მძლევი,  
ვინც დედამიწა მოქიშპეთა გაავსე ძვლებით,  
ვინც მცდარად იყავ მიჩნეული ვარსკვლავად ცისკრის –  
ხარ უპოვარი, აწ აღარვინ აღარ გემონვის,  
ასე არც კაცი დაცემულა და არც დემონი.

## II

შეშლილად გრაცხავ! რად გასწირე ყველა ერთგული,  
ვინც მუხლმოყრილი თავს გიხრიდა ნიშნად ნდობისა?  
დიდების სხივმა დაგაბრმავა, ხარ გათანგული,  
სხვას რომ არნახულს ჰპირდებოდი ნაყოფს ომისას.  
ძლევა მოსილი ვერ ჰგუობდი მიჯნებს, სამანებს,  
ფასად მიზნისა მიუჩინე ყველას სამარე,  
ვინც გაღმერთებდა, ვინც იცავდა სახელს მოდგმისას.  
კაცობრიობას დაუმტკიცე ყოვლის სანაცვლოდ,  
სულის სიმწირეს მისწრაფება ძალუმს დანაცროს!

### III

მადლობას გიძღვნით – მაგალითი საშვილიშვილო  
ყველა მეომარს წინ დახედება აწ და მარადის,  
ფილოსოფოსთა ქადაგება, დე, ნუ ისმინონ,  
მწარე გაკვეთილს მეტი შესწევს ძალა სანამდის.  
ვხედავ, თილისმა შენი ხიბლის როგორ დაიმსხვრა,  
კაცთმომნუსხველი მისი ძალა რომ სულ დაინთქას,  
რათა გონებას ცრუ ცდუნება ველარ ჰფარავდეს –  
ალარ ვემონოთ თითბერის კერპს თავგამეტებით,  
ხმალს რომ იქნევს და დააბიჯებს თიხის ტერფებით.

### IV

ყიჟინი ბრძოლის, შეძახილი გამარჯვებისა,  
მსგავსი მიწისძვრის, ანდა კიდეც ზეცის ქუხილის,  
და ის ტრიუმფი წყარო იყო უკვდავებისა  
შენთვის, რომელმაც არ იცოდი სხვაზე წუხილი.  
ძალაუფლება, ხელში ხმალი, კვერთხი სამეფო  
კაცს აჩოქებდა იძულებულს, რომ გზა დაეთმო,  
დიდება შენი რადგან უკვე იქმნა მუდმივი –  
შენს სულს, ბოროტო, შერჩა მხოლოდ სიმწრის გოდება,  
უკვე შთანთქმული ეს ყოველი რომ აგონდება!

## V

სხვას აოხრებდი და თვითონ ხარ ახლა ეული!  
სხვის დამმარცხებელს დამარცხებულს გხედავ საბრალოს!  
სხვის ბედს რომ წყვეტდი, საკუთარი გაქვს დამსხვრეული,  
სხვის მბრძანებლო, დღეს წყალობას ითხოვ სამადლოდ!  
იქნებ იმედი ჩაგესახა უფლის სადარი,  
რომ გაჩაღდება ჩაფერფლილი შენი ღადარი?  
იქნებ არყოფნის შიში გზარავს ყოვლის სანაცვლოდ?  
მეფურად სიკვდილს რომ არჩიე მონის ჭაპანი, –  
ვაგლახ, გაბედულ არჩევანშიც ხარ სულმდაბალი!

## VI

ერთმა ბერძენმა მუხა თურმე ხელით გახლიჩა,  
ღონით გართულმა ვერ მოზომა მისი ბუნება –  
ხემ პირი შეკრა, ხელს გამოხსნა აღარ აღირსა,  
რა მწარე იყო შაებედითი ძალის ცდუნება.  
ხე გაჯიუტდა და უჭერდა მაგრად მარწუხებს,  
შენც, ჩემო კერპო, განსაცდელი იგივ გაწუხებს  
და ჭირ-ვარამი უფრო მეტიც გიმღვრევს გონებას –  
თუ ის ნადირის ლუკმად იქცა, შენ უნდ ეწამო,  
ბედმა ინდომა შენი გული შენვე შეჭამო!

## VII

რომაელ სულას, ბრძოლის ველზე ცეცხლად რომ ენთო,  
გული მოუკლა მეომართა დაღვრილმა სისხლმა,  
შორს გადააგდო სატევარი, თავით რომ ედო,  
ზურგი აქცია მედიდურად მბრძანებლის ყისმათს.  
ასე განუდგა ის დიდებას, აღსაესე ზიზლით  
იმ ყველას მიმართ, ვინც ხალხის ბედს ღებავდა სისხლით,  
და ვინც ქვეყანას მოევლინა უღმერთო რისხვად!  
ახლა მის სახელს ასხივოსნებს ყოვლის სანაცვლოდ  
ის დღე და წუთი, როს გვირგვინი ნებით აღარ სცნო.

## VIII

ვინ იფიქრებდა, ესპანელი იცვლიდა რწმენას,  
მოსწყინდებოდა მას ოდესმე მძლეუთა სამყარო,  
მთელს იმპერიას ის არჩევდა პატარა სენაკს,  
კრიალოსანზე გადაცვლიდა გვირგვინს სატახტოს.  
მონასტრის ჭერქვეშ სისხამ დილით ისმენდა წირვას,  
სრული სიმტკიცით დაიცავდა ყოველგვარ წვრილმანს  
და სიბერეში მოითხოვდა პატივს სანაცვლოდ –  
სჯობდა არასდროს არ რგებოდა ხვედრი დესპოტის,  
რომ თავგანწირვაც არ ეტვირთა ბერად შედგომის.

## IX

შენ სულ სხვა იყავ – უცნაური, როგორც ზმანება,  
შენივე ხელით დაურაზე ქუხილს კარიბჭე –  
გიძძიმდა ძალზედ წარმოგეთქვა ბოლო ბრძანება  
და განწირული ხომ ითვლიდი მაინც ნაბიჯებს.  
მთელი არსებით ჩამოჰგავდი წყეულ სატანას,  
კაცობრიობას აღარ ძალუძს მეტის ატანა,  
თუმც შებღალული ეგ ღირსება შენი აფიქრებს.  
გამჩენმა ღმერთმა მისთვის შექმნა ნუთუ ქვეყანა,  
რომ შენებრ ფლიდი, ვით კვარცხლბეკზე, ზედ აეყვანა.

## X

რაც დედამიწამ შენთვის ომში სისხლი დაღვარა!  
გაღმერთებული შენს საკუთარს მუდამ ზოგავდი,  
წინ მიგიძლოდა გამარჯვებულს ბუკი, ნაღარა  
და კანკალებდა უმოწყალოდ შენს წინ მონარქი!  
თავისუფლებავ! შენს ხატის წინ ლოცვად ვიდგებით,  
რადგან უღირს მტერს აღარ სწყალობს შუქი დიდების,  
ნიღაბთან ერთად მან დაკარგა უკვე ქომაგიც.  
ღმერთმა არა ქნას, რომ კელავ იშვას ქვეყნად ტირანი,  
ვინაც ცდუნებით მოუტანოს ხალხს სატკივარი!



## XI

გმირობა შენი, ავი სულით ნამოქმედარი,  
ჟამთა სვლას სისხლით, მხოლოდ სისხლით დაუწერია,  
დიდების შუქით აღარა ხარ უკვე მდიდარი,  
შენი სახისთვის დროს ლაქები დაუმჩნევია.  
რომ მომკვდარიყავ, შენ, აღსაესე ღირსების სხივით,  
მომავალს იქნებ კიდევ ეშვა სხვა, შენებრ დიდი,  
თუკი სირცხვილი კაცთა მოდგმას კვლავ უწერია –  
მზესთან აფრენას რად ისურვებს ვინმე ზვიადი,  
უკუნი ღამით თუ ჩაეშვა ასეთ წყვდიადში?

## XII

რომ აიწონოს გმირის ნეშტი ზუსტი სასწორით,  
გაუტოლდება ის ერთ მუჭა გამხმარ აყალოს,  
მხოლოდ სიკვდილით თუ გავხდებით ჩვენ თანასწორნი,  
მხოლოდ მას ძალუძს ყოველ ჩვენგანს მიწა აყაროს.  
მე კი ვფიქრობდი, ის, ვინც ცოცხლობს სიდიდით სრულით,  
ცაზე ვარსკლავებს გააცოცხლებს უკვდავი სულით,  
რომ ბრწყინვალეობამ ცისკიდური ააელვაროს,  
და არ მეგონა, თვით განგება თუ ჯავრს იყრიდა  
მასზე, ვინც ტახტი სხვისი ტანჯვის ფასად იყიდა.

### XIII

შენ გვერდს გიმშვენებს დღეს მეუღლე – ჭირისუფალი,  
შორეულ ქვეყნის მგლოვიარე ნაზი ყვავილი,  
ნუთუ ტანჯვისგან არ დაინდობს მის გულს უფალი,  
ასე დარჩება საუკუნოდ იავარქმნილი?  
მისი ზვედრია, რომ გაიყოს უიმედობა,  
მონანიება, დამცირება და უბედობა  
შენთან, ჯალათო უგვირგვინოვ! ნუთუ არ იცი?  
სჯობს მის სიყვარულს გაუფრთხილდე, როგორც საგანძურს,  
შენს დიადემას მისი შეცვლა რადგან არ ძალუძს.

### XIV

მაშ, მიაშურე პირქუშ კუნძულს დაუყოვნებლივ,  
ზღვის სილაჟვარდეს კვლავ მიანდე მზერა, გონება –  
მწამს, მას, ბობოქარს, შენ უწინაც გაუგონებდი,  
რადგან შენს ძალას ზღვა არსდროს არ ემონება!  
ტაატით მავალს თუ მოგზიბლავს მისი სინაზე,  
შენივე ხელით მიაწერე იქვე სილაზე,  
რომ დედამიწის აღარ ისმის უკვე გოდება!  
და რაც კორინთელს შუბლზე აჩნდა დარდი, ნაღველი,  
ახლა ყოველის მხოლოდ შენ ხარ გამომსახველი.

## XV

თვითონ თემურო! ტყვესდა ჰგავხარ თემურლენგისა  
და დატყვევებულ მძვინვარებას გულში ატარებ,  
ფლობდი ქვეყანას! – ანაბარა დარჩი ბედისა,  
ახლა შენს ფიქრებს მხოლოდ ოხვრას თუ შეეადარებ.  
ვაითუ გონიც დაგიკარგავს გვირგვინთან ერთად,  
ბაბილონში რომ დაემართა მიჩნეულს ღმერთად?  
რადგან ცხოვრება ვერ დაუჭერს დიდხანს სადავეს  
ვნებას, რომელსაც ეს ქვეყანა არაფრად უღირს,  
ვით სულს ბობოქარს, სხვის დამთრგუნველს და ასე უღირსს!

## XVI

მსგავსად ტიტანის, ვისი მაღლით ცეცხლი ანთია,  
იქნებ შენც შეძლო ყოველ დარტყმას გამირულად შეხვდე,  
განაწამები მიეგებო ახალ განთიადს,  
ორბმა რომ გკორტნოს მიჯაჭვული ფრიალო კლდეზე!  
ღმერთმა გაგწირა, შეგაჩვენა ძემ კაცთა მოდგმის,  
შენი დაცემა გრძნეულ ეშმას დღეს სხვას რას მოჰგვრის,  
თუ არა ღვარძლით სავსე ღიმილს, კვლავ მსხვერპლს რომ  
ექებს;

ზევსთან მებრძოლმა, მან ღირსება რომ არ დაკარგა,  
ის თვით მოკვდავიც მოკვდებოდა მხოლოდ ამაყად!

## XVII

დრო იყო, როცა მთელს ქვეყანას ფლობდნენ გალები  
და მათ განმგებლად შენ გაქცია მერე ჟამთა სვლამ;  
რადღა იღვწოდი დაუცხრომლად და გამალებით,  
რად არ ინდომე სიმაღლიდან ნებით გადასვლა?  
აამაღლებდა ეს ყოველი შენს წმინდა სახელს,  
განაცვიფრებდა გამარჯვების მრავალის მნახველს,  
და მარენგოსაც დაჩრდილავდა თვის ტრამალებით,  
გაანათებდა ბინდს მოწოლილს, ვით სასწაული,  
თუმცა ღრუბლები დაცურავდნენ დანაშაულის.


## XVIII

მაგრამ გგონია, მეფედა ხარ დაბადებული  
და მეწამული სამოსელი შენ გშვენის მხოლოდ,  
მხრებზე მანტია მოხდენილად გაქვს მოგდებული,  
რაც მოგონებებს ცოდვილ მკერდში ვერ ჩაკლავს ოლონდ.  
ახლა იღბალი განდიდებას აღარ გიპირებს,  
ჩვეული ჰეწი დაუკარგავთ ზიზილ-ჰიპილებს,  
სად გაქრა ჯვარი, ან ვარსკვლავი, ვერცხლი თუ ოქრო?  
შენ, იმპერიის თავმომწონე ჯიუტი ბავშვი,  
უსათამაშოდ, უხალისოდ, უმწეოდ დარჩი.

## XIX

დიდ პიროვნებებს წარსულისას შეკავლოთ თვალი!  
სამაგალითოს და საგმიროს ცოტა გვიამბობს.  
შეუბლალავი ვინ დატოვა დიდების კვალი,  
აროდეს იყო ვინ უღირსი და უნიათო?  
გამორჩეული სიმამაცით, სინდის-ნამუსით  
მოჩანს ბნელეთში დასავლეთის ცინცინატუსი –  
ჯორჯ ვაშინგტონი – ვით ანდერძი, მარად კიაფობს!  
ქვეყნად ის იყო ერთადერთი, პირველიც, ბოლოც,  
შემარცხვენელი კაცთა მოდგმის ერთია მხოლოდ!

\*



*ციკლიდან „ებრაული მელოდიები“*


## მოდის ლამაზი, როგორც ხატება

მოდის ლამაზი, როგორც ხატება,  
ვითარცა ღამე ვარსკლავთა სხივში,  
წყვედიადის ეშხი და ელვარება  
ერთად ჩაღვრილა მის თვალთა ჩრდილში.  
თან ახლავს მშვიდი შუქი და კდემა,  
რომ გვენატრება მზის გულზე დღისით.

მშვენება მისი, ენით უთქმელი,  
მთლად გაქრებოდა, როგორც ზმანება,  
ერთი სხივიც რომ მომატებოდა,  
ან დაკლებოდა ნატიფ სახებას,  
სად მხოლოდ წმინდა აზრი თუ ბედობს,  
არის სიკეთე და ნეტარება.

თმა გიშრისფერი უელავს ურცხვად,  
და მაინც დაკრთის, როგორც ფერია,  
სათნო ღიმილი უმაღ მოგნუსხავს,  
მისი წარსული შუქის მფენია.  
გულით სიკეთეს ავედრებს უფალს,  
ის სიყვარულშიც უცოდველია.

\*



## იტირეთ მათთვის

იტირეთ მათთვის, ვინც მდინარე ბაბილონთან მწარედ  
მოსთქვამდა,  
ვისაც მოესპო სამყოფელი, ვინც სამშობლოს სიზმრად  
ხედავდა.

იტირეთ, რადგან დამსხვრეულა უტკბეს ქნართა იუდას არფა,  
და სადაც ღმერთი ბინადრობდა – იქ უღმერთო ზემობს  
ახლა!


ოჰ, სად მოიბანს ისრაელი დაწყლულეულ, სისხლიან  
ტერფებს,  
თუ მოვესწარით, რომ სიმღერა სიონისა ძველი ხმით  
ჟღერდეს?

რომ კიდევ ერთხელ ააღელვონ ამ ჰანგებმა იმ ყურთა სმენა,  
რომელთა გულებს სიხარულით ატოკებდა ციური ბგერა.



ტანჯულო ხალხო, ზეტიალით გადაგლიათ სულიც და  
ზორციც,  
ბედი არ გწყალობთ, შვება არ ჩანს სამუდამო დღეს თქვენი  
მოდგმის.  
მტრედს თუ ბუდე აქეს თავშესაფრად, სოროს ეძებს დევნილი  
მელა,  
თუ კაცის რწმენა სამშობლოა, თქვენ რად გელით სამარე  
ყველას.

\*



## სწუხს სული ჩემი


სწუხს სული ჩემი, ჩამოჰკარ სიმებს,  
ვიდრე კვლავ შემრჩა ძალა მოსმენის;  
ქნარს რომ შეახებ მთრთოლვარე თითებს,  
ყურს გარინდება უმაღ მოელის.

და თუ იმედი სთვლემს სიყვარულის,  
მას გააცოცხლებს მწველი გალობა,  
თუ თვალში დაკრთის ცრემლი ფარული,  
ის წამომსკდება, როგორც წყალობა.

დე, ეს სიმღერა იყოს მძვინვარე,  
მე სახალისოს არც ვარ ჩვეული.  
ო, მენესტრელო, შენ შემიფარე,  
თორემ გასკდება გული ეული;

გული, ეს ჩემი, მოიცვა სევდამ,  
მას მიაქანებს ნება განგების;  
დაიმსხვრეს, თუკი ტკივილით ძგერდა,  
ანდა ტყვედ იქცეს ქნართა ჰანგების.

\*



## როცა ატირდი

როცა ატირდი, ცრემლი კრიალა  
აგითამაშდა წამწამზე წამით;  
და მერე თითქოს ცრემლი კი არა –  
გადმოაფრქვიე იათა ნამი.

როს იღიმები, უმალ ხუნდება  
მუქი ლაჟვარდი საფირის ცივის,  
რადგან ელვარებს იაგუნდებად  
ცოცხალი მზერით ნაფერი სხივი.

მწუხრის მზე მორთავს ღრებლებს ნათებით,  
მათ შუქში ჩაღვრის ოქროს და მარჯანს,  
წყვდიადს ებრძვიან თუმც გამალებით,  
შველა არსაით, არსაით არ ჩანს.

შენი ღიმილიც ჩემს მწუხარებას  
მზესავით ავსებს წრფელი ხალისით,  
და გულში მრჩება მე მხურვალება,  
თუმც ვიცი, ეს მზე არის დაისის.




## წყეულ სიკვდილმა ჩაგიგდო ხელში

წყეულ სიკვდილმა ჩაგიგდო ხელში,  
როს სილამაზე ჰყვაოდა შენში.  
არ დაგადებენ ცივ ქეას აროდეს –  
შენს მკერდზე ვარდი უნდა ხარობდეს,  
ნამს გაპკურებდეს ხის ტოტი პეშვით.

მონახულებს სევდა შენს საფლავს,  
ნაკადულს, ლურჯად რომ მოთქრიალებს,  
თავს კვიპაროსის ტოტებში ჩაფლავს  
და მიაგებებს სულის იარებს  
ოცნებას, ფიქრთან თანაზიარებს!

ვამბობთ: „ნუ სტირი“, რამეთუ ვიცით.  
სიკვდილს არ ესმის ჩვენი გოდება –  
მაგრამ ხომ გახსოვს მზურვალე ფიცი!  
ის წმინდა განცდა ხომ გაგონდება!  
და შენ, რომელმაც მითხარ ნუგეში.  
თვითონ რად გიდგას ცრემლი უპეში?

\*



## შენი სიცოცხლე დასრულდა, გაქრა


შენი სიცოცხლე დასრულდა, გაქრა,  
ახლა დიდების დაიწყო დღენი,  
ბასრი ხმლის ელვა სიმღერად დაგრჩა  
და ხალხმა ლექსად აგიგო ძეგლი.  
გმირობა შენი იცოცხლებს მარად,  
რადგან მხსნელი ხარ მშობელი ერის.

თავისუფლებას ვიდრე შეეხარით,  
სიკვდილთან შებმა გულმა ინება,  
კეთილი ძალის სისხლი რომ ღვარე,  
ის ჩვენს ძარღვებში მოედინება  
და სული შენი, სიწმინდით სავსე,  
ბრძოლაში მარად მტერს ერკინება.

შენი სახელის ხსენება ერთი  
გზას გაუნათებს მებრძოლ რაინდებს!  
ქალწულთა ქოროს ჰანგები ერთვის  
ღრმა მწუხარებას, დარდს რომ არ იტევს.  
ამ გლოვას მხოლოდ სიმღერა შეენის,  
გმირის ცხედართან ცრემლს ვინ დაიდენს!

\*





## და თუ იმქვეყნად

და თუ იმქვეყნად, შორეულ ცაში  
ჩვენ სიყვარული მოგვეძალება,  
თუ შენი გულით ვიქენი მთვრალი,  
ვპოვე ყოველი, რაც მენატრება –  
უცნობი ზეცა ჰგავს ნეტარებას,  
დავეწაფები სიკვდილის სასმისს!  
მოეწყდები მიწას, როგორც ზმანებას,  
მარადისობის ვიპოვი საწყისს!


თითქოს ასეა – საკუთარ დღისთვის  
არ დაეკანკალებთ მიმქრალ იმედებს,  
და რაგინდ გული გიძგერდეს სხვისთვის,  
სული ტკბილია, თავს ვერ იმეტებ.  
ჩვენ მაინც ზენა ვიწამოთ ბედად,  
გული გულს ვანდოთ, რომელსაც ელტვის,  
იქ – უკვდავების წყალს შევსვამთ ერთად,  
იქ – საუკუნოდ სულიც სულს ერთვის!



## უძინართა მზევ

უძინართა მზევ! შორეულო ვარსკვლავო სევდის!  
თვალცრემლიანი სხივი შენი ანათებს კდემით.  
ვაგლახ, არ ძალგიძს, რომ გააპო ღამის წყედიადი,  
და მაინც შენით გეგაგონდება განცდა დიადი,  
ბრწყინავს და ელავს სიხარული გარდასულ დღეთა,  
თუმც მხურვალება აღარ ახლავს სიუხვეს ფერთა,  
ციდან დაგენათის ღამის შუქი დარდით აღვსილი,  
ის ნათლად მოჩანს, თუმცაღაა შორი და ცივი.





## რომანსი

არ არსებობს სილამაზე  
შენზე უფრო მწველი,  
ზღვის სიმღერას მივამსგავსე  
ხმა წარმტაცი შენი.

თითქოს ამ ხმას ხიბლი მოსწყდა,  
ვით თილისმა ტალღას მოხვდა,  
გარინდულა ზღვა, არ ბორგავს,  
ქარიც თვლემს და აღარ მოსთქვამს.

ღამით მთვარე წყალზე მოწნავს  
სხივით ოქროს ბილიკს,  
და ზღვის მკერდი, შორს რომ მოჩანს,  
სუნთქავს, როგორც ჩვილი.

სულიც ჩემი, მუხლს რომ გიდრეკს,  
განაბულა და შენ გისმენს.  
სავსე განცდით ფაქიზად თრთის,  
მსგავსად თბილი, ლიეღივა ზღვის.



## გემუვიდობები

გემუვიდობები, მორჩა ყოველი,  
აწ მძვინვარებით გული აღივსო,  
გული, მარადქამს ავის შემობელი,  
შენ არ გაგწირავს სამარადისოდ.

რომ შეძლებოდა ემხილა სევდა  
ამ მკერდს, რომელზეც გეძინა შვეებით,  
რომელშიც გული უსიტყვოდ ძგერდა,  
რომელსაც სუნთქვა ათრობდა შენი.

რომ შეძლებოდა თვითონ ეამბნა  
ამ მკერდს დაფარულ განცდათა ზღვაზე,  
ახლა რა გითხრა – არის გვიანლა,  
არ დამწიხლავდი, მწამს, მაშინ ასე.

დღეს შენს საქციელს არ გმობს არაეინ –  
მოშურნეთ ცბიერ ღიმილს ენდობი.  
ზეიმი იგი არს შემზარავი,  
თუ გაიხარებ სხვის უბედობით.

დამძიმდა გული ცოდვებით სავსე,  
და თუმც ამქვეყნად ბევრი ვიარე,  
ველარსად ვპოვე მაგ მკლავთა მსგავსი,  
რომ მიშუშებდა ხვევნით იარებს.

თავს ნუ იტყუებ, მე დამიჯერე.  
სხვისას ნუ ისმენ ხოტბას თუ ქებას –  
ჩვენ ხომ ჯერ გულიც კი ვერ ვიჯერეთ,  
ჟამთა სვლით გრძნობის ცეცხლი თუ ქრება.

თუმც შენს გულს ფარავს ღვთიური ძალა,  
ჩემიც სცემს ჯერაც – მაგრამ გახსოვდეს,  
მას ერთი ფიქრი აწვალებს მარად,  
რომ ვერ შევხვდებით ველარასოდეს.

და ეს სიტყვები ისე იღვრება,  
როგორც ცხედართან ცრემლი და გლოვა.  
ორივე ვცოცხლობთ – თუმცა ქვრივებად  
ვიღვიძებთ, როცა აისი მოვა.

და განუგეშებს ეულად მავალს,  
რომ ჩვენი პირმშო დაიწყებს ტიტინს,  
ნუთუ ასწავლი, წარმოთქვას „მამა“  
და თან გაუძლოს ობლობის ტკივილს!

როს ხელს ჩასჭიდებ მის პაწია ხელს.  
ბაგეზე იგრძნობ მის წმინდა ამბორს.  
გჯეროდეს, ისევ გადარებ ქალღმერთს,  
მხურვალე ლოცვას მე შენთვის ვამბობ!

გაივლის დრო და არცთუ მთლად გვიან  
დამემგვანება ასული, ვიცი,  
გული დაგიწყებს ფანცქალს და ფროხიადს, --  
და ეს კი ნიშნავს, რომ არ ხარ სხვისი.

შეცდომა, იცი, ბევრი მომსვლია --  
სიშმაგის დათვლა არ ძალუქს არვის:  
ჩემი იმედი, როგორც თოლია,  
დასდევნებია ჩრდილს 'შენი ანძის.

მტრად, იცი, მყავდა რჩეულთა დასი,  
და შენ ერთს გთვლიდი ერთგულ სამყაროდ --  
ბოლომდე მასვი ხომ სიმწრის თასი,  
რომ საბოლოოდ სულსაც გამყარო.

მორჩა, დამთავრდა ყოველი უკვე.  
სიტყვებს გაუკრთათ უხვი ფერები:  
მხოლოდ ფიქრები ვერ დავიოკე,  
მათ მოძალებას ველარ ვერევი.

იყავ მშვიდობით, გახსოვდეს ოღონდ,  
სიმწარე მარად ჩემი ხვედრია,  
მტოვებ გათელილს და სულით ობოლს,  
რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია.

\*



## სტანსები ოზასტას

როცა ჩამოწვა ირგვლივ წყვილიადი,  
როცა დამეხშო თითქოს გონება,  
როცა იმედი და განთიადი  
იქცა წარსულად და მოგონებად,

იყო სიბნელე, იყო ტკივილი,  
ჩემს თანადგომას ელოდა რისხვა,  
მტრობის ნაცადი ჟივილ-ხივილი,  
შური, ღალატი და ავი სიტყვა.

ბედმა მიმტყუნა, გრძნობა გაფრინდა,  
ლახვარი ჩამცეს მე სიძულვილის,  
სიცოცხლის ყველა ფერი გაფითრდა,  
მხოლოდ ნუგეშის იყო წყურვილი.

შენ ერთს გხედავდი ცაზე ვარსკვლავად,  
ღმერთმა დალოცოს ყველა ნათელი,  
მეც მიყვებობდი ამ სხივს კვალდაკვალ,  
ის შენი სულით იყო ნაფერი.

ვით სერაფიმის თვალის ნათება,  
ჩემსა და ღამეს შუა იდექი –  
შავი ღრუბელი, ვით ანათემა,  
დაგვტრიალებდა ერთი იმედით,

რომ დაახშობდა შენს ელვარებას,  
თუმცა იბრძოდნენ ცეცხლის ენები,  
აღსდექი სუფთა, როგორც ზმანება,  
და შენი ძალით სძლიე ბნელეთი.

მარად ჩემს სულში მინდა სახლობდე,  
იცი, დამდადავს მძიმე ბრალდება,  
მინდა ვუსმენდე შენს ხმას ახლობელს,  
შენ ერთს ღალატი ვერ დაგბრალდება.

იდექი, ვითარც ხე მოშრიალე,  
გაუტეხელი, ოდნავ მოხრილი,  
თვალცრემლიანი მწმენდდი იარებს,  
დიდ ქარტეხილში გზაგამოვლილი.


ვიცი, დაგინდობს შენ განსაცდელი,  
რაგინდ მიმუხთლოს ბრმა ბედისწერამ,  
კეთილს, სიყვარულს ღვთისგან ვინც ელის,  
შენ, უპირველესს, დაგლოცავს ზენა.



დაიმსხვრეს უნდა ყველა კავშირი,  
თუ სიყვარულის არ შესწევს ძალა,  
სული უდრეკი და თან ფაქიზი,  
ეს შენი უნდა ცოცხლობდეს მარად.

შენ შთამაგონე ძალა უღვევი,  
როცა ცხოვრება მექცა უაზროდ,  
როცა ამქვეყნად შენ მეგულები,  
სოფელს აღარ ვთვლი უკვე უდაბნოდ.

\*



## ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა

### III სიმღერა

*(აღასადმი მიძღვნილი სტრიქონები)*

I

დედას თუ ჰგავხარ, პაწაწინა ასულო ჩემო,  
ადა, ძვირფასო, ერთადერთო ნუგეშო კერის?  
ვიცი, გშორდები სამუდამოდ, იმედს არც ვჩემობ,  
კვლავაც მსხვერპლი ვარ უმოწყალო ბრმა ბედისწერის.  
აზვირთებულა ზღვა ჩემს ირგვლივ, ბობოქრობს, დელავს,  
ქარიც ავარდა და ზუზუნით იწყო გნიასი,  
ვტოვებ ალბიონს, არ მაღელვებს, ვფიცავარ ზენას –  
ჩამოვიტოვე ნაპირები ქვეყნის დიადის,  
ან სად მომისწრებს ხვალ დაისი თუ განთიადი.

## CXV

ადა, ძვირფასო, ეს სიმღერა დავიწყე შენით,  
და მსურს, შენითვე დავასრულო ჩემი სათქმელი,  
ვიცი, დღითიდღე აღივსები ზიბლით და მშვენით,  
სხვას გაუღიძებ, სხვას შეჰხარი, მამას არც ელი.  
თუმცა განგებამ გაგვიმეტა და სურთ, გაგვყარონ,  
როგორც არასდროს, მაწვალებენ შენზე ფიქრები,  
ჩემი თვალებით დაინახავ მაინც სამყაროს,  
მჯერა გამიგებ, როს ამ ქვეყნად აღარ ვიქნები  
და მაშინ, შვილო, ჩემს მეგობრად გარდაიქმნები.

## CXVI

აღზარდო შვილი და იხარო მისი ხარებით,  
ბედნიერების განიცადოთ ერთად წუთები,  
რომ შენს კალთაზე მიიძინოს მან ნეტარებით,  
ასწავლო ფიქრი, ფიქრი შენებრ ნასათუთევი.  
და თუ ღაწვებზე შვილს ამბორი მამის ატყვია,  
ბედნიერია აქ უსაზღვროდ ორივე, ადა,  
კრძალვით გაუმხელს მამა-შვილი ერთურთს ხვაშიადს,  
რასაც ვნატრობდი სიყრმიდანვე და რაც მეწადა,  
რაც მე, საბრალოს, არ მეღირსა გამომეცადა.


## CXVII

ჩაგაგონებენ ჩემს სიძულვილს, ენას გესლიანს  
ატარტარებენ, რომ დაანთონ ცეცხლი ჭკორიდან,  
ვინ იცის, კიდევ მერამდენედ გულში მესვრიან,  
რომ ველარ შევძლო სიყვარული თუნდაც შორიდან.  
ჩემზე აუგი შენს ღირსებას ბევრჯერ შელახავს,  
და მამის საფლავს დაიტირებ მრავალგზის კენჭად.  
ჩემი ქომაგი უანგარო მხოლოდ შენა ხარ  
და სისხლი ჩემი შენს ძარღვებში გადარჩა ბედად,  
მწამს, შემიყვარებ სიცოცხლეზე კიდევაც მეტად.

## CXVIII

შენ სიყვარულის ნაყოფი ხარ, თუმცა ქვეყანას  
როს მოეკლინე, უმალ დაგხვდა ღვარძლი, სიმწარე,  
მსგავსად მამისა, გზად სიავე გადაგეყარა,  
მაგრამ დაგინდობს განსაცდელი, ადა, იწამე.  
მშვიდად იძინე, ანგელოზო ცისფერთვალეზა,  
და ჭირ-ვარამით ნურასოდეს ნუ შემედრები,  
შენთვის ვლოცულობ, აგაშორო იქნებ წამება,  
მაღალ კალთებზე გარინდულან მწვანე კედრები,  
თუმცა კურთხევას შენგან ველი, შენ გეკედრები.

\*



## წყვდიადი

სიზმარი ვნახე, რაც არ იყო მხოლოდ სიზმარი,  
კაშკაშა მზე მთლად ჩამქრალიყო, ხოლო ვარსკვლავნი  
უგზოუკვლოდ დაძრწოდნენ ბნელნი უკვდავ სივრცეში.  
ყინულის მიწა უმთვარეო ჰაერში ქროდა  
ბრმა და შავ-შავი. მოვიდა და გაქრა აისი,  
მას აღარ მოჰყვა შუქი, სითბო და დღის ნათელი.  
ადამიანებს დაავიწყდათ თვისი ვნებანი,  
სასოწარკვეთილთ თავსდატეხილ უბედურებით.  
თვითმთონე ლოცვამ სინათლისთვის გააცია ხალხის გულები.  
მხოლოდ კოცონთან მიმსხდარნილა ცხოვრობდნენ ახლა.  
სამეფო ტახტებს, სასახლეებს, სახლებს, ქონმახებს  
შუქურად წვაედნენ, რომ გაეგნოთ ბნელში გზა-კვალი.  
და ფერფლადქცეულ ქალაქებში გუნდ-გუნდად ხალხი  
არ სცილდებოდა აღმოდებულ საკუთარ კერას,  
რომ კიდევ ერთხელ შეეხედათ ერთურთ სახეში.  
ბედნიერ იყვნენ ის ხალხები, ვის სიახლოვეს

მკვინვარებდა ჯერაც ვულკანი, სად მთის მწვერვალი  
ანათებდა ვით ჩირაღდანი, თუმც ყველგან, ყველგან  
სუფევდა მხოლოდ შიშჩამდგარი უღვთო იმედი.  
სწევდნენ დიდ ტყეებს, გაისმოდა ხეთა ჭახანი,  
ძალე ყოველი ნაცარტუტად იქცა, გაშავდა.  
კაცთ სახეები აღარ ჰქონდათ ამქვეყნიური,  
როცა, თითქოსდა საგანგებოდ, ცეცხლის ალები  
დააცხრებოდა ყოველ მათგანს, ვერ უსხლტებოდნენ,  
და მაშინ ზოგი მიწას ძალით ენარცხებოდა,  
თვალეებს მალავდა და ქვეთინში სულსაც ღაფავდა,  
სიმწრისგან ზოგიც სახეს მუშტებს თუ მიაბჯენდა,  
თან იღიმოდა, სხვანი რბოდნენ კვლავ გამალებით:  
ცეცხლს ნავთს უსხამდნენ, მერე თავად შიგვე იწვოდნენ,  
როს ცას უმზერდნენ, ძველი ქვეყნის მოღუშულ საფარს,  
შეშლილთა შიშით, მღელვარებით უბადრუკ კაცთა.  
ისინი წყევლით ეცემოდნენ ჩაფერფლილ ნეშტებს,  
კბილების ღრჭიალს მოჰყოლოდა მათი ყმუილი.  
გარეულ ფრინველთ განმგმირავი ეწყოთ წივილი  
და მიწისპირას უძღურ ფრთების იყო ფრიალი.  
თვით ტყის ნადირი გამხდარიყო ახლა მორჩილი,  
გველგესლა მრავლად სისინებდა მთლად უვნებელი.  
მათ დასახოცად მიილტვოდა ხალხი მშიერი.  
განახლდა ომი სისხლისმსმელი, წუთით რომ შეწყდა,  
ლუკმა ფასობდა სისხლის ფასად, კაცი ძღებოდა  
მარტომჯდომი და მოღუშული სადღაც ბნელეთში.  
იქ სიყვარული აღარ იყო, იყო სიკედილი.  
უეცარი და უსახელო. არ იყო შველა.  
მწვავე შიმშილი სჭამდა უკვე კაცთა შიგნეულს,  
მიღუულ გვამებს არ ეღირსად ცივი სამარე,  
ძაღლები ახლა პატრონის ძვლებს ღრღნიდნენ მშიერნი.  
ამდენ პირუტყვში ერთი იყო მხოლოდ ერთგული,

ო, როგორ ყეფდა და იცავდა გემს გამალებით,  
ადგა დარაჯად ის იქამდე, ვიდრე არ ნახა  
შიმშილისაგან გაწყვეტილი მხეციც, ფრინველიც,  
და კაციც ყველა, ვინც მის პატრონს შეჭმას უქადდა,  
და მორთო მერე საბრალისი მწვავე ყმუილი,  
ხელის ლოკვაში, თავად მშიერს, მთლად უაღერსოდ  
ამოსძვრა სული. აღარ იყო არვინ ცოცხალი  
გარდა ორისა – მტრები იყვნენ ერთ დიდ ქალაქში.  
მოხდა ისე, რომ საკურთხეველს მიადგნენ ერთად,  
სად ნაცარტუტად ქცეულიყო თითქმის ყოველი,  
სად მაინც კიდევ მრავლად ეწყო წმინდა საგნები,  
უწმინდურ საქმეს რომ ახმარდნენ ხშირად მოკვდავნი.  
ცივი ხელებით, ჩონჩხს რომ ჰგავდა, ფერფლი აბერტყეს  
და გააღვივეს ფერმიხდილი ტაძრის ღაღარი,  
სად მათვე თვალწინ დამცინავი ალი ავარდა  
და დაინახეს ერთმანეთის მაშინ სახენი.  
ორთავ იკივლა და ორთავე მკედარი დაეცა,  
მათ არ სჭიროდათ ერთმანეთის იქ ამოცნობა.  
შიმშილს მათ შუბლზე აღებეჭდა ავი სახელი  
ავი ზრახვებით, რამაც გული უმაღ განგმირა,  
და დედამიწა დარჩა უკვე ყოვლად დაცლილი.  
ერთ დროს ძლიერი, ხალხმრავალი ახლა რას ჰგავდა,  
არა მცენარე, არც ხეები, არც რამ ცოცხალი,  
ველარ გადარჩა თავად დროთა მონაცვლეობა,  
და უსიცოცხლო უკვე იქცა ლუკმად სიკვდილის.  
იყო ქაოსი და ბურუსი იდგა აყალოს,  
არ ირხეოდა არც მდინარე, არც ზღვის ტალღები,  
შორეულ ფსკერზეც ოკეანის აღარც რამ თრთოდა,  
უკაცრიელ გემს ზღვაზე ყველას დაღპობა ეწყო,  
თანდათანობით ეშვებოდნენ თეთრი აფრები,  
და მერე ისე, ისე ჩუმად იძირებოდნენ,

არ გაისმოდა არსაიდან წყალზე ზათქები,  
მოკედნენ ტალღები, დაიმარხა თვით ზღვის მოქცევა.  
მთვარე, ვითარცა დედოფალი, გარდაცვლილიყო,  
ქარი შეჩერდა უსიცოცხლოდ, გაქრნენ ღრუბლები,  
წყვდიადს უძიროდ არ სჭიროდა შველა არც ერთის,  
ის თავად იყო ახლა უკვე მთელი სამყარო.

\*





## დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ

დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ  
ამიერიდან მთვარიან ღამეს,  
თუმცა გულს ტროფობა კვლავ არ დაინდობს,  
ან რა მოაკლებს ღამით ეშხს მთვარეს,

ხმაღს ხომ უცვდება თვისი ქარქაში,  
სულის წრიალით იღლება მკერდიც,  
გულთან თვით სუნთქვის წყდება თამაში  
და სიყვარულიც ხომ შვებას ელტვის.

თუმც სიყვარული ღამით ზეიმობს,  
თუმც აღმოხდების მზე, ვიცით, მალე,  
მაინც არ გავალთ ჩვენ სასეირნოდ  
ამიერიდან მთვარიან ღამეს.


\*



## ტომას მურს

ნეტავ ახლა რას აკეთებ,  
ეჭვი, ტომას მურ?  
ნეტავ ახლა რას აკეთებ,  
ეჭვი, ტომას მურ?  
ოხრავ სადმე თუ ქალს ეტრფი,  
ლექსებს წერ თუ სახელს ელტვი,  
ათრობ ვინმეს თუ თავს ესხმი,  
რომელს, ტომას მურ?

მაგრამ კარნავალი მოდის,  
ეჭვი, ტომას მურ!  
კარნავალი კარს მომდგარა,  
ეჭვი, ტომას მურ!  
ნიღბებით და ფანფარებით,  
ზარებით და გამალებით,  
გიტარებით, დაფდაფებით,  
ეჭვი, ტომას მურ!



## ჩემი ქორწინების დღეს

აგერ დაგვიდგა წელი ახალი,  
მე კი ვიტყოდი ასე –  
წელი ახალი მისურვეთ მრავალი,  
ნუ გამიხსენებთ ამ დღეს.


\*



## ეპიგრამა

სახედრებივით ვეწევით ჭაპანს,  
მთელი ქვეყანა თივის ზვინია,  
ყველა თავისთვის მიათრევს მარაგს,  
ჯონ ბული – მეტად დიდი ვირია.

\*



## ჯონ კიტსი

ვინ მოკლა კიტსი?

მიპასუხეთ!

„მე“ – სთქვა კვორტერლიმ,  
თუმცაღა მისგან, უღმობლისგან,  
სხვას რას მოველით.

მინდა ვიცოდე, ვინ ესროლა

პოეტს ისარი?


„მღვდელმა მილმანმა

(კაცის კელისთვის მზადყოფნაში  
მუდამ ვინც არის),

ანდა საუთიმ, ან ბეროუმ,

ამოიცანი“.

\*



## სტანსები

თუ შენს სამშობლოს არ სჭირდება ალალი სისილი,  
გასწი, მეზობელს მოუპოვე თავისუფლება.  
თუ ძველი რომის და ელადის ღირსებას იხსნი,  
გმირის სიკვდილით დიდი ნატვრა აგისრულდება.

იყო რაინდი კაცთა მოდგმის – რჩეულთ ხვედრია,  
თავისუფლებას არ სჭირდება ბრმა სამანები,  
და თუ სიკვდილსაც გადაურჩი, გწამდეს, გელიან  
დაფნა, დიდება, შეძახილი და ფანფარები.

\*

ნაწილი მეორე

ღმერთი -

ნაზესქმის

ღმერთის(ღმერთი)







*"OfI have I heard of thee my Lord Biron."*  
Shakespeare

*„ხშირად მსმენია თქვენს შესახებ, ო, ლორდ ბირონო.“*  
შექსპირი<sup>1</sup>

1788 წლის 22 იანვარს, სამშაბათ დღეს, ლონდონში, ჰოლზ სტრიტის 24-ე სახლში, დროებით ნაქირავე ბინაში, ახალგაზრდა ქალს ვაჟიშვილი შეეძინა. ბავშვი ქუღბელით დაბადებულა და თან დაჰყოლია დეფორმირებული მარჯვენა ტერფი, მომავალში მიზეზი მრავალი ფიზიკური და სულიერი ტკივილისა. განუკურნებელი დეფექტი ხელს ვერ შეუშლის მას, გახდეს ღვთაებრივი სილამაზის რაინდი, თუ აზარტული ინტერესი გამოიჩინოს სპორტისადმი და ჰელესპონტი გადაცუროს.

ბავშვის მამა გახლდათ კაპიტანი ჯონ ბაირონი, ლამაზი, შმაგი, მფლანგველი და მოქეიფე არისტოკრატი.

<sup>1</sup> "OfI have I heard of thee my Lord Biron" – „ხშირად მსმენია თქვენს შესახებ, ო, ლორდ ბირონო“ – შექსპირის ციტატა პიესიდან "Love's Labour's Lost" – „სიყვარულის ამო გარჯა“, V მოქმ., II სცენა.

ბაირონების გვარი ნორმანული წარმოშობისაა და ბრიტანეთში სათავეს XI საუკუნეში, ვილჰელმ დამპყრობლის ხანაში იღებს. ეს გვარი ბრიტანეთში საფრანგეთიდან მაშინ ჩამოსახლდა, როდესაც კუნძული ნორმანელებმა დაიპყრეს, თუმცა თავად დაპყრობაში ბაირონები არ მონაწილეობდნენ.

თანახმად ადრეული ჩანაწერებისა, ბაირონების გვარი ყოველთვის უახლოეს კავშირში ყოფილა მონარქებთან. როდესაც ინგლისის მეფეს, ჩარლზ I-ს, პარლამენტი დაუპირისპირდა და სამოქალაქო ომი გაჩაღდა, ექვსი ძმა ბაირონი თავგამეტებით იბრძოდა მეფის დასაცავად. ასეთი მამაცობისა და ერთგულებისათვის 1643 წელს ჩარლზ I-ს ბაირონების უფროსი ძმისათვის ლორდის ტიტული უბოძებია. ამიტომ საკვირველი არაფერია იმაში, რომ ბაირონების საგვარეულო გერბზე გამოსახულია ლათინური სიტყვები “Crede Byron” – „ენდეთ ბაირონს“.

ბაირონები ცნობილი იყვნენ თავისი ცხელსისხლიანი ბუნებით. ბავშვის დაბადებამდე ორი წლით ადრე გარდაიცვალა მისი პაპა, IV ლორდ ბაირონის უმცროსი ვაჟი, სამხედრო საზღვაო ფლოტის განთქმული მეომარი, ადმირალი ჯონ ბაირონი.

უშიშარი ადმირალი არასოდეს უფრთხოდა ზღვაში უამინდობასა და ქარიშხალს, რის გამოც მას „უამინდობის რაინდი“ (Foul-Weather Jack) შეარქვეს. ჯოშუა რეინოლდსის მიერ შესრულებულ პორტრეტზე ადმირალი ბაირონი ჩამოწოლილი შავი ღრუბლებისა და ზღვაში აფრავაშლილი ხომალდის ფონზეა გამოსახული.

თუ ადმირალი თავის მჩქეფარე ენერგიას ბრძოლებსა და შორეულ ნაოსნობაში ხარჯავდა, მისი უმცროსი ძმა ვილიამი, V ლორდ ბაირონი, ცნობილი იყო, როგორც ახირებული და ღვარძლიანი ხასიათის პიროვნება. უმნიშვნელო კამათის გამო მან დუელში მოკლა თავისი ნათესავი, მეზობელი მემამულე ჩავორსი. ხალხმა მას „ბოროტი ლორდი“ (Wicked Lord) შეარქვა.

„ბოროტი ლორდი“ ბაირონების საგვარეულო მამულში, ნიუსტედის სააბატოში ცხოვრობდა. ნიუსტედი ნოტინგემშირის საგრაფოში, შერვუდის ტყის პირას მდებარეობს. საუკუნეების მანძილზე იგი სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, ხოლო XVI საუკუნეში, როდესაც ანგლიკანური ეკლესია შეიქმნა, ჰენრი VIII-მ აქედან ბერები გაასახლა და ნიუსტედი ბაირონების ოჯახს სამოსახლო მამულად გადასცა. აი, ასე გადაკეთებულა მონასტერი საოჯახო სასახლედ. ლეგენდის თანახმად, უფლებააყრილი ბერების აჩრდილები მრავალჯერ გამოსცხადებთან დიდებული სახლის ბინადართ.

არანაკლებ დიდგვაროვანი და ცხელსისხლიანი წარმოშობისა გახლდათ ბავშვის დედა, კეტრინ გორდონი, შოტლანდიის სამეფო გვარის – სტიუარტების შთამომავალი. როგორც პირდაპირი შტო მარი სტიუარტის ვაჟის, ჯეიმზ I-ის ქალიშვილის, პრინცესა ანაბელასი, იგი იყო ერთადერთი შვილი ექსცენტრული არისტოკრატის ჯორჯ გორდონისა, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მაშინ კეტრინი ჯერ ისევ ჩვილი ყოფილა. ასევე ადრე გარდაცვლილა ბავშვის დედაც, კეტრინ ინესი, და გოგონა ბებიას გაუზრდია.

20 წლის კეტრინს ქ. ბათში მეჯლისზე გაუცვნია ჯონ ბაირონი. მგზნებარე ხასიათის გამოუცდელი ქალიშვილი ადვილად გაება მომხიბვლელი კაპიტნის ამურულ ხლართებში და გულწრფელად იწამა მისი სიყვარულის ფიცი, რომელსაც იგი დიდი ქონების მოლოდინში აღუთქვამდა. 1785 წლის 13 მაისს მათ ჯვარი დაიწერეს. ქორწინებიდან სულ მოკლე ხანში იმედგაცრუებული აღმოჩნდა ორივე. ჯონ ბაირონის მოვალეთარიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. კეტრინმა გაყიდა საგვარეულო მამული შოტლანდიაში და ახლადშეუღლებული წყვილი საფრანგეთს გაემგზავრა.

საფრანგეთს მიაშურა ჯონ ბაირონმა შეიდიოდე წლის წინაც, როდესაც მარკიზ კარმარტენს ცოლი მოსტაცა და პირველად იქორწინა. 1784 წელს მარკიზა გარდაიცვალა და ობლად დარჩა მათი პატარა ქალიშვილი ოგასტა ბაირონი.

როდესაც ჯონ და კეტრინ ბაირონები საფრანგეთს გაემგზავრნენ, კაპიტანმა ოგასტა თან წაიყვანა და იგი ახალგაზრდა კეტრინის მზრუნველობას მიანდო. ფეხმძიმე ქალისათვის მალე აუტანელი შეიქნა ჯონ ბაირონის გვერდით ყოფნა. მეტსახელად „გაჟმაჟად“ (Mad Jack) წოდებული მამაკაცის უდიერმა მოპყრობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იგი. ორსულობის ბოლო თვეებში მისის ბაირონი ქმარს გაექცა და ინგლისს ჩავიდა. მას თან წაუყვანია ოთხი წლის ოგასტა, რათა იგი გარდაცვლილი მარკიზას დედისათვის, ლედი ჰოლდერნესისათვის ჩაებარებინა.

მისის ბაირონმა დროებით იქირავა ბინა ლონდონის ფეშენბელურ რაიონში, ახლანდელი ოქსფორდ სტრიტის მახლობლად. სულ მალე აქ მას ვაჟიშვილი შეეძინა. კეტრინმა ბავშვს თავისი მამის პატივისცემად ჯორჯ გორდონი დაარქვა.

ასე მოევლინა ქვეყანას ჯორჯ გორდონ ბაირონი, რომელსაც ბედმა 36 წლის მეტეორული ცხოვრება და მარადიული სიცოცხლე — უკვდავება არგუნა წილად.

მძიმე აღმოჩნდა ხელმოკლე მარტოხელა ქალისათვის ბავშვთან ერთად ლონდონში ცხოვრება. 1789 წლის ზაფხულში მისის ბაირონი ბავშვითურთ მშობლიურ შოტლანდიაში გაემგზავრა, სადაც თავისი ქონებიდან გადარჩენილი თანხით შედარებით იაფად გაიტანდა თავს. მისის ბაირონი და პატარა ჯორჯი ქ. აბერდინში ნაქირავებ ბინაში დასახლდნენ.

მალე მათ ჯონ ბაირონმა ჩააკითხა, რომელსაც მევალებები ფეხდაფეხ ასდევნებოდნენ. სივიწროვესა და გაჭირვებაში ცხოვრება, ეტყობოდა, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ჯონ ბაირონს უფრო აღიზიანებდა. ის მოპირდაპირე ბინაში გადასახლდა ქირით, საიდანაც სადამოლობით მეუღლესთან ჩაის მისართმეკად მიბრძანდებოდა ხოლმე. მისის ბაირონი მშვენივრად ხვდებოდა, რომ ჯონ ბაირონს მისგან ფულის გამოძალვა უფრო აინტერესებდა, ვიდრე მის გვერდით ყოფნა. ის არაერთხელ გაუცოფებია ფულის სათხოვნელად მისული ქმრის დანახვას. თუმცა, როცა სიბრაზე გადაუვლიდა, თავის „უსაყვარლეს ჯონის“ სიტბოსა და ალერსს არ აკლებდა, რაც სხვისი თვა-

ლისთვის მართლაც სასაცილო იყო. ასეთივე ცვალებადი ყოფილა მისის ბაირონი შვილის მიმართ, რომელიც ექსცენტრულობითა და სიფიცხით დედას არ ჩამოუვარდებოდა.

მოგვიანებით ბაირონი თავადაც გაიხსენებს, როგორ დატუქსა დედამ ის ოთხი წლის ასაკში, როცა მან ახლად ჩაცმული ტანსაცმელი გაისვარა. მართალია, ჯერ ისევ პატარა ბავშვს, მაგრამ ბუნებით ძლიერსა და ამაყს არ შეეძლო მსგავსი დამცირების ატანა, თუნდაც საკუთარი მშობლისაგან. სიმწრისაგან გახელებული, ის წამიერად ერთ ადგილზე გაშეშებულა, და მერე სამოსელი ტანზე შემოუფხრეწია. ამის შემხედვარე დედა შვილს ჯიუტად მაინც მამას ამსგავსებდა: „ოხ, შე ძაღლის ლეკვო, პირწავარდნილი ბაირონი ხარ, თან მამაშენივით უვარგისიო“, – არაერთხელ უთქვამს მას შვილისათვის.

ცოტა ხანში ჯონ ბაირონს მოსწყინდა აბერდინი და როგორც კი საკმარისი თანხა იშოვა, კვლავ საფრანგეთს მიაშურა. მისი გამგზავრებიდან ერთი წლის თავზე, 1791 წელს, საფრანგეთიდან მისი დაღუპვის ამბავი მისულა. არაა გამორიცხული, რომ ეს იყო თვითმკვლელობა – კანონზომიერი შედეგი იმ ტრაგედიისა, რომელიც მან საკუთარ თავს დააწია. პატარა ჯორჯი სამუდამოდ მოკლებული აღმოჩნდა მამობრივ სიტბოსა და მზრუნველობას, თუმც უფრო მეტად გაუთავებელი ჩხუბი და დავიდარაბა ახსენდებოდა მშობლების ურთიერთობიდან. ლამაზი პირსახის თმახუჭუჭა ბიჭუნა დღითიდღე იზრდებოდა და მშვენდებოდა, მაგრამ მტკივანი ფეხი ხუნდად აჩნდა მის მგრძნობიარე გულსა და შთამბეჭდავ ცნობიერებას.

ბავშვი აბერდინის კლასიკურ საშუალო სკოლაში მიაბარეს და დედასთან ერთად იგი რეგულარულად ესწრებოდა წირვას შოტლანდიურ პრესბიტერიანულ ეკლესიაში. მისის ბაირონის ყველა იმედი და ოცნება ახლა მხოლოდ ვაჟიშვილისადმი იყო მიმართული.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კეტრინ ბაირონს შერიგებია მისი ბებია, მარგარეტ დაფ გორდონი (Margaret Duff Gor-

don), რომელიც დასთან ერთად შოტლანდიაში, ქ. ბენფში (Banff) ცხოვრობდა. ბენფი საკურორტო ქალაქია და აბერდინიდან დაახლოებით 45 მილის მოშორებით მდებარეობს ზღვისპირას. მისის ბაირონი თავის პატარა ვაჟიშვილთან ერთად ახლა უკვე ხშირად ჩადიოდა ბებიასთან სტუმრად. ჯორჯი იმდენად ცელქი და მოუსვენარი ყოფილა, რომ მისი ოინები ბენფში ყველას პირზე ეკერა. აი ერთ-ერთი მათგანიც:

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჯორჯს მობეზრდა ჩაიზე მაგიდასთან მჯდომი მანდილოსნების მოსმენა, იგი ზემო სართულზე ავიდა, აიღო ბალიში, მოარგო მას საკუთარი პალტო და ქუდი, და განმგმირავი წივილით ფანჯრიდან ქვემოთ გადმოუშვა. ფიტული სწორედ იმ გაზონს დაეცა, ქალბატონები რომ გაჰყურებდნენ ოთახიდან. თავზარდაცემულები გარეთ გაცვივდნენ. ეგონათ, ბავშვი გადმოვარდაო. ამ დროს ჯორჯი გულიანად იცინოდა.

სხვათა განცვიფრებისა და შეშინების ყინი, როგორც ხუმრობის ერთ-ერთი გამოვლინება, ბაირონს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. ძნელია ზუსტი ფსიქოლოგიური ახსნა მოუძებნო ხასიათის ამ თვისებას, მაგრამ უდავოა, რომ ამ შემთხვევაში გაუცნობიერებლის მომენტი ჭარბობდა და სხვათა შოკში ჩაგდებითა და მათი უცაბედი რეაქციების გამოწვევით ბაირონი ადამიანთა ბუნებას უკეთ შეიცნობდა. თუ ბავშობაში ეს ყოველივე ონავრობად ირაცხებოდა, სიმწიფის ასაკში ასეთი ხუმრობები, მიუხედავად პრინციპული უვნებლობისა, ენებდნენ და მრავალ გაუგებრობასაც უქმნიდნენ თავად მათ ავტორს.

დღევანდელი გადასახედიდან ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ ბაირონის ფენომენის შექმნაში ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი ლორდის ტიტულის მიღება გახლდათ, რაც, როგორც ბედმა იწება, ასე მოხდა:

1794 წელს, კორსიკაში, ადმირალ ნელსონის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში უცაბედმა ტყვიამ იმსხვერპლა ჯორჯის კუზენი, V ლორდ ბაირონის ერთადერთი შვილიშვილის,

18 წლის ვილიამ ბაირონის სიცოცხლე, რომელიც ლორდის ტიტულის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე გახლდათ. ამგვარად, 6 წლის ჯორჯ ბაირონი გახდა რეალური მემკვიდრე V ლორდ ბაირონისა, რომელიც იყო მისი გარდაცვლილი პაპის, აღმირალ ბაირონის ძმა. რაც შეეხება აღმირალ ბაირონის ერთადერთ ვაჟიშვილს, კაპიტან ჯონ ბაირონს, იგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო.

ბაირონების საგვარეულო გერბზე ამოტვიფრული დევიზი “Crede Byron” სიამაყით აღავსებდა მომავალი ლორდის, მართალია, ჯერ მხოლოდ ბავშვურ, მაგრამ ბუნებით მტკიცე თავმოყვარეობას.

ამ დროისათვის ჯორჯი უკვე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა. მისი ბაირონი ამას მშვენივრად გრძნობს და დიდ იმედსაც ამყარებს შვილზე. ამის შესახებ არც მეგობრებთან და ამხანაგებთან ლაპარაკს ერიდება. მისი ბაირონის ერთ-ერთ ახლობელ ქალბატონს, შეუქია რა ჯორჯი, ასე მიუმართავს მისთვის: „მე მჯერა, ჯორჯ, რომ მოვა დრო და თემთა პალატაში შენს მიერ წარმოთქმულს სიტყვას წავიკითხავო.“ „არა, ეს შეუძლებელია, — მიუგია მისთვის ბაირონს, — რამეთუ ეს მხოლოდ ლორდთა პალატაში მოხდება.“

ჯორჯი გატაცებით კითხულობს. 8 წლის ასაკში მას უკვე რამდენიმეჯერ აქვს გადაკითხული ბიბლია, ძველი მსოფლიოს ისტორია, ძალიან მოწონს „არაბული ლამეები“. განსაკუთრებით იტაცებს აღმოსავლეთისა და რომის ისტორია, მაგრამ ამ ასაკში ჯერ არ უყვარს პოეზია. სამყაროს შეცნობის ყოველი ნაბიჯი მისთვის ტკბილ-მწარეა, რადგან მტკივანი ფეხი წამდაუწუმ ახსენებს თავს, ხოლო მკურნალობას შედეგი არ უჩანს.

თუ დღეს ბრტყელი ტერფი ქირურგიულ ჩარევასა და სხვა სახის მკურნალობასაც ნორმალურად ექვემდებარება, იმ ხანად ერთადერთ გამოსავლად მხოლოდ სპეციალურად შეკერილი ჩექმა თუ გამოდგებოდა, რომელიც ამავე დროს ნაწილობრივ ფარავდა თანდაყოლილ ნაკლს. ქირურგმა ჯონ ჰანტერმა,

რომელსაც აქილევსის მყესის შესწავლით გაეთქვა სახელი, ბავშვის დედა სხვა ვერაფრით ანუგეშა.

აბერდინის სკოლაში ერთ-ერთი მეცადინეობის დროს ფენის ძლიერი ტკივილი ბავშვს სახეზე დასტყობია და მასწავლებელს თანაგრძნობა გამოუხატავს. „ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ამიერიდან თქვენ ვერ შეიტყობთ, მტკივა, თუ არა“, – მიუგო თურმე მას ბიჭუნამ. და მართლაც, იქიდან მოყოლებული, ტკივილს ბაირონი ყოველთვის ნებისყოფით იხშობდა.

1796 წელს ჯორჯი ქუნთრუშით ყოფილა ავად და სრული გამოჯანმრთელების მიზნით დედამისს სოფელში წაუყვანია. შოტლანდიის თვალწარმტაცი ბუნება მჩქეფარე ნაკადულებითა და გაუვალი ტყეებით, ელვარე თოვლით დაფარული მთებითა და ოკეანის აზვირთებული ტალღებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ბუნებით ისედაც მგრძნობიარე ყმაწვილზე. მისის ბაირონიც აჰყოლია ლალ გარემოს და ვაჟიშვილს დიდ თავისუფლებას აძლევდა. პატარა ჯორჯი ბევრს დანავარდობდა ბუნების წიაღში შოტლანდიური ტარტანით შემოსილი. ეს გახლდათ აუცილებლად გორდონების საგვარეულო ტარტანი – მუქი ლურჯი ქსოვილი მწვანე და მკრთალი ყვითელი ზოლებით.

ამიტომაც საკვირველი არაფერია იმაში, რომ პირველი სიყვარული ბაირონს სწორედ აქ ეწვია და რომ ოქროსფერთმიანი გოგონათი მონუსხული ბიჭუნა მხოლოდ 8 წლის იყო. გოგონას სახელად მერი ერქვა. ის ადგილობრივი ფერმერის ქალიშვილი იყო. ამ პირველ გულწრფელ განცდას მალე დასასრული გამოუჩნდა, რადგან ბაირონი და დედამისი აბერდინში დაბრუნდნენ.

სულ მალე სიყვარულის ნიჭმა კვლავ იმძლავრა ჯორჯში და 9 წლის ბიჭუნას თავდავიწყებით შეუყვარდა ნუკრისთვალეობა მერი დაფი. მერიზე ოცნება ბავშვს მოსვენებას არ აძლევდა, მას მერის თაფლისფერი თვალები, შავი თმა და ალერსიანი ღიმილი ელანდებოდა. მერის ხმის გაგონებაზე ჯორჯი თითქმის გონებას კარგავდა.



იქნებ სწორედ ამ უფაქიზეს განცდაში და სიყვარულზე აგებულ იდეალში ეძებდა ბავშვი იმ სიმრთელესა და ამაღლებულ გრძნობას, მის გარშემო მყოფთ ასე რომ აკლდათ.

უპირველეს ყოვლისა ეს ენებოდა თვითონ მისის ბაირონს – ფრიად გაუწონასწორებელი ხასიათის ქალს, რომელსაც არ შეეძლო ბედნიერი ბავშვობა შეექმნა შვილისათვის, იმ შვილისათვის, რომლისთვისაც თავი სრულად გადაედო და მისი მომავლისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. დედურ ალერსსა და გულიან კოცნას არცთუ ისე იშვიათად ღვარძლიანი ლანძღვა და ფიზიკური ნაკლის გამო დაცინვა ენაცვლებოდა. „ბაირონის კოჭლო ნაშიერო“, – წააძახებდა დედა შვილს და ეგონა, ამ სიტყვებით ჯავრს იყრიდა იმ მამაკაცზე, ვინც მისი ქალური ბედნიერება იმსხვერპლა და დაამსხვრია.

ხომ ნათქვამია, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო. მძიმე და რთული ბავშვობიდან მოდიოდა ბაირონი.

1798 წელს გარდაიცვალა V ლორდ ბაირონი, რომელსაც პირდაპირი შთამომავალი აღარ ჰყავდა ცოცხალი და ათი წლის ჯორჯ ბაირონმა, როგორც V ლორდის ძმის შვილიშვილმა, მემკვიდრეობით მიიღო VI ლორდ ბაირონის ტიტული და ნიუსტედის სააბატო (Newstead Abbey) – საგვარეულო მამული სასახლითურთ.

მისის ბაირონი და ჯორჯი მემკვიდრეობის მისაღებად ჩრდილოეთიდან მალე სამხრეთს გაემგზავრნენ. ლონდონიდან საგანგებოდ ჩამოსულიყო მათი პირადი აგენტი მისტერ ჰანსონი, რომელიც კეტრინ და ჯორჯ ბაირონებს კუთვნილი ქონების მფლობელებად აღიარებდა.

სამწუხაროდ, მდიდარი ტყის სიმწვანეში ჩაფლული ნიუსტედი მოჩუხჩუხე მდინარეებითა და თეთრი ჩანჩქერებით, გამჭვირვალე ტბის ნაპირას აგებული დიდებული ციხე-დარბაზით ბაირონებს გაპარტახებული და აოხრებული დახვდათ. „ბოროტი ლორდის“ ხელი ყველაფერს დამჩნეოდა. ძვირფასი ტყე მოხუც ლორდს უმოწყალოდ გაეჩხა და ასწლოვანი მუხებიც გაეყიდა. მას რამდენიმე ათასი ირემი დაუხოცავს თა-

ვის ტყეში და ბაზარზე გაუგზავნია გასაყიდად. ტყეზე არანაკლებ გაუბედურებული გამოიყურებოდა თვითონ ციხე-დარბაზი, რომელიც ათეული წლების მანძილზე არ შეკეთებულა. მომსახურე ხალხი ერთმანეთს ეჯიბრებოდა შთამბეჭქდავ თხრობაში, თუ რამდენად თავაწყვეტილ და უცნაურ ცხოვრებას ეწეოდა V ლორდი, რამდენად მძიმე და აუტანელი იყო მისი ხასიათი.

მიუხედავად ამ სავალალო მდგომარეობისა, ნიუსტედმა თავისი ბუნებრივი სილამაზითა და დიდებულებით მონუსხა და აღაფრთოვანა 10 წლის ჯორჯი. სულ ცოტა ხანში ბავშვი მიხვდა, რომ მერი დაფზე არანაკლებ წრფელი სიყვარულით ნიუსტედი შეჰყვარებოდა. ეს ხიბლი მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ განელებია და სიმწიფის ასაკში „დონ ჟუანში“ ნიუსტედს ამ სიტყვებით მიმართა: „ყველას თუ არა, იმ რჩეულთა გონს ხომ შეძრავდი, ვინაც სამყაროს თვალით არა, გულით ხედავდა.“

მისტერ ჰანსონმა თურმე თავად დაათვალიერებინა ჯორჯ გორდონ ბაირონს თვალუწვდენელი არემარე და მათ მომიჯნავე მამულში, ენსლი ჰოლშიც (Annesly Hall) თვითონ წაიყვანა. ეს იმ ჩავორსების მამული გახლდათ, რომელთა წინაპარი სრულიად უმიზეზოდ მოკლა დუელში „ბოროტმა ლორდმა“. მიუხედავად ამისა, ჩავორსების ოჯახი ახალ მეზობელს შუბლგახსნილი შეგებებია. განსაკუთრებით გახარებია მათი სტუმრობა პატარა გოგონას, მერი ენ ჩავორსს, რომელიც ბაირონზე ორი წლით უფროსი ყოფილა.

„აი, ვინ უნდა შეირთო ცოლად, როცა გაიზრდები“, – უთქვამს მისთვის ჰანსონს. კარგად ნაკითხ ბიჭუნას პასუხი არ დაუყოვნებია: „რას ბრძანებთ, მისტერ ჰანსონ, სად გაგონილა მონტეგისა და კაპულეტის შეუღლებაო?“

მართალია, ბაირონი 5 წლის ასაკიდან გატაცებით კითხულობს, მაგრამ წერა ნაკლებად უყვარს. პირველი წერილი მან სწორედ ნიუსტედში დაწერა. ეს იყო 1798 წლის 8 ნოემბერს,

როდესაც ბაირონი 10 წლისა და 9 თვის იყო. წერილი მიმართულია ბაირონის მამიდის, მისის პარკერისადმი:

*„ძვირფასო ქალბატონო,*

*დედას არ შეუძლია თავად მოგწეროთ და მე მთხოვა გაცნობოთ, რომ კარტოფილი უკვე მზად არის და შეგიძლიათ წაიღოთ, როცა მოისურვებთ.*

*დედის თხოვნაა, ჰკითხოთ მისის პარკინსს, როგორ გავუგზავნოთ პონი – ნოტინგემის გავლით, თუ უმოკლესი გზით შინ. ის ახლა უკვე კარგად არის, მაგრამ ჯერ ძალიან პატარაა და უნაგირს ვერ დაეადგამ.*

*მე უკვე გავუგზავნე მის ფრენსისს კურდღელი, რომელსაც ადრე შეეპირდი, და რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ის ჩაიბარებს.*

*დედამ ყველა მოგიკითხათ და მეც მას ვუერთდები. ძვირფასო მამიდა, გულწრფელად თქვინი,*

ბაირონი

*P.S. იმედი მაქვს, მაპატიებთ ყველა შეცდომას, რადგან ეს არის პირველი წერილი, რომელიც ოდესმე დამიწერია“.*

ვინაიდან ნიუსტედი საცხოვრებლად მიუღებელი აღმოჩნდა, მისის ბაირონი და მისი ვაჟიშვილი ქალაქ ნოტინგემში, ნაქირავებ ბინაში დასახლდნენ. 1801 წელს ჯონ ჰანსონის დახმარებით ჯორჯი ლონდონის მახლობლად ჰაროუს სახელგანთქმულ კერძო სკოლაში მიაბარეს.

ჰაროუს სკოლაში, როგორც დღეს, ისევე იმ ხანადაც მხოლოდ გამოჩენილი და მდიდარი ოჯახის შვილები სწავლობდნენ. მათ პოლიტიკური და დიპლომატიური კარიერისათვის ამზადებდნენ. მაგალითად, ბაირონის თანაკლასელი, რობერტ პილი (Robert Pill) შემდგომში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდება. ჰაროუს სკოლა ჰქონდა დამთავრებული აგრეთვე სერ ვინსტონ ჩერჩილს, რომელიც, როგორც ბრიტანეთის პრემი-

ერ-მინისტრი, მეოცე საუკუნეში უკვე დიდად შეუწყობს ხელს ბაირონის შემდგომ შესწავლასა და პოპულარიზაციას.

თუ შოტლანდიურ სკოლაში მისის ბაირონის მოხერხებულობის წყალობით ჯორჯი არ ჰგავდა ხელმოკლე ოჯახის შვილს, ჰაროუს სკოლაში ეს უკვე აშკარა იყო, რაც მკვეთრად აისახებოდა ბავშვის ფსიქიკაზე. ახალგაზრდა ლორდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დასძლიოს ცხოვრებისეული სირთულეები, და, რადაც უნდა დაუჯდეს, დიდებას მიაღწიოს. აი, რას მისწერს ჰაროულან დედამისს:

*„მე შემძლია გავიკაფო გზა ცხოვრებაში, და მე ამას გავაკეთებ. სხვაგვარად დავიღუპები... მე გავიკვლევ გზას დიდების მწვერვალისაკენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსინდისობით“.*

ჰაროუს სკოლაში სწავლის პერიოდში, 12 წლის ასაკში, ბაირონი დაწერს პირველ ლექსებს. ამ ლექსების მუზა მარგარეტ პარკერია. სამწუხაროდ, დრომ არ შემოგვინახა არც ერთი ამ ლექსთაგანი. სიკვდილმა ბაირონს ხელიდან გამოსტაცა მარგარეტის სიცოცხლე. გოგონა ჭლექით გარდაიცვალა. მოგვიწინებით ასე გაიხსენებს მარგარეტს ბაირონი:

*„მე ის ლექსები დიდი ხანია დამავიწყდა, — მაგრამ მარგარეტს რა დამავიწყებს. მისი სახის კანის გამჭვირვალება, მისი სიმშვიდე და სილამაზე მაფიქრებინებდა, რომ ეს ყველაფერი თვით ცისარტყელას მოსწყდა და დედამიწაზე დასახლდა.“*

ჰაროუს სკოლაში სწავლისას ბაირონი აცნობიერებს თავის ეპოქას და აფასებს მოვლენებს. ბუნებით დემოკრატიული სულისკვეთების ყმაწვილი, იგი აშკარა სიმპათიებს გამოხატავს იმ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, ვინც ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის. ბაირონი მხარს უჭერს ნაპოლეონ ბონაპარტის იდეებს, ვინაიდან იგი განმათავისუფლებლად ესახება. როდესაც მისი თანასკოლელები ნა-

პოლეონის ბიუსტს შეესივნენ დასამსხვრევად, ის ბაირონს დაუცავს.

ახალგაზრდა ბაირონი გამოირჩეოდა ფენომენური მეხსიერებით. ერთი წაკითხვით მას შეეძლო რამოდენიმე გვერდი ზეპირად გადმოეცა, და ასეთი მრავალი გვერდი დიდხანს შემორჩა მის მეხსიერებას. ამას ადასტურებს მისი მეგობრების მოგონებები, ეს ჩანს თვით მისი ჩანაწერებიდან, სადაც წაკითხული და ათვისებული ლიტერატურის სია საოცრად ვრცელი გახლავთ. ის მოიცავს პირველ ყოვლისა მსოფლიო ქვეყნების ისტორიას დაწყებული ჰეროდოტედან გიბონით დამთავრებული, კლასიკას, იურისპრუდენციას, რელიგიურ ლიტერატურას, საერთაშორისო სამართალს, ასტრონომიას, ფილოსოფიას და ა. შ. და ა. შ.

გადიოდა წლები. 1803 წლის ზაფხულში, როდესაც ბაირონი უკვე თხუთმეტი წლის იყო, და არდადეგებს ნიუსტედში ატარებდა, ხშირად სტუმრობდა ენსლი ჰოლს. აქ ის განსაკუთრებით უახლოვდება მერი ენ ჩავორსს, გასაოცარი შინაგანი ბუნების მქონე მომხიბვლელ ასულს. მერის მშვენივლით მოჯადოებული ყმაწვილი ყოველ ცისმარე დღე ცხენზე ამხედრებული მიჰქროდა ენსლის სერებისაკენ, რათა ეხილა თავისი „ამომავალი ვარსკვლავი“. მერიზე ოცნება ბაირონს ღამით არ აძინებდა. მან თავდავიწყებით შეიყვარა მერი და მასთან განშორება ვერ წარმოედგინა. ამიტომაც იყო, რომ სკოლაში დაბრუნებაზე მტკიცე უარი განაცხადა და მთელი სასწავლო სემესტრიც გააცდინა. მერი თურმე უსიტყვოდ ხვდებოდა ყველაფერს. მიუხედავად კეთილმეზობლური ურთიერთობისა, ბაირონმა კარგად იცოდა, რა დაღიც აჩნდა მათი გვარის ურთიერთობას ჩავორსების გვართან, და რომ ისინი არ დაუშვებდნენ მათ შეუღლებას. სამყაროს პოეტურად მჭვრეტელ ახალგაზრდა ბაირონს მაინც გულწრფელად სწამდა, რომ მათი სიყვარული და ქორწინება იხსნიდა ამ ორ ოჯახს მტრობისაგან და ყოველივე კეთილად დასრულდებოდა. მაგრამ მერი ჩავორსმა უპირატესობა მისცა ბაირონზე გაცილებით უფროს თაყვანისმცემელს, სილამაზითა და ათლექტიზმით განთქმულ ახალგაზ-

რდა მამაკაცს, დიდგვაროვანი წარმოშობის მემამულეს ჯეკ მასტერს.

1805 წლის ზაფხულში, როდესაც ბაირონი კემბრიჯის უნივერსიტეტში შედიოდა, მერი ჩავორსმა იქორწინა ჯეკ მასტერზე. იმ ხანად მისის ბაირონი ნიუსტედის მახლობლად, პატარა ქალაქ საზველში, დროებით ნაქირავებ სახლში, ბერგიჯ მენორში (Burgage Manor)<sup>2</sup> ცხოვრობდა. როდესაც ბაირონი კემბრიჯიდან დროებით შინ, დედასთან დაბრუნებულა, მერის გათხოვების ამბავიც იქ შეუტყვია:

– ბაირონ, მე შენთვის ახალი ამბავი მაქვს, – უთქვამს მისის ბაირონს ვაჟიშვილისათვის.

– რა ამბავი?

– ამოიღე ცხვირსახოცი, რადგან შენ ის დაგჭირდება.

ბაირონსაც ღიმილით ამოუღია ჯიბიდან ცხვირსახოცი, რომ დედა არ გაეწბილებინა.

– მის ჩავორსი ჯეკ მასტერს მისთხოვდა! – საზეიმო ტონით განუცხადებია მისის ბაირონს.

ბაირონს ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაუბრუნებია და ხელოვნური გულგრილობით უკითხავს:

– სულ ეს არის?:

მაგრამ იმ წამს მკვდრის ფერი დასდებია სახეზე.

– მეგონა, ძალიან დამწუხრდებოდი, – მიუგო მისის ბაირონმა.

ბაირონს დედისთვის არაფერი უთქვამს და საუბარი სხვა თემაზე გადაუტანია.

მისის ბაირონის მხრიდან ეს იყო მორიგი უტაქტობა, რასაც მგრძნობიარე ვაჟიშვილის მიმართ ხშირად იჩენდა. სამწუხაროდ, ის ამას ვერ გრძნობდა, პირიქით, ეს დიალოგი მას, სიამაყით აღსავსეს, სიტყვასიტყვით უამბია თავისი მეგობარი ქალისათვის, მისის პიგოტისათვის, ვის ოჯახშიც თავად ახალგაზრდა ლორდი სულიერ თავშესაფარს პოულობდა.

---

<sup>2</sup> Manor (ინგლ.) – სახლი მამულით.

ბაირონს განსაკუთრებულად წრფელი მეგობრობა ჰქონდა მისის პიგოტის ქალიშვილთან, მასზე რამოდენიმე წლით უფროს ელიზაბეთ პიგოტთან. პიგოტები ბაირონების კარის მეზობლები იყვნენ საზველში, რადგან მათი სახლები ერთმანეთს გადაჰყურებდნენ.

ელიზაბეთ პიგოტს უნდა უმაღლოდეს შთამომავლობა ბაირონის ადრეული ლირიკის შემონახვასა და გადარჩენას, საერთოდ, მისი პირველი პოეტური ნაბიჯების წაქეზებას. ეს იყო 1805 წელი. მის პიგოტი და ბაირონი ხშირად ერთად კითხულობდნენ და არჩევდნენ პოეზიას. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას, როდესაც ელიზაბეთი ხმამაღლა კითხულობდა რობერტ ბერნსს, ბაირონს დასცდენია, ლექსებს ვწერო. ელიზაბეთს დაჟინებით უთხოვია მისთვის, ეჩვენებინა ეს ლექსები. ბაირონს შეუსრულებია მისი თხოვნა. ლიზ პიგოტს ყოველივე ძალიან მოსწონებია.

მიუტანდა თურმე ბაირონი მის პიგოტს თავის ახალ ლექსს და თან სთხოვდა, გადაეწერა, რადგან საკუთარი ხელწერა არ მოსწონდა. „ელიზაბეთ, გადამიწერეთ, გეთაყვა, როცა მოიცლით“, – ეტყოდა ხოლმე მას ბაირონი. ხოლო თუ ხედავდა, რომ ქალიშვილი ლექსის გადასაწერად ჯერ არ ემზადებოდა, იქვე დასძენდა: „ელიზაბეთ, ხომ არ მოიცალეთ, გეთაყვა?“, – რასაც შემდეგ ღიმილით იხსენებდა მის პიგოტი.

ერთ-ერთი პირველი იმ ლექსთაგანი, რომელიც ბაირონმა მის პიგოტს გაანდო, გახლდათ „Fragment Written Shortly after the Marriage of Miss Chaworth“ – „ნაწყვეტი დაწერილი ძალიან მალე მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ“ (იხ. გვ. 17).

როგორც მის პიგოტი გადმოგვცემს, ეს ნაწარმოები შთაგონებული იყო ბერნსის ლექსით „დამშვიდობება ეარშირთან“<sup>3</sup>. შთაგონებული მეტრისა და გარეგანი ფორმის თვალსაზრისით, თორემ მერის დაკარგვით გამოწვეული ტანჯვა უსაზღვრო ყო-

<sup>3</sup> ახლახანს გაირკვა, რომ ლექსი „დამშვიდობება ეარშირთან“, რომელიც თითქმის ორი საუკუნეა ბერნსს მიეწერება, ეკუთვნის რიჩარდ გოლს (Richard Gall).

ფილა ბაირონისათვის. მისი გათხოვების ამბავს ზომ სულის სიღრმემდე შეუძრავს პოეტი... მძიმე განცდები რითმებშია პოულობდნენ გამოძახილს.

ბაირონის შემთხვევა ის უნიკალური ლიტერატურული მოვლენაა, სადაც გაცილებით მძლავრად, ვიდრე სხვა ნებისმიერ პოეტთან, ცხოვრებისეული განცდები შემოქმედებაში აირეკლა. ამდენად, მისი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების შთაგონების წყაროდ გვევლინება.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ლექსის მეტნაკლებად სრული და სწორი გააზრება, ჩვენი ღრმა რწმენით, შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართო და ღრმა ცოდნის მეშვეობით, რასაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა მარტო მკითხველის ზოგად ინტელექტუალურ მარაგსა და ესთეტიურ-შემეცნებით გამოცდილებას, არამედ, აგრეთვე, კონკრეტულ ცოდნას მწერლისა და ნაწარმოების შესახებ, მითუმეტეს, თუ ის პოეტის ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის გამოძახილია. ეს ცოდნა აუცილებელია არა მარტო იმ ენის მატარებელი საზოგადოებისათვის, რომელზეც ლექსი შეიქმნა, არამედ იმ მკითხველისთვისაც, რომელიც ნაწარმოებს თარგმანში ეცნობა. მეორე მხრივ, ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ლექსის თარგმნა. ამიტომაც მთარგმნელი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდება ასეთ მასალას და მასვე ხელეწიფება კიდევ თარგმანთან ერთად მკითხველს წარმოუდგინოს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ამბავი.

როგორც ბაირონის თანამედროვენი და ბიოგრაფები აღნიშნავენ და რაც მისი ნაწარმოებებიდან თუ წერილებიდან ირკვევა, მერი ჩავორსის სახე მუდამ თან სდევდა პოეტს, მის შემოქმედებას. პოეტი მოგონებათა ტყვეობაში იმყოფებოდა და, ალბათ, ამიტომაც ამ განცდის შედეგად შექმნილ ლექსთა რიცხვს მიაკუთვნებენ ლექსს “Remembrance” – „მოგონება“ (იხ. გვ. 18)

საბედნიეროდ, ბაირონებისა და პიგოტების სახლები დღესაც ისევე ამაყად დგას საზველში, როგორც იმხანად. ცოცხა-



ლია ხე, რომელიც ამ ორ სახლს შუა პატარა მოედანს ამშვენებდა. ბაირონსაც არაერთხელ უნებიერია მის ჩრდილქვეშ. ჩვენ კიდეც მივუბრუნდებით ბერგიჯ მენორს, აქ კი აღვნიშნავთ, რომ დღეს მისი მფლობელია ჯეფრი ბონდი (Geoffrey Bond), ბაირონის ბრიტანული საზოგადოების აღმასრულებელი თავმჯდომარე. ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ ჰქონდა ბედნიერება სწევოდა ბონდების ოჯახს.

როგორც მისის ბონდმა მიაჩნო, მის მეუღლეს მიზნად დაუსახავს ამ სახლის შექმნა, უდავოდ ბაირონისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო, და ათიოდე წლის წინ აუსრულებია კიდეც ეს ნატვრა. პრაქტიკულად დღეს იქ ბაირონის მუზეუმია.

მართალია, ბონდები ბერგიჯ მენორს იყენებენ, როგორც საცხოვრებელ სახლს, ინტერიერი მოწყობილია ბაირონის-დროინდელ სტილში და იქ უამრავი, ბაირონთან დაკავშირებული, სურათი და ნივთია, რომელსაც ოჯახი წლების მანძილზე იძენდა. ეს ყოველივე ხელს არ უშლის სახლს ფეშენებელურობაში. შემონახულია ბერგიჯ მენორის ესკიზი, რომელიც თავად ელიზაბეთ პიგოტს შეუსრულებია.

პირველ სართულზე მთავარ მისაღებ ოთახში თეთრ მარმარილოს ბუხარზე პოეტისა და მისი დედის ბარელიეფებია ზურგშექცევით გამოსახული. „ყველამ ვიცით, რომ მისის ბაირონი და მისი ვაჟი ერთმანეთს ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომაც ჩემმა მეუღლემ მხატვარს სთხოვა, ისინი ბუხარზე ასე გამოესახა“, – მითხრა მისის ბონდმა.

ბონდების სახლის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს თანამედროვე ინგლისელი მხატვრის ნიკ მაკკანის მიერ აკვარელში შესრულებული სურათი, სადაც 18 წლის ბაირონი მათი სახლის ფონზეა გამოსახული. ბაირონს გვერდით უდგას თავისი საყვარელი ბოტსკეინი, ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძაღლი. ამ სურათის ასლი ბატონმა ბონდმა საჩუქრად გადმომცა და ის ახლა ჩემს სამუშაო ოთახს ამშვენებს თბილისში.

როდესაც ქალბატონი ბონდი მეორე სართულზე ამავალ კიბეზე გამიძღვა, ფანჯარას მიბჯენილ საფეხურზე შემაჩერა და მითხრა: „გადმოცემით ვიცი, რომ ბაირონი თავის უსაყვარლეს

ცხელ შოკოლადს სწორედ ამ საფეხურებზე მჯდომი მიირთმევდაო“.

„ჩვენ აქ ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს ბაირონთან ერთად ვცხოვრობთ – “As if living with Byron”, – ბრძანა ბატონმა ჯეფრი ბონდმა.

ეს შეგრძნება ამ ოჯახის მასპინძლებმა განსაკუთრებული სიმძაფრით განგვაცდევინეს ბაირონის 26-ე საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებს. ეს მოხდა 2000 წლის ზაფხულში, როდესაც ბონდების ოჯახმა კონფერენციის მონაწილენი შინ ვახშმად მიგვიპატიჟა. იქ ჩვენ სათანადო კოსტიუმებში გამოწყობილი ბაირონების ოჯახი დაგვხვდა: „ლორდ ბაირონი“, „მისის ბაირონი“, ოჯახის ერთგული მსახური „ფლეტჩერი“ და მისი მეუღლე „ანა“.

არტისტული სანახაობა უჩვეულოდ წარმატებული აღმოჩნდა. მსახიობებს ჩინებულად ჰქონდათ გათავისებული როლები და ეს, პირველ ყოვლისა, მათ მიერ განსახიერებული გმირების ბიოგრაფიის ზედმიწევნით კარგი ცოდნით იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებით ისევ ლორდ ბაირონი გამოირჩეოდა. სტუმრები ხალისით ჩავებით საინტერესო თამაშში. ბაირონოლოგები სხვადასხვა შეკითხვით მიმართავენ ბაირონს: „რატომ არ იქორწინეთ მერი ჩავორსზე?“, „რავითარებაში დაწერეთ „წყევლიაღი?“, „გიყვარდათ თუ არა ბერგიჯ მენორში ყოფნა?“, „რამ გაიძულათ მიგეტოვებინათ ინგლისი?“, და ა. შ. და ა. შ.

იმპროვიზაციის უტყუარი აღლო საშუალებას აძლევდა „ლორდ ბაირონს“ დაეკმაყოფილებინა ცნობისმოყვარე სტუმრები. ბაირონისათვის დამახასიათებელი მედიდურობა და დამაჯერებლობა არ ტოვებდა მისი სახის გამომეტყველებას. ამავე დროს იყო ხალასი იუმორი, სითბო და ურთიერთობის სიხარული, რაც, ალბათ ყველაზე მეტად თავად ბაირონის პირდაპირი შთამომავლის მზერაში გამოსჭვიოდა. ამ შემთხვევაში საუბარია არა მსახიობის მიერ განსახიერებულ შთამომავალზე ლორდ ბაირონისა, არამედ მის ნამდვილ სისხლსა და ხორცზე. მისი ერთადერთი ქალიშვილის, ადა ბაირონის შვილთა შვილ-

ზე, უაღრესად მომხიბვლელ ახალგაზრდა გრაფ ჯონ ლიტონზე.

გრაფი ლიტონი იმ ვახშამზე ჩვენთან ერთად იყო მიწვეული და ჩვენთან ერთად მოისმინა თავისი „დიდი წინაპრის“ მიერ წაკითხული პოეტური სტრიქონები, როდესაც ოჯახის ერთგულმა მსახურმა „ფლექჩერმა“ სტუმართა ერთი ნაწილი მეორე სართულზე აგვიპატიჟა. იქ ერთ-ერთ ოთახში საწერ მაგიდასთან მდგომი „ლორდ ბაირონი“ „წყვედიაღს“ კითხულობდა. ადრე აქ ახალგაზრდა ბაირონის საძინებელი ოთახი ყოფილა, ახლა კი ჯეფრი ბონდის სამუშაო კაბინეტია. კედლებიდან შემოგვეყურებენ პატარ-პატარა ოქროსფერ ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული ქალის პორტრეტები – მრავალი იმათგან, ვისაც ბაირონი სიყვარულში თავგამეტებით მიენდო.

ვინ იყვნენ ისინი?

მერი დაფი, მარგარეტ პარკერი, მერი ჩავორსი, ჯულია ლიკროფტი, ტერეზა მაკრი, ჯეინ ოქსფორდი, ლეი ვებსტერი, კონსტანცა სპენსერი, კაროლინა ლემი, ანაბელა მილბენკი, კლერ კლერმონტი, მარიანა სეგატი, მარგარიტა კონი, ტერეზა გეიჩიოლი... ასეთია მშვენიერ ქალთა არასრული სია, რომელთა მიმართ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბაირონს შეეძლო ეთქვა: „მე ასე ჯერ არასოდეს მყვარებიაო.“ სიყვარულის ასეთი უღევი ნიჭის ერთ-ერთ გამომხატველ პოეტურ ქმნილებად მიგვაჩნია ლექსი „On Being Asked What was the Origin of Love“ – „ოდეს მკითხეს როგორია სიყვარულის დასაწყისი“ (იხ. გვ. 19).

მიუხედავად გამიჯნურებათა მონაცვლეობისა, რაშიც სიყვარულის უღევი უნარი ამოიკითხება, ტრფობა მერი ჩავორსისადმი ბაირონის ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმძაფრითა და ტრაგიზმით გამოირჩევა. ათიოდე წლის შემდეგ, შვეიცარიაში ყოფნისას ბაირონი ქმნის ლექსს „სიზმარი“ (Dream), სადაც აღწერს მერი ჩავორსისადმი სიყვარულის ამბავს. „ბაირონს ამ ლექსის დაწერა დიდი ცრემლის ფასად დაუჯდა. ეს არის ყველაზე სევდიანი და ხატოვანი ამბავი მოხეტიალე ცხოვრებისა, რომელიც ოდესმე გადმოსულა ადამიანის კალ-

მიდან და გულიდან“, – წერდა ტომას მური, ბაირონის მეგობარი, ცნობილი ირლანდიელი პოეტი.

ბაირონისათვის მერი ჩავორსი სხვა განცდად დარჩა, სხვა გატაცებად და სხვა ტკივილად, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ ასვენებდა. „მე რომ მერი ჩავორსზე მექორწინა, შესაძლოა, მთელი ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად აწყობილიყო“, – უთქვამს ბაირონს სიცოცხლის ბოლო წლებში ტომას მედვინისათვის.

„პოეტი რომ გახდე, საჭიროა იყო შეყვარებული, ან – უბედური. მე ერთიცა ვარ და მეორეც“, – ამბობდა ლორდ ბაირონი. და აი ასე, უბედურმა და შეყვარებულმა, მაგრამ პოეზიის ცეცხლით აღმოდებულმა და აღფრთოვანებულმა მოამზადა პირველი პატარა პოეტური კრებული „Fugitive Pieces“ – „წამიერი ჩანახატები“. კრებული 66 გვერდისაგან შედგებოდა და 38 ლექსს შეიცავდა. კრებული ანონიმურად დაიბეჭდა 1806 წელს. სამწუხაროდ, ბაირონმა ის გაყიდვამდე გაანადგურა, რადგან ელიზაბეთ პიგოტის ბიძას ზოგიერთი ლექსის ერთიზში შეურაცხმყოფლად მიაჩნდა. გადარჩენილია ერთადერთი ეგზემპლარი და ის ახლა ნიუსტედის სააბატოშია დაცული. 1807 წელს კვლავ ანონიმურად იბეჭდება მისი მეორე კრებული სათაურით „Poems on Various Occasions“ – „ლექსები სხვადასხვა თემაზე“.

ამავე, 1807 წელს, როდესაც პოეტი ცხრამეტი წლის იყო, მან დაწერა ვაჟიშვილისადმი მიმართული ლექსი „To my Son“ – „ჩემს ვაჟიშვილს“ (იხ. გვ. 20).

როგორც ტომას მური აღნიშნავს, ბაირონს ძალიან უყვარდა წარსული ამბების მოყოლა, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს დასცდენია. „მეორე მხრივ, – დასძენს მური, – არცთუ ისე იოლია ივარაუდო, რომ ლექსი, რომელიც ესოდენ სავსეა ბუნებრივი სინაზით, მხოლოდ შთაგონების წყალობით შეიქმნა“. ბაირონის შემოქმედების მკვლევრის, ერნესტ ჰარტლი კოლრიჯის თანახმად, ბაირონს უთქვამს მეუღლისთვის, რომ მას ჰყავდა ქორწინების გარეშე ორი შვილი და თავს მოვალედ

თვლიდა უზრუნველყო ისინი. ამის საბუთად კოლრიჯს მოჰყავს სტრიქონები „დონ ჟუანის“ XVI სიმღერის 61 სტროფიდან. აქ პოეტი მოუთხრობს მკითხველს მისი ახალგაზრდობის დროინდელი მარცხის შესახებ, როდესაც ის მიხვდა, რომ გონა მისგან ფეხმძიმედ იყო.

ე. ჰ. კოლრიჯის ვარაუდი დღეს შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, თუ დავეყრდნობით სიუზან ნორმინგტონის ამ რამდენიმე წლის წინ გამოსულ წიგნს „ბაირონი და მისი შვილები“. <sup>4</sup> როგორც მკვლევარი ასაბუთებს, ბაირონის ვაჟიშვილის დედა იყო ბაირონების სასახლეში მომუშავე ერთ-ერთი შინამოსამსახურე, რომელსაც მართლაც ჰყავდა ვაჟიშვილი სახელად ვილიამი (William). ამ სახელით მიმართავს ბაირონი ლექსში თავის ვაჟს.

როგორც მკვლევარი გვაუწყებს, ვილიამის შთამომავლობა დღეს გრძელდება ინგლისში ბერგესის (Burgess) გვარის ოჯახით.

აღნიშნული ცნობის მიმართ ვერც ამ სტრიქონების ავტორი დარჩებოდა გულგრილი, რამეთუ მტკიცედ მწამდა, რომ ბაირონი აქ გულწრფელ გრძნობებს გადმოსცემდა. ამ შეგნებით შევასრულე ლექსის თარგმანი 1983-84 წლებში და ის ჟურნალ „ლიახვი“ გამოქვეყნდა<sup>5</sup>.

1807 წელს, ახლა უკვე პოეტის გვარით, გამოდის შედარებით ვრცელი კრებული “Hours of Idleness” – „მოცალეობის ჟამს“.

„წიგნის ყველა მაღაზიაში ჩემს გვარს ვაწყდები. არაფერს ვამბობ, მაგრამ სიამაყის გრძნობა მეუფლება“, – წერდა ბაირონი ელიზაბეთ პიგოტს.

ამ პერიოდში ბაირონი ისევ კემბრიჯის უნივერსიტეტშია. კემბრიჯის უნივერსიტეტი, რომელიც თავისი არსებობის რვა საუკუნეს ითვლის, მოგეხსენებათ, ოცდათერთმეტი დამოუკიდებელი კოლეჯისაგან შედგება.

<sup>4</sup> Susan Normington, *Byron and his Children*, Stroud: Alan Sutton, 1995.

<sup>5</sup> ლიახვი, გამოცემლობა „მერანი“, 1986, გვ. 205-206.

ლორდ ბაირონი სამების კოლეჯში (Trinity College) ჩაირიცხა. ამ კოლეჯის კურსდამთავრებულებს შორის არიან ისააკ ნიუტონი, ალფრედ ტენისონი, ჯეიმზ მაქსველი, ბერტრან რასელი, ჯავაჰარლალ ნერუ და კიდევ ოცდაათამდე ნობელის პრემიის ლაურეატი.

როგორც იმდროინდელი აღრიცხვა მოწმობს, და როგორც მისი წერილებიდანაც ირკვევა, ბაირონი ფაქტობრივად არ ესწრება ლექციებს. სამაგიეროდ დიდად გატაცებულია სპორტით, მითუმეტეს რომ ჭარბი წონა აწუხებს. 172 სმ სიმაღლის ყმაწვილი 90 კგ-ზე მეტს იწონის. ბაირონი ბევრს ჯირითობს ცხენით, ვარჯიშობს კრივში და სროლაში, და მაინც, მის ყველაზე დიდ გატაცებად რჩება ცურვა. კემბრიჯელ მეგობრებთან ერთად ის ხშირად მიუყვებოდა მდინარე კემს და გრანჩესტერის ტბაზე გულს იჯერებდა ხოლმე ცურვით. ამ ტბას დღეს ბაირონის სახელი ჰქვია.

1998 წლის ზაფხულში, როდესაც თბილისის ბაირონის სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად კემბრიჯი მოვინახულეთ და შინ ვბრუნდებოდით ფოლკსტონში, მძღოლმა ავტობუსი გააჩერა და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ბაირონის ტბის მონახულება შემოგვთავაზა. როგორც თავად გამოგვიტყდა, განათლებით ისტორიკოსი, ის საგანგებოდ წასულა ბიბლიოთეკაში, რათა რაიმე საყურადღებო ცნობა მოეპოვებინა ბაირონის შესახებ, რადგან ჩვენი სტუდენტების ცოდნა პოეტისა თუ მისი სამშობლოს ირგვლივ მან სერიოზულ გამოწვევად მიიღო.

პიტერმა საწადელს მიაღწია, რადგან ბაირონის ტბის ირგვლივ არსებული მასალა, ქსეროასლებად წარმოდგენილი, მართლაც სრული სიახლე იყო ჩვენთვის.

და აი ასე, აღსაყვანი სიხარულითა და აღმაფრენით, ივლისის ცხელ ნაშუადღევს, ჩვენ გრილი ჭალით გავუყევით მდინარე კემის ნაპირს და დაახლოებით სამიოდე მილის გავლის შემდეგ მივადექით თვალწარმტაც კუთხეს გრანჩესტერისა, სადაც კემბრიჯის მარწუხებიდან განთავისუფლებული პოეტი ნეტარებას ჰპოვებდა.

„ვარ დამოუკიდებელი, ვითარცა გერმანელი პრინცი“ – სწერდა ბაირონი თავის დას, ოგასტას, კემბრიჯიდან. მას აქ ჰყავდა მსახური, ჰყავდა ცხენი და ეკავა დიდებული და უმშვენიერესი ოთახები, ასეთივე დიდებული და უმშვენიერესი ავეჯით გაწყობილი. ბალდახინიან საწოლს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ნიუსტედში ჩაიტანს და თავის საძინებელ ოთახში მოათავსებს. მოოქროვილ სვეტებზე შემდგარი ბალდახინი იმდენად ძალად იყო, რომ ნიუსტედის ჭერმა ის ვერ დაიტია და გადაჭრაც დასჭირდა. ეს გახლდათ ბაირონის ერთადერთი საწოლი ნიუსტედში და ის ახლაც იქაა დაცული.

როგორც ჩანს, ნიუსტედმაც ბაირონი პირველ ყოვლისა სივრცითა და დიდებულებით მოხიბლა. სივრცისა და სიმაღლის მოთხოვნილება პოეტს მთელი ცხოვრება თან სდევდა ყველგან და ყოველთვის.

თავად ტრინიტი (სამების) კოლეჯიც ძალზედ დიდი და ვრცელია. თავისი მასშტაბებით ის აღემატება არა მარტო კემბრიჯის სხვა კოლეჯებს, არამედ მთელი ბრიტანეთისას. ეს კოლეჯი ინგლისის მეფეს, ჰენრი VIII დაუფუძნებია 1564 წელს და თავისი ხელიც კარგად დაუტყვია. ეს ის ჰენრი VIII გახლავთ, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია რა ბრიტანეთს, ბაირონების ოჯახის ისტორიასაც ფრიად მჭიდროდ დაუკავშირდა, როდესაც ნიუსტედის სამონასტრო კომპლექსი მათ სამოსახლოდ გადასცა. ამ ნასყიდობის ამსახველი დოკუმენტი სასახლის გეგმითურთ დღეს ნიუსტედში, ბაირონის მუზეუმში ინახება.

ბაირონის ამბოხი კემბრიჯის წინააღმდეგ მხოლოდ ლექციების გაცდენით როდი გამოიხატებოდა. როდესაც სტუდენტ ბაირონს, არსებული წესების თანახმად, უარი უთხრეს ძაღლის ყოლაზე, მან სანაცვლოდ მოთვინიერებული დათვი იყიდა და თავისი საცხოვრებელი ოთახების ზემოთ მდებარე ექვსკუთხა სხვენზე დააბინავა. კემბრიჯელები მას ოთხფეხა მეგობართან ერთად მოსეირნეს ხედავდნენ.

აღშფოთებულ ხელმძღვანელობას კი ბაირონმა ცინიკური კითხვით უპასუხა: „განა არსებობს რაიმე დადგენილება, რომელიც კრძალავს კემბრიჯში დათვის შემოყვანას, მითუმეტეს, რომ ის აქ წოდების მისაღებადაა მოსული“.

„ხომ ვერ მეტყვოდით, ვეთაყვა, მოჩანს თუ არა გარედან სხვენის ის ნაწილი, სადაც ლორდ ბაირონს დათვი ჰყავდა,“ – ვკითხე კემბრიჯის უნივერსიტეტის მცველს.

„გამორიცხულია, ლორდ ბაირონს ან ვინმეს აქ ოდესმე ცოცხალი დათვი ჰყოლოდაო“, – მომიგო მან და თან სახეზე შეშფოთება დაეტყო. როგორც ჩანს, მან ან არ იცოდა ეს ცნობილი ეპიზოდი დიდი ინგლისელის ცხოვრებიდან, ან არ სურდა იმის დაშვება, რომ კემბრიჯის კანონიკურ მყუდროებას ოდესმე ვინმე არღვევდა.

1808 წლის 4 ივლისს კემბრიჯის უნივერსიტეტმა ლორდ ბაირონს მაგისტრის წოდება მიანიჭა. ბაირონი ნიუსტედში დაბრუნდა. „მშფოთვარე ვნებების მქონე ახალგაზრდას“, როგორც მას უნივერსიტეტში უწოდებდნენ, შინ ვინ დაუშლიდა ცხოველებთან მეგობრობას.

დათვი, მგელი, ზღარბი, კუ, ფარშეევანგი და სხვა მრავალი აქ მის გვერდით მშვიდად ბინადრობენ. შინაური ცხოველებიდან კი ის ძალღს ანიჭებდა დიდ უპირატესობას. როდესაც მისი უსაყვარლესი ბოტსვეინი, ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძაღლი, ცოფისაგან დაიღუპა, ბაირონმა იგი სასახლის ეზოში დაკრძალა, საფლავზე ძეგლი აუგო და ქვაზე მისდამი მიძღვნილი პოეტური სტრიქონები ამოტვიფრა. ეს ის ბოტსვეინი გახლავთ, რომელიც ნ. მაკკანის სურათზეა ასახული ბერგიჯ მენორთან.

1808 წელს გამოდის ბაირონის მცირე კრებული „Poems Original and Translated“ – „საკუთარი ლექსები და თარგმანები“. ამ კრებულში შესულ ნაწარმოებთაგან თავისუფლების მოყვარული სულით განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „I Would I Were A Careless Child“ – „ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია“ (იხ. გვ. 22).



გულწრფელი სიყვარულის უგულვებელყოფა საბედისწერო აღმოჩნდა თვით მერი ჩავორსისთვისაც. კანონიერ მეუღლეში მან ვერ ჰპოვა სულიერი მეგობარი. ქორწინებიდან სამიოდე წლის შემდეგ მერის ბაირონი შინ მიუპატიჟებია. ბაირონი სწვევია მას, მაგრამ მიმხვდარა, რომ მერის გვერდით ყოფნა სახიფათო იყო იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელიც მის გულში ღვიოდა. საჭირო იყო გარიდება. საუკეთესო გამოსავლად მას დიდი ხნის ოცნების განხორციელება მიაჩნდა – ემოგზაურა უცხო ქვეყნებში. ეს განცდა ბაირონმა გამოხატა 1808 წლის 2 დეკემბერს შექმნილი ლექსით “To A Lady on Being Asked my Reason for Quitting England in the Spring” – „ლედის, რომელმაც მკითხა, თუ რატომ მივემგზავრები ინგლისიდან გაზაფხულზე“ (იხ. გვ. 25).

საკმაოდ გავლენიანი შოტლანდიური ჟურნალი “The Edinburgh Review” – „ედინბურგის მიმოხილვა“, გამანადგურებელი რეცენზიით თავს დაესხა ახალგაზრდა პოეტს. ჟურნალს მიაჩნდა, რომ ავტორი არ ფლობდა ლიტერატურულ ენას და სასაცილოდ იგდებდა მის ლექსებს. აქვე გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ლორდ ბაირონი ვერასოდეს მიაღწევდა თუნდაც საშუალო სიმაღლეს პოეზიაში.

ამ თავდასხმას ბაირონმა უპასუხა სატირული პოემით “English Bards and Scotch Reviewers” – „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმოხილველები“. პოემა 1809 წელს დაიბეჭდა და მოკლე ხანში მან ოთხ გამოცემას გაუძლო. პოემის ასეთი წარმატება განპირობებული იყო არა მარტო ავტორის დიდი გაბედულობით, არამედ, პირველ ყოვლისა იმით, რომ მასში წარმოდგენილი იყო თანამედროვე ინგლისის ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება. ამ ნაწარმოებით დაიწყო ბაირონის პოლემიკა ისეთ დიდ პოეტ-რომანტიკოსებთან, როგორებიც იყვნენ „ლეიკისტები“ – „ტბის სკოლის პოეტები“ – ვოდსვორთი, კოლრიჯი და საუთი.

*„ჩვენ არ ვიქნებით მართალნი კაცობრიობის წინაშე, თუ არ მოვინახულეთ უცხო ქვეყნები. სწორედ ამ შთაბეჭდილებებით,*

და არა წიგნებით უნდა ვიმსჯელოთ მის შესახებ“, – წერდა ბაირონი დედამისს ერთ-ერთ წერილში.

ბაირონი მართლაც ეწვია უცხო ქვეყნებს. მოინახულა კუნძული მალტა, პორტუგალია, ალბანეთი, ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი. ამ პირველ მოგზაურობაში მას კომპანიონობას უწევდა მისი კემბრიჯელი მეგობარი, მომავალში ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ჯონ კემ ჰობჰაუზი. მათ, აგრეთვე, თან ახლდათ ბაირონის უსაყვარლესი პაჟი რობერტ რაშტონი და ბაირონის მსახური ვილიამ ფლეტჩერი. ჯორჯ სანდერსის ცნობილ ტილოზე ბაირონი რობერტ რაშტონთან ერთადაა გამოსახული წყალში შეცურებული ნავის ფონზე. ეს ტილო სანდერსს შეუსრულებია იმ პერიოდში, როდესაც ბაირონი აღმოსავლეთში გამგზავრებამდე ლონდონში იმყოფებოდა.

ისინი ბრიტანეთის საზღვაო ქალაქ ფალმაუსში (Falmouth) ჩადიან. ბაირონი აღფრთოვანებულია ქალაქის სილამაზით და ერთ-ერთი მეგობრისადმი აქედან მიწერილ წერილში შემდეგს ვკითხულობთ:

*„საამებელი და ამაღელვებელი მხარეა, არა მგონია, თავად საქართველოს შეეძლოს მეტოქეობა გაუწიოს მას... ჩვენ აქ ჰიაცინტებითა და სხვა სურნელოვანი ყვავილებით ვართ გარშემორტყმულნი, ვაპირებ, გაეკეთო ლამაზი თაიგული და იმ ეგზოტიკას შევადარო, რისი ნახვაც აზიაში მელის. ერთ ნიმუშს აუცილებლად თან წავიღებ“.*

ბაირონი გეგმავდა კიდევ საქართველოს მონახულებას. ყოველ შემთხვევაში ეს ასეა გაცხადებული მის მწარე სატირაში “English Bards and Scotch Reviewers” – „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“, რომელიც პოეტმა გამგზავრებამდე ორიოდე თვით ადრე დაწერა.

სატირა მიმართულია იმ საკმაოდ ავტორიტეტული ჟურნალის საპასუხოდ, რომელმაც გამანადგურებელი რეცენზია გამოაქვეყნა მის პირველ ლექსთა კრებულზე. მისი მოგზაურობის გეგმებიც ამ ნაწარმოებში კპოვებენ გამოძახილს.

პოეტი ემშვიდობება ბრიტანეთს. ხომალდი იალქნის ასაშვებადაა გამზადებული. მას აფრიკის ნაპირები, გიბრალტარის კლდოვანი მთები და სტამბულის მინარეთები ელიან. „და იქიდან კი, — ამბობს პოეტი, —

მინდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს,  
სად კავკასიონს კლდით შემოსილს, პირქუშს, მრისხანეს  
გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი მყინვარე“.

„სილამაზის მშობლიურ მხარეში“ საქართველო იგულისხმება. ბაირონის პოეტურ თხზულებათა სრულ კრებულში, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. გამოიცა ტომას მურის, ვოლტერ სკოტის, სემუელ როჯერსისა და სხვათა მონაწილეობით, აღნიშნულ ფრაზას თან ახლავს ერთსიტყვიანი კომენტარი „Georgia“ — საქართველო. ამ პოეტური სტრიქონის შინაარსი კი, ისევე როგორც ფალმაუსიდან მიწერილი წერილი, უცნობი რჩებოდა საქართველოსათვის.

მარად ჭეშმარიტი შთაგონების წყაროა ბაირონისათვის კავკასიონი. შთამბეჭდავია სცენა, რომელიც კავკასიონის მთების ფონზე თამაშდება მისტერიაში „ცა და დედამიწა“. „სარდანაპალში“ კი ქალის წამოწითლებულ სახეს პოეტი კავკასიონზე დაისის მზით ავარდისფრებულ ქათქათა თოვლს ადარებს. „ღრუბლებით გარს შემოვლებული კავკასიონი, სადაც მარად არწივები ბუდობენ“, მისი გმირებისთვისაც საოცნებო მხარედ ქცეულა. ასურეთის უკანასკნელი მეფე სარდანაპალი ასე მიმართავს მიჯნურ ქალს: „ნეტავ კავკასიონის მთებში პატარა ქოხში მაცხოვრა შენთან ერთად. მე იქ შვებით დავთმობდი გვირგვინს ყვავილების გვირგვინის ფასად“.

კავკასიონისა და კავკასიის ცოდნა ბაირონისათვის მარტო საქართველოს ცოდნით არ განისაზღვრება. იგი არაერთხელ მოიხსენიებს არარატის მთას, სომხეთს, თუ ჩერქეზეთს. აღსანიშნავია, რომ 1816-17 წლებში, იტალიაში ყოფნის დროს ბაირონი ხშირი სტუმარია ვენეციიდან ორი მილის დაშორებით მდებარე წმინდა ლაზარეს კუნძულისა, სადაც 1717 წლიდან მხიტარისტების სომხური მონასტერი მოქმედებდა. ბაირონი

დაინტერესებულა სომხურით, როგორც აღმოსავლურ ენათა-  
გან ერთ-ერთი ურთულესი ენით, და უცდია კიდეც იქ ყოფნის  
პერიოდში დაუფლებოდა მას.

მაგრამ თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სულიერ სიახ-  
ლოვეს, მაშინ კავკასიის ქვეყნებს შორის, და არა მარტო კავ-  
კასიისა, საქართველო განსაკუთრებულად წარმოჩინდება –  
ის, რაც ასე შთამბეჭდავად დააჩნდა ბაირონის სულსა და შე-  
მოქმედებას, კერძოდ, პრომეთე და მედეა, – მკვეთრად ატყვია  
ქართულ მითოსსა და ქართულ ხასიათს.

ბაირონისეული მსოფლიო მწუხარება განსაკუთრებული  
სიძლიერითაა ასახული დრამატულ პოემაში „მანფრედი“. ბაი-  
რონის თანამედროვენი დიდ მსგავსებას ხედავდნენ ბაირონის  
„მანფრედსა“ და ფაუსტის თემას შორის, განსაკუთრებით კი  
გოეთეს „ფაუსტს“ შორის, მითუმეტეს, რომ ორივე ნაწარმოე-  
ბი ერთსა და იმავე ეპოქაში შეიქმნა და ორივეს თემა ცოდნის  
პრობლემაზე აღმოცენებული ტრაგედიაა. ამის საპასუხოდ ბა-  
ირონი წერდა თავის გამომცემელსა და მეგობარს ჯონ მარის:  
„რის ფაუსტი, რა ფაუსტი. მარლოს „ფაუსტი“ არც კი წამი-  
კითხავს, დადგმულიც არსად მინახავს. გოეთეს „ფაუსტიდან“  
კი მხოლოდ რამდენიმე ნაწვეტი მითარგმნეს ზეპირად. იქიდან  
ზოგიერთი მომეწონა, ზოგიერთი კი – არა. ხოლო რაც შეეხება  
ესქილეს „პრომეთეს“, ეს სწორედ ისაა, რამაც ბავშვობიდანვე  
შემძრა. ეს იმ ბერძნულ პიესათაგანია, რომელსაც ჰაროუს  
სკოლაში წელიწადში სამჯერ მაინც ვკითხულობდით. მათგან  
ჩემს სულს მხოლოდ ორი ეხმიანებოდა – „პრომეთე“ და „მე-  
დეა“. თუ „პრომეთეს“ მონაწილეობა მე ყოველთვის არ დამისა-  
ხავს შემოქმედებითი გეგმებით, ის იმდენადაა ჩემში გამჯდა-  
რი, რომ დღეს არცთუ ძნელი მისახვედრია, რაოდენ დიდია მი-  
სი გავლენა ყველაფერზე, რაც კი ოდესმე დამიწერია“. ჭეშმა-  
რიტად პრომეთესეული ცეცხლი ანთია მანფრედის ხასიათში  
და პრომეთესეულია მისი მოქმედების ასპარეზიც.

მრავალ ისტორიულ და ლეგენდარულ სახეს უპირისპირებს  
ბაირონი დაცემული ნაპოლეონის სახელს და მაინც, სწორედ  
პრომეთეს გმირობის, კაცთმოყვარეობისა და ღირსების სიმალ-

ლიდან ამხელს იგი ყოფილი კერპის უსუსურობას ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ოდაში.

პრომეთესა და ამირანს შორის არსებული ტიპოლოგიური მსგავსება მითოლოგიაში საშუალებას გვაძლევს სულიერი სი-ახლოვე ამოვიკითხოთ ბაირონსა და საქართველოს შორის.

რაც შეეხება მედეას სახეს, ბაირონი მრავალჯერ მიმართავს მას, დაწყებული პირველი თავისუფალი ფრაგმენტული თარგმანებიდან (იგულისხმება ევრიპიდეს „მედეა“), დამთავრებული შუა გზაზე შეწყვეტილი „დონ ჟუანით“. კოლხი ქალის ტრაგიკულ ბედსა და მგზნებარე ხასიათს სულის სიღრმემდე შეუძრავს და მოუნუსხავს პოეტი. ბაირონისეული სინაზე ამო-იკითხება მედეასადმი თანაგრძნობაში. „მშვენიერი ვენერა“, „ჩემი მის მედეა“, – ასე მოიხსენიებს მას ხშირად პოეტი. მედეას სახე ბაირონთან არგონავტების, ოქროს საწმისის, იასონისა და კოლხეთის გარემოცვაშია წარმოდგენილი.

ბაირონის მკითხველს კარგად მოეხსენება გამიჯნურებათა მონაცვლეობა მის პირად ცხოვრებაში. და, აი, ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებული მომხიბვლელობით იკვეთება პოეტის სულიერი იდეალი, რომელსაც იგი ცხოვრების მანძილზე ესწრაფვოდა. ერთხელ, როდესაც, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ბაირონი თავის უიღბლო ქორწინებაზე მოსთქვამდა, დასცდენია, მე მედეა უნდა შემხვედროდაო, ჩემთვის მედეა იყო საჭირო, სხვა ყველასთან კი იგივე მელოდაო.

როგორც ცნობილი ამერიკელი ბაირონოლოგი ლესლი მარშანდი აღნიშნავს, პირველი მოგზაურობისას ბაირონს უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გახდეს მსოფლიო მოქალაქე, რაც მის ყოველ მოქმედებაში აისახება. ამიტომაც 1810 წლის 23 ივნისით დათარიღებულ წერილში ასე მიწერს დედას:

*„მე მსურს ვიყო მსოფლიო მოქალაქე“.*

მოგვიანებით, 1811 წლის 14 იანვარს ისევ დედისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

*„მე აქ ვხედები და ვესაუბრები ფრანგებს, იტალიელებს, გერმანელებს, დანიელებს, ბერძნებს, თურქებს... და ა. შ. და ა. შ. ისე, რომ არ დავკარგო საკუთარი შეხედულება, მე შემიძლია ვიმსჯელო უცხო ქვეყნებსა და მათ ზნე-ჩვეულებებზე. თუ ვხედავ ინგლისის უპირატესობას (რაშიც, სხვათა შორის, ჩვენ ბევრს ვცოდავთ მრავალი ასპექტით), მე ეს მახარებს, მაგრამ თუ ის სხვაზე ნაკლებია, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ეს მე მანათლებს. შინ რომ დავრჩენილიყავი, ხომ ვიქნებოდი თქვენს ქალაქებში გაბოლილი და თქვენი ქვეყნის ნისლში საუკუნოდ გახვეული. ამ ყველაფერს ვერც გავიგებდი და ვერც რაიმე უკეთესს, ან უფრო საამებელს შინ ვერ მოვეწეოდი.“*

1809 წლის დეკემბერში, შობა დღეს, ბაირონი და მისი მეგობარი ჰობჰაუზი ათენს ეწვივნენ. იმხანად ათენში სასტუმრო, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ამიტომ ბაირონმა ბინა იქირავა. ეს იყო ქვრივი ქალის, გვარად მაკრის სახლში, რომლის მეუღლე ბრიტანეთის ვიცე-კონსული ყოფილა. ქალს სამი მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა: ტერეზა, მარიანა და კატინკა. სამივე 15 წლამდე ასაკის ყოფილა. როგორც ჩანს, ყველაზე სათნო და თვალწარმტაცი ტერეზა იყო. ეს კი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ 21 წლის ბაირონი სიყვარულის მორევში გადაშვებულიყო, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ შორიდან უფაქიზეს ტრფიალში გამოიხატებოდა.

აღბათ, საინტერესოა ისიც ვიცოდეთ, თუ როგორ გამოიყურებოდა იმხანად თავად ლორდ ბაირონი. ისტორიას შემორჩა ინგლისელი მოგზაურის საინტერესო ჩანაწერი, რომელსაც შემთხვევით უნახავს აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქალაქში თუთუნის მაღაზიაში შესული ლორდი. აი, როგორ აღწერს ის ბაირონს:

*„მას ტანთ ემოსა მდიდრული, ოქროთი მოქარგული, მოწისფერი მუნდირი. მხრებზე მძიმე ეპოლეტები ეკეთა, სახის ნაკეთები საოცრად დახვეწილი ჰქონდა, რასაც შეედლო მისთვის ქალური იერიც კი მიეცა, რომ არა მისი*

*მშენიერი ლურჯი თვალების მამაკაცური გამომეტყვე-  
ლება. როდესაც მან ბუმბულით დამშვენებული ქუდი მო-  
იხადა, გამოუჩნდა მუქი და ხვეული ყავისფერი თმა. რა-  
მაც სრულად გამოააშკარავა მისი სახის უჩვეულო სილა-  
მაზე.“*

მაკრის სახლში ცხოვრების პერიოდში ბაირონს კვლავ სტამბულში წასვლის საშუალება მისცემია და გამგზავრების წინ ლექსით აღუბეჭდავს თავისი ტრფიალი ტერეზა მაკრისად-  
მი. ეს გახლავთ ცნობილი ლექსი “Maid of Athens” – „ათენელ ქალწულს“ (იხ. გვ.27).

ამ ლექსის გამო არანაკლებ ცნობილი შეიქნა თავად მშენიერი ტერეზა მაკრი. მოგვიანებით ტერეზა ცოლად მისთხოვ-  
და ინგლისელს, გვარად ბლაკს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბა-  
ირონისაგან ლექსით უკვდავყოფილი, ის მთელი ცხოვრება ნე-  
ბივრობდა. ამ ლექსზე შარლ გუნოს მუსიკა დაუწერია, თუმცა,  
თავად ცალკე აღებული ლექსი უკვე იყო მუსიკა. სახლი, რო-  
მელშიც მაკრის ოჯახი ცხოვრობდა, ახლა აღარ არსებობს,  
მაგრამ ათენელებმა კარგად იციან ეს ადგილი ახლანდელი მო-  
ნასტერაკის უბანში.

1810 წლის აპრილში ბაირონი ჰელესპონტს, ანუ დარდანე-  
ლის სრუტეს მიადგა, სადაც მან ტროას ლეგენდარული ადგი-  
ლები მოინახულა.

შთამბეჭდავი წარმოსახვა წარსულს, თუნდაც მითიურსა და  
ლეგენდარულს, მის წინაშე რეალობასავით აცოცხლებდა. უფ-  
რო მეტიც, ბაირონს თავად უჩნდებოდა ამ რეალობაში მონაწი-  
ლეობის სურვილი. ახლა მის წინაშე ჰელესპონტის მითი გა-  
ცოცხლებულიყო.

როგორც მოგეხსენებათ, დარდანელის სრუტე, რომლის  
ძველი სახელია ჰელესპონტი და რომელიც ეგეოსისა და მარ-  
მარილოს ზღვებს აერთიანებს, ყოფს ევროპას აზიისაგან. ძვე-  
ლი ბერძნული თქმულების თანახმად, ქალაქ აბიდოსში, რომე-  
ლიც აზიის ნაპირზე მდებარეობს, ცხოვრობდა ჭაბუკი, სახე-  
ლად ლეანდრი. ევროპის ნაპირზე მდებარე ქალაქ სესტოსში

ცხოვრობდა მშვენიერი ჰერო, აფროდიტეს (იგივე ვენერას) ტაძრის ქურუმი. ლეანდრს გატაცებით შეჰყვარებოდა ჰერო და ყოველ ღამით სრუტის ცივ ტალღებს აპობდა, რათა მეორე ნაპირზე გადასულიყო, სადაც მას ჰერო მოუთმენლად ელოდა. მიჯნურის მოლოდინში ჰერო კოშკზე ჩირაღდანს ანთებდა და ამით გზას უნათებდა მისკენ მიმავალ რაინდს.

ერთ ავბედით ღამეს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ჭაბუკს ტალღების სიძლიერე ჯაბნიდა. კოშკზე ჩირაღდანიც ჩამქრალიყო. ლეანდრი ღელვამ დაახრჩო. ტალღებმა მისი უსიცოცხლო სხეული ევროპის ნაპირზე მიაცურეს და ჰერომ თავისი თვალთ იხილა მკვდარი მიჯნური. სასოწარკვეთილი ქალი კოშკიდან ზღვაში გადაეშვა და თავი დაიხრჩო.

ვინ უწყის, ყოველივე მართალი იყო თუ არა, მაგრამ როგორც ბაირონი დარწმუნდა, ერთი რამ უტყუარი იყო: ეს სრუტე მოკვდავს მას შემდეგ აღარასოდეს გადაეცურა. ბაირონს სურვილი გაუჩნდა, ლეგენდარული ლეანდრის გმირობა საკუთარ თავზე გამოეცადა. ინგლისური ფრეგატის მეზღვაურებს შორის მან კომპანიონიც მონახა, ლეიტენანტი ეკენჰენდი. აპრილის თვეში მათ წყალს პირი მოუსინჯეს, მაგრამ თავი შეუკავებიათ, რადგან სრუტე ყინულოვით ცივი იყო და დინებაც ძალიან სწრაფი ჩანდა. 1810 წლის 3 მაისს მათ ეს გაბედეს და ფრიალ წარმატებულად.

ჰობჰაუზი აკეთებს ჩანაწერს დღიურში:

*„ბაირონი და ეკენჰენდი ახლა ჰელესპონტზე მიცურავენ – ჩემ წინ ოვიდიუსის ჰერო და ლეანდრი ცოცხლდებიან“.*

ბაირონი კი დაწერს:

*„მთლიანი მანძილი, რომელიც მე და ე.-მა (იგულისხმება ეკენჰენდი. – ი. მ.) დავფარეთ, ოთხ მილს აღემატება, თუმცა თავად სრუტის სიგანე ერთ მილზე მეტი არაა. დინების სისწრაფე აქ ისეთია, რომ ვერც ერთი ნავი სრუტეს პირდაპირ ვერ გადაკვეთს; ამაზე გარკვეულ წარმოდ-*



*გენას ის გარემოებაც ქმნის, რომ ერთ-ერთმა ჩვენთაგან-  
მა ეს მანძილი საათსა და ხუთ წუთში დაფარა, ხოლო მე-  
ორემ – საათსა და ათ წუთში. წყალი იყო უჩვეულოდ ცი-  
ვი მთებიდან ჩამოტანილი თოვლის გამო... ვერ ვიტყვი,  
დავიქანცეთო, მაგრამ გავცივდით, და, ცოტა არ იყოს,  
გავვიჭირდა კიდევ.“*

ყოველივე ამას ბაირონი მოგვიანებით „დონ ჟუანშიც“ აღ-  
წერს (მეორე სიმღერა, ლექსი CV).

ამ გმირული ნაბიჯიდან ექვსი დღის თავზე ბაირონი წერს  
მხიარულ სტრიქონებს “Written After Swimming From Sestos to  
Abydos” – „სესტოსიდან აბიდოსამდე“ (იხ. გვ. 29).

ამ დროისათვის ბაირონს ლისაბონში ყოფნისას უკვე გადა-  
ეცურა მდინარე ტაგუსი, რაც გაცილებით უფრო ძნელი იყო,  
მაგრამ ჰელესპონტის ასოციაციები ბევრად უფრო რომანტი-  
კულად ესახებოდა. ამიტომაც, ის სწორედ ამ უკანასკნელით  
ამაყოფდა. ამის გამო, ალბათ, ბაირონს მიმბაძველებიც გამო-  
უჩნდნენ, და დღეს ჰელესპონტის გადაცურვა ბაირონის სახელ-  
თან უფროა ასოცირებული. ამასთან კავშირში მოვიხსენიებთ  
ნოტინგემელ მხატვარს, ფოტოხელოვანსა და მსახიობს, ნიკ  
მაკკანის. ეს სწორედ ის მსახიობი ნიკ მაკკანი გახლავთ, რომ-  
ლის არაერთი ტილო ამშვენებს ბერგიჯ მენორს – ბაირონე-  
ბის სახლს, საზველში. ბაირონით შთაგონებული მაკკანი არა  
მარტო ხატავს ბაირონს და ასახიერებს მისი ცხოვრების ამა  
თუ იმ სცენას, არამედ, როგორც სპორტსმენი ცდილობს შეე-  
ჯიბროს ბაირონს. 1987 წელს, პირველ ივლისს საათსა და ორ-  
მოცდაშივე წუთში მიკ მაკკანიმ გადაცურა ჰელესპონტი, ხო-  
ლო მომდევნო 1988 წელს, ვენეციაში, დიდი არხის გადაცურვა  
მან ბაირონის დაბადებიდან 200 წლისთავს მიუძღვნა. რო-  
გორც თავად აღნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბა-  
ირონმა სრუტე საათსა და ათ წუთში გადაცურა, პოეტი გაწა-  
ფული ათლეტი უნდა ყოფილიყო. ამას იმასაც დავუმატებდით,  
რომ მაკკანიმ სრუტე გაცურა ივლისის პირველ რიცხვში, ხო-  
ლო ბაირონმა გაცილებით უფრო გრილ მაისში.

საბერძნეთში ბაირონი არაერთხელ გამხდარა ავად ციებ-ციხელებით. ერთ-ერთი ავადმყოფობის დროს მეგობრებს მიუყვანიათ ექიმი, რომელმაც მართლაც ძალ-ღონე არ დაიშურა ახალგაზრდა ლორდის გადასარჩენად. ექიმის გვარი გახლდათ რომანელი (Romanelli). ეს ყოველივე აისახა პატარა ეპიტაფიაში "My Epitaph" – „ჩემი ეპიტაფია“ (იხ. გვ. 31).

გაციებისა და ავადმყოფობის შედეგად ბაირონს საგრძნობლად დაუკლია წონაში. გამოჯანმრთელების შემდეგ ბაირონი ცდილობდა, დიეტით შეენარჩუნებინა წონა და იკვებებოდა მხოლოდ ბრინჯითა და ბოსტნეულით. 17 წლის ასაკში ბაირონის წონა ხომ 90 კილოგრამს აღემატებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი არ იყო ძლიან მაღალი, ეს წონა მას უდავოდ აწუხებდა. ამდენად, გამორჩეული სილამაზის ლორდი ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის მანძილზე გამუდმებით ებრძოდა ამ სენს. ვერ ვიტყვით, რომ ის შედეგს არ აღწევდა, რადგან მუდმივი დიეტისა და შიმშილის წყალობით მისი წონა შემდგომში 70 კგ. ფარგლებში მერყეობდა.

როდესაც ბაირონი თურქეთიდან კვლავ ათენში დაბრუნებულა, ახლა უკვე სხვა საცხოვრებელი ადგილი მოუნახავს, რამეთუ ტერეზა მაკრის დედა სერიოზულ შედეგებს მოელოდა ბაირონის მხრიდან. მას სურდა, რომ ახალგაზრდა ლორდს მისი ქალიშვილი ცოლად შეერთო, რაც ძალიან შორს იყო ბაირონის გეგმებისაგან.

ლორდ ბაირონი ამჯერად აკროპოლისის ძირში, კაპუცინის მონასტერში დასახლდა, სადაც მან მრავალი უკვდავი სტრიქონი შექმნა.

როგორც ჩანს, საბერძნეთის ცისა და ზღვის ლაყვარდი, მისი დიდი წარსული სხვა ძალით აღაფრთოვანებდა პოეტის შთაგონებას, სხვა ხიბლით უფერადებდა სტრიქონს, სხვა სევდით უნაღვლიანებდა ისედაც მწუხარე გულს – თურქეთის უღელქვეშ მყოფი ელადა ხომ დაკნინებული, დაბეჩავებული და გაძარცული დახვდა ბაირონს. ამიტომაც იტყვის პოეტი: „საბერძნეთო, საბერძნეთო... შენი მზის გარდა, აქ ყველაფერი

ჩასვენებულა“. თავისი შთაბეჭდილებები კი ეღვარდ ტრელონისათვის მოგვიანებით ასე გაუხიარებია:

*„საბერძნეთში მოგზაურობისას მე და ჰობსპაუზი ყოველდღე ვკინკლაობდით. მას აინტერესებდა ლეგენდარული თქმულებები, ტოპოგრაფია, წარწერები... რუკითა და კომპასით ხელში ის პინდოსისა და პარნასის ძირას დაყილობდა და ამა თუ იმ უძველესი ტაძრის ან ქალაქის ადგილმდებარეობას ადგენდა. მე კი ჩემი სახედრით ზევით-ზევით მივიწვედი. მინდოდა მენახა ის, რაც ბავშვობიდან მოსვენებას არ მაძლევდა: ფიჭვები, არწივები, ორბები და ჭოტები, რომლებიც იმათი შთამომავლები იყვნენ, თემისტოკლე და ალექსანდრე რომ უყურებდნენ, და რომლებმაც, ადამიანების მსგავსად, დეგენერაცია არ განიცადეს. მივაჩერდებოდი ხოლმე ვარსკვლავებს და ფიქრს მივეცემოდი, ჩაწერით არაფერს ვიწერდი და არც არავის არაფერს ვეკითხებოდი.“*

საბერძნეთით აღფრთოვანებული ბაირონი, ამ ქვეყანას, უდავოდ, თავისი ავ-კარვით ხელავდა. აი, რას წერდა ის საბერძნეთის შესახებ:

*„ძალიან მომწონს ბერძენი ხალხი, ისინი დიდი მატყუარები არიან ყველა თურქული მანკიერებით, თუმც მათი გამბედაობა აკლიათ. ზოგიერთი ბერძენი მართლაც მამაცია, მაგრამ ყველანი განურჩევლად ლამაზები არიან.“*

იმხანად კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის ელჩი გახლდათ ლორდ ელგინი. ისარგებლა რა საბერძნეთის დასუსტებით, ლორდ ელგინმა მოხსნა კარიატიდის ერთ-ერთი ქალწულის ქანდაკება აკროპოლისზე ერეხთენონის ტაძრიდან, აგრეთვე მოხსნა პართენონის ფრიზები, კიდევ მრავალი სხვა რამ და ეს ყველაფერი ინგლისს გააგზავნა, რათა შემდგომ ბრიტანეთის მუზეუმისათვის მიეყიდა, სადაც ისინი დღესაცაა დაცული. ბაირონი წინ აღუდგა ამგვარ მოქმედებას, შეაფასა, როგორც ძარცვა და საქვეყნოდ ამხილა. („ინგლისელი ბარდები და შოტ-

ლანდიელი მიმომხილველები“, „მინერვას წყევლა“, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“). მის მეგობარ ჯონ კემ ჰობჰაუსს ასეთი არგუმენტი მოუშველიებია ლორდ ელგინის დასაცავად, რომ თითქოსდა ამ საგანძურის ლონდონის მუზეუმში მოქცევა ხელს შეუწყობდა ინგლისში მომავალი არქიტექტორებისა და მოქანდაკეების აღზრდას. ამაზე ბაირონს მისთვის ჩვეული გონებაძახვილობითა და იუმორით უპასუხია: „თურმე ათენი იმისათვის იძარცვება, რომ ინგლისელებმა ძეგლების გამოქანდაკება ისწავლონ. მათ კი ამის ისეთივე ნიჭი აქვთ, როგორც ეგვიპტელებს ციგურებით სრიალისო“.

ხუმრობა ხუმრობად დარჩა, მაგრამ ეს ყოველივე სამუდამო იარად დააჩნდა ბაირონის გულს. ალბათ, ამიტომაც საკვირველი არაფერი იყო იმაში, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ხმა გაერცვლდა, ბაირონის აჩრდილი ნახეს, ბრიტანელებს საბერძნეთისათვის საგანძურის დაბრუნებას ევედრებოდაო. ეს დეტალი მოხერხებულად შეახსენა ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებას თავის მჭერმეტყველურ გამოსვლაში ამერიკელმა პროფესორმა მარსელო გარინომ ჯერ კიდევ 1994 წელს, ათენში გამართულ კონფერენციაზე. ამას წინ ისიც უძლოდა, რომ იმხანად საბერძნეთის კულტურის მინისტრმა, აწ განსვენებულმა ქალბატონმა მელინა მერკურიმ, 50 ქვეყნის წამყვან მოღვაწეთა ხელმოწერები შეაგროვა და ბრიტანეთის მთავრობას საბერძნეთისათვის ძეგლების დაბრუნების თხოვნით მიმართა, თუმცა ამაოდ. დღეს ამ კეთილშობილურ წამოწყებას სათავეში უდგას ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, ცნობილი ბრიტანელი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ვილიამ სენტ კლერი, რომელიც იმედოვნებს, რომ საკითხი საბერძნეთისათვის დადებითად გადაწყდება.

ბაირონი წინ აღუდგა ამგვარ ძარცვას არა მარტო საბერძნეთისადმი სიყვარულის გამო, არამედ, საერთოდ, კაცთმოყვარეობის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი წერილი დედისადმი,

რომელშიც. ის საკუთარ მსახურზე, მის ერთგულ ვილიამ ფლეტჩერზე გამოთქვამს საყვედურს:

*„ესარგებლობ შემთხვევით და გწერთ, როგორც ყოველთვის, მოკლედ, მაგრამ მალ-მალე, რადგან მუდმივი კავშირის არქონის გამო, არ ვიცი, როდის მიიღებთ ჩემს წერილს... მე მგონი, უკვე რამდენჯერმე მოგწერეთ იმის შესახებ, რომ გადავცურე ჰელესპონტი სესტოსიდან აბიდოსამდე (ლეანდრს მივბაძე, თუმც მიჯნურის დახმარების გარეშე). ყველაფერს ამას ფლეტჩერი ვიამბობთ, რომელიც მე შინ გამოვაგზავნე. ის ჩემთვის დანაკარგი არ არის... აუტანელი იყო მისი გაუთავებელი წუწუნის, ლუდისა და საქონლის ხორცის მონატრება, მისი დაუოკებელი სიძულვილი ყოველივე უცხოურისადმი და დაუძლეველი უნიჭობა, ესწავლა თუნდაც რამოდენიმე სიტყვა რომელიმე ენაზე. ის ჩემთვის დიდი ტვირთი იყო, როგორც ყველა ინგლისელი მსახური...“*

საბერძნეთი განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ბაირონისთვის შემოქმედების თვალსაზრისით. აქ, საბერძნეთში, დაიწერა „ჩაილდ ჰაროლდის“ I და II სიმღერები, „მინერვას წყევლა“ და არაერთი ლირიკული ლექსი. მათ შორისაა ორსტროფიანი ლექსიც „Lines Written Beneath a Picture“ – „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“ (იხ. გვ. 32). დღეს გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ლექსი „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“ ქართველი ქალისადმია მიძღვნილი და შთაგონებულია პოეტის ცხოვრების სწორედ იმ ეპიზოდით, რომელიც მცირე აზიაში მოგზაურობის დროს ქართველ ქალთან შეხვედრას გულისხმობს, რაზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება პორტრეტს, სამწუხაროდ, ის დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მის არსებობაზე მიგვანიშნებს საკუთრივ პოეტის წერილი დედისადმი, სადაც აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ათენში ბაირონისათვის ხატავდა ცნობილი ბავარიელი მხატვარი. ამ დროს ლორდ ბაირონი კაპუცინის მონასტერში ცხოვ-

რობდა. აი რას წერდა ბაირონი თავის მეგობარ ჰოჯსონს 1811 წლის 20 იანვარს, ე. ი. იმ თვეში, როდესაც შეიქმნა „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“:

*„მე ახლა კაპუცინის მონასტერში ვცხოვრობ. ჩემ უკან აკროპოლისია, ჩემგან მარჯვნივ – ტაძარი, ჩემ წინ სტადიონია, ხოლო ჩემგან მარცხნივ – ქალაქი. აქ არ მოიწყენ, აქველაფერი თვალწარმტაცია“.*

რა კომენტარი შეიძლება გავუკეთო იმას, რომ ათენში ჩასულს საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სადაც გავაკეთე მოხსენება „ბაირონი, საბერძნეთი და საქართველო“, სადაც პირველად ვისაუბრე აღნიშნული ლექსის სავარაუდო კავშირზე ქართველ ქალთან, და სადაც პირველად წავიკითხე ჩემ მიერ ქართულად თარგმნილი ეს ლექსი, ბერძენმა კოლეგებმა, სრულიად შემთხვევით (რასაც ბაირონი არავითარ შემთხვევაში „შემთხვევითს“ არ უწოდებდა) დამითმეს აპარტამენტი, რომლის აივანი შევლისა და ბაირონის ქუჩებს გადაჰყურებდა, ჩემ წინ აკროპოლისი აღმართულიყო, მარჯვნივ – ძველი ქალაქი, ხოლო მარცხნივ, სულ ორ ნაბიჯზე ჩემგან, თვით ცნობილი კაპუცინის მონასტრის ნანგრევები, ახლა უკვე ქალაქის ღირსშესანიშნაობად ქცეული, სადაც ცხოვრობდა და ქმნიდა უკვდავ სტრიქონებს ლორდ ბაირონი. იქ მართლაც „ყველაფერი თვალწარმტაცია“ იყო.

ბაირონის პირველი მოგზაურობა უმთავრესად „ჩაილდ ჰაროლდის“ I და II სიმღერებში აისახა. 1811 წლის 14 ივლისს ბაირონი სამშობლოში დაბრუნდა. ზუსტად ორი წელი და ორი კვირა გასულიყო იმ დღიდან, როდესაც ბაირონი აღმოსავლეთში გაემგზავრა. გზიდან დედისათვის წერილი მიუწერია, სადაც მას ატყობინებდა, რომ ლონდონში საქმეების მოგვარების შემდეგ დაუყოვნებლივ ჩავიდოდა მასთან ნიუსტელში, თან დასძენდა, აღმოსავლეთიდან ძვირფასი შალი და ვარდის ზეთი მომაქვს თქვენთვის საჩუქრადო.

მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველ აგვისტოს ლონდონში მას შეატყობინეს დედის ავადმყოფობის ამბავი, ხოლო ვიდრე ბაი-

რონი გამგზავრებას შეძლებდა, მას უკვე მსახური ეახლა მისის ბაირონის გარდაცვალების ცნობით.

მიუხედავად დედა-შვილს შორის მუდმივი უთანხმოებისა, ბაირონისათვის დედის გარდაცვალება უმძიმესი დარტყმა ყოფილა. ერთ-ერთი მსახური ქალი ნაცნობებთან საუბრისას ხშირად იხსენებდა, თუ როგორ იხილა ახალგაზრდა ლორდი დედის ცხედართან განმარტოებული, როგორი ცხარე ცრემლით დასტიროდა დედას და როგორ მოსთქვამდა: „ქვეყნად თქვენ ერთი მყავდით მეგობარი და თქვენც მიმატოვეთ“.

დედის გარდაცვალებას კიდევ ბევრი სხვა საყვარელი ადამიანის დაკარგვა მოჰყვა. მისის ბაირონი დაკრძალული არც იყო, როდესაც ბაირონმა კემბრიჯელი მეგობრის, ჩარლზ სკინერ მათიუზის დაღუპვის ამბავი შეიტყო. ჩარლზ მათიუზი სწორედ იმ გრანჩესტერის ტბაზე დაიხრჩო, რომელსაც ხშირად მიაშურებდა ხოლმე თავად ბაირონი კემბრიჯში ყოფნის დროს.

ამას მოჰყვა ჰაროუს სკოლის მეგობრის ჯონ ვინგფილდის სიკვდილი, აგრეთვე სიკვდილი კიდევ ორი მეგობრის, ტატერსოლისა და ლონგისა. ხოლო მოგვიანებით მას აცნობეს, რომ მისი არყოფნის პერიოდში გარდაცვლილიყო ჯონ ედელსტონი, კემბრიჯის ქოროს მომღერალი ბიჭუნა, რომელსაც ბაირონი დიდად მეგობრობდა და მფარველობდა.

სწორედ ამ პერიოდში, 1811 წლის შემოდგომით, ნიუსტედში ყოფნისას ბაირონი სევდით აღსავსე სტრიქონებს უმატებს „ჩაილდ ჰაროლდს“ და ქმნის ლექსს „To Thyrsa“ – „თირზას“ (იხ. გვ. 33), რიგით პირველს თირზასადმი მიძღვნილი ლექსების სერიიდან. თირზასადმი მიძღვნილი ექვსი ლექსის ადრესატი ყოველთვის საიდუმლოებით იყო მოცული. ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ თავად ბაირონი არასოდეს ამხელდა, თუ ვის გულისხმობდა თირზას მიღმა. როგორც ცნობილია, ბაირონმა მეუღლეს არაერთხელ უჩვენა ქალის თმა და უთხრა, რომ იგი ეკუთვნოდა თირზას – ქალიშვილს, რომელიც დაიღუპა მისი მოგზაურობის პერიოდში. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, ბაირონის თანახმად, ეს სახელი პირობითია და შე-

მორჩა მის მეხსიერებას ბავშვობაში წაკითხული ლიტერატურიდან (გესნერი), სადაც კაენის ცოლს ერქვა მაგალა, ხოლო აბელისას – თირზა.

მრავალწლიანი კვლევისა და ძიების შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ თირზასადმი მიძღვნილი ციკლი ლექსებისა შთაგონებული უნდა იყოს იმ ქართველი გოგონას დაღუპვით, რომლის ამბავიც აღწერილია 1825 წელს ლონდონში ანონიმურად დასტამბულ სამტომეულში: "The Life, Writings, Opinions and Times of the Right Hon. G. G. Noel Byron, Lord Byron" („ცხოვრება, თხზულებები, შეხედულებანი და დრონი მისი უგანათლებულესობის ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონის, ლორდ ბაირონისა“).

როგორც თავფურცელი მოწმობს, წიგნის ავტორია საბერძნეთის სამხედრო სამსახურში მყოფი ინგლისელი ჯენტლმენი, მეგობარი მისი უგანათლებულესობისა, რომ წიგნი ასახავს იმ მასალას, რომელიც მოთავსებული იყო ბაირონის მემუარებში და რომელიც გარდაცვალების შემდეგ უნდა გამოცემულიყო, მაგრამ განადგურდა.

როგორც ფართო საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ბაირონის მემუარები პოეტის გარდაცვალებისთანავე გაანადგურეს მისმა მეგობრებმა იმ მოსაზრებით, რომ მისი სახელისათვის სკანდალი აერიდებინათ, რამაც, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი ეჭვი და ჭორი შემატა მტრობაში ისედაც შეღახულ სახელს პოეტისა. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დაუვებრუნდებით.

მრავალ საინტერესო ეპიზოდთან ერთად, წიგნის მესამე ტომში სრულ ათ გვერდზე მოთავსებულია ამაღელვებელი ამბავი ბაირონის ქართველ ქალთან შეხვედრისა, რაც არასოდეს ყოფილა საქართველოსთვის ცნობილი. შემოკლებით, მაგრამ ტექსტთან ახლოს, გთავაზობთ წიგნში მოთხრობილ ამბავს.



1809-1810 წლებში, შუა აზიაში მოგზაურობის დროს, ალექსანდრიაში, მონათა ბაზარზე ლორდ ბაირონი შესწრებია საქართველოდან და ჩერქეზეთიდან ჩამოყვანილი ტყვე-ქალების საჯარო გაყიდვას. მისი ყურადღება მიუპყრია ერთ ძალზედ ლამაზ ქალიშვილს, რომელიც, ჩანდა, აგონიაში ჩაეგლო თავის ბედკრულ მდგომარეობას და ხმამაღლა მოსთქვამდა. მისი უგანათლებულებობა იქაურ დიალექტზე, — ლინგვა ფრანკაზე<sup>6</sup>, შუა აზიაში, თურქეთსა და საბერძნეთში რომ იყო მიღებული, — დალაპარაკებია მას. მართალია, გაჭირვებით, მაგრამ ქალიშვილს მაინც გასაგებად აუხსნია მისთვის, რომ ის იყო ქრისტიანი მშობლების ერთადერთი შვილი, დაბადებული საქართველოში, თბილისში, შეძლებული მემამულის ოჯახში, და რომ ის ქურთებს მოუტაციათ იმ დროს, როდესაც ცხვარს თამაშით გასდევნებია მამამისის საძოვრებზე. გოგონა უკვე რამდენჯერმე ყოფილა გაყიდული და ახლა მის პატრონს იგი ალექსანდრიაში ჩამოყვანა, საიდანაც ქალებს, როგორც პირუტყვს, კონსტანტინოპოლში მიერეკებოდნენ. გოგონა სამშობლოში დაბრუნებას იხვეწებოდა და იმის თქმაც მოუხერხებია, ჩემი ერთი ნახვისათვის მშობლები მთელ ქონებას გაიღებენო.

ბაირონს, მისთვის ჩვეული კიხოტური მანერით, უმაღ დაუწყვეტია ქალიშვილის განთავისუფლება და მონებით მოვაჭრეს ფასზე მოლაპარაკებია. მას გოგონა 800 პიასტრად უყიდია და დროებით ინგლისის კონსულის ოჯახში მოუთავსებია, თვითონ კი შესდგომია გზების ძებნას, რომ ქალიშვილი სამშობლოში დაებრუნებინა.

გოგონა ცამეტი წლის ყოფილა. ბაირონს კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ ასაკში აღმოსავლეთში ქალი ხშირად დედაც კი ხდებოდა. თუმცა ბაირონი, რომელიც მაშინ თვითონაც

<sup>6</sup> ლინგვა ფრანკა — XIX საუკუნეში საბერძნეთში, თურქეთსა და ეგვიპტეში ხმარებული ხელოვნური ენა, რომლითაც უმთავრესად მოგზაურები და ვაჭრები სარგებლობდნენ.

ძალზედ ახალგაზრდა – ოცდაორი წლის უნდა ყოფილიყო, მშვენიერ ქალიშვილში მხოლოდ ბავშვს ხედავდა და გულწრფელად სურდა, მისთვის დიდი ბედნიერება მიენიჭებინა – სამშობლოში დაებრუნებინა. ქალიშვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ ღვთისაგან მოვლენილი უცნობი მას შინ დაბრუნებას უპირებს. ალექსანდრიიდან თბილისისაკენ ქარაევანი სამ წელიწადში ერთხელ თუ წავიდოდა და, სამწუხაროდ, იგი სულ ახალი გამგზავრებული ყოფილა. ბაირონს გაუგია, რომ თბილისს მიემგზავრებოდა ირლანდიელი სერ ჰენრი ფლეტჩერი<sup>7</sup>, რომელიც მოგზაურობასთან ერთად აბრეშუმითა და შალით ვაჭრობით იყო დაინტერესებული. ლორდ ბაირონსაც მისთვის თხოვნით მიუმართავს და ამ სამსახურისათვის საკმაო თანხაც შეუთავაზებია. ბაირონთან შედარებით ფლეტჩერი, მიუხედავად დიდებული წარმოშობისა, ძალზე მოკრძალებული ქონების პატრონი ყოფილა და ამ წინადადებას სიამოვნებით შეხვედრია, ფულიც წინასწარ მიუღია. ბაირონს უთხოვია მისთვის, ქალიშვილი მშობლებისათვის პირადად ჩაებარებინა, ხოლო მათგან ამის დამადასტურებელი წერილი გამოეგზავნა. მიუხედავად მოგზაურისაგან მიღებული პატიოსანი სიტყვისა, ბაირონს მხლებელი პირისათვის ფარულად გაუტანებია წერილი თბილისში, რათა ის იქ ერთ-ერთი აგენტიანათვის გადაეცათ. ბაირონი სთხოვდა აგენტს, მისთვის გოგონას ჩაბარების ამბავი ეცნობებინა. წინდახედულ ლორდს იმის განკარგულებაც გაუცია, რომ ქალიშვილისათვის ბიჭის სამოსელი შეეძინათ და შიგ ძვირფასი ქვები გამოეკერათ, რათა მოულოდნელი გასაჭირის შემთხვევაში მას საკუთარი თავის შველა შესძლებოდა. დამშვიდობებისას ბაირონს უთხოვია გოგონასთვის, გზიდან პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ეცნობებინა თავისი ამბავი.

<sup>7</sup> ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ პირს თავისი ნამდვილი გვარი და სახელი, შესაძლოა, არც გაემხილა ბაირონისა და იქ მყოფთათვის.

ქალიშვილისგან წერილი არ მოსულა, მაგრამ აგენტი იტყობინებოდა, რომ ფლექტჩერი თბილისში მის გარეშე ჩავიდა, ხოლო შეკითხვაზე – სად იყო გოგონა, ფლექტჩერს უპასუხია: „ბაირონმა აზრი შეიცვალა და ტყვე-ქალი თავისთვის დაიტოვა“.

ბაირონისათვის უკვე დღესავით ნათელი იყო, რომ მას უღალატეს, და ის ამ ამბავს გაურკვეველს არ დატოვებდა.

ბაირონს ხელახლა გაუგზავნია წერილები თბილისში, ახლა უკვე თურქი კურიერის საშუალებით, სადაც სთხოვდა იმავე აგენტს, გაერკვია, ხომ არ მალავდა ფლექტჩერი ქალს და რა გზით აპირებდა თბილისიდან გამგზავრებას. პასუხად მიუღია ცნობა, რომ ფლექტჩერს მართლაც ახლდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გულმოდგინედ მალავდა და მასთან ერთად აპირებდა ევროპაში გამგზავრებას ოტომანთა იმპერიის გავლით. ბაირონს წინდაწინ მოუნახულებია წერილში აღნიშნული სანაპირო, საიდანაც ფლექტჩერი აპირებდა გამგზავრებას, პირადად სწვევია ფაშას და მისთვის ჩვეული მჭერმეტყველებით ქალიშვილის ამბავი გაუნდვია. ფაშა გულგრილი არ დარჩენილა და დახმარებაც აღუთქვამს.

აგენტის ცნობა გამართლებულა. ფლექტჩერი მართლაც ხელში ჩაუვარდა ფაშას, რომელმაც უმალ აცნობა ახალგაზრდა ლორდს ირლანდიელი ქრისტიანის დაპატიმრების ამბავი, ხოლო მისი თანმხლები ახალგაზრდა ქალის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა. წერილის მიღებისთანავე ბაირონი დაუყოვნებლივ გამგზავრებულა ფაშასთან და ახალგაზრდა ქალში თავისი უფაქიზესი ზრუნვის საგანი ამოუცვანია. მათი განშორების შემდეგ უკვე თოთხმეტი თვე ყოფილა გასული. ქალიშვილი საგრძნობლად შეცვლილიყო უარესობისაკენ და მის ჯანმრთელობას ბზარიც გასჩენოდა. გამგზავრებიდან მესამე დღეს ფლექტჩერს ძალისათვის მიუძმართავს, რათა გოგონა თავის ხასად ექცია. ქალს, როგორც საკუთარ ტყვეს, ისე ეპყრობოდა. მისი ძვირფასეულობაც თვითონ მიუთვისებია, ხოლო ჯალამბარიდან ფეხსაც არ ადგმევინებდა, რათა მისი არსებობა იქ მყოფთათვის შეუმჩნეველი დარჩე-

ნილიყო. თბილისი ისე გაუვლიათ, რომ საქართველოს ცა თვალთ არ დაანახა და საბრალოს ამის შესახებ ვერც ვერაფერი შეუტყვია.

განაწამები და იმედჩამქრალი უკვე ბედსაც შეგუებოდა და ცხოვრებისაგან კარგს აღარაფერს ელოდა. მაგრამ ბაირონის გამოჩენას ერთიანად შეუძრავს ქალიშვილი და მასში წარსულის ყველა უსათნოესი განცდა გაუცოცხლებია: დედ-მამა, სახლი, სამშობლო, ბოლო იმედი... ქალი სიხარულისაგან ბაირონს ყელზე შემოხვევია და დაუკოცნია ის. სიცილს ტირილი ენაცვლებოდა, ტირილს – სიცილი. ხმამაღლა კისკისებდა და აქეთ-იქით დაჰქროდა, კაცს ეგონებოდა, გაგიჟდაო. შემდეგ თურმე გულში ჩაეკრა თავის ერთადერთ ჭირისუფალს და ასე დიდხანს, დიდხანს მოსთქვამდა. როგორც ავტორი დასძენს, ამ ამბის წარმოდგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი აღწერა.

გვჯერა, ქალიშვილი გუმანით, ალბათ, აუცილებლად იგრძნობდა, რომ თვალისმომჭრელი სილამაზის მამაკაცის სახით მის წინაშე იდგა ხორცშესხმული ღმერთი სიყვარულისა, რომელშიც ღვთიური სიწრფელე და ცამდე ამაღლება კაცურკაცობასთან შერწყმული ცოცხლობდა.

ბაირონს მისთვის პირობა მიუცია, რომ სამშობლოში აუცილებლად დააბრუნებდა და კონსტანტინოპოლში წაუყვანია. იქ ის შეედი ელჩის ოჯახისათვის მიუბარებია, სადაც განსაკუთრებით ზრუნავდნენ მის ჯანმრთელობაზე. თბილისისაკენ ქარავანი დაახლოებით ცხრა თვეში უნდა გამგზავრებულიყო. ეგონათ, ეს დრო საკმარისი იქნებოდა ქალიშვილის გამოჯანმრთელებისათვის. მაგრამ იმ დროს, როდესაც ბაირონი იქ არ იყო და თავის ნანატრ მოგზაურობას აგრძელებდა, ქალის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულა. ბაირონის მეგობარს გადაუწყვეტია ქალის წაყვანა კუნძულ კრეტაზე იმ იმედით, რომ კუნძულის ჰავა წაადგებოდა მის დასუსტებულ ჯანმრთელობას. მაგრამ მოხდა ისე, რომ კუნძულზე ჩასვლა ქართველი ქალისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. რამდენიმე თვეში ის იმ კუძულზე, ქალაქ კანდიაში (ახლანდელი ირაკლიონი)

გარდაიცვალა. სულთმობრძავს ბაირონის სახელი აღმოხდენია. მას თურმე ყველაზე მეტად ელოდა.

როგორც ავტორი აღნიშნავს, გოგონა დაკრძალეს ქ. კანდიაში ბერძენთა სასაფლაოზე ქალაქიდან ერთი მილის მოშორებით.

ბაირონს მტკივნეულად განუცდია ქალიშვილის სიკვდილი და გულწრფელად დაუტირია ის. ბაირონის დაკვეთით საფლავზე ქვის ძეგლი დაუდგამთ და ზედ ამოუტვიფრავთ ქალის სახელი და გვარი, მის თავს დატრიალებული ამბავიც.

ქართველ ქალიშვილთან დაკავშირებულ ეპიზოდს წიგნის ავტორი შემდეგი სიტყვებით დაასრულებს: „მარტო ამ პატარა ამბავს, თავად ცალკე აღებულს, შესწევს ძალა, უკვდავოს ღორდ ბაირონის ჰუმანურობა, სიფაქიზე და დიდსულოვნება“.

XIX საუკუნეში ბაირონის ცნობილმა მკვლევარმა ერნესტ ჰარტლი კოლრიჯმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ზემოაღნიშნულ სამტომეულში მოთხრობილი ამბავი ქართველ გოგონასთან შეხვედრისა მართალია, მას შეიძლება ჰქონოდა კავშირი ბაირონის ორსტროფიან ლექსთან „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სრტიქონები“, რომელიც 1811 წ. იანვრითაა დათარიღებული და შემორჩა „ჩაილდ ჰაროლდის“ ტექსტის ხელნაწერს. კოლრიჯი იმასაც აღნიშნავდა, რომ ამბავი ქართველ გოგონასთან შეხვედრისა არ შეიძლება აღმოცენებულიყო ლექსის საფუძველზე.

ჩვენს გაოცებას იწვევს ერთი რამ: მიუხედავად ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ ატეხილი ბუმიისა, მიუხედავად თავად ამ ამბის შთამბეჭდავი ხასიათისა, ორი საუკუნის მანძილზე არავის დაუსახავს მიზნად არც მისი ისტორიულობის გადამოწმება, და არც კოლრიჯის ვერსიის მოკვლევა. პირველ ყოვლისა ეს ფაქტი, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ბოლო დრომდე ქართველმა მკვლევარებმა არაფერი იცოდნენ მის შესახებ, რაც სრულად გაუმართლებელია ბრიტანელ თუ სხვა ერის სწავლულთაგან, მითუმეტეს თუ გავიხსენებთ, რამდენი ენერგია, დრო და ქალაღი დახარჯეს ბაირონის ბიოგრაფებმა ცალკეულ შემთხვევებში სკანდალუ-

რი ჭორებისა თუ ცილისწამებლური მითქმა-მოთქმის აღწერისას.

გამომდინარე თავად ლორდ ბაირონის ბუნებიდან, გამომდინარე თავად მისი შემოქმედების ხასიათიდან, რამეთუ ცნობილია, რომ ბაირონის ყოველი ნაწარმოები მისი ცხოვრების გამოძახილია, ჩვენთვის დღესავით ნათელი შეიქნა, რომ, თუ ეს ამბავი მართალია, ის აუცილებლად აისახებოდა მის პოეზიაში, და აისახებოდა ისევე ძლიერად, როგორადაც ის პოეტის სულს უნდა დამჩნეოდა.

ამდენად, პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნით სამტომეულში ასახული ამბის ისტორიულობის შემოწმება.

როგორც სამტომეულის ტექსტშია აღნიშნული, პირველი მოგზაურობის დროს, როდესაც ბაირონი ეწვია მცირე აზიას, ქალექსანდრიაში, მონათა ბაზარზე მან იხილა საქართველოდან და ჩერქეზეთიდან ჩამოყვანილი ტყვე-ქალები. აქ ლაპარაკია ტროას ალექსანდრიაზე. როგორც ბაირონის ბიოგრაფია მოწმობს, პოეტი ეწვია ტროას ალექსანდრიას მას შემდეგ, რაც დატოვა სმირნა 1810 წლის 11 აპრილს. აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ წყაროში: „მეორე დილით (ე.ი. 12 აპრილს – ი.მ.) ბაირონი მის თანმხლებ ოფიცრებთან ერთად (ხაზგასმა ჩვენია. – ი.მ.) გემიდან ტროას ალექსანდრიის დასათვალიერებლად გაემართა და ღია პორტში (ხაზგასმა ჩვენია. – ი.მ.) გაჩერდა, რომელიც დაახლოებით 6-7 მილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც ფრეგატმა ღუზა ჩაუშვა.“<sup>8</sup>

აქედან გამომდინარე, ვუშვებთ, რომ მონათა ბაზარზე ალექსანდრიაში ბაირონი უნდა მოხვედრილიყო 1810 წლის 12 აპრილს, ან მოგვიანებით, რადგან ფრეგატმა ამ ადგილას კიდევ ორი კვირა დაჰყო.

ტექსტში აღნიშნული მოგზაურთა ინტერესი შალითა და აბრეშუმით ვაჭრობისა თბილისსა და საქართველოში უეჭველია.

---

<sup>8</sup> “The Life of Lord Byron” in “The Complete Works of Lord Byron”, Galignani, Paris, 1837, ch. 21, p.37.

აგრეთვე, ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება ქარავანთა ნელი მოძრაობა, მანძილი ალექსანდრიასა და თბილისს შორის – 700 ლიე<sup>9</sup>.

სამტომეულში მოთხრობილი ამბის თანახმად, გოგონა გარდაიცვალა კუნძულ კრეტაზე ქ.კანდიაში და იგი დაკრძალეს ბერძენთა სასაფლაოზე ქალაქიდან ერთი მილის მოშორებით.

ტექსტში ბერძენთა სასაფლაოს მითითება მიგვანიშნებს იმაზე, რომ იქ სხვა სამარხებიც უნდა არსებულებოდა.

საჭირო იყო ყოველივე ამის გადამოწმება, აგრეთვე, გარკვევა იმისა, კანდიაში სასაფლაო მდებარეობდა ქალაქის შიგნით, თუ მართლაც ქალაქგარეთ, როგორც ტექსტი მოგვითხრობს – „ქალაქიდან ერთი მილის მოშორებით“.

ამ საკითხთან დაკავშირებით დახმარება ვთხოვე საბერძენეთის ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტს, ცნობილ ბერძენ ბაირონოლოგს, პროფ. მარიუს ბაირონ რაიზის, რომელმაც ბერძენი კოლეგების დახმარებით გაარკვია და მაცნობა შემდეგი:

*„იმ ხანად ქ. კანდიას (ახლანდელ ირაკლიონს) გარს ერტყმოდა არაერთი პატარა სასაფლაო: მართლმადიდებელთა, ებრაელთა, მუსულმანთა და კათოლიკეთა. დღეს ირაკლიონის დასახლება გასცდა მაშინდელ საზღვრებს ყველა მიმართულებით ერთი მილის სიგრძეზე მეტად და ძველი სასაფლაო აღარსად არსებობს. განადგურდა საფლაოს ქვებიც, რომლებიც სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ“ (პროფ. რაიზის პირადი წერილიდან).*

მართალია, ჩატარებული მოკვლევით ვერ მოხერხდებოდა თავად მინიშნებული საფლაოს ქვის მოძიება, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობდა მართლმადიდებელთა (იგივე ბერძენთა) სასაფლაო სწორედ ქალაქგარეთ და, უნდა ვიფიქროთ, რომ ტექსტის ავტორი სწორედ მას გულისხმობდა, როგორც გოგონას სამარხ ადგილს.

<sup>9</sup> ლიე – სიგრძის ძველი ფრანგული საზომი, რომელიც უდრის 4.5 კილომეტრს.

ტექსტის თანახმად, მას შემდეგ, რაც გოგონა ირლანდიელ-მა მოგზაურმა ჩაიბარა და ისინი თბილისისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ, ბაირონს დასჭირდა ერთ წელზე მეტი, რომ ოტომანთა იმპერიის ფაშას დახმარებით თავისი ზრუნვის საგანი კვლავ მოეპებნა. აქ საყურადღებოა ის მომენტი, რომ ავტორი ზუსტად ასახელებს დროს და აღნიშნავს, რომ ბაირონმა შეძლო გოგონას მოეპებნა მისი გამგზავრებიდან 14 თვის შემდეგ. ავტორი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ გოგონამ კუნძულ კრეტაზე დაჰყო 6 თვე. გამორიცხული არაა, რომ ამ შემთხვევაში დრო განსაზღვრული იყოს მთვარის კალენდრის მიხედვით, ამ ანგარიშით კი 1 წელი 13 თვეზე მეტს მოიცავს, ან შესაძლებელია, თავად ავტორი უშვებდეს გარკვეულ უზუსტობას, მითუმეტეს, რომ სამტომეული არის მეხსიერებითი აღდგენა ყოველივე იმისა, რაც ავტორს ბაირონის მემუარებში შეეძლო წაეკითხა. დღეს გარკვეულია ოცდაორი კაცისაგან შემდგარი სია, რომელთაც წაკითხული ჰქონდათ ბაირონის მემუარები.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაირონი ლატიგეაში შეხვდა გოგონას 1811 წლის გაზაფხულზე – აპრილში, ან მაისში.

ამ დროს ბაირონი ამ მიდამოებში მოგზაურობს და მას მწვანე შუქი უნთია ბრიტანეთის ნებისმიერ სამხედრო ზომალდზე.

ბაირონი გაემგზავრა სამშობლოში კუნძულ მალტიდან 1811 წლის 2 ივლისს. ამ დროისათვის გოგონა მას სანდო ხელს ჰყავს მიბარებული და იმედოვნებს, რომ ქალიშვილს ქარავანთან ერთად თბილისში გამოამგზავრებენ. როგორც ჩანს, გოგონა დაიღუპა ძალიან მალე ბაირონის გამომგზავრების შემდეგ, ან მის გამომგზავრებამდე, ხოლო მისი დაღუპვის ამბავს, როგორც ირკვევა, ბაირონი შეიტყობს უკვე ბრიტანეთში.

თუ გოგონა გარდაიცვალა ბაირონის სამშობლოში გამგზავრების შემდეგ, ე.ი. ზაფხულში, ან იმ პერიოდში, როდესაც ბაირონი გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ისევ მოგზაურობდა, გოგონას დაღუპვის ამბავი მიაღწევდა ბრიტანეთს შემოდგომის პირას, ან უფრო გვიან, რადგან წერილი აღმოსავლეთიდან ბრიტანეთში საშუალოდ ერთ თვეში ჩამოდებოდა. მაგ, ბაირო-



ნის გარდაცვალების ამბავი საბერძნეთიდან მისმა მეგობარმა დ. კინერდმა 14 მაისს მიიღო, ე.ი. ერთ თვეზე ნაკლებ ვადაში (ბაირონი 19 აპრილს გარდაიცვალა).

იმის კითხვა: არის თუ არა რაიმე ამ ამბის ამსახველი ბაირონის წერილებში?

1811 წლის 11 ოქტომბერს ბაირონი მისწერს თავის მეგობარ დალასს:

*„კვლავ სიკვდილით ვარ თავზარდაცემული. დაეკარგე ის, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო უფრო ბედნიერ დროს. მაგრამ ვაი, რომ თითქმის დამავიწყდა სევდის გემო, რამეთუ მხოლოდ საშინელებებითაა ესაზრდობ და უკვე გულქვა გავხდი. ახლა უკვე ცრემლიც აღარ გადმომვარდება იმ ამბის გაგონებაზე, რაც ხუთიოდე წლის წინ თავს მიწაში ჩამარგვევინებდა. ისე მგონია, თავად განგებაში ინება, რომ ახალგაზრდობაშივე გამოეცადო სიბერის ყველა უბედურება.*

*ჩემი მეგობრები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებიან. დავრჩები, ვითარცა განმარტოებული ხე, სანამ ბოლომდე არ გავხმები.“*

ეს ხანა მართლაც უბედურების ხანაა ბაირონის ცხოვრებაში. მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე, ვიდრე ბაირონი ისევ ლონდონშია, იღუპება ბაირონის დედა, რომელსაც პოეტი ცოცხალს ვეღარც ჩაუსწრებს. დედამისი დაკრძალული არც იყო, როდესაც ბაირონს აცნობეს, რომ გრანჩესტერის ტბაზე დაიხრჩო მისი კემბრიჯელი მეგობარი ჩარლზ სკინერ მათიუზი. ამას მოჰყვა ჰაროუს სკოლის მეგობრის ჯონ ვინგფილდის სიკვდილი. ამავე პერიოდში ბაირონს ეღუპება კიდევ ორი მეგობარი მამაკაცი – ტატერსოლი და ლონგი. ოქტომბრის დასაწყისში კი ბაირონი შეიტყობს, რომ მისი არყოფნის დროს, მაისის თვეში, 21 წლის ასაკში ჭლექით დაიღუპა მისი კემბრიჯელი მეგობარი, ქოროს მომღერალი ჯონ ედელსტონი. როგორც თავად ბაირონი დასძენს, ჯონ ედელსტონის სიკვდილი

რიგით მეექვსე ახლობლის დაღუპვის ამბავია მაისიდან აგვისტომდე.

ამდენად, 11 ოქტომბერს დალასისადმი მიწერილ წერილში ბაირონი, მართალია, უახლოესი ადამიანების დაღუპვის ამბავს გულისხმობს, მაგრამ ის ყურადღებას მაინც ახალ დარტყმაზე ამახვილებს.

ისმის კითხვა: ვისი სიკვდილით არის თავზარდაცემული ბაირონი?

11 ოქტომბერს, ბაირონი წერს ლექსს თირზასადმი. როგორც ლექსის ტექსტი მოწმობს, ის ახალგაზრდა ქალის დაღუპვითაა გამოწვეული.

კიდევ ახალი სიკვდილი, და ისიც ქალისა?

დიახ, როგორც ირკვევა, ეს ასეა.

მეორე დღეს ე. ი. 12 ოქტომბერს, ბაირონი „ჩაილდ ჰაროლდის“ მეორე სიმღერას მე-9-ე სტროფს უმატებს, რომელიც, აგრეთვე, გლოვითაა შთაგონებული. ბაირონი ამ სტროფს კვლავ დალასს უგზავნის და თან დასძენს:

*„საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ, რომ ეს სტროფი გულისხმობს იმ ამბავს, რომელიც ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მოხდა და ეს არ არის მამაკაცის სიკვდილი“.*

ამაზე კი დალასმა შემდეგი უპასუხა:

*„გმადლობთ, რომ გამანდეთ თქვენი გულისხმადები. ნეტავ ის გადარჩენილიყო და მარად თქვენი ყოფილიყო. წარმოუდგენელია, რაოდენ დიდი იყო თქვენი პასუხისმგებლობა მასთან მიმართებაში.“*

რატომ უსვამს ბაირონი ხაზს იმას, რომ ეს სტროფი შთაგონებულია არა მამაკაცის სიკვდილით? უდავოდ იმიტომ, რომ ამ დროისათვის მას ხუთი მამაკაცი მეგობარი ჰყავს დაღუპული. დავუჯეროთ თუ არა ბაირონს? დალასმა დაუჯერა მას და სამძიმრის წერილიც მისწერა.

ბაირონისა და დალასის მიწერ-მოწერა ამ საკითხზე მხოლოდ აღნიშნული ორი წერილით არ ამოიწურება. მოგეხსენე-

ბათ, ეპისტოლარული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი წყაროა პიროვნების ბიოგრაფიის დასადგენად. ამდენად, ბაირონის ყოველი ახალი წერილისა, თუ მისი დედნის აღმოჩენა ახალ შუქს ფენს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ბაირონის საერთაშორისო აკადემიური ყოველწლიური ჟურნალის (Byron Journal, London) 2000 წლის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1998 სექტემბერში ერთ-ერთ ბრიტანულ ოჯახში, აქამდე აუღრიცხავი წერილების ალბომში იპოვეს ბაირონის ხელით შესრულებული ორი დოკუმენტი. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ სწორედ დალასისადმი მიწერილი წერილის დედანი, რომელიც 1811 წ. 31 ოქტომბრითა დათარიღებული. ამ წერილის ტექსტი შეტანილია ლესლი მარშანდის მიერ გამოცემულ ბაირონის წერილებსა და დღიურებში (Letters and Journals), რომელიც 1973 წ. გამოსცა ლონდონში ჯონ მარიმ, მაგრამ დედანი ოდნავ განსხვავდება მისი პირისაგან. აი, რას ვკითხულობთ წერილის დედანში:

*„ძვირფასო სერ,*

*მე თქვენ იმდენი დრო დაგაკარგვინეთ, რომ არ გმართებთ ჩემთან მობოდიშება (ეს მე უნდა მოგიბოდიშოთ)...*  
*– პასაჟები შევცვალე თქვენი სურვილის მიხედვით. – წერილთან ერთად გივზავნით რამოდენიმე სრტოფუს. ეს იმას ეხება, რამაც ერთიანად მოიცივა ამ ბოლო დროს ჩემი გონება. ეს ეხება იმ ადამიანის სიკვდილს, ვისი სახელიც თქვენთვის უცნობია და ამდენად თქვენ ვერ დაინტერესდებით. – მსურს, ამით დავასრულო ეს ტომი. – მე კვლავ იმ პიროვნებას ვგულისხმობ, ვისაც მეორე სიმღერასა და დასკვნაში ვახსენებ. – არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ ჩემი თავი „პაროლდთან“ გაუაიგივო, მაგრამ არც კავშირს უარეყოფ...“*

როგორც ვხედავთ, აქ ისევ და ისევ ლაპარაკია „ჩაილდ პაროლდის“ II სიმღერაზე, მის 9-ე და დასკვნით სტროფებზე, და აუცილებლად იმ პირის სიკვდილზე, ვის შესახებაც ბაირონი აცნობებდა დალასს 11 და 12 ოქტომბერს. თუ ბაირონს დაეუ-

ჯერებთ, ეს არის ქალი, რომელსაც დალასი არც იცნობს და არც მისი სახელი ეუბნება მას რამეს.

მაგრამ გამოჩნდნენ ბაირონოლოგები, საკმაოდ სახელმძო-ვეჭილნიც, რომელთაც ეჭვი შეიტანეს ბაირონის მიერ დალასისადმი მიწერილი წერილის გულწრფელობაში, რამეთუ მათი მოსაზრებით „ჩაილდ ჰაროლდის“ მე-9 სტროფი შთაგონებული უნდა იყოს ჯონ ედელსტონის სიკვდილით. მათი აზრით, ეს სწორედ ჯონ ედელსტონი იგულისხმება თირზას მიღმაც და ბაირონმა განგებ მისწერა დალასს, მამაკაცს არ ვგულისხმობო, რათა რაიმენაირად კვალი დაეფარაო.

ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს ბაირონის ზემომოყვანილ სტრიქონებს ცნობილი ამერიკელი ბაირონოლოგი, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკვლევის დიდი მოამაგე, ლესლი მარშანდი<sup>10</sup>.

ლესლი მარშანდს, როგორც ჩანს, გარკვეული საფუძველი ჰქონდა ამ აზრის გამოსათქმელად იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჩაილდ ჰაროლდის მეორე სიმღერის მე-9 სტროფი ჯონ ედელსტონის სიკვდილით იყო შთაგონებული.<sup>11</sup>

მაგრამ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ იმავე გამოცემაში, ე.ი. 1837 წელს, თირზასადმი მიძღვნილ ლექსს მამაკაცის სიკვდილთან და დაკარგვასთან არავინ აკავშირებს.

ლექსს „თირზასადმი“ და, საერთოდ, მთელს ციკლს თირზასადმი მიძღვნილი ლექსებისა იმავე გამოცემაში კომენტარად ახლავს ტომას მურის სიტყვები, სადაც ავტორი თირზას მოიხსენიებს მღედრობითი სქესის ნაცვალსახელით “she” და აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს შესაძლოა ყოფილიყო ნაყოფი იმ აბსტრაქტული წარმოსახვისა, რომელსაც საფუძველად უდევს პოეტის მიერ განცდილი მრავალი უბედურება.

მაგრამ აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ ტომას მურის სიტყვების შემდეგ წიგნის რედაქტორს არ ავიწყდება დალასის

<sup>10</sup> Leslie A. Marchand, *Byron, a Portrait*, Pimlico, 1993, p. 107.

<sup>11</sup> *The Complete works of Lord Byron*, Paris, Galignani, 1837, p.98.

ზემოაღნიშნული სიტყვების ციტირება: „ნეტავ ის გადარჩენილიყო და მარად შენი ყოფილიყო“, სადაც დედანში „ის“ მდედრობითი სქესის ნაცვალსახელით „she“ არის წარმოდგენილი.

თირზას დაკავშირება ჯონ ედელსტონთან გარკვეულწილად მოტივირებულია იმით, რომ ბაირონმა ამ ახალგაზრდა კაცის დაღუპვის ამბავი შეიტყო სწორედ იმ დროისათვის, როდესაც „თირზა“ შეიქმნა. მაგრამ, მოდით, მივაქციოთ ყურადღება სხვა მოვლენებს: სექტემბრის ბოლოს ბაირონი ნიუსტედიდან მიემგზავრება ლანკაშირში, საიდანაც უკან ბრუნდება 9 ოქტომბერს. აქ მას დახვდება ჯონ ედელსტონის დაღუპვის ამბავი, უფრო სწორად, ედელსტონის დის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ჯონ ედელსტონი გარდაიცვალა მაისში.

ჩვენ კითხვას სხვაგვარად ესვამთ: გამორიცხულია, რომ ამ დროისათვის ბაირონს მიეღო ცნობა ქართველი გოგონას გარდაცვალების შესახებ? რასაკვირველია, ეს არაა გამორიცხული.

მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ 1811 წლის 11 ოქტომბერს ბაირონი წერს ლექსს „თირზასადმი“, ქმნის „ჩაილდ ჰაროლდის“ 95 – 96 სტროფებს, და, აგრეთვე, წერს ლექსს „ეპისტოლე მეგობრისადმი“. ეს უკანასკნელი არც ჯონ ედელსტონს ეძღვნება და არც თირზას. ამდენად, გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ დალასისადმი მიწერილი წერილი მართლაც ქალის დაღუპვის ამბავს უნდა გულისხმობდეს. ამ ყოველივეს იხილავს ერთვის მტკიცებულებად, რასაც თავად ბაირონი აღნიშნავს წერილში, საკუთრივ ის, რომ დაღუპული პირის სახელი დალასისათვის უცნობია (stranger), რასაც არ იტყოდა ჯონ ედელსტონზე, და რომ ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა ბაირონი ახალი დაბრუნებული იყო სამშობლოში. ეს უკანასკნელი ცნობაც წერილის შინაარსს აახლოვებს უფრო მეტად ქართველი გოგონას დაღუპვის ამბავთან, ვიდრე ჯონ ედელსტონთან, რამეთუ ჯონ ედელსტონი დაიღუპა მაისში, ხოლო ბაირონი დაბრუნდა ინგლისში 1811 წლის 14 ივლისს. საგულისხმოა

ისიც, რომ სიტყვა "stranger" იმ დროს ნიშნავდა არა მარტო უცნობს, არამედ – უცხოელსაც.

ედელსტონის ვერსიის გამოსარიცხად ჩვენ მოვიშველიებთ ლესლი სტივენის სტატიას „ბაირონი“ ეროვნული ბიოგრაფიის ლექსიკონში (Dictionary of National Biography), რომელიც 1880 წელს დაისტამბა ბრიტანეთში, და სადაც ავტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ თირზას ორიგინალს არავინ შეესაბამება.

მოგეხსენებათ, იმ სავარაუდო სიაში, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს თირზასთან მიმართებაში მიმოიხილებოდა, ედელსტონი უკვე გათვალისწინებული იყო, ხოლო ქართველი გოგონა არ იყო ნაგულისხმევი იმდენად, რამდენადაც ბაირონის ცხოვრების ამ ეპიზოდით მაშინ არავინ დაინტერესდა სათანადოდ. ვინ იცის, რომ არა ამ ეპიზოდის ქართული წარმომავლობა, და, ამდენად, რომ არა ჩვენი დაბეჯითებითი ინტერესი, რამდენ ხანს იქნებოდა ეს ყოველივე მიყუჩებული.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებული სამტომეულის ავტორი ქართველი გოგონას ამბავს, მართალია, თავად ვერ აკავშირებს თირზასთან, მაგრამ, როდესაც მსჯელობს თირზაზე, როგორც ლიტერატურულ მოვლენაზე, აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ მასში ბაირონი აღმოსავლელ ქალს გულისხმობს<sup>12</sup>.

გაკვარძელოთ მსჯელობა. ვუშვებთ რა ვარაუდს იმის შესახებ, რომ გოგონა დაიღუპა 1811 წლის ივლის-აგვისტოში, ცნობამ მისი დაღუპვის შესახებ შესაძლოა მოაღწია ბრიტანეთს სექტემბრის მიწურულში, ან ოქტომბრის დასაწყისში.

ახლა რაც შეეხება ერნესტ ჰარტლი კოლრიჯის ვარაუდს იმის შესახებ, რომ, თუ სამტომეულში მოთხრობილი ამბავი ქართველი გოგონას შესახებ ნამდვილია, იგი შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ბაირონის ორსტროფიან ლექსს „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“. ჩვენ ვუშვებთ ასეთ ვარაუდს და ვაცხადებთ, რომ ლექსი მართლაც ქართველი გოგონათი უნდა იყოს შთაგონებული, მაგრამ აქ ერთი მომენტი

<sup>12</sup> The Life, Writings, Opinions and Times, vol. 3, p. 355.

გასათვალისწინებელი. ბაირონის ცნობილი მკვლევრისა და რედაქტორის ჯერომ ჯ. მაკკანის თანახმად, ლექსი „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“ შეიქმნა არა 1811 წლის იანვარში, არამედ 1812 წლის იანვარში. თუ მაკკანის ვერსიას დავეთანხმებით, ჩვენ დავუშვებთ იმ ვარაუდს, რომ 1812 წლის იანვარში ბაირონი კვლავ იხსენებს ქართველ გოგონას და თავის წუხილს ამ პატარა ლექსით გამოხატავს. ეს ვერსია არაა გამორიცხული იმდენად, რამდენადაც 1812 წლის თებერვალსა და შემდეგ მარტში, ბაირონი ქმნის თირზასადმი მიძღვნილ კიდევ ორ ლექსს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლექსი „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონები“ შეიქმნა 1811 წლის იანვარში, და ჩვენი რწმენით ეს ასეა, მაშინ ის გამოწვეული უნდა იყოს არა გოგონას დაღუპვით, არამედ მისი დაკარგვით.

სამტომეულში მოთხრობილი ამბის თანახმად, 1811 წლის იანვარი გახლავთ ის პერიოდი, როდესაც ბაირონმა დაკარგა გოგონას კვალი. იმხანად ბაირონი კაპუცინის მონასტერში ცხოვრობს ათენში და როგორც დედისადმი მიწერილი ბარათი მოწმობს, აქ მისთვის ხატავდა ბავარიელი მხატვარი. შესაძლოა, ბაირონმა მართლაც დაახატინა მხატვარს გოგონას პორტრეტი.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ თირზას პიროვნებას.

ბაირონის შეილიშვილმა, ადა ბაირონის ვაჟმა, ლორდ ლავლეისმა საკუთარი ბების, ლედი ბაირონის სარეაბილიტაციოდ საზოგადოების თვალში დაწერა პამფლეტი „ასტარტა“. ავტორის ძირითადმა მიზანმა, მართალია, კრახი განიცადა, მაგრამ ჩვენთვის ეს ნაწარმოები საინტერესოა პირველ ყოვლისა შემდეგი ცნობით: ლორდ ლავლეისი იუწყება, რომ, გადმოცემის თანახმად, იცის, თუ როგორ უჩვენა ბაირონმა არაერთხელ ლედი ბაირონს ქალის თმა და უთხრა, რომ ის ეკუთვნის თირზას – გოგონას, რომელიც ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა იმ დროს, როდესაც ბაირონი მოგზაურობდა აღმოსავლეთში, და მის ნამდვილ სახელს არ გაამხელდა.

ის, რომ ბაირონმა თავის მეუღლეს უჩვენა ქალის თმა და უთხრა, რომ იგი დაღუპულ გოგონას ეკუთვნის, არ იწვევს არავითარ ეჭვს იმდენად, რამდენადაც ბაირონს ჩვევად ჰქონდა ქალის, და არა მარტო ქალის, თმის შენახვა, რაც მაშინდელ მოდას არ ეწინააღმდეგებოდა. გავიხსენოთ, თუ როგორ ჩაიტანა მან ესპანეთიდან ინგლისში დონა ჯოზეფას თმა, რომელიც ახლა ლონდონში, ბაირონის მეგობრისა და გამომცემლის, ჯონ მარის ოჯახშია დაცული. ამდენად, ბაირონს თავისუფლად შეეძლო თან წაეღო ქართველი გოგონას თმაც. ლექსში „თირზასადმი“, ბაირონი მიანიშნებს სახსოვარზე, რომელიც მას თირზასაგან აქვს ბოძებული. შესაძლოა, ეს სახსოვარი იყოს ქალის თმა.

ისმის კითხვა: საიდან შეიძლება ჰქონოდა ბაირონს ქართველი გოგონას თმა? სამტომეულში მოთხრობილი ამბის თანახმად, გოგონა ბიჭის სამოსელში გამოაწყევს, რათა ის მოგზაურობის დროს ბიჭად წარმოედგინათ, საკუთრივ იმ მოგზაურის ვაჟად, რომელსაც გოგონა მიანდეს. ამდენად, მას აუცილებლად შეჭრიდნენ თმას, ხოლო მშვენიერი ასულის მშვენიერ თმას ბაირონი თავად შეინახავდა. მინდა აქვე მივაქციო თქვენი ყურადღება იმ დეტალს, რომ, აღწერილი ამბის თანახმად, ირლანდიელი სერ ჰენრი ფლეტჩერი მცირე აზიიდან თბილისისაკენ მოგზაურობის დროს თავს რუს ვაჭრად გაასაღებდა. ყველა ვარაუდით რუსი ვაჭარი ქერა უნდა ყოფილიყო, რამეთუ ეს არც ირლანდიელის გარეგნობას არ ეწინააღმდეგება. მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი გოგონაც ქერა იქნებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯონ მარის სახლში დაცულია დონა ჯოზეფას თმა. აქვე აღმოჩნდა ჯონ ედელსტონის თმაც, რომელიც ბაირონს ეკუთვნოდა. იქ დაცული ეს პატარა და მოკლე თმის კულული არაფრით მიესადაგება სიტყვას “tresses”, რომელიც იხმარა ბაირონმა, როდესაც მეუღლეს დაღუპული ქალიშვილის თმა უჩვენა. სიტყვა “tresses” ნიშნავს გრძელ, ჩაშლილ თმას და მისი მრავლობითის ფორმა ინგლისურ ენაში მხოლოდ ქალის თმას გულისხმობს.



თირზასთან დაკავშირებით მოვიყვანთ კიდევ ერთ საინტერესო მაგალითს. ბაირონი, მართალია, არასოდეს ამხელდა თირზას ვინაობას, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ თირზას მას მოაგონებდა ჯორჯ ლემის მეუღლე, მისის კაროლინა ლემი, სათნო, ქერა, ცისფერთვალება მშვენიერი დიდებული ქალბატონი, მაზლისცოლი მგზნებარე ლედი კაროლინასი, იმ ქალისა, რომელმაც მრავალი სკანდალი შეუქმნა ბაირონის პიროვნებას (ლედი კაროლინა ლემის შესახებ იხ. ქვემოთ). მისის კაროლინა ლემი თირზას მოაგონებდა ბაირონს აგრეთვე თავისი ტკბილი სიმღერით. ეს კი უცხო არასოდეს ყოფილა ქართველი ქალისათვის. მისის კაროლინა ლემის პორტრეტი, რომელიც არსებობს, მიახლოებით მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა თირზა, და ამდენად, რა გარეგნობის უნდა ყოფილიყო ის ქართველი გოგონა, რომელსაც თირზას მიღმა ვგულისხმობთ.

თირზას ვინაობასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია კვლავ მიუზბრუნდეთ ერნესტ ჰარტლი კოლრიჯს, როგორც XIX საუკუნის თვალსაჩინო მკვლევარს ბაირონისა. სამწუხაროდ, კოლრიჯი გახლავთ ის ბრიტანელი სწავლული, რომელმაც პრაქტიკულად სერიოზული დაბნეულობა შეიტანა თირზას ვინაობის დადგენაში. მისი აზრით, ლექსში „თირზასადმი“ მეშვიდე სტროფი გვამცნობს იმას, რომ ბაირონი ხვდებოდა თირზას არაერთხელ ნიუსტედის კოშკებში, ე.ი ნიუსტედის საგვარეულო სასახლეში. მოგვყავს ეს სტროფი დედანში:

Shall they not flow, when many a day  
 In these, to me, deserted towers,  
 Ere call'd but for a time away,  
 Affection's mingling tears were ours?

ჩვენი ღრმა რწმენით, ბაირონი აქ სწორედ რომ საპირისპიროს გულისხმობს, საკუთრივ იმას, რომ თირზას იგი ნიუსტედის ციხე-დარბაზში კი არა, არამედ აღმოსავლეთში ხვდებოდა. მოგვყავს სტროფის პწკარედი:

„როგორ არ დაიღვაროს ცრემლები აქ, ჩემ მიერ ერთ დროს მიტოვებულ კოშკებში, ვიდრე მომიხმობდნენ უკან, როდესაც კარგა ხნით ვიყავი აქაურობას მოცილებული, სიყვარულით შეზავებული ცრემლები ხომ იყო ჩვენი.“

ამდენად, მეშვიდე სტროფის აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ თირზასადმი მიძღვნილი ლექსების ციკლის ინტერპრეტაციის ამოსავალ წერტილად.

მოგეხსენებათ, ტექსტის არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს შესაბამისად არასწორ თარგმანს. ასე მოხდა XIX საუკუნეში დ. მიხალოვსკის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში:

И как не лить: на этом месте,  
Теперь пустом, как много дней  
С тобою плакали мы вместе  
От счастья и любви своей!

დ. მიხალოვსკის თარგმანი ბროკჰაუზის გამოცემაშია შეტანილი და იქ კომენტარად სწორედ კოლრიჯის ვერსია ახლავს. XIX საუკუნის ინტერპრეტაციამ ალტერნატიული ვერსიის არარსებობის გამო განვითარება ჰპოვა XX საუკუნის რუსულ თარგმანებშიც.

აქვე შეგვიძლია დავასახელოთ რიგი არგუმენტებისა, რითაც მტკიცდება ის, რომ თირზას ადრესატი აღმოსავლელი ქალია.

მაგალითად, თირზასადმი მიძღვნილი ციკლიდან ირკვევა, რომ ბაირონს არასოდეს უნახავს თირზას საფლავი და არც აქვს იმედი, რომ მოინახულებს მას. ამდენად, ვასკვნით, რომ თირზას საფლავი შორსაა მისგან და ის აღმოსავლეთში დარჩა. თირზას მიღმა რომ იგულისხმებოდეს ბრიტანელი, ბრიტანეთშივე შექმნილი ლექსების ციკლი არ იქნებოდა შესრულებული იმ გრძნობით, რომ ბაირონი არ ეწვევა საფლავს.

ბაირონი ხშირად მოიხსენიებს თირზასთან გატარებულ დღეებს, როგორც უფრო ბედნიერს, უფრო ელვარეს, რაც სრულიად შეესაბამება ბაირონის დამოკიდებულებას აღმოსავ-

ლეთში გატარებული დღეებისადმი. გავიხსენოთ, რა უთხრა მან დალასს „ჩაილდ ჰაროლდზე“ შემდგომი მუშაობის შესახებ: „ძალიან მინდა ვიხილო ჩემი პოემის გაგრძელება, მაგრამ ამისათვის საჭიროა დავბრუნდე ისევ საბერძნეთსა და აზიაში, მე მჭირდება მცხუნვარე მზე და ლურჯი ცა, მე არ შემიძლია აღვწერო ჩემთვის ესოდენ ძვირფასი სურათები ბუხართან მჯდომმა.“

ნუ დაგვავიწყდება, რომ სამტომეული, რომელშიც აღწერილია ქართველი გოგონას ტრაგიკული ამბავი, გამოქვეყნდა 1825 წელს იმ პრეტენზიით, რომ იგი იყო გახსენება (Recollections) იმ ამბებისა, რომელთაც ბაირონის მემუარები შეიცავდა და რაც, მოგეხსენებათ, განადგურდა პოეტის გარდაცვალებისთანავე. ნურც ის დაგვავიწყდება და გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ მემუარების წერის დროს ბაირონი პარალელურად მუშაობს „დონ ჟუანზე“, და თუ მემუარები იყო მისი ლიტერატურული ბიოგრაფია, „დონ ჟუანი“ წარმოსახვით ბიოგრაფიას წარმოადგენს<sup>13</sup>.

ამდენად, ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა წარმოიშვა: თუ ეს ამბავი ბაირონმა ასახა მემუარებში, ხომ არ ასახა იგივე „დონ ჟუანშიც“?

აქაც პასუხი დადებითია.

გავიხსენოთ „დონ ჟუანის“ VIII-XII სიმღერები, და საკუთრივ, იზმაილის აღება, ის, თუ როგორ იპოვის დონ ჟუანი თურქ გოგონას, რომელსაც სახელად ჰქვია ლეილა და რომელიც ობლად დარჩა. გავიხსენოთ, თუ როგორ პატრონობს და მფარველობს მას დონ ჟუანი.

დონ ჟუანის დამოკიდებულება ლეილასადმი ისეთივე სუფთა და უმწიკვლოა, როგორც თავად ლორდ ბაირონისა ქართველი გოგონასადმი. თუ ქართველი გოგონა 13 წლისაა, ლეილას პოეტი მკითხველის წარმოსახვაში 10 წლის ბავშვად წარმო-

---

<sup>13</sup> John Clubbe, *Napoleon's Last Campaign and the Origins of "Don Juan"*, *Byron Journal*, 1997, p.12.

ადგენს, რითაც, ალბათ, ხაზს უსვამს ყუანის დამოკიდებულების სიწრფელს.

იხილეთ „ღონ ყუანის“ X სიმღერის 52, 53, 54, 55 სტროფები. ღონ ყუანის წრფელი დამოკიდებულება ლეილასადმი, ერთი მხრივ, სრულიად შეესატყვისება სამტომეულში აღწერილ ბაირონის დამოკიდებულებას ქართველი გოგონასადმი, ხოლო მეორე მხრივ, სავსებით ემთხვევა პოეტის არამიწიერ დამოკიდებულებას თირზასადმი. ამდენად, იკვრება სამკუთხედი ქართველ გოგონას, თირზასა და ლეილას შორის, რომლის წახნაგები ორი საუკუნის მანძილზე არავის შეუფარდება, ხოლო თავად თირზა რჩებოდა ისეთივე მისტიურ და ყველა ეპოქისათვის ფეშენებელურ მოვლენად, როგორც უწინასწარმეტყველა თავად ლეილას პერსონაჟს ბაირონმა „ღონ ყუანში“:

Her charming figure and romantic history  
Became a kind of fashionable mystery.

კოპწია ტანმა, რომანტულმა ხსნის ისტორიამ  
ხალხში წარმოშვა თვით მოღური რამ მისტერია.

მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ პოემაში „გიაური“, როდესაც ლეილად წოდებული ქალი თავის პატრონს გაექცევა, ბაირონი მას ქართველი მსახური ბიჭის სამოსელში გამოაწყობს:

Leila escaped her master's rage  
In likeness of a Georgian page.

როგორც ზემოდ აღვნიშნავდით, ბაირონი არასოდეს ამხელდა თირზას ვინაობას. უფრო მეტიც, ახდილად ამბობდა, რომ მის ვინაობას სათუთად შეინახავდა თავის გულში. ეს ცნობა ასახულია ბაირონის ჯერ კიდევ XIX საუკუნის არა ერთ გამოცემაში. იგივე შეიძლება ამოიკითხოთ ბროკჰაუნის<sup>14</sup> რუსულ გამოცემაში ბაირონისა.

<sup>14</sup> Байрон, Библиотека Великих Писателей под редакцией С.А. Венгерова, издание Брокгауз – Ефрона, С.-Петербург, 1904 г., том 1, стр.556.

რაც შეეხება თავად სახელს „თირზა“, როგორც ბაირონი გვამცნობს, ეს პირობითადაა აღებული, და რომ 8 წლის ასაკში წაკითხულ ნაწარმოებთა შორის მის გონებაში აღიბეჭდა გესნერის პიესა, სადაც კაენის ცოლს სახელად ერქვა მაგალა, ხოლო აბელისას – თირზა. მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ, ბაირონის ანალოგიურად, ვილიამ ბლეიკთან თირზა ასევე დაღუპული ახალგაზრდა ქალის პერსონაჟია, წყარო სევდისა და მწუხარებისა.

ვთვლით რა სამტომეულში აღწერილ ამბავს ქართველ გოგონასთან შეხვედრისა ბაირონის ცხოვრების რეალურ ეპიზოდად, ამ ეპიზოდს მივიჩნევთ თირზასადმი მიძღვნილი ლექსების წყაროდ, გვწამს, რომ ბაირონს აუცილებლად ექნებოდა საკუთარი სინდისის ქენჯნის მძაფრი განცდა არა მარტო იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო გოგონას სამშობლოში დაბრუნება, არამედ პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ მან ვერ მოახერხა მისი სიცოცხლის გადარჩენა. ასეთ განცდას ადამიანები, და განსაკუთრებით ძლიერნი და მგმნობიარენი, ჩვეულებრივ, გულის სიღრმეში ინახავენ და სხვათ ვერ ანდობენ. როგორც ჩანს, ბაირონის შემთხვევაშიც ასე იყო, და როდესაც მან თავისი ცხოვრების გამოცდილების აღწერა დაიწყო მემუარებში, ვითარცა აღსარება, გულის სიღრმეში დამალული ტკივილიც, შესაძლოა გაბედა და იქ თქვა.

კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ ბაირონის ცხოვრების ბოლო თვეებიდან, ეპიზოდს, რომელიც, როგორც ჩანს, თავად ბაირონის მძაფრი განცდით იყო რეალურად შთაგონებული. ეს იყო ბაირონის მისწრაფება გოგონას გადარჩენისა, ის რაც მან ასე ტრაგიკულად განიცადა თავისი ცხოვრების ადრეულ პერიოდში, რაც ასე ცხოვლად დააჩნდა მის სულს, და რაც ასე ფაქიზად და შთამბეჭდავად აღწერა „დონ ჟუანში“.

გარდაცვალებამდე სულ ორიოდე თვით ადრე, საბერძნეთში ყოფნისას, ბაირონი 29 თურქს იხსნის ტყვეობისაგან, მათ შორისაა 9 წლის გოგონა, რომელსაც სახელად ხატო, ხატაჯე ჰქვია.

ეს ამბავი საოცრად ჰგავს და იმეორებს „დონ ჟუანის“ ლეილას ისტორიას. აქაც, სინამდვილეში ისევე, როგორც „დონ ჟუანში“, ბაირონი მას სასწავლებლად ბრიტანეთში უპირებს გამგზავრებას. აი, რას მიწერს იგი მისოლონგიდან თავის დას, ოგასტა ლის:

*„მე შევეცადე გამეთავისუფლებინა დაახლოებით ოც-დაცხრა თურქი პატიმარი – მამაკაცები, ქალები და ბავშვები. ჩემივე ხარჯით ისინი საკუთარ ოჯახებსა და მეგობრებს დაუბრუნე, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა, 9 წლის პატარა გოგონამ, რომელსაც სახელად ხატო, ან ხატაჯე (Hato or Hatagee) ჰქვია, გამოთქვა მტკიცე სურვილი, დარჩეს ჩემთან, ან იყოს ჩემი მზრუნველობის ქვეშ, და მეც თითქმის გადავწყვიტე, ვიშვილო ის. ვფიქრობ, თუ ლედი B. (იგულისხმება ლედი ბაირონი – ი.მ.) მისცემს მას უფლებას ჩამოვიდეს ინგლისში, როგორც ადას კომპანიონი (ისინი თითქმის ერთი ასაკისა არიან), ჩვენ მის საკითხს ადვილად გადავწყვეტდით, თუ არა და, მე შემიძლია ის სასწავლებლად იტალიაში გავაგზავნო...“*

ეს წერილი დათარიღებულია 1824 წლის 23 თებერვლით. ბაირონს, როგორც ჩანს, არ დასცალდა მისი გაგზავნა, და იგი საწერ მაგიდაზე ნახეს პოეტის გარდაცვალების შემდეგ.

სამწუხაროდ, პოეტმა ვერც ხატაჯეს ბედის გადაწყვეტა შეძლო ისე, როგორც ეს მას ეწადა, თუმც მისი განთავისუფლება არ დააყოვნა, ისევე როგორც არ დააყოვნა გამოსყიდვა ქართველი გოგონასი, თუ სხვა თურქი ტყვეებისა.

მკითხველი უდავოდ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ბაირონი თურქ ტყვეებს იმ დროს ათავისუფლებდა, როცა საბერძნეთს თურქეთის უფლიდან გამოთავისუფლებაში ეხმარებოდა. ამიტომაც მისწერს ფაშას:

*„როცა საქმე ეხება ჰუმანურობას, ჩემთვის თურქი და ბერძენი ერთია, ხოლო სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მე საბერძნეთს მივეხმარებიო“.*

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი იმისა, თუ როგორ აისახა ქართველ გოგონასთან შეხვედრის ეპიზოდი ბაირონის შემოქმედებაში, როგორც ვრცელი მოხსენება, წარმოვადგინე ბაირონის 26-ე საერთაშორისო კონფერენციაზე დიდ ბრიტანეთში. ამ თავყრილობას ათასწლეულის კონფერენცია "Millennium Conference" ეწოდა და ბაირონის საპატივსაცემოდ ის მის მშობლიურ მხარეში, ნოტინგემშირის საგრაფოში, ნოტინგემის უნივერსიტეტში ჩატარდა. ბუნებრივია, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა მრავალი თვალსაჩინო ბაირონოლოგი მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხიდან. მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემს გამოსვლას მათთან ერთად ისმენდა ცნობილი ბაირონოლოგი, გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსი, ლეიბორისტთა პარტიის ყოფილი ლიდერი, ბატონი მაიკლ ფუტი, ავტორი ბაირონისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნისა „სამოთხის პოლიტიკა“ (Paradise of Politics). არ დაგიმაღავთ და ვიტყვი, რომ მზერას დარბაზში ხშირად ბატონ მაიკლ ფუტზე ვასწორებდი. ბედნიერი ვიყავი იმითაც, რომ სათუთი მკლევარი ჩემს არგუმენტებს კმაყოფილებით ეთანხმებოდა.

იმავე დღეს მაიკლ ფუტი მძაფრი გამოსვლით შეეპასუხა, და, თამამად შეიძლება ითქვას, რისხვა დაატეხა ინგლისელ პროფესორ მალკოლმ კელსალს. შეეხო რა ბაირონის დაღუპვის ამბავს საბერძნეთის ქალაქ მისოლონგში, პროფესორმა კელსალმა თქვა, რომ ბაირონი თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა ქრისტიანული მოსახლეობის მიერ ბერძნული ტერიტორიის წმენდას მუსულმანთაგანო. მალკოლმ კელსალის ასეთ განცხადებას ლეიბორისტთა ყოფილმა ლიდერმა „აღმამოფთობელი“ უწოდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბაირონი ისევე ამოუდგა მხარეში ბერძენთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც ამას იტალიისათვის აკეთებდა. ბაირონი მთელს მსოფლიოში ქადაგებდა თავისუფლებას ყველა სხვადასხვა, დიდი თუ პატარა ერისათვის თანაბრად“. აქ მაიკლ ფუტმა სწორედ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი გაიხსენა და განაცხადა: „მაშინაც კი, როდესაც ბაირონი ბერძენთა დასაცავად ეწვია

ელადას, იგი თურქი ტყვეების უფლებებს იცავდა და მათ სიცოცხლეზე ზრუნავდა“.

მაიკლ ფუტის მგზნებარე გამოსვლამ კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რას ნიშნავდა ბაირონისათვის მსოფლიო მოქალაქეობა, რას ნიშნავდა მისთვის თავისუფლება, და რას ნიშნავს თვით კაცობრიობისათვის ბაირონიზმის ცნება.

„თირზას“ შექმნის შემდეგ ბაირონი ისევ ლონდონს მიემგზავრება. ინგლისის არისტოკრატია ახლა უკვე განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც 1812 წლის 27 თებერვალს წარმოთქვა თავისი პირველი და დიდად გახმაურებული სიტყვა ლორდთა პალატაში. მისი გამოსვლა პარლამენტში ლუდიტების – ნოტინგემელი ფეიქრების დასაცავად იყო მიმართული. ლუდიტებს უწოდებდნენ იმ მასობრივი აჯანყებების მონაწილეთ, ვინც იმხანად წარმოებაში მანქანების დანერგვას ეწინააღმდეგებოდა. თავად სახელი „ლუდიტები“ (Luddites) წარმოსდგებოდა ვინმე ნედ ლუდისაგან, რომელსაც XVIII საუკუნეში თავისი პატრონისადმი პროტესტის ნიშნად საქსოვი დაზგა დაუმტკრევია.

ბაირონს ჩინებულად მოეხსენებოდა მშობლიური ნოტინგემის, და არა მარტო ნოტინგემის, ცხოვრება, მშრომელი ხალხის სიღარიბე და სიღუბნეობა. ეს მხარე დღესაც განთქმულია საფეიქრო წარმოებით. განსაკუთრებით ცნობილია მშვენიერი ნოტინგემური მაქმანი. ასე იყო იმხანადაც. წარმოებაში ახალი დაზგების დანერგვას მუშახელის შემცირება გამოუწვევია. განწირული და დაბნეული ფეიქრები დაზგებს შესევნიან და დაუმტკრევიათ კიდევ ისინი. მთავრობა, მოგეხსენებათ, ამბობს არავის აპატიებდა. ამდენად, პარლამენტში მომზადდა კანონპროექტი (ბილი), რომლის თანახმად დაზგების განადგურება სიკვდილით ისჯებოდა.

ბაირონი, უდავოდ, გულგრილი ვერ დარჩებოდა მიმდინარე მოვლენებისადმი და გადაწყვიტა, თავისი პირველი გამოსვლა პარლამენტში ამ საკითხისათვის მიეძღვნა. ამ არჩევანში მას მხარს უჭერდა ნოტინგემის მთავარი მოსამართლე, ვიგების



პარტიის ლიდერი, ლორდ ჰოლანდი. პროგრესულად მოაზროვნე ლორდ ჰოლანდს ბაირონი დაუახლოვდა მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ და პოეტი მათი სასახლის ხშირი სტუმარიც გახდა.

სიამოვნებით დაკვირვებენ, რომ ჰოლანდების სასახლეს ლონდონში პირველად 1991 წელს ვეწვით და ჩვენი თანამედროვე მეცამეტე ლორდ ბაირონიც იქ გავიცანით.

ბაირონი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ წარმოებაში პროგრესის წინააღმდეგ ამბოხებული უმეცარი ხალხის საქციელი სამართლიანად მიეჩნია, მაგრამ მას აღაშფოთებდა მმართველი ძალის მხრიდან საკუთარი ხალხის იგნორირება და მათი ბედის უგულვებელყოფა. ამას მოწმობს მისი არაერთი წერილი ლორდ ჰოლანდისადმი. ბაირონი საგანგებოდ მომზადებულა პირველი სიტყვის წარმოსათქმელად პარლამენტში. როგორც ჩანს, ეშინოდა, რომ იმპროვიზირებული გამოსვლის დროს გრძნობებს ვერ გააკონტროლებდა. ამიტომაც სიტყვა თავიდან ბოლომდე დაუწერია და მერე გულდასმით დაუსწავლია. მის ხმა მაღალ ვარჯიშს შესწრებია მისი ახლობელი რობერტ დალასი, რომელიც იხსენებს, თუ როგორ შეცვალა ბაირონმა თავისი ტკბილმოუბარი ხმა გაბმული და ოფიციალური ტონით.

ბაირონის სიტყვები ისე გაისმა ლორდთა პალატაში, ვითარცა ცის ქუხილი. მოვიყვანთ ერთ პატარა ფრაგმენტს ამ გამოსვლიდან:

*„...თქვენ ამ ხალხს თავზეხელაღებულ, საშიშ და უეცრ ბრბოს უწოდებთ. როგორც ჩანს, ფიქრობთ, რომ ერთადერთი გამოსავალი “Bellua multorum capitum”<sup>15</sup>-ის დამშვიდებისა – ეს რამდენიმე უსარგებლო თავის მოკვეთაა. მაგრამ თავად ბრბოს გონს მოგება ხომ სიმშვიდითა და სიმტკიცით გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ზედმეტი ვალიზიანებითა და გაორმაგებული სასჯელით.*

<sup>15</sup> Bellua multorum capitum (ლათ.) – მრავალთავიანი ურჩხული.

თუ ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ამ ბრბოს წინაშე? ეს ის ბრბო ხომ არ არის, ჩვენს ყანებში რომ ოფლს ღვრის და საკუთარ სახლებში გვემსახურება, ვისგანაც თქვენი ფლოტი შედგება, და ვინც ჯარში გა-ვიწვევიათ, ვისი წყალობითაც შეძელით, წინ გადასდგო-მოდით მთელს დედამიწას? მაგრამ ნუ დაგვაიწყლებთ, რომ მათ აგრეთვე შეუძლიათ თქვენვე გადავიდნენ, თუ უსამართლობამ და გაჭირვებამ ისინი სასოწარკვეთილე-ბამდე მიიყვანა. თქვენ შეგიძლიათ ამ ხალხს ბრბო უწო-დოთ. ნურც ის დაგვაიწყლებათ, რომ ბრბო საკმაოდ ხში-რად ხალხის გრძნობებს გამოხატავს. აქვე დავძენ, თუ როგორი მზადყოფნით მიიჩქარით ხოლმე თქვენი მოკავ-შირეების დასახმარებლად იმ დროს, როდესაც გაჭირვე-ბულ თანამემამულეებს განგებისა და ეკლესიის ამარა ტოვებთ.“

როგორც ამბობენ, ლორდთა პალატას უფრო გაბედული, მჭევრმეტყველური და ამაღელვებელი გამოსვლა მანამდე არც მოუსმენია, მაგრამ ეს სრულებითაც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ბილი გაუქმებულიყო. მეამბოხე ლუდიტები სიკვდილით დასაჯეს.

ეს მოვლენა ბაირონის ორ ლექსში აისახა: “Framers of the Frame Bill”<sup>16</sup> – „ვინც შექმნა კანონი დაზგების განადგურების შესახებ“, რომელიც 1812 წელს გამოქვეყნდა, და “Song for the Luddites” – „ლუდიტების სიმღერა“, რომელიც 1816 წელს შე-იქმნა.

ბაირონი მომავალშიც თავისი პოლიტიკური ხაზის ერთგუ-ლი დარჩება. მისი პოლიტიკა პოეზიაა თავად, ხოლო მისი პოე-ზია ყოველთვის დიდ პოლიტიკას ემსახურებოდა. ამიტომაც

---

<sup>16</sup> ლექსის სათაური შეიცავს სიტყვათა თამაშს: frame (ინგლ.) – აგება, აშე-ნება; შექმნა. framer (ინგლ.) – დაზგა, სადაც „შექმნა“ და „დაზგა“ ერთი ფუძითაა (frame) გამოხატული, ხოლო სიტყვა-სიტყვით სათაური ასე წაიკითხება: ვინც ააშენა კანონი იმათ წინააღმდეგ, დაზგებს რომ ანგ-რევენ.

იყო, რომ ყველა დროსა და ეპოქაში ბაირონი უპირველესად პოლიტიკურად მოაზროვნე პიროვნებებს შთააგონებდა.

ორი კვირის თავზე ბაირონის პარლამენტში პირველი გამოსვლიდან ქვეყნდება „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ I და II სიმღერები.

ახალგაზრდა კაცის მიერ თავგადასავლის ძიება – ეს მარადიული თემაა. პოეტური ავტობიოგრაფია და ლექსად დაწერილი სათავგადასავლო ამბავი ადრეც ყოფილა შექმნილი, თავად ხმელთაშუა ზღვისაც, მაგრამ „ჩაილდ ჰაროლდის“ მსგავს სიახლის სურნელს, თხრობის ენერგიულობას, სითამამესა თუ ენის სილალეს ვერაფერი შეედრებოდა. ნაწარმოების მთავარი გმირია ერთი დაუღვევარი არისტოკრატი, რომელსაც თავგადასავალი სწყურია. ასეთ გმირთან ყოველი ახალგაზრდა საკუთარ თავს აიგივებდა, ამავე დროს მასში ხედავდნენ თავად ავტორს ქმნილებისას, ისეთსავე ლამაზსა და განწირულს სევდისათვის, როგორც მისი გმირი იყო.

საყურადღებოა ნაწარმოების სათაური – „Pilgrimage“ (მოგზაურობა), როგორც „პილიგრიმი“, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სათავგადასავლო მოძრაობას, არამედ საკუთარი თავის ამოცნობას, საკუთარი „მეს“ შესაცნობად განკუთვნილ მოგზაურობას. სწორედ იმიტომაც გაეშურა პირველ მოგზაურობაში ლორდ ბაირონი, რომ სურდა დაემკვიდრებინა საკუთარი დამოუკიდებლობა და ენახა სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი რომანტიკული იმპულსია, აგრეთვე, ნახოს ის იდეალი, რომელიც, როგორც აღმოჩნდება, არ არსებობს. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა საბერძნეთს – მისი ოცნების ქვეყანას და მისი მსოფლმხედველობის პირველწყაროს.

1812 წლის მკითხველისათვის „ჩაილდ ჰაროლდის“ გაცნობა, როგორც ამბობენ, ახალი პლანეტის აღმოჩენას უტოლდებოდა.

რაც ყველაზე მეტად აღელვებდა მკითხველს და იპყრობდა მის ყურადღებას, ეს იყო ის, რომ მასალა პირველი ხელიდან მოდიოდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ავტორმა თავად გამოსცა-

და ყოველივე და აღწერილი არ იყო მხოლოდ მისი ფანტაზიის შედეგი. ის ხომ გვერდიგვერდ იდგა აღმოსავლეთის ფაშებთან თუ ალბანელ ყაჩაღებთან და საკუთარი თვალით უყურებდა აღმოსავლურ სილამაზეს. და მაინც, პირველ ყოვლისა, ეს იყო ღრმა და სევდიანი ჩაფიქრება აწმყოსა თუ წარსულზე, ბუნების მშვენიერებასა თუ იმპერიათა მსხვერვაზე.

პოემის მთავარ პერსონაჟს ავტორი თავდაპირველად "Burn"-ს (ბურუნ) უწოდებს, რაც ბაირონების გვარის არქაული ფორმა გახლავთ და რომელიც შემდეგ პოეტმა პირობითად Harold-ით (ჰაროლდი) შეცვალა. რაც შეეხება Childe-ს (ჩაილდ), ესეც, როგორც არქაული ფორმა, კეთილშობილს ნიშნავს. ასე შეიქმნა საკუთარი სახელი ბაირონის პოემის გმირისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩაილდ ჰაროლდის უსაზღვრო სევდასა და მწუხარებას ყველაზე მკვეთრად გადმოსცემს მიძღვნა ქალისადმი – "To Inez" – „ინესას“ (იხ. გვ. 36), რომელიც პირველ სიმღერაში 84-ე სტროფის შემდეგაა ჩართული.

თუ ბაირონის პირველ ლექსთა კრებულს (1807 წ.) კრიტიკა ლანძღვით შეხვდა, „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორის სახელი ცეცხლივით მოედო ჯერ დიდ ბრიტანეთს და მერე – მსოფლიოს. სწორედ ამ უეცარი აღიარების შესახებ უთქვამს მას, ერთ მშვენიერ დღეს „მე სახელგანთქმულმა გავიღვიძე“.

ოთხ კვირაში „ჩაილდ ჰაროლდი“ შეიდგერ გამოიცა. ეს შემთხვევა დღესაც უპრეცედენტო მოვლენად რჩება ინგლისური წიგნის ისტორიაში.

ბაირონის პირველი გამომცემელი გახლდათ ჯონ მარი II, ხოლო მასთან შუამავლობას ბაირონს მისი ნათესავი და მეგობარი რობერტ დალასი უწევდა. ბაირონის პოემის არნახულმა წარმატებამ არანაკლებ წარმატებული გახადა თავად ჯონ მარი, რომელიც დარჩა პოეტის ერთადერთ გამომცემლად მისი სიცოცხლის ბოლომდე.

ჩვენ ქვემოთ კიდევ არაერთხელ შევხვდებით ჯონ მარი II-ს, რომლის სახელი ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, ხოლო მისი სახლი ალბეშარლ სტრიტზე, ლონდონში, პრაქტიკულად ბაირონის მოქმედი მუზეუმი, რამეთუ მისი შთამომავლები, როგორც ბრიტანეთის თვალსაჩინო გამომცემლები, ამ სახლს სათუთად უფრთხილდებიან. დღეს ამ საქმეს უძღვება ჯონ მარი VII.

1993 წელს გარდაიცვალა ჯონ მარი VI, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, ცნობილი ინგლისელი გამომცემელი, რომელსაც შევხვდი 1991 წელს ბაირონოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლონდონში. ბატონმა მარიმ, სიმპოზიუმის რამდენიმე მონაწილესთან ერთად, შინ მიმიპატიჟა. მათ სახლში ინახება ბაირონის ხელნაწერები, პირადი ნივთები, თვით კოჭლი ფეხის ჩექმაც, ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელი. სპეციალურად შეკერილი ჩექმა ხომ ულამაზეს ყმაწვილს მეტნაკლებად უფარავდა თანდაყოლილ ნაკლს. აქ გამოფენილია ბაირონის ცნობილი პორტრეტები. სადარბაზოდან ამავალ კიბეზე მოგეგებებათ ტორვალდსენის მიერ შესრულებული თეთრი მარმარილოს ბიუსტი ბაირონისა, და, რაც მთავარია, შემონახულია ის ინტერიერი, სადაც ერთმანეთს ხედებოდნენ ჯონ მარი, ვოლტერ სკოტი, სემუელ როჯერსი, ტომას მური... და ლორდ ბაირონი. ეს მტკიცდება იმ ფერწერული ტილოებით, რომლებიც XIX საუკუნემ დაგვიტოვა და რომლებიც ჩემთვის წიგნებიდან იყო ცნობილი. ანდამატივით მიმიზიდა ერთმა ოთახმა. იქ ჩემთვის თითქოს ყველაფერი ნაცნობი იყო, განსაკუთრებით ჩუქურთმებიანი ორი მაღალი თეთრი კარადა, მათ შუა ბუხრის თავზე ფილიპსის მიერ შესრულებული ბაირონის პორტრეტი, რომელიც აღინიშნება პოეტთან გამორჩეული მსგავსებით. ეს პორტრეტი აქ ბაირონის სიცოცხლეშივე ეკიდა, ეკიდა მაშინ, როდესაც ბაირონი აქ სტუმრად მოდიოდა და ეკიდა მაშინაც, როცა ამ ბუხარში ბაირონის გარდაცვალების შემდეგ, იმ საბედისწერო დღეს დაწვეს მისი მემუარები. მკითხველის ყურადღებას კვლავ შევაჩერებთ პოეტის ბიუსტზე. ბერტოლ ტორვალდსენმა ეს ბიუსტი 1817 წლის გაზაფხულზე შექმნა, იმ დროს როდესაც პოეტი რომში იმყოფებოდა.

დანიელ მოქანდაკეს მისივე სახელოსნოში პოზირებას უწევდა თავად ლორდ ბაირონი. ეს მოხდა თურმე ჰობჰაუსის დიდი დაჟინებით, რომელიც იმხანად რომში იმყოფებოდა. ჰობჰაუსს უთხოვია მოქანდაკისთვის, ბაირონი თავზე გვირგვინდადგმული გამოესახა, რაზეც პოეტს მტკიცე უარი განუცხადებია. ეშინოდა თურმე, ვინმეს მეფე ან დამპყრობელი არ ჰგონებოდა. თან უხუმრია, უფლებას არ მოგცემთ საშობაო ნამცხვარივით ბაძვით მომართოთ და ასე გამამასხარაოთ.

როდესაც ბიუსტი მზად იყო, ბაირონს უთქვამს: „ვერ ვიტყვი, რომ ყველაფრით მგავს, ჩემი გამომეტყველება გაცილებით უფრო უბედურიაო“.

ბაირონის მეგობრებმა კი ერთხმად აღიარეს, რომ ბიუსტი პოეტთან განსაკუთრებული მსგავსებით გამოირჩეოდა. შემდგომში ტორვალდსენმა სწორედ აქედან შექმნა პოეტის სრული ქანდაკება, რომელმაც 1843 წელს კემბრიჯში, ტრინიტი კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.

1812 წლის 22 თებერვალს კარლტონ ჰაუსში გამართულ ბანკეტზე ერთმანეთს შეტსაკებიან ლორდ ლოდერმანი და პრინც-რეგენტი – ინგლისის მომავალი მეფე ჯორჯ IV. ამ ინციდენტს ცრემლებამდე მიუყვანია პრინც-რეგენტის ქალიშვილი პრინცესა შარლოტა.

მეტად აწყვეტილი ცხოვრების მქონე რეაქციონერი პრინცი – რეგენტი ნაკლებად უყვარდა თავის ხალხს. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა მისი უგულო ურთიერთობით საკუთარ ქალიშვილთან. კარლტონ ჰაუსში მომხდარ ამბავს ეხმაურება ბაირონის ლექსი “Lines to a Lady Weeping” – „ატირებულ ლედის“ (იხ. გვ. 39).

ლექსმა რეაქციონერთა მძვინვარება გამოიწვია. „გაზეთები ისტერიკამ მოიცვა, ქალაქი აღელდა... რვა ხაზმა სულ მცირე რვა ათასი ხაზი წარმოშვა“, – წერდა ბაირონი.

ბაირონი სხვა დროსაც მრავალგზის დაუპირისპირდება კალმითა და საქმით მონარქიას თუ თვით მონარქს, მაგრამ ბედიც არაერთხელ დასცინებს მას... დღეს ბრიტანელი ბიოგრა-

ფები ახდლილად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჯეკ მასტერსი, ვისაც მისთხოვდა ბაირონის „ამომავალი ვარსკვლავი“ მერი ჩავორსი, ჯორჯ IV-ის არაკანონიერი შვილი გახლდათ, რომელიც გარეგნულადაც საგრძნობლად ჰგავდა მას.

თვალისმომჭრელ გარეგნულ სილამაზესთან ერთად ბაირონს ჰქონდა დიდი პიროვნული ხიბლი, რაც ასე აჯადოებდა მის ირგვლივ მყოფ მანდილოსნებს. მრავალი ქალი ესწრაფოდა ბაირონთან შეხვედრას, მრავალი ოცნებობდა მის სიყვარულზე. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ლედი კაროლინა ლემი, ლორდ ლემის მეუღლე, რომელიც ჰოლანდების სასახლეში სტუმრად მყოფ ბაირონს თავად ლედი ჰოლანდმა გააცნო.

ლორდ ლემს, შემდგომში II ლორდ მელბურნს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, განსაკუთრებით აფასებდა დედოფალი ვიქტორია. ლორდ ბაირონისა და ლედი კაროლინა (კარო) ლემის ურთიერთობის ამბავი სწრაფად გახმაურდა. თუ ბაირონს სინდისი ქენჯნიდა, როცა ლორდ ლემი ნდობით აღსაქვს მზერით უწვდიდა მას ხელს, კარო არაფერს თაკილობდა მიჯნურის შესანარჩუნებლად. ვერც ქმარ-შვილი, ვერც ოჯახი, ვერც მაღალი საზოგადოების აზრი და, საერთოდ, ვერაფერი ქვეყანაზე ვერ აიძულებდა მას მორიდებოდა ბაირონთან კავშირს. ბაირონმა მას პატარა ვულკანი უწოდა. კაროს უბედურება ის იყო, რომ მისი ნერვიული და ახირებული ხასიათით გაბეზრებულმა ბაირონმა თავად ისურვა კავშირის გაწყვეტა. რა ხერხს არ მიმართავდა სასოწარკვეთილი ქალი მასთან შესახვედრად. პაჟის სამოსლით შენიღბული, იგი არაერთხელ ასდევნებია ბაირონს მაღალ საზოგადოებაში, ვარდებოდა ისტერიკაში, ამტკრევდა ფანჯრის მინებს, იწევდა თავის მოსაკლავად. ტომას ფილიპსის მიერ შესრულებულ პორტრეტზე ლედი კაროლინა ლემი სწორედ პაჟის ფორმაშია გამოსახული.

კარო ლემი ბაირონს იმითაც კი დამუქრებია, ახალი კოსტიუმისათვის ღილები დავუკვეთე, რომელზედაც ამოტვიფრული

იქნება "Ne Crede Byron"<sup>17</sup>, და ასე ვაპირებ საზოგადოებაში გამოჩენასო. თვითონ ამაცსა და მგზნებარეს, ბაირონს არ შეეძლო ვინმესაგან მსგავსი ძალადობის ატანა. ამიტომაც იყო, რომ იგი კაროს უკვე ყველგან და ყოველთვის გაურბოდა.

ერთ მშვენიერ დღეს კაროლინა შინ სწვევია ბაირონს. მისი უგანათლებულებსობა შინ არ ყოფილა. მაგიდაზე ვილიამ ბეკფორდის „ვათექი“ ყოფილა გადაშლილი. წიგნის თავფურცელზე სტუმრად მისულ კაროს წაუწერია "Remember me!" – „გახსოვდე!“

შინ დაბრუნებულ ბაირონს ავბედითი გაფრთხილებისათვის უმაღლივით ტაეპი მიუწერია შემდეგი სათაურით – "Remember Thee, Remember Thee" – „მახსოვხარ მარად, მახსოვხარ მარად“ (იხ. გვ. 40).

ლექსი დაიწერა 1812 წელს. პირველად გამოქვეყნდა 1824 წელს ტომას მედვინის წიგნში „საუბრები ლორდ ბაირონთან“.

ბაირონსა და კაროს შორის გაბმული ამურული ზღარბები განსაკუთრებით ვნებდა ლორდ ლემის რეპუტაციას. ლორდ ლემის დედა, ლედი ელიზაბეთ მელბურნი, სილამაზითა და გონიერებით განთქმული ქალი გახლდათ და ლორდ ბაირონთან მას საკმაოდ კეთილმეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. პირადად თუ წერილობით ბაირონმა მრავალჯერ მიმართა მას რჩევისათვის და არაერთხელ გაითვალისწინა მისი აზრი. ბაირონი იმდენად ყოფილა მისი პიროვნებით მოხიბლული, რომ უთქვამს კიდევ ერთხელ, ლედი მელბურნი ასაკით დედად რომ არ მეკუთვნოდეს, ალბათ, თავს დამაკარგვინებდაო. არც ლედი მელბურნი დაბნეულა შექმნილ სიტუაციაში და ბაირონის ნდობა ისევ საკუთარი შვილის სახელის გადასარჩენად საკმაოდ მოხერხებულად გამოუყენებია, როცა განიზრახა, რომ თავისი ძმისშვილი, ანა იზაბელა მილბენკი, ბაირონისთვის მიეთხოვებინა. ამ გზით გამოცდილი ქალბატონი ორი კურდღლის დაჭერას იმედოვნებდა. პირველი – ქორწინებით ბაირონს სა-

<sup>17</sup> Ne Crede Byron (ლათ.) – არ ენდოთ ბაირონს.



კუთარ რძალს ჩამოაშორებდა, მეორე — მისი ძმის, რაღმ მილბენკის, ერთადერთ ქალიშვილს, ანა იზაბელას ჩინებულ მეუღლეს შესძენდა.

ანა იზაბელა, ანუ ანაბელა, როგორც მას ახლობლები მოიხსენიებდნენ, მათემატიკაში ღრმა განსწავლულობასთან ერთად, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ქალიშვილი გახლდათ. რაც, უდავოდ, შესანიშნავი პირობა იყო მისი დაახლოებისა ლორდ ბაირონთან. ამისათვის ლედი მელბურნმა ისევ საკუთარ რძალს, კაროს, მოუხმო და სწორედ მას სთხოვა ანაბელას ლექსების პატარა რვეული ბაირონის ყურადღების არეში მოექცია. ესეც, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ კაროში მოსალოდნელი ეჭვები გაექარწყლებინა.

1812 წლის გაზაფხულზე კაროლინა ლემს ბაირონისათვის გადაუცია ანაბელა მილბენკის ლექსების რვეული. ბაირონი აღფრთოვანებულია არა მარტო ქალიშვილის პოეტური სამყაროთი და საფუძვლიანი განათლებით, არამედ, პირველ ყოვლისა, მისი პურიტანული აღზრდითა და გულწრფელი რელიგიურობით. ბაირონმა ანაბელა მილბენკს ცოლობა სთხოვა და ორ წელზე მეტი ელოდა მის თანხმობას.

მიუხედავად, ერთი მხრივ, გულწრფელი სიმპათიისა ანაბელა მილბენკისადმი, ხოლო მეორე მხრივ, კაროსაგან მომდინარე თავბრუდამხვევი თავგადასავლებისა, ბაირონი კვლავ მერი ჩავორსისადმი სიყვარულის შთაბეჭდილების ქვეშაა. ამ დროისათვის მერის უკვე მიეტოვებინა მეუღლე და თავის ხუთ შვილთან ერთად ბაირონის კვალს ადევნებული, ნიუსტედის მახლობლად დასახლებულიყო. დრომ შემოინახა არაერთი წერილი, სადაც იგი ბაირონს შეხვედრას სთხოვს. ბიოგრაფები 1813 წელს მათი ფარული შეხვედრების დროდ ასახელებენ, მაგრამ ამ შეხვედრებსაც დასასრული გამოუჩნდა. ერთ-ერთი მომავალი შეხვედრის შესახებ შეუტყვია ბაირონის ნახევარდას, ოგასტა ლის. ოგასტას დაურწმუნებია ბაირონი ამ შეხვედრის სიმცდარეში, რამეთუ მერის უმწიკლო რეპუტაციას ეს ყოველივე ჩრდილს აყენებდა. მოსალოდნელი იყო, აგრეთვე, რომ ბაირონიც თავდავიწყებას მიეცემოდა და არავინ იცოდა,

ეს რით დამთავრდებოდა. ბაირონს დაუჯერებია დისტოვის და მერიის აღარასოდეს შეხვედრია.

„ჩაილდ ჰაროლდისა“ და „კორსარის“ ავტორმა, ოცდაექვსი წლის ლორდ ბაირონმა განაცხადა, ლექსის წერაზე ხელი ავიღეო. და ეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ პოეზიაზე მაღლა იგი საქმეს აყენებდა. „უკეთესი საქმე რომ იშოვოს კაცმა, კალამი ხელში რა ასაღებიაო,“ – ამბობდა იგი, და ამ საქმედ სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას მიიჩნევდა. ბაირონის, როგორც მსოფლიო მოქალაქის, მთელი ცხოვრება ხომ ამ ბრძოლის საუკეთესო მაგალითია.

1814 წლის 9 აპრილს ტომას მურისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

*„ლექსებს მეტად აღარ დავწერ – უფრო ზუსტად, მათ ჩემგან ნულარ ელით. მე მივდივარ ამ სცენიდან და ამერიიდან აღარ მსურს მასხარაობა. მე მქონდა ჩემი დრო და ვიცი, რომ ის დასრულდა... ამ დროებით სახელს იმის ხარჯზე მივალწიე, რომ საყოველთაოდ მიღებულ აზრსა და ცრურწმენას კრიჭაში ჩავუდექი, მმართველ ძალას არასოდეს ვეპირფერებოდი და არასოდეს დამიფარავს თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე ამაღელვებდა“...*

იმავე საღამოს ბაირონს გაზეთით შეუტყვია ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომის ამბავი, რასაც ერთიანად შეუძრავს პოეტი.

*„იქნებ გვირგვინი არც ღირს თავის მოკვლად, მაგრამ როგორ შეძლო აქამდე მისვლა მან, ვინც ლოდის<sup>18</sup> ბრძოლა მოიგო. ამ არსებასთან შედარებით თავი მწერი მგონია, და მაინც გაცილებით პატარა რაიმეს გამო სიცოცხლე გამიწირავსო“, – აღშფოთებული მოსთქვამდა ბაირონი. „ო, ღმერთო ჩემო! ამ საიმპერიო აღმასს ზადი ჰქონია და ახლა ის მეშუშეს თუ გამოადგება საჭრელში, თორემ*

<sup>18</sup> ლოდი – ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ნაპოლეონმა ავსტრიის ჯარი დაამარცხა.

ისტორიკოსის კალამს ერთ დუკატადაც არ უღირს. თუმცა დღეს ის ყველა თაყვანისმცემელმა მიატოვა და მას ყველა გაურბის, ზურგს მე მას მაინც არ შევაქცევ“.

ნაპოლეონის გადადგომის ამბავმა ბაირონს სიტყვა გაატეხინა. მეორე დილას მას ნიაღვარივით წასკდა რითმები. „ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც თავი ფიზიკურად ვერ შევიკავე“, – სწერდა ამის შესახებ პოეტი თავის მეგობარსა და გამომცემელს ჯონ მარის.

10 აპრილს ბაირონს დღიურში ჩაუწერია:

*„დღეს ერთი საათის მანძილზე კრივში ვიეარჯიშე. დაეწერე ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი – გადაეწერე – შევჭამე ექვსი გალეტი – დავლიე ოთხი ბოთლი სოდიანი წყალი.“*

ასე შეიქმნა „Ode to Napoleon Buonaparte“ – „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ (იხ. გვ. 41), გენიოსის ცივი გონებითა და მგზნებარე პოეტური განცდით დაწერილი განაჩენი იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ბაირონი კერპად მიიჩნევდა. 16 აპრილს „ოდა“ ანონიმურად გამოქვეყნდა ჯონ მარის მიერ.

ჩემს გვარს „ოდას“ ნუ დააწერთო, სთხოვდა ბაირონი გამომცემელს, რამეთუ არაერთგზის დაედო პირობა, რომ ლექსებს აღარ დაწერდა. იქვე იმასაც აცნობებდა: „შეგიძლიათ ახდღილად ილაპარაკოთ, რომ ის ჩემია. მე მას მივუძღვნი ჯონ კემ ჰობსპაუზს, ჩემს უახლოეს მეგობარს, რაც საკმარისი მინიშნება იქნება ჩემი ავტორობის დასადგენად“.

რამდენი ძლიერი ამა ქვეყნისა გაიხსენა ბაირონმა ნაპოლეონთან მიმართებაში: სულა, დიონისე უმცროსი, კარლ V, თემურ ლენგი, ჯორჯ ვაშინგტონი...

ალუზია ბაირონისათვის მხოლოდ სტილისტური ხერხი არასოდეს ყოფილა. ის არც კალმით მოქმედებას დასჯერებია. გმირებს ბაირონი სიტყვითა და საქმით თანაბრად ასახიერებდა. პრომეთე მან თავისი ცხოვრების წესით გააცოცხლა, როდესაც სიცოცხლე საბერძნეთის მიწას, ბერძენი ხალხის გათა-

ვისუფლებას შესწირა. „ოდის“ შექმნის შემდეგ ბაირონს ათი წლის სიცოცხლე ელოდა. ეს იყო სიცოცხლე აღსავსე მრავალი პოეტური შედეგებითა და საგმირო საქმეებით, მშფოთვარე განცდებითა და უნაზესი სიყვარულით.

მართალია, ნაპოლეონის მარცხი ბაირონისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა, მაგრამ სამყაროს მან ნათლად დაუმტკიცა, რომ ის, რაც ნაპოლეონმა ჯარითა და იარაღით ვერ მოახერხა, პოეტმა სიტყვით შეძლო. ბაირონმა მართლაც დაიპყრო მსოფლიო, როგორც თავისუფლების რაინდმა და ეს მან ჭეშმარიტად სიტყვითა და საქმით გააკეთა.

1814 წლის ივნისში, ებრაელ მუსიკალურ გამომცემელ ისააკ ნათანს უთხოვია ბაირონისათვის ლირიკული ლექსების დაწერა მის მიერ აღმოჩენილი ებრაული მელოდიებისათვის. ნათანი ირწმუნებოდა, რომ ამ მელოდიებს ებრაელები მღეროდნენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში. 1815 წელს 23 ცალკეული ლექსისაგან შემდგარი ბაირონის ეს ციკლი ცალკე წიგნად გამოვიდა სათაურით „Hebrew Melodies“ – „ებრაული მელოდიები“ (იხ. გვ. 52).

ამ ლექსებს თან ახლდა ისააკ ნათანისა და ჯონ ბრაამის მუსიკა.

„ებრაული მელოდიებით“ ბაირონი გარკვეულწილად მხარს უჭერდა იმ სიახლეს ლიტერატურაში, რომელიც ოციოდე წლის წინ წამოიწყო ვოლტერ სკოტმა, როდესაც შექმნა „შოტლანდიური მელოდიები“, და რაც შემდეგ გააგრძელა ტომას მურმა „ირლანდიური მელოდიებით“.

ინგლისელების ინტერესი ბიბლიისადმი ყოველთვის განსაკუთრებული იყო. მაგრამ ის საგრძნობლად გააძლიერა 1611 წელს გამოცემულმა ბიბლიამ მეფე ჯეიმს I-ის თარგმანში. ბიბლია მარად შთააგონებდა ინგლისელ პოეტებს, მხატვრებსა თუ მუსიკოსებს. მრავალი ავტორი მიმართავდა თავის ნაწარმოებებში ბიბლიურ სიუჟეტს, რამეთუ სწორედ შორეულ წარსულში ეგულებოდათ შვება და სიწმინდე.

როდესაც ბაირონის სახელით „ებრაული მელოდიები“ გამოქვეყნდა, მკითხველი ინერციით მიეძალა ახალგაზრდა ლორდის ნაწარმოებებს, მაგრამ ლექსების შინაარსმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ღვთიური და ამაღლებული აქ მხოლოდ ამქვეყნიურთან და ადამიანურთან თანაარსებობდა. „ებრაული მელოდიები“ მის სხვა ლექსებზე არანაკლებ მიწიერად და დემონურად გამოიყურებოდა, რამეთუ დემონურია ხელოვნება, რომელსაც შესწევს უნარი მონუსხოს და მოაჯადოვოს ადამიანი.

„მელოდიების“ პირველმა ორმა გამოცემამ ბაირონის მეგობარსა და გამომცემელს, ჯონ მარის, დიდი მოგება მოუტანა. შემდეგი გამოცემა ჯონ მარიმ მუსიკის გარეშე მოაძხადა. მიუხედავად იმისა, რომ ბაირონი ფინანსურად დიდ შეჭირვებას განიცდიდა, ჰონორარზე მას ამჯერადაც უარი განუცხადებია.

„ებრაულ მელოდიებში“ შემავალ ლექსთა დიდი უმრავლესობა ბიბლიურ თემაზეა შექმნილი და მათ საფუძვლად უმთავრესად ძველი აღთქმის თქმულებებია მოხმობილი. ერთ-ერთი თქმულება აისახა ლექსში „My Soul is Dark“ – „სწუხს სული ჩემი“ (იხ. გვ. 56). მეფე დავითი სთხოვს პოეტს, თავისი სიმღერით ცრემლი მოჰგვაროს მას. ეს ცრემლს ძალუძს იხსნას მეფის გული დარდისა და სევდისაგან, რამეთუ სამყაროს ბოროტებას ის უსაშველოდ დაუმწუხრებია. მხოლოდ განცდებით, ბრძოლითა და მონანიებით შეუძლია ადამიანს შეინარჩუნოს ღირსება და სისუფთავე. ასეთია ის ძირითადი იდეა, რომელიც ლექსში ბიბლიური მეფე დავითის განცდებითაა გაცხადებული.

და მაინც, ძალზე ძნელია აღნიშნული ლექსი მხოლოდ ბიბლიურ თემაზე დაიყვანო და აქ თავად პოეტის პირადი განცდა და მწუხარება არ ამოიკითხო. პოეტის ნაღვლიანი განწყობილება „მსოფლიო მწუხარების“ მწვერვალს სწორედ ამ ლექსში აღწევს.

ძირითადი გამონაკლისი, რომელსაც ბიბლიურ სიუჟეტთან არაფერი აქვს საერთო, გახლავთ სამი ლექსი: „მოდის ლამაზი,

როგორც ხატება“ (იხ. გვ. 52), „როცა ატირდი“ (იხ. გვ. 58) და „წყეულ სიკვდილმა ჩაგიგდო ხელში“ (იხ. გვ. 59).

1814 წლის 12 ივნისს ბაირონი მეჯლისზე შეხვედრია თავისი მამიდაშვილის, იმ ხანად ცვილონის მთავრის მეუღლეს, მშვენიერ მისის ვილმოტ ჰორტონს, რომელსაც სცმია შავი კაბა გაწყობილი მოციმციმე კილიტებით. ასე გაჩნდა სტრიქონები „ვითარცა ღამე ვარსკვლავთა სხივში“ ლექსში “She Walks in Beauty” – „მოდის ღამაზი, როგორც ხატება“.

მისის ჰორტონის ფიზიკური სილამაზე ჰარმონიულად ერწყმოდა მის სულიერ სამყაროს, რის მიმართაც ბაირონი გულგრილი ვერ დარჩებოდა. პირად საუბარში მას უთქვამს კიდეც ლედი ბლესინგტონისათვის: „მე არ ვლაპარაკობ ნაკეთებისა და აღნაგობის უბრალო სილამაზეზე, არამედ გამომეტყველებაზე, რომელიც სულიდან მოდის და თვალებიდან გამოსჭვივის, და რომელიც, ჩემი აზრით, არის კიდეც ჭეშმარიტი სილამაზე.“

აქვია, როგორც ვთქვით, ლექსი “Oh, Snatched Away in Beauty's Bloom” – „წყეულ სიკვდილმა ჩაგიგდო ხელში“. არაერთი მკვლევარი ამ ლექსს თირზასადმი მიძღვნილ ციკლს მიაკუთვნებს.

„ძნელად თუ მოიძებნება კაცი, რომელიც ამ ლექსში საკუთარ დარდს არ ამოიკითხავს. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა“, – უთქვამს ბაირონს ამ ლექსთან დაკავშირებით. ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რამეთუ ბაირონის გამონათქვამი კიდეც ერთხელ მოწმობს იმას, რომ თირზას მიღმა რეალური პირი იდგა.

„ებრაული მელოდიების“ ციკლში ყურადღებას იპყრობს სამოქალაქო ლირიკის ნიმუში “Thy Days are Done” – „შენი სიცოცხლე დასრულდა, გაქრა“ (იხ. გვ. 61).

„ებრაული მელოდიების“ შექმნის პერიოდს ემთხვევა მუსიკისადმი მიძღვნილი სტანსების შექმნაც – 1814-1815 წლები. წიგნში შეტანილია ერთ-ერთი მათგანი, საკუთრივ “Stanzas for Music” (“There be none of Beauty's daughters”) – „სტანსები მუსი-

კისადმი“ („არ არსებობს სილამაზე შენზე უფრო მწველი“) (იხ. გვ. 65).

1815 წლის 2 იანვარს, ორშაბათ დღეს, ლორდ ბაირონმა და მის ანაბელა მილბენკმა ჯვარი დაიწერეს.

ჯვრისწერა მოხდა სიჰემში, მილბენკების მამულში. მისაღებ ოთახში მხოლოდ ოჯახის წევრები შეიკრიბნენ. ლორდ ბაირონი იქ 30 დეკემბრის საღამოს ჩავიდა თავის უახლოეს მეგობართან, ჯონ კემ ჰობჰაუზთან ერთად. მას წინასწარ მიეღო ნებართვა კენტერბერის არქივისისკოპოსისაგან, რომ ჯვარს დაიწერდა ნებისმიერ დღეს და ნებისმიერ ადგილას საჯაროობის გარეშე.

ჯვრისწერის ცერემონია მართლაც მშვიდად და უხმაუროდ ჩატარდა.

„მის მილბენკი იდგა მტკიცე, ვითარცა კლდე, — იხსენებს ჰობჰაუზი, — და თან გამუდმებით ბაირონს უყურებდა. ფიცს ხმამაღლა და გარკვევით წარმოთქვამდა.“

ბაირონს ფიცის წარმოთქმისას ჯერ ოდნავ ენა დაბმია, შემდეგ გაუგრძელებია სათქმელი და მეგობრისათვის გადაუხედავს ღიმილით. ჰობჰაუზს კი ისეთი გრძნობა დაუფლებია, თითქოს მეგობარს მარხავდა.

ჯვრისწერის შემდეგ წყვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა იორკშირში, სადაც ისინი თაფლობის თვეს გაატარებდნენ. დამშვიდობებისას ჰობჰაუზმა ეტლში მჯდომ ლედი ბაირონს საჩუქრად ტარსიკონის ყვითელ ყდაში ჩასმული ბაირონის ლექსების ტომი გადასცა და ბედნიერება უსურვა. ლედი ბაირონს მისთვის ასე მიუგია: „თუ ბედნიერი არ ვიქნები, ეს მხოლოდ ჩემი ბრალი იქნება“.

21 იანვარს წყვილი ისევ სიჰემში დაბრუნდა, რათა ანაბელას მშობლებთან ერთად აღენიშნათ ლორდ ბაირონის დაბადების დღე — 22 იანვარი. ლორდ ბაირონი 27 წლის შესრულდა.

მარტის ბოლოს წყვილი ლონდონში პიკადილიზე დაბინავდა გრაფინია დევონშირისაგან ნაჭირაკვებ ბინაში. მიუხედავად ბაირონის ცრურწმენისა, სახლის ნომერი იყო 13.

დეკონშირების სახლი ლონდონში დღეს აღარ არსებობს, მაგრამ მათი ოჯახის მრავალი საინტერესო ნივთი დაცულია ჩათსვორსში – მათ საგვარეულო მამულში. ჩათსვორსების სასახლეში მოთავსებული სურათების კოლექცია თავისი სიმრავლითა და მნიშვნელობით მეორეა ბრიტანეთში დედოფალ ელიზაბეთ II-ის კოლექციის შემდეგ. მათ შორისაა ფილიპსის მიერ შესრულებული პორტრეტი კარო ლემისა.

პიკადილიზე დასახლებისთანავე ბაირონებს შინ ჰობჰაუზი სწვევიათ, რომელსაც დღიურში შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია:

*„ბაირონი თვლის, რომ მისი მეუღლე საუკეთესოთა შორის საუკეთესოა, და, მიუხედავად ამისა, მაინც მიჩნევს, ცოლი არასოდეს შევირთო“.*

ახალშეუღლებულები მხიარულად და ბედნიერად გამოიყურებოდნენ. საზოგადოების თვალში სათნო და მოსიყვარულე მეუღლე ბაირონს ერთ სამყაროდ უღირდა.

მაგრამ სამართლიანობისათვის მებრძოლ პოეტს ხომ ურიცხვი მტერი ჰყავდა. ბაირონმა მოასწრო არაერთი გამოწვევა ესროლა პარლამენტისა თუ პრინც-რეგენტისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ თავმომწონე ინგლისელ არისტოკრატიაზე. საზოგადოების მტრობამ მალე მის ოჯახურ ბედნიერებასაც დარია ხელი. მეუღლეებს შორის გაუგებრობის ბზარი გაჩნდა.

ყოველივე ამას არახელსაყრელმა მატერიალურმა მდგომარეობამაც შეუწყო ხელი. ბაირონს ხშირად აკითხავდნენ მოვალეები, სასამართლოს ბოქაულები, არაერთხელ აღუწერეს ქონება. იმ პერიოდში ბაირონმა აუქციონზე გაყიდა წიგნები და მრავალი სხვადასხვა ნივთი.

1815 წლის 10 დეკემბერს ლორდ ბაირონს შეეძინა ქალიშვილი ადა ოვასტა.

იმის შეგნება, რომ მას არ შეეძლო მეუღლისა და შვილის საკადრისად უზრუნველყოფა, შინაგანად ამცირებდა და გულს უღრღნიდა 27 წლის ლორდს. ბუნებით სევდიანი და მელანქო-



ლიური ბაირონი თავის თავში იყო ჩაკეტილი, და არცთუ იშვიათად გაღიზიანებული. მეუღლისთვისაც არაერთხელ უკადრებია უხეში სიტყვა. ანაბელას ჩარევა, როგორც ახლა აღნიშნავენ, კიდევ უფრო აღიზიანებდა ბაირონს.

ანაბელა ცდილობდა, მაშინდელი ბრიტანელი არისტოკრატი ქალისათვის დამახასიათებელი რაციონალიზმითა და თავდაჯერებულობით გამოესწორებინა მეუღლის მდგომარეობა, და უფრო მეტიც, „გამოესწორებინა“ თავად ბაირონი. რჩევები უკვე საზღვარს სცილდებოდა, როდესაც ანაბელა ბაირონს ლექსების წერას უკრძალავდა. ცხოვრების მგზნებარე ხასიათით ბაირონი ნამდვილად არ ჰგავდა ანაბელასათვის ახლობელ მამაკაცებს, რაც თურმე ფსიქიური ავადმყოფობის ეჭვს იწვევდა მასში. ამიტომაც იყო, რომ ანაბელამ ფსიქიატრს სთხოვა ბაირონისათვის ფარულად ეღვენებინათ თვალყური.

ბაირონს ჩინებულად ჰქონდა გაცნობიერებული გარემოცა და საკუთარი თავიც, მაგრამ ცხოვრების წესს ვერავის შეაცვლევინებდა, იმ ცხოვრების წესს, რომელზედაც მოგვიანებით მისწერს ტომას მურს:

*„გზნებით ცხოვრებას უკეთესს ვერაფერს შევადრი, თუ არა განუწყვეტლივ მიწისძვრას ან მუდმივ ციებ-ცხელებას. სხვა ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, აბა სცადეთ, და ამ მდგომარეობაში წვერი გაიპარსეთო“.*

პატარა ადა მხოლოდ ერთი თვის იყო, როდესაც ანაბელამ მშობლებთან სტუმრად წასვლა მოინდომა. ანაბელას მშობლები, იუდიით და რალფ მილბენკები, ახლა უკვე ლონდონიდან მოცილებით, კირკბიში (Kirkby) ცხოვრობდნენ, იმ მამულში, რომელიც ცოტა ხნის წინ მათ მემკვიდრეობით მიიღეს ლორდ ვენტვორტისაგან. გადაწყდა, რომ ანაბელა ბავშვთან ერთად გაემგზავრებოდა, ხოლო ბაირონი მოგვიანებით შეუერთდებოდა მათ. გზიდან ანაბელას წერილი გამოუგზავნია მეუღლისათვის:

*„ჩემო უძვირფასესო ბაირონ,*

*ბავში თავს ძალიან კარგად გრძნობს და არის საუკეთესო მოგზაური. იმედია კარგად ხარ.....*

*ვთხოვ, თავი არ გადააყოლო ლექსების წერას და ბრენდიც ბევრი არ დალიო, და საერთოდ, არაფერი გააკეთო ისეთი, რაც წესითა და კანონით მიუღებელია. ვიგზავნი ადას სიყვარულს ჩემს სიყვარულთან ერთად“.*

ჩასვლისთანავე ანაბელას კვლავ არანაკლებ თბილი და მოსიყვარულე წერილი მიუწერია მეუღლისათვის, მაგრამ, სულ მალე ამას მოჰყვა სერ რაღფ მილბენკის, ანაბელას მამის წერილი, სადაც ის ატყობინებდა ბაირონს, რომ ლედი ბაირონი მასთან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. სერ მილბენკი იმასაც მიანიშნებდა, რომ მზად იყო მათი განქორწინების საქმე საჯარო განხილვის საგნად ექცია, თუმცა, ამავე დროს იმედოვნებდა, რომ ყოველივე პირადი ურთიერთობის ფარგლებში მოგვარდებოდა.

ბაირონის ბიოგრაფები მრავალ აზრსა და შეხედულებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, თუ რა მოხდა მეუღლეებს შორის, რატომ შეიცვალა ანაბელა გამგზავრების შემდეგ, განზრახული ჰქონდა თუ არა წასვლამდე განქორწინება და ა.შ.

მეუღლეებს შორის კონფლიქტის გაღრმავებაში არცთუ პატარა ბრალი მიუძღოდა ანაბელას მოსამსახურე ქალს, მისის კლერმონტს, რომელიც დღენიადაგ უთვალთვალებდა წყვილს, რათა ახალ-ახალი ამბები ეცნობებინა მილბენკებისათვის. თავად ბაირონი მას თავსდატეხილი უბედურების სერიოზულ მიზეზად მიიჩნევდა და სატირული ლექსიც მიუძღვნა. მაგრამ, როგორც ირკვევა, მიზეზი სხვაც ბევრი იყო.

ბაირონმა არაერთი წერილი გაუგზავნა მეუღლეს, სადაც მას დაბრუნებას სთხოვდა. ყოველი მათგანი აღსავსეა სიყვარულით, წრფელი განცდითა და უშუალოებით.

*„ნუთუ ჩემთან ბედნიერი არასოდეს იყავი? განა ამას თვითონ არ მეუბნებოდნი? ასე როგორ შეიცვალე ამ ოც დღეში. ეს რომ არა, არც საკუთარ გრძნობებს მოწამლავდი და არც ჩემსას გათელავდი.*

*„... იფიქრე იმაზე, რომ საფრთხეშია ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, იქნება ეს აწმყო, მომავალი, თუ წარსულის*

*შეფასება. შენ კარგად მოგეხსენება ჩემი ყველა შეცდომა. როგორი სასტიკი სახელიც უნდა მოუძებნო მათ. მაგრამ ხომ იცი, რომ მიყვარხარ..... და ვერ დაგთმობ, რამეთუ არ მჯერა, რომ შენ აღარ გსურს ჩემთან დაბრუნება“.*

ბაირონი ცდილობდა, შეხვედროდა მეუღლეს, მაგრამ ამაოდ. ანაბელა ახლა წერილითაც აღარ ეპასუხებოდა ქმარს. საქმეს მამამისი და ადვოკატი უძღვებოდნენ. ანაბელას მშობლებისგან აკრძალული ჰქონდა ქმართან მიწერ-მოწერა, ხოლო მსახურები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ ბაირონის ჩამოსვლის შემთხვევაში არ დაეშვათ მისი შეხვედრა ლედი ბაირონთან.

ბაირონს ისღა დარჩენოდა, რომ კვლავ წერილით შევედრებოდა მეუღლეს, გონს მოგებულიყო:

*„ბელ, ჩემო უძვირფასესო..... მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმ სიმართლეს, რომელიც უბედურებაში გაცხადდა. მე შემძლია დაუსრულებლად, თუმც უიმედოდ და უმიზნოდ..... კვლავ ვიმეორო, რომ მიყვარხარ... არ ვიცი, ცუდი ვარ თუ კარგი, უგუნური თუ გონიერი, ლატაკი თუ უზრუნველყოფილი, მაგრამ ვიცი, რომ მიყვარხარ და მეყვარები სიცოცხლის ბოლო წუთამდე...“*

*... დღეს, როცა ყველაზე მეტად მიჭირს, როცა ამდენს ვეწამები, როცა ასე მაქვს გული შეჭმული და გონება გადამწვარი და კიდევ ამდენს განვიცდი, იქნებ ახლა მაინც იფიქრო, ან ოდესმე შეიგნო, რომ მე სრულებითაც არ ვარ ისეთი, როგორიც შენ გსურს წარმომიდგინო, და რომ მე ვერაფერი შემცვლის.*

*აქამდე თავს ვარიდებდი ბავშვის ხსენებას, და ვიცი, რომ ამ განცდაში მაინც ჩემში ეჭვი არ გეპარება. მინდა ვიცოდდე მისი ამბავი. ვიცი, რომ დღითიდღე იზრდება და ცელქდება. ჩემი თხოვნაა, ღე, ნუ იქნება ეს შენგან, მაგრამ ვისგანაც გსურს, თუნდაც ოვასტასგან, დროდადრო მაინც მაცნობე მის შესახებ“.*

ეს წერილი 1816 წლის 16 მარტითაა დათარიღებული, ე. ი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ ლედი ბაირონის გამგზავრებიდან. 17 მარტს ბაირონი წერს მეუღლისადმი მიმართულ ლექსს: "Fare Thee Well"— „გემშვიდობები“ (იხ. გვ. 66).

ეს იყო პირველი ლექსი, რომელიც პოეტმა მეუღლეს მიუძღვნა. აი რას მისწერს იგი ლედი ბაირონს:

*„ძვირფასო ბელ,*

*მე გამოგიგზავნე ის პირველი ლექსი, რომელიც შენთვის დავწერე, და რომელიც, შესაძლოა, ჩემთვის უკანასკნელიც აღმოჩნდეს. ასეთ დროს ის შეიძლება თვალთმაქცობადაც მოგეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არაა. ყველა ერის შემთხვევაში ბუნებრივ მდგომარეობასთან მიახლოებული ენა, როგორც ამბობენ, არის პოეზია. მე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასეა.*

*მოგეხსენება, რომ მიჯნური, მთვარეული და პოეტი — ეს წარმოსახვაა მხოლოდ და სხვა არაფერი. ვშიშობ, აქამდე შენ პირველ ორ გამოვლინებაში მიცნობდი, მაგრამ, ვაი, რომ მესამე შემთხვევისათვის აღარაფერი დარჩა დასამატებელი იმ უკმაყოფილებებიდან, რაც პირველი ორის მიმართ გავაჩნია“.*

ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ის გაზეთში გამოქვეყნდა. სულ მალე ამ მიძღვნამ ინგლისის საზღვრები გაარღვია და არაერთ დიდ მოაზროვნეს გული შეუტოკა. პუშკინმა ლექსის პირველი ორი სტროფი „ევგენი ონეგინში“ მერვე თავს ეპიგრამად წარუძმღვარა. მაღამ დე სტალს გულწრფელად აღმოხდენია: „თუ ბაირონმა მართლაც ამ სტრიქონებით მიმართა ცოლს, როგორ მოხდა, რომ ის მაშინვე მკლავებში არ ჩაუვარდა ქმარს“.

.... და მაინც, როგორც ქმრის ყველა წერილს, ამ ლექსსაც ანახელასაგან ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა, მაგრამ საკუთარი დედისათვის განკუთვნილ ბარათში ლედი ბაირონი დაწერს:

„... მას შემდეგ, რაც ჩემპიონმა (იგულისხმება გაზეთი - ი. მ.) მისი ლექსები გამოაქვეყნა, საზოგადოების დამოკიდებულება ბაირონისადმი კიდევ უფრო გამწვავდა. არაერთმა გამოთქვა აზრი მისი ორგულობის შესახებ...“

ერთნი მართლაც თვლიდნენ, რომ განცდა მოჩვენებითი იყო, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ პოეტი გულწრფელი იყო. ეს დავა მაშინ შეწყდა, როდესაც პოეტის გარდაცვალების შემდეგ ლექსის ხელნაწერს მიაგნეს. ის ცრემლებით იყო გაჟღენთილი...

ვისაც ერთხელ მაინც გადაუვლია თვალი ბაირონის ცხოვრებისათვის, შეამჩნევდა, რომ უდიდეს მისიასთან ერთად - ყოფილიყო თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი და გენიოსი პოეტი, განგებამ მას ურიცხვი სიმუხთლისა და ვერაგობის ატანა არგუნა წილად... და მაინც, ანაბელასაგან მიყენებული დარტყმის სიმძლავრე ყველა სხვას აღემატებოდა. ბაირონისათვის ეს განცდა თითქმის სიკვდილის ტოლფასი იყო.

მეუღლესთან და შვილთან განშორებას, - რომელიც, როგორც ბაირონი გრძნობდა, სამუდამო იყო, - კიდევ მეორე უბედურება დაერთო.

ანაბელამ ადვოკატთან მოთათბირების დროს ქმრის მიმართ წაყენებულ ბრალდებათა შორის დაასახელა სისხლის აღრევის დანაშაული, კერძოდ, ეჭვები იმის თაობაზე, რომ ლორდ ბაირონი ჰყვარობდა თავის ნახევარ დას, ოგასტა ბაირონს.

იქიდან გამომდინარე, რომ ამის მტკიცებულება არც ლედი ბაირონს გააჩნდა, და არც მის ადვოკატს მოეპოვებოდა, ამ უკანასკნელმა რჩევა მისცა ქალს, სასამართლოში ყურადღება გამახვილებინა ქმრისგან უდიერ მოპყრობაზე, რაც წარმოჩინდებოდა, როგორც შედეგი დასთან სასიყვარულო კავშირისა.

მტრობის პროცესს ყველაზე მეტად ის ამძიმებდა, რომ პოეტს ებრძოდა თავისი მეუღლე - ლედი ბაირონი, ერთადერთი რჩეული და სათაყვანებელი ქალი, ქალი, რომელსაც მხარში

ედგა მშობლების ოჯახი, ნათესაობა, ბრიტანეთის არისტოკრატია, ფაქტობრივად, ყველა, ვისთვისაც ბაირონი თავიდან მოსაცილებელი კაცი იყო.

ვინ იყო ბაირონისათვის ოგასტა?

ჯორჯ ბაირონი გახლდათ კაპიტან ბაირონის ერთადერთი ვაჟი მეორე ქორწინებიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ქორწინებიდან კაპიტანს დარჩა ქალიშვილი ოგასტა. მეორედ კაპიტანმა იქორწინა კეტრინ გორდონზე. როდესაც ახალდაქორწინებული წყვილი საფრანგეთს გაემგზავრა, კაპიტანმა თან წაიყვანა ოთხი წლის ქალიშვილი ოგასტა და ახალგაზრდა მეუღლის მზრუნველობას მიანდო. ქმრის აუტანელი ხასიათით გაბეზრებული ფეხმძიმე კეტრინი კაპიტანს გამოექცა და სამშობლოში დაბრუნდა. მას თან წამოუყვანია ოგასტა და ლედი ჰოლდერნესისათვის, ბავშვის ბებიისათვის ჩაუბარებია. ოგასტა ბაირონზე ხუთი წლით უფროსი იყო და ისინი ცალ-ცალკე იზრდებოდნენ. გავიდა დრო და და-ძმა შეხვდა ერთმანეთს. მაშინ ბაირონი 14 წლის ყოფილა. პირველი ნახვისთანავე ორივე მათგანის გულში სითბო და სიყვარული ჩამდგარა, რაც მათ სიცოცხლის ბოლომდე ატარეს.

ჰაროუს სკოლაში სწავლის დროს ბაირონს დასთან შეხვედრის შთაბეჭდილებები დედისთვის წერილით გაუზიარებია. ოგასტას ის სიყვარულით მოიხსენიებს. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ოგასტასადმი მიმართულ წერილებზე, სადაც ბაირონი შესჩივის დას დედის მძიმე ხასიათის გამო:

*„ძვირფასო ოგასტა,*

*... ჩემგან კარგს ვერაფერს შეიტყობ, მხოლოდ ისევ და ისევ ჩივილს ჩემი მტანჯველის გამო, რომლის ჯოჯოხეთური დამოკიდებულება ჩემდამი ასაკთან ერთად მატულობს და დროსთან ერთად ახალ ძალას იძენს..... ალბათ, არცერთ შავკანიან მონას და არცერთ სამხედრო ტყვეს ისე არ ენატრება თავისუფლება, როგორც მე მწყურია დედური ბოროტებიდან გამოხსნა და ამ წყევული აღვილიდან გაქცევა....*

*მიუხედავად ყველაფრისა, გჯეროდეს, რომ მე მარად შენი ვარ“.*

ეს წერილი 16 წლის ბაირონს ეკუთვნის. გავა ერთი წელი და ის ისევ შესჩივლებს დას:

*„... ოგასტა, მე შენ შემოგყურებ, როგორც უახლოეს ნათესავს. შენ ერთს თუ გავანდობ იმას, რაზეც სხვასთან კრინტსაც ვერ დავძრავ, და დარწმუნებული ვარ, გებრალეები.*

*გვედრები, რასაც შემოგჩივლებ, ყოველივე საიდუმლოდ შემინახე, არავისთან დაგცდეს რაიმე ამ ქალის ხასიათზე, რაც მე მოთმინებით უნდა ავიტანო.....*

*მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაიკო“.*

ოგასტა ცდილობდა თავისი კეთილგონივრული რჩევებით სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინა ძმაზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში წარმატებით გამოსდიოდა, ზოგჯერ კი - არა.

ოგასტას საცოლევც მოუნახავს ბაირონისათვის, და როგორც თავად ამბობდა, ისიც ისეთივე მორცხვი და მოკრძალებული იყო, როგორც მისი ძმა, მაგრამ ბაირონმა არჩევანი მიღბენკების ქალიშვილზე შეაჩერა. ოგასტა ანაბელას სასტიკ ბუნებას ჯერ კიდევ ქორწინებამდე მიხვედრილა. მას თავისი აზრი დროულად უთქვამს ძმისათვის, მაგრამ ბაირონმა დის რჩევა არც ამჯერად იღო ყურად.

ბაირონს განსაკუთრებით ახარებდა იმის შეგნება, რომ დას ის ძალიან უყვარდა. აი რას მისწერს მეგობარ ქალს, ლედი ბლესინგტონს:

*„ოგასტას კარგად მოეხსენებოდა ჩემი ყველა სისუსტე, მაგრამ იმდენად ვუყვარდი, რომ ყველაფერს მპატიობდა. მან ერთი კარგი რჩევა მომცა, თუმც ის არ გავითვალისწინე. მიუხედავად იმისა, რომ ახალ-ახალ შეცდომებს ვუშვებდი, მას მაინც ძველებურად ვუყვარდი და ვეცოდებოდი.“*

შეცოდებისა და შებრალების მომენტი ოგასტას დამოკიდებულებაში მართლაც ძლიერი ყოფილა. როგორ არ შეეცოდებოდა კეთილსა და დიდებულ ქალს თავისზე უმცროსი ძმა, რომელიც უმამოდ გაიზარდა და დედითაც არ იყო ბედნიერი. თავად ოგასტაც მამით არასოდეს ყოფილა ბედნიერი და დედაც არ ახსოვდა. ის დედურ სითბოს იჩენდა ერთადერთი ძმისადმი, რომელიც მართლაც ბევრი რამის გამო ეცოდებოდა, განსაკუთრებით კი კოჭლი ფეხის გამო, რასაც თავად ბაირონიც მძიმედ განიცდიდა.

უკვე სახელმძღვანელო პოეტს, თავისი მეგობარი ჰობჰაუზისთვის შეუჩვილია:

„ხომ ვიცი, ყველა ჩემს ფეხს უყურებს და ყველა ჩემს ფეხზე ლაპარაკობს“.

„არა, ჩემო ბაირონ, — მიუგია ჰობჰაუზს, — დღეს ყველა შენს თავს უყურებს და ყველა შენს თავზე ლაპარაკობს“.

და-ძმას ძალიან უყვარდა ერთად ყოფნა, გართობა, ბაასი და სიცილი. მათ სიცილ-კისკისს თურმე ვინ არ გაიგონებდა და ვინ არ შენატრიდა.

ამ დიდ სიყვარულსა და ფაქიზ ურთიერთობას ახლა საფრთხე დამუქრებოდა. მაგრამ ლედი ბაირონი მხოლოდ სისხლის აღრევის, როგორც და-ძმის სამარცხვინო კავშირის, ბრალდებით არ დაკმაყოფილდა. ასეთი კავშირის ნაყოფად იგი ასახელებდა ოგასტას ერთ-ერთ ქალიშვილს, ორი წლის მეღორას, რომელიც თავად ლორდ ბაირონის ნათლული გახლდათ. თუმც ამ წმინდა კავშირზე არც მაშინ, და არც ახლა ცრუ მბრალმდებელნი არასოდეს მიანიშნებენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნათლობის ფაქტს სისხლის აღრევასთან კავშირში არასოდეს მოიხსენიებენ.

ბრალდების გავრცელება დიდი დარტყმა იყო თავად ოგასტასათვის, რომელიც არც ერთი წუთით არ განუდგა ძმას მძიმე ქართველში. ოგასტას პატიოსნებას მტკიცედ იცავდა მისი მეუღლე, პოლკოვნიკი ლი.

განქორწინების პროცესში ლედი ბაირონს სერიოზული შიში გაუჩნდა, რომ ლორდ ბაირონი შვილს მოითხოვდა და აღ-



საზრდელად ვის მიანდობდა, თუ არა ოგასტას. ამდენად, ლედი ბაირონი შეილისა თუ სამართლიანი იმიჯის შესანარჩუნებლად ყველა გზას მიმართავდა, თუნდაც შეუფერებელს.

ასეთად გამოიყურება ლედი ბაირონის ალიანსი ლედი კაროლინა (კარო) ლემთან. ლედი ბაირონი, როგორც მოგეხსენებათ, ლედი კაროლინა ლემს მულად ეკუთვნოდა. ლორდ ლემი, კაროლინას მეუღლე, ხომ ანაბელას ღვიძლი ბიძაშვილი იყო დედის მხრიდან. მოგვიანებით, დედოფალ ვიქტორიას მეფობის ხანაში, ლორდ ლემი, იგივე ლორდი მელბურნი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ანაბელას ჩინებულად მოეხსენებოდა კაროს პიროვნება, რომელიც ბაირონთან სასიყვარულო ინტრიგების დროს არც ქმარს ერიდებოდა და არც მის თავმოყვარეობას აგდებდა რამედ.

ლორდ ლემმა ცოლი საფრანგეთს გაარიდა და ეგონა, ბაირონის კლანჭებს გამოგლიჯა. მის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონია, როდესაც კარომ ჰერცოგ ველინგტონთან დაიწყო არშიყობა. გემოვნებამ კაროს არც ამჯერად უღალატა.

კარო ლემის შესახებ ბინძურ მითქმა-მოთქმას მისი წერილებიც ადასტურებენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ლედი ბაირონმა მძიმე ბრალდების წაყენებაში საყრდენად კარო გამოიყენა, რომელიც ამ საქმის საუკეთესო ინსპირატორი გამოდგა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საზარელი ჭორის პირველწყაროდ ბიოგრაფები დღეს სწორედ კარო ლემს მიიჩნევენ. კაროს ხომ შურისძიება ამოძრავებდა იმ კაცის მიმართ, რომელმაც ხელი ჰკრა მის სიყვარულს. არანაკლებ გაშმაგებული იბრძოდა თავად ანაბელაც, რომელიც ქმარზე გამარჯვების ფასად ყველაფერს წალეკავდა.

ბაირონის ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა. მას შინ აღარ დაედგომებოდა. ბაირონმა სამშობლოდან გამგზავრება გადაწყვიტა და ლედი ბაირონს აცნობა, რომ განქორწინებაზე თანახმა იყო. ისიც აცნობა, რომ შეილის წართმევას არ უპირებდა, თუმცა, ერთადერთი პირობით, რომ ადა სამშობლოში გაიზრდებოდა და იქვე მიიღებდა განათლებას.

14 აპრილს, აღდგომის კვირა დღეს, ბაირონმა და ოგასტამ ნახეს ერთმანეთი. ბაირონი გრძნობდა, რომ დას ველარასოდეს შეხვდებოდა. ოგასტას მისთვის ბიბლია უჩუქებია, რომელსაც ბაირონი მუდამ თან ატარებდა. ორიოდე დღის შემდეგ, ბაირონმა დისადმი დამოკიდებულება გამოხატა ლექსით “Stanzas to Augusta” – „სტანსები ოგასტას“ (იხ. გვ. 69).

ეს არის უკანასკნელი ლექსი, რომელიც ბაირონმა სამშობლოში დაწერა.

გამგზავრების წინ მეუღლისთვის წერილი მიუწერია:

*„... მე შორს მივემგზავრები... და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებით, არც ამ ქვეყნად და არც იქ. თუ რაიმე უბედურება შემემთხვა, გთხოვ, ოგასტასადმი გულისხმიერი იყო... ის შენ ყოველთვის მეგობრად ვიდგა გვერდში“.*

21 აპრილს ბაირონმა განქორწინების აქტს ხელი მოაწერა და იქვე დასძინა:

*„მე თქვენ ამას გიბრუნებთ, როგორც შედეგს მის კლერმონტის ღვაწლისა და მოქმედებისა“.*

ბაირონს თურმე მართლაც სხვა ვერაფრით აეხსნა ეს განხეთქილება. მხოლოდ მოგვიანებით, არცთუ ბევრად ადრე სიკვდილამდე, დაუჩივლია: *„ამ ყველაფრის მიზეზი იმდენად მარტივი იყო, რომ სწრაფად ვერ გაირკვეოდაო“.*

ბაირონმა მეორე დღეს წერილით აცნობა ოგასტას განქორწინების ამბავი:

*„ჩემო ტკბილო და საყვარელო დაიკო,*

*განქორწინების ყველა საბუთს ხელი მოვაწერე. ერთადერთი, რასაც გთხოვ და გემუდარები არსად და აღარასოდეს ახსენო ლედი ბაირონის სახელი, არანაირი ფორმით მასზე არც მიანიშნო, თუ ეს საქმისთვის არ იყოს საჭირო“.*

1816 წლის 23 აპრილის დილას ბაირონი და მისი თანმხლები პირები გაუდგნენ გზას დუერისაკენ, საიდანაც პოეტი გემით უნდა გამგზავრებულიყო. დუერამდე მას აცილებდა ჯონ კემ ჰობჰაუზი, ხოლო მოგზაურობაში პოეტს მიყვებოდნენ ერთგული მსახური ფლეტჩერი, პაუი რობერტ რაშტონი და პირადი ექიმი ჯონ ვილიამ პოლიდორი. ამ მოგზაურობისთვის ბაირონმა დაუკვეთა ასლი ნაპოლეონის დიდი ეტლისა, რომელიც აღჭურვილი იყო ბიბლიოთეკით, ჭურჭლის კარადითა და სასადილო მოწყობილობით. პოლიდორისათვის კი ჯონ მარის, ბაირონის გამომცემელს, წინასწარ ხუთასი გირვანქა გადაუხდია, რათა მოგზაურობისას დღიური ეწარმოებინა.

ბაირონის გამგზავრების ამბავი მეხივით გაისმა ლონდონის სალონებში. აი, რას ატყობინებდა ადვოკატი ლაშინგტონი თავის კლიენტს – ლედი ბაირონს:

*„მისი ნახვით გამოწვეული ცნობისმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ არაერთი დიდებული ქალბატონი ფარულად გაჰყოლია ლორდ ბაირონს დუერამდე სასტუმროს მოახლის სამოსელში გამოწყობილი, რათა, ასე შენიღბულთ, უკეთ დაეთვალიერებინათ იგი სასტუმროში“.*

1816 წლის 24 აპრილს ბაირონი დუერიდან გაემგზავრა. პოეტი დიდხანს უქნევდა ხელს ნაპირზე დარჩენილ ჰობჰაუზს, რომელსაც გული უგრძნობდა, პოეტს სამშობლოში დაბრუნება რომ აღარ ეწერა.

ლედი ბაირონმა ლორდ ბაირონს ყველა გზა გადაუჭრა და ინგლისელ არისტოკრატიასთან გაერთიანებულმა ბრძოლა მოუგო, თუმც, მათგან განსხვავებით, ამ ბრძოლაში თავად იყო ჭეშმარიტად დამარცხებული და წაგებული.

ცნობილია, რომ როდესაც მშობლებმა ანაბელა განქორწინებაზე დაითანხმეს, ის ოთახში ჩაკეტილა და სიმწრისგან იატაკს ენარცხებოდა.

ბაირონის გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში, 29 აპრილს, ლონდონში ფლიტ სტრიტზე ლედი ბაირონის სახელით 23

სტროფიანი ლექსი გამოქვეყნდა. ეს იყო შეპასუხება ბაირონის დამშვიდობებასთან.

მიძღვნას მეუღლისადმი ბაირონი ხომ შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

გემშვიდობები, გახსოვდეს ოღონდ,  
სიმწარე მარად ჩემი ხვედრია,  
მტოვებ გათელილს და სულით ობოლს,  
რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია.

თუ ამის საპასუხოდ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი მართლაც ლედი ბაირონმა დაწერა, უნდა ვაღიაროთ, რომ მან ნიშნი მოუგო დიდ პოეტს, როდესაც მიძღვნა ასე დაამთავრა:

ამ სიცოცხლეზე, შენ ამბობ ლექსით,  
თავად სიკვდილი ოდნავ მეტია.  
ჩემთვის, სიკვდილზე, ვბედავ და გეტყვი,  
იქნებ სიცოცხლე უფრო ძნელია.

ალბათ, ეს ასეც იყო. მაგრამ თავსდატეხილ უბედურებას უკვე ველარაფერი გამოასწორებდა.

1816 წლის მაისიდან ბაირონი მუშაობს „ჩაილდ ჰაროლდის“ III სიმღერაზე, ამ სიმღერას პოეტი იწყებს თავისი ქალიშვილისადმი მიძღვნილი სტროფით და მისდამი მიმართული სტრიქონებითვე ამთავრებს; „Is thy face like thy mother's, my fair child“ – „დედას თუ ჰგავხარ, პაწაწინა ასულო ჩემო“ (იხ. გვ. 72).

უკანასკნელად ბაირონმა ქალიშვილი 1816 წლის 15 იანვარს ნახა, ე. ი. როდესაც ადა ერთი თვისა და ხუთი დღის იყო. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედრიან.

ადა დედის მშობლებთან იზრდებოდა. განშორების შემდეგ ლორდ ბაირონს თხოვნით მიუმართავს ლედი ბაირონისათვის ადას პორტრეტი გამოეგზავნა მისთვის. 1820 წელს, იტალიაში ყოფნისას, მან მიიღო ქალიშვილის პორტრეტი, რომელზედაც

ოთხი წლის ადა იყო გამოსახული. ეს პორტრეტი მუდამ პოეტის საწერ მაგიდას ამშვენებდა.

რაც შეეხება თავად ადას, მამის სახეს მას არავინ უჩვენებდა. ლედი ბაირონის მშობლების ოჯახში ეკიდა ტომას ფილიპსის მიერ შესრულებული ფერწერული პორტრეტი ბაირონისა ალბანურ კოსტიუმში. ეს პორტრეტი მილბენკების ოჯახში ტილოს ქვეშ ინახებოდა, რათა პატარა ადას მამის სახისათვის თვალი არ მოეკრა.

ტომას ფილიპსს ბაირონის ორი პორტრეტი აქვს შესრულებული 1813-14 წლებში. ორივე შემთხვევაში მას პოზირებას უწევდა თავად ბაირონი. პირველი აღინიშნება პოეტთან განსაკუთრებული მსგავსებით. მხატვარს ამ პორტრეტის სამი ასლი თავადვე შეუსრულებია. რაც შეეხება მეორეს, ეს არის ბაირონი ალბანურ კოსტიუმში, რომლის ორიგინალი ამჟამად ათენში ჰკიდია ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციაში. მეორე, შედარებით პატარა ასლი, ისევ ფილიპსის მიერ შესრულებული, ინახება ჯონ მარის, ბაირონის გამომცემლის სახლში, ლონდონში. ალბანური კოსტიუმი პოეტს ალბანეთში მოგზაურობისას შეუძენია და შემდეგ, როგორც სამასკარადო ჩაცმულობა, უჩუქებია მერსერ ელფინსტონისათვის, ცნობილი არისტოკრატი ქალისათვის, რომელიც, აგრეთვე, ესწრაფვოდა ბაირონის ცოლობას. ეს კოსტიუმი დღეს დაცულია ქალაქ ბათის კოსტიუმის მუზეუმში, როგორც მერსერ ელფინსტონის შვილიშვილის შვილიშვილის, ლორდ ლენდსლოუნის საკუთრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლორდ ლენდსლოუნის საოჯახო ნივთებში ეს კოსტიუმი აღმოაჩინა ბაირონის შემოქმედების ცნობილმა მკვლევარმა, აწ გარდაცვლილმა ქალბატონმა დორის ლენგლი მურმა.

იმ დროს, როდესაც ანაბელა გაშმაგებით ავრცელებდა მომშხამავ ჭორებს ბაირონის პიროვნების ირგვლივ, ბაირონი, პირიქით, მის მრავალ ღირსებაზე მიაჩნებოდა.

ადა მამისადმი სიმუღვილის ჩაგონებით გაზარდეს, სწორედ ისე, როგორც ეს ბაირონმა იწინასწარმეტყველა:

*„ჩავაგონებენ ჩემს სიძულვილს, ენას გესლიანს  
ატარტარებენ, რომ დაანთონ ცეცხლი ჭოროდან!...“*

ლედი ბაირონმა ქალიშვილს ბრწინვალე განათლება მიაღებინა. განსაკუთრებული აღმოჩნდა ადას ინტერესი მათემატიკისადმი. ადას მასწავლებელი იყო ცნობილი ინგლისელი მათემატიკოსი და ინჟინერი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩარლზ ბებიჯი. ბებიჯმა თავისი ცხოვრების ძირითად მიზნად გამოძველელი მანქანის შექმნა დაისახა და 1926 წელს წარადგინა კიდევ მისი პროექტი, რომელიც ბევრით უსწრებდა წინ დროის მოთხოვნებსა თუ მისი ტექნიკური რეალიზაციის შესაძლებლობებს.

ადა ბაირონი, როგორც მისი ღირსეული მოწაფე, გულმოდგინედ ცდილობდა ჩარლზ ბებიჯის იდეების პოპულარიზაციას და შედეგსაც მიაღწია. ადა ბაირონს დღეს მსოფლიოში კომპიუტერის ერთ-ერთ პირველ დამპროგრამებლად მიიჩნევენ. რაოდენ საამაყოა, რომ თანამედროვე კომპიუტერს პოეტური გენიის სხივი ადგას.

ხანმოკლე იყო ადას სიცოცხლე, იგი ცოლად გაჰყვა ლორდ კინგს, რომელმაც შემდგომში გრაფ ლავლეისის ტიტული მიიღო. შეეძინათ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. უფროსი ვაჟი ადას 1836 წლის 16 მაისს ეყოლა, რომელსაც სახელად ბაირონი დაარქვა. ერთი წლის შემდეგ, 1837 წლის 22 სექტემბერს, შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც დედის საპატივცემულოდ ანაბელა დაარქვა. მამის სიყვარული უკურნებელი სენივით მოერია მას სიმწიფის ასაკში – უკვე შვილების დედას, მეცნიერ ქალს.

*„მჯერა გამიგებ, როს ამქვეყნად აღარ ვიქნები,  
და მაშინ, შვილო, ჩემს მეგობრად გარდაიქმნები“.*

ახდა ეს პოეტური წინასწარმეტყველება, სხვაც ბევრი ახდა... ახდა ის გრძნეული სიტყვებიც: „მწამს შემიყვარებ სიცოცხლეზე კიდევაც მეტად“. თვითონ პოეტურად მგრძნობიარე და ერთგული, ადა ამ სიყვარულს გადაჰყვა.

დღეს უკვე მრავალგზის გამოვლენილია ლორდ ბაირონისა და მისი დის, ოგასტა ბაირონის ურთიერთობის უდანაშაულობა და სიწრფელე. აი, რას წერს ამის თაობაზე ვაიოლეტ ვოლკერი შთამბეჭდავ მონოგრაფიაში „ბაირონების ოჯახი“<sup>19</sup>:

„მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორმა ისპეკულანტა ბაირონის ურთიერთობით დასთან. მათმა, ვითომდაც, „დანაშაულმა“, საშუალება მისცა მის უღმობელ ცოლს მასზე დამოკიდებული შეექმნა ოგასტა... ოგასტას მეოთხე შვილი (ოგასტა გახლდათ შვიდი შვილის დედა - ი. მ.), ელიზაბეთ მედორა, რომელიც 1814 წლის 15 აპრილს დაიბადა, ბაირონის ქალიშვილად მონათლეს. მედორას ბიოგრაფია ისეთივე ყალბია, როგორც მისი სათაური.<sup>20</sup> შესაძლოა ამაზე კამათი არასოდეს დასრულდეს, მაგრამ ჩვენს ხელთაა აშკარა მოწმობა იმისა, რომ მედორა არ იყო ბაირონის ქალიშვილი, საკუთრივ ის, რომ ქალიშვილი ძალიან ჰგავდა მამას, პოლკოვნიკ ლის, რომელიც მედორას არასოდეს გამოარჩედა დანარჩენ შვილებში. მოგვიანებით, როცა ოჯახში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა, პოლკოვნიკი ისე ჩაერია მედორას საქმეში, როგორც ეს მამა-შვილის ურთიერთობას ეკადრებოდა“.

ანალოგიურ დასკვნებს აკეთებს ამ საკითხზე ბაირონის არაერთი თვალსაჩინო მკვლევარი და ბიოგრაფი. მათ შორისაა დორის ლენგლი მური თავისი ცნობილი წიგნით „აწ გარდაცვლილი ლორდ ბაირონი“<sup>21</sup>, ლესლი მარშანდი თავისი ცნობილი „პორტრეტით“<sup>22</sup>, რომელიც სამაგიდო წიგნადაა მიჩნეული თანამედროვე ბაირონიანაში.

როგორც ზემოთ ითქვა, 1995 წელს ბრიტანეთში დაისტამბა სიუზან ნორმინგტონის წიგნი „ბაირონი და მისი შვილე-

<sup>19</sup> Violet W. Walker, The House of Byron, Quiller Press, 1988.

<sup>20</sup> ავტორს მხედველობაში აქვს კეტრინ ტერნის წიგნი „ბაირონის ქალიშვილი“ (Byron's Daughter by Catherine Turney, 1972).

<sup>21</sup> Doris Langley Moore, The Late Lord Byron, John Murray, London, 1961.

<sup>22</sup> Leslie Marchand, Byron, A Portrait, Pimlico, 1993.

ბი<sup>23</sup>, სადაც მოცემულია დამაჯერებელი მტკიცება იმისა, რომ მედორა არ იყო ლორდ ბაირონის ქალიშვილი.

ლედი ბაირონი საკმაოდ წინდახედული იყო ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, როდესაც საჯაროობისათვის განკუთვნილ იმიჯს ლორდ ბაირონისას ახალ-ახალ მუქ შტრიხებს უმატებდა ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. და ეს სიცოცხლე კიდევ 36 წელს გაგრძელდა იმ დღიდან, როდესაც პოეტი 36 წლისა აღესრულა.

თუ ლედი ბაირონის ხასიათს შევადარებთ თავად ლორდ ბაირონისას, აშკარაა, რომ ისინი სრულიად შეუთავსებადნი იყვნენ. ჰობსაუზის აზრით, ბაირონის დიდი მომხიბვლელობა სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ პირადი საუბრისას ის იყო აბსოლუტურად ძალდაუტანებელი და წინდაუხედავი. იმავეს ამბობდა დიდებული არისტოკრატი ქალი ლედი ბლესინგტონი:

*„რაც უფრო ხშირად ვხედავ ბაირონს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ ვაცილებით მეტი შემწყნარებლობით ვკმარებთ მოვეყიდოთ მის ნათქვამს, ვიდრე სხვათა ნაამბობსა და ნამოქმედარს, რამეთუ ბაირონის საქციელი მომენტის იმპულსიდან მომდინარეობს და არა წინასწარ მოფიქრებული ავგულობიდან. ის ვერ ეწინააღმდეგება იმის გამოთქმას, რაც თავში მოსდის.“*

იმპულსურობა იყო თავად მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი საწყისი. ამიტომაც ბრძანა გოეთემ:

*„ბაირონი ისე ბადებს თავის ქმნილებებს, ქალები რომ ბადებენ დაუფიქრებლად მშვენიერ ბავშვებსო“.*

როგორც მელკოლმ ელვინი აღნიშნავს წიგნში „ლორდ ბაირონის მეუღლე“<sup>24</sup>, „ანაბელა ყოველთვის თავს არიდებდა მეუღლის ჭეშმარიტი ხასიათის ჩაწვდომას, რამეთუ ჩვევად

<sup>23</sup> Susan Normington, Byron and his Children.

<sup>24</sup> Melcolm Elwin, Lord Byron's Wife, New York, 1963.



ჰქონდა ისეთი დასკვნების გაკეთება, რომლებიც მხოლოდ მის წინასწარ აკვიატებულ შეხედულებებს მოერგებოდა“. როგორც ლესლი მარშანდი წერს, „ანაბელა ესწრაფვოდა ბაირონის წერილებში ფარული აზრები აღმოეჩინა, ხოლო ყველაზე გულწრფელ სტრიქონებში კი – მოტყუების მცდელობა“.

უფრო მეტიც, ანაბელა ბაირონის წერილებს თავის ადვოკატთან მიარბენინებდა და მას ანდობდა ანალიზსა და დასკვნას.

აი რას წერს ბაირონის ბიოგრაფი ს. ჩიუ (S. Chew) ლედი ბაირონზე:

*„როდესაც ლედი ბაირონის ავადმყოფური წერილებიდან, სადაც ის თითქოსდა მოტივებს ეძებს და გრძნობებს აღუძრავს მკითხველს, გადადიხარ დისადმი მიწერილ წერილებზე ბაირონისა, ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გარეთ გამოხვედი და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქე“.*

როცა ჩვენ მივანიშნებთ იმაზე, რომ არაერთმა ავტორმა ის-პეკულიანტა ლორდ ბაირონისადმი წაყენებული ცრუ ბრალდებით, მათ შორის გემართებს მოვიხსენიოთ ფრანგი მწერალი ანდრე მორუა და მისი რომანი „ბაირონი“, აგრეთვე ამერიკელი მწერალი ჰარიეტ ბიჩერ სტოუ, ავტორი ცნობილი საბავშვო წიგნისა „ბიძია თომას ქოხი“.

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ ბრიტანეთში მოგზაურობისას შეხვედრია ლედი ბაირონს, რომელმაც, როგორც ჩანს, თავად გაუზიარა მწერალ ქალს სისხლის აღრევის ვერსია. ჰ. ბიჩერ სტოუმ ჯერ მისთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურულ სალონებს მოსდო ეს ამბავი, ხოლო ლედი ბაირონის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა მასალა. მართალია, მწერალი ქალი კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში, მაგრამ ამით ვერც საკუთარ სკანდალს აარიდა თავი. ერთ-ერთ ჟურნალში მისი ასეთი კარიკატურა დაბეჭდილა: ბაირონის დიდებული მარმარილოს ქანდაკების წინ დგას უშნო და ჩამორჩენილი გარეგნობის მო-

ხუცი ქალი, რომელიც ქოლგით შეიარაღებული ებრძვის კეთილშობილ ლორდს. ის მხოლოდ ბინძურ ნაფეხურებს თუ დაამჩნევს დიდებული ძეგლის კვარცხლბეკს.

ლედი ბაირონის იმიჯის რეაბილიტაცია და შელამაზება მისი გარდაცვალების შემდეგ შვილიშვილმაც სცადა – ადას ვაჟიშვილმა, ლორდ რაღფ ლავლეისმა, მაგრამ კრიტიკის მხრიდან მანაც კრაზი განიცადა.

ჰარიეტ ბიჩერ სტოუსთან კონფიდენციალური საუბარი არაფერი იყო იმ მძიმე ტვირთთან, რომელიც თავის თავზე აიღო ლედი ბაირონმა, როდესაც საკუთარ მულიშვილს, მედორას, ჯერ სრულიად პატარა გოგონას, აცნობა სისხლის აღრევის ამბავი და დაარწმუნა, რომ ის ლორდ ბაირონის შვილი იყო. დამაჯერებელი საუბარი, ეს ლედი ბაირონის ცნობილი თვისება იყო. აკი შენატრა კიდევ ადამ დედას გულწრფელად, ნეტავ შენი მეტყველების ნიჭი მომცა და შენი დამაჯერებელი საუბრის უნარიო.

მოგვიანებით, ლედი ბაირონმა ადას თავად აცნობა საზარელი ამბავი, რითაც სამუდამოდ მოწამლა და დაასნეულა საკუთარი ქალიშვილიც. ადა მედორას უბედო ცხოვრებას სწორედ ამ საზარელი ამბის გამხელას უკავშირებდა. აი რას შესჩიოდა იგი თავის ქმარს, ლორდ ლავლეისს:

*„.... რაც შეეხება მედორას განადგურებას... ეს იყო შედეგი... მისი მოწამელისა. საბრალო გონს მაშინ მოეგო, როცა უკვე უბედური იყო.“*

იმავე წერილში ამასაც იტყვის:

*„როგორ მოხდა, რომ დედაჩემი არც მოკვდა, არც გაეიჟდა და არც გაიხრწნა.... ამისათვის ახალი ენაა ალბათ საჭირო, რომელშიც უფრო ძლიერი სიტყვები მოინახება, რათა გადმოვცე ის საშინელი განცდა და განცვიფრება, ამ საზარელი ამბის გამო რომ მეუფლება.“*

დედას კი მიწერს:

*„ჩემო უძვირფასესო დედა....“*

უნდა ვითხრათ, არ მჯერა, რომ მედორა ასეთი კავშირის ნაყოფია. მჯერა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა მათ შორის, როგორ მინდა ოდესმე გავიგო, რა ძალამ გაფიქრებინათ, ასეთი საშინელება. ძმასა და დას შორის ბუნებრივი სიახლოვე და სიყვარული ამას ხომ ვერავის აფიქრებინებს, თუ არა უკიდურესად გარყვნილ და ზნედაცემულ ადამიანს, როგორც თქვენ არ უნდა ყოფილიყავით. სულ ვფიქრობ და მინდა წარმოვიდგინო, იქნებ მან თვითონ ვითხრათ რაიმე ისეთი, რამაც თქვენში ეჭვები დაბადა, მას ხომ ძალიან უყვარდა თქვენი დაცინვა და შეშინება....

მე ერთხელ ვითხარით, რაოდენ დიდი სურვილი მაქვს მისი ბოლომდე გამოუყენებელი ნიჭის კომპენსაცია მოვახერხო კაცობრიობის წინაშე. თუ მან ამ დიდი ნიჭის რაიმე პატარა ნაწილი მაინც გადმომცა, მე ის უნდა მოვახმარო დიდი პრინციპებისა და ჭეშმარიტების გამოვლენას. მჯერა, რომ მან ეს მიანდერდა. ამას მთელი ჩემი ძალით შევიგრძნობ და უდიდეს სიამოვნებასაც განვიცდი ყოველივე ამის გამო. არ შემიძლია ვიფიქრო მასზე და ნეტარი გრძნობა არ დამეუფლოს, რასაც ყოველთვის თან ახლავს იმის განცდა, რომ მის წინაშე ვალი უნდა მოვიხადო.....“

ზანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამ შეძლო ამ ვალის მოხდა.

დიდი ხნით სარეცელს მიჯაჭვული, ადა გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე მან თავისი მეგობარი ჩარლზ დიკენსი მოიხმო და სთხოვა მას წაეკითხა პატარა ბიჭუნას სიკვდილის სცენა „დომბი და ვაჟიშვილიდან“. დიდმა მწერალმა მას თხოვნა შეუსრულა.

ქმარს კი ანდერძი დაუტოვა, მამის გვერდით დამკრძალეთო. ადა 1852 წლის 27 ნოემბერს აღესრულა 36 წლისა, ზუსტად მამის ასაკში. იგი მამის გვერდით დაკრძალეს ჰაკნალ

ტორკარდის საგვარეულო ეკლესიაში. ლედი ბაირონი დაკრძალვას არ დასწრებია.

ვიდრე ადა ბავშვი იყო, მამის სახელს მასთან არ ახსენებდნენ, ქალიშვილს მამის სურათს უმაღლედნენ და მის სიძულვილს უნერგავდნენ. გათხოვილ ქალს, შვილების დედას, მამისადმი საშინელი ბრალდებით სული მოუშხამეს. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ამ წყვილადში სინათლის სხივი შეიჭრა და სამუდამოდ ააციკროვნა მისი სიცოცხლე. ადა ამ სხივის სინათლეს შეეწირა. მას ეს უღირდა.

თანამედროვე ამერიკელმა მკვლევარმა ქალმა ბეტი ალექსანდრა ტულმა ადას ცხოვრებით ოცწლიანი დაინტერესებისა და მისი ფენომენის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ფუნდამენტური გამოკვლევა შექმნა. მისი წიგნი „ადა – ციფრების ჯადოქარი და კომპიუტერის ეპოქის წინამორბედი“ 1988 წელს გამოქვეყნდა<sup>25</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მთლიანად ადას ეძღვნება, ლორდ ბაირონის ირგვლივ ჭეშმარიტების გამოვლენას აქ დიდი ადგილი დაეთმო. ალბათ, ამიტომაც, ეპიგრაფად წიგნს ავტორმა მარკ ტენისის სიტყვები წარუძღვარა:

*„სიმართლის მოკვლა ადვილია, მაგრამ კარგად ნათქვამი ტყუილი სამუდამოდ ცოცხლობს“.*

ოჯახთან განშორების შემდეგ ბაირონს გეზი იტალიისკენ აქვს ალებული და გზად ბელგიასა და შვეიცარიაში ჩერდება. ახლა პოეტი უკვე განთავისუფლებულია იმ მარწუხებისაგან, რომელიც ბრიტანეთში, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდმა სახელმა შეუქმნა.

ოსტენდში ჩასვლისას პოლიდორი დლიურში ჩაწერს:

*„გავჩერდით სასტუმრო Cour Imperial-ში. სასტუმროს მებატრონე ქალს ბაირონის დანახვისთანავე თვალთ დაუბნელდა“.*

---

<sup>25</sup> Betty Alexandra Toole, Ada, the Enchantress of Numbers. Prophet of the Computer Age, California, 1988.

მეორე დღეს ოთხ ცხენშებული ნაპოლეონის ეტლი ანტვერპენისაკენ გაემართა. ეს ეტლი ბაირონმა სპეციალურად დაუკვეთა თავისი მოგზაურობისათვის, როგორც ნაპოლეონის დიდებული ეტლის ასლი, უდავოდ გამომდინარე მისი დამოკიდებულებიდან ნაპოლეონისადმი. ნაპოლეონის მსგავსად ამ მოგზაურობაში მას თან ახლავს პირადი ექიმი და ბიოგრაფი. ბაირონის ეს ყესტი ჩვენს თვალში ბევრად უფრო საგულისხმოდ გამოიყურება, ვიდრე მხოლოდ ქედის მოხრა დიდი სარდლის წინაშე.

ამ მოგზაურობაში ბაირონის კომპანიონთა შორის, აგრეთვე, არიან ძაღლი, მაიმუნი და ფარშევანგები. სილამაზით განთქმული ფარშევანგები დღესაც ამშვენებენ ნიუსტელს – ბაირონის თვალწარმტაც მამულს.

ანტვერპენში ბაირონი ასე შეაფასებს ფლამანდური სკოლის აღიარებულ ოსტატს: „თუ ოდესმე ვინმეს კაცობრიობის გრძნობებზე უთამაშია, რუბენსი მათ შორის ყველაზე გარყვნილი თაღლითია“.

ბრიუსელში ბაირონი ჩასვლისთანავე ვატერლოოს ბრძოლის ველს მოინახულებს.

6 მაისს ბაირონი და მისი თანხმლები პირები მდინარე რაინს აუყვებიან. სწორედ რაინით მოგზაურობის ბედნიერება გვხვდა წილად ლორდ ბაირონის ნაკვალევზე დუისბურგის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთ 1996 წლის ზაფხულში.

20 მაისს ბაირონი უკვე შვეიცარიაშია, სადაც ის ოთხ თვეს დაჰყოფს.

შვეიცარული პერიოდი გასაოცარი შემოქმედებითი აღმავლობისა და მისტიური ინსპირირების ხანაა მის ცხოვრებაში. „იქ სულ სხვაგვარად ვწერდიო“, თავადაც მისწერს ჯონ მარის 1821 წლით დათარიღებულ წერილში.

აქ შეიქმნა „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერა, „შილიონის პატიმარი“, „მონოდია შერიდანზე“, „ნაწყვეტი“, „ჩერჩილის საფლავი“, „წყვდიადი“, „სიზმარი“, „პრომეთე“, „მანფრედის“ I და II მოქმედებები... რამ განაპირობა ასეთი შეუდარებელი შემოქმედებითი ნაყოფიერება? როგორც ამბობენ, შვეიცა-

რის ბუნებამ და ლიტერატურულმა გარემომ: შელლი, მადამ დე სტალი და კიდევ მრავალი სხვა რომანტიკოსი, რომელთაც ბაირონი იქ დაუმეგობრდა. მაგრამ, სიმწარე სამშობლოში განცდილისა, ვფიქრობთ, ყოველივე სხვა „სტიმულს“ აღემატებოდა. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ტკბილ-მწარე ხუმრობა, როდესაც ჟენევას მიახლოებული 28 წლის ლორდი სასტუმროში გაჩერდა და ვიზიტორების წიგნში თავისი გვარის გასწერივ ასაკის გრაფაში ჩაწერა — „ასი“.

მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველი და მეორე სიმღერები 1812 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მესამე სიმღერა ბაირონმა მხოლოდ 1816 წელს დაიწყო, და ისიც მხოლოდ ინგლისიდან გამგზავრებისას. ინგლისში ყოფნისას მას ხომ არაერთხელ მოუწოდეს მეგობრებმა, გაეგრძელებინა მუშაობა „ჩაილდ ჰაროლდზე“, რაზეც ბაირონს ასე უპასუხია: „როგორ შემიძლია ვაკეთო ეს აქ, ბუხართან მჯდომმა, ამისათვის მე აღმოსავლეთის მზე და ფერები მჭირდება.“ ამჯერად აღმოსავლეთის მზე შვეიცარიის თვალწარმტაცმა ბუნებამ შეცვალა.

იქ, „Hotel d'Angleterre“-ში მრავალ ინგლისელს დაედასტურებინა თავისი ჩასვლა. მათ შორის იყვნენ პერსი ბიში შელლი, მერი ვოლსტონკრაფტ გოდვინი, მომავალში შელლის კანონიერი მეუღლე, აგრეთვე მერის ნახევარდა, სახელად კლერ კლერმონტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კლერ კლერმონტმა შთააგონა მათ სასწრაფო გამგზავრება შვეიცარიაში ბაირონთან შესახვედრად, არც შელლიმ და არც მერიმ არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ კლერ კლერმონტმა თავს მოახვია ლორდ ბაირონს შეხვედრები ლონდონში და ახლა მისგან შეილსაც ელოდა. ამ უკანასკნელის შესახებ არც თავად ბაირონმა იცოდა რაიმე.

ლონდონში ბაირონს უკვე სმენოდა 23 წლის ახალგაზრდა პოეტის შესახებ, მისი „დედოფალი მებიც“ წაეკითხა და აღფრთოვანებულიყო. შელლი ბუნებით მორცხვი ყოფილა უცხოებთან შეხვედრისას. ასეთივე იყო ბაირონიც. მაგრამ ურთიერთობის ყოველგვარი უხერხულობა უმაღლესადაა გაქრა, როგორც კი

ისინი არაბანალურ თემებს შეეხნენ. ორმა დიდმა რომანტიკოსმა იგრძნო ერთმანეთი და იქიდან მოყოლებული მათი შეგობრობა მტკიცედ შედუღაბდა.

შვეიცარიაში ჩასვლისთანავე ბაირონი ჩინებულად დაბინავდა. მან ლაკ ლემანის (ჟენევის ტბა) პირას იქირავა ნაცრისფერი ქვისგან ნაშენი სამსართულიანი ვილა, რომელიც გამოჩენილი თეოლოგის ჩარზლ დიოდატის შთამომავალს ეკუთვნოდა.

ჩარლზ დიოდატი იყო მეგობარი ჯონ მილტონისა და დიდი ინგლისელი პოეტი 1639 წელს აქ მასთან სტუმრად გაჩერებულა.

აქედან არაჩვეულებრივად ლამაზი ხედი იშლებოდა, თავად სიერცის მოტრფიალე ბაირონს რომ განაცვიფრებდა და აღაფრთოვანებდა. მთების სიმწვანე და სიდიადე ჰარმონიულად ერწყმოდა ცასავით უძირო და გამჭვირვალე ტბას. „ლაკ ლემანი თავისი ბროლის პირსახით მეარშიყებაო“, – ამბობდა პოეტი.

შელლი მისგან სულ სამიოდე მილის მოცილებით ტბის ნაპირზე დასახლებულიყო, შედარებით მოკრძალებულ პირობებში.

თუ ამინდი კარგი გამოვიდოდა, ბაირონი, შელლი და მისი თანმხლები ქალბატონები ტბაზე ნავით სეირნობდნენ, ხოლო წვიმიან ამინდში ვილა დიოდატის მობინადრენიც და სტუმრებიც ბუხარს მიუსხდებოდნენ და გატაცებით საუბრობდნენ. საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე, დაწყებული პოეზიით და დამთავრებული სულების გამოცხადებით.

აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ საღამოს, როდესაც საუბარი განვითარდა ზებუნებრივ ძალებზე, სულების სამყაროსა და სიცოცხლის დანიშნულებაზე, ბაირონს წინადადება წამოუყენებია, ყოველ მათგანს ამ თემაზე რაიმე შეეთხზა.

ამ წინადადების მიმართ მერი გულგრილი არ დარჩენილა. პირველ დღეებში თურმე ცოტა არ იყოს წუწუნებდა, რა ძნელია რაიმეს შეთხზვაო, მაგრამ სულ მალე ფანტაზია დაიმორჩილა და შემადრწუნებელ ამბავსაც მოაბა თავი. ასე მოველინა ლიტერატურულ სამყაროს „ფრანკენშტაინი“, რომლის ავტო-

რი გახლდათ 18 წლის მერი ვოლსტონკრაფტ გოდვინი, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და რომანისტი ვილიამ გოდვინის ქალიშვილი. მერის დედა, აგრეთვე გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი, მერი ჯეინ ვოლსტონკრაფტი, მერიზე მშობიარობას გადაჰყვა. მამამისს მალე ცოლად შეურთავს განათხოვარი ქალი, რომლის გერების პატრონობაც თავად უკისრია. ამდენად მერი დედინაცვლის შვილების გვერდით იზრდებოდა და განსაკუთრებით მეგობრობდა თავის თანატოლ კლერ კლერმონტთან. კლერ კლერმონტს ბიოგრაფები ხშირად მერის ნახევარდად მოიხსენიებენ. ჩვენ გვმართებს გვახსოვდეს, რომ მათ ერთი სისხლი არ ჰქონიათ.

მერი 16 წლის ყოფილა, როდესაც მან პერსი ბიში შელლი გაიცნო. ეს მათ ოჯახში მოხდა, სადაც ვილიამ გოდვინზე შეყვარებული შელლი სტუმრად დაიარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა პოეტს მეუღლეც ჰყავდა და შვილიც, მერიმ და შელლიმ გატაცებით შეიყვარეს ერთმანეთი და 1814 წელს საზღვარგარეთ გაიპარნენ. მათ თან წაუყვანიათ კლერ კლერმონტი, ე. ი. მერის ნახევარდად წოდებული გერი ვილიამ გოდვინისა. შელლის მშობლებმა უარი განაცხადეს მატერიალურ მხარდაჭერაზე, ასევე მოქცეულა ვილიამ გოდვინიც. გაჭირვებული წყვილი მალე ინგლისში დაბრუნდა. ისინი აგრძელებდნენ ურთიერთობას, მაგრამ არა როგორც ოფიციალური ცოლ-ქმარი.

1816 წლის გაზაფხულზე კლერ კლერმონტი (მისი ნამდვილი სახელია ჯეინ კლერმონტი, რომელიც მან საკუთარი სურვილის თანახმად შეიცვალა), ერთი აბეზარი ქალიშვილი, მოსვენებას არ აძლევს ბაირონს და დაჟინებით ცდილობს მასთან შეხვედრას. როგორც ჩანს, სურს თავის ნახევარდაზე არანაკლებ წარმატებული იყოს სიყვარულში, და ლიტერატურული ლომის კლანჭებში ჩაგდებას ლამობს.

აი რას წერდა ბაირონი ამის შესახებ თავის მეგობარ კინიარდს:



*„მე ის არასოდეს მყვარებია და არც თავი მომიჩვენებია, რომ მიყვარს, მაგრამ კაცი კაცია, და თუ 18 წლის ქალიშვილი წამდაუწუმ თავს გაწონებს, მხოლოდ ერთი გზაა რჩება...“*

მიუხედავად იმისა, რომ ბაირონი ცდილობდა აღარ შეხვედროდა კლერს, ის ახლა მის გვერდით იყო ჟენევაში, და არცთუ იშვიათად ბაირონი მას თავისი ახალი ნაწარმოებების გადაწერასაც კი ანდობდა. ამას მერი გოდვინიც სიამოვნებით აკეთებდა და დღეს გადარჩენილია მრავალი ასეთი ხელნაწერი. ამიტომაცაა, მერის „ფრანკენშტაინში“ დიდ მსგავსებას რომ პოულობენ ბაირონის იმ ნაწარმოებებთან, მერი ასე ახლოს რომ იდგა იმ ზაფხულს, იქნება ეს „პრომეთე“, „შილიონის პატიმარი“, „სიზმარი“, „წყველიადი“, თუ „მანფრედი“.

იმ ზაფხულს დადებული პირობის მიხედვით, თავად ბაირონსაც დაუწყია ამ თემაზე მოთხრობის წერა, მაგრამ რამოდენიმე გვერდის შემდეგ მან შეწყვიტა მუშაობა. მოხდა ისე, რომ ბაირონის ეს ფრაგმენტული ტექსტი მოხერხებულად გამოიყენა მისმა პირადმა ექიმმა ვილიამ პოლიდორიმ და რამოდენიმე დღეში დაწერა „ვამპირი“. ეს რომანი მან 1819 წელს გამოაქვეყნა ბაირონის სახელით, რითაც, როგორც ჩანს, მისი სწრაფი გაყიდვა უზრუნველყო. ამ დროისათვის პოლიდორი უკვე ჩამოცილებულია ბაირონს პოეტისავე სურვილით.

ამ ფაქტმა ბაირონი აღშფოთებაში მოიყვანა. მან სასწრაფოდ აცნობა ამის შესახებ თავის გამომცემელს და იმავე 1819 წელს „მაზუპასთან“ ერთად გამოაქვეყნა ფრაგმენტული ნაწყვეტი, რამაც აშკარა გახადა სხვაობა დიდი პოეტის ხელწერასა და ექიმის ნაწარმოებს შორის.

მიუხედავად ამისა, „ვამპირმა“ ლიტერატურულ სამყაროში თავისი მისტიური სიუჟეტით უმაღლესი გაითქვა სახელი და ადგილიც დაიმკვიდრა. გავიხსენოთ პუშკინი და საკუთრივ ის, თუ რას კითხულობდა მისი ტატიანა ლარინა:

Британской музы небылицы  
Тревожат сон отроковицы,  
И стал теперь ее кумир  
Или задумчивый Вампир  
Или Мельмот, бродяга мрачный....

მოგეხსენებათ, „ფრანკენშტაინიც“ და „ვამპირიც“, როგორც ცოდნის თემაზე აღმოცენებული ნაწარმოებები, ადამიანის გონების შესაძლებლობის გამოყენებების ტრაგედიაა მხოლოდ. შესაძლოა ბაირონმა იმიტომ აღარ გააგრძელა ივნისის თვეში დაწყებული ფრაგმენტი, რომ მას გაცილებით მასშტაბური თემა აღელვებდა ცოდნისაგან ბოძებულ უბედურებასთან კავშირში. და აი, იმავე ზაფხულს, ივლისის თვეში ბაირონი ქმნის ურითმო ლექსს „Darkness“ – „წყვდიადი“ (იხ. ვვ. 75).

ამ ლექსით პოეტი მთელი სამყაროს დასასრულს აპოკალიფსური ხილვის სახით წარმოაჩენს. ბაირონი აღწერს მომაკვდავი დედამიწის ფონზე ადამიანთა უკანასკნელ საათებსა და წუთებს. ეს არის შემადრწუნებელი სურათი იმისა, თუ როგორ ინგრევა მთელი ცივილიზაცია არსებობისათვის ბრძოლაში. ალტრუიზმის ინსტინქტი ერთ უბედურ ძაღლშია გადარჩენილა. ამიტომაც ბაირონის „წყვდიადი“ პირველ ყოვლისა ადამიანთა გონებისა და ზნეობის წყვდიადია. სამყაროს დასასრულს პოეტი გვიხატავს როგორც კაცობრიობის გადაგვარების შედეგს, სადაც აღარ არის სიყვარული და არის მხოლოდ სიკვდილი. ხოლო იქ, სადაც კვდება სიყვარული, კვდება სამყარო. საუკუნის შემდეგ გალაკტიონი იტყვის: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“. ბაირონის „წყვდიადში“, როგორც ხილვით სამყაროში, სწორედ მზეა ჩამქრალი.

რა არის ეს? გაჩაღებული ომების შედეგად დანგრეული სამყარო, ისეთი როგორიც მან იხილა ნაპოლეონის ომების შემდეგ და რომელსაც განაჩენი გამოუტანა ნაპოლეონისადმი მიძღვნილ „ოდაში“? არამც და არამც. ეს არის ხილვა, რომელიც ვითარცა საშიშროება თავს დასტრიალებს იმ სამყაროს, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ. იქნებ ეს არის ბირთვული

ომითა და ატომური იარაღით დანგრეული დედამიწა? – „კაშკაშა მზე მთლად ჩამქრალიყო, ხოლო ვარსკვლავნი უგზო-უკვლოდ დაძრწოდნენ ბნელნი“.

„წყვდიადის“ განწყობა ბაირონის სულიერ მდგომარეობასაც ეხმიანება, ოჯახთან და სამშობლოსთან განშორება მოუშუშებელ იარაღ რჩება.

*„განშორებამ გული გამიტეხა. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩემს გულს სპილომ დააბიჯა“*, – დაწერს იგი.

1816 წლის ივლისში შექმნილი „წყვდიადი“ ერთგვარი სიმბოლო ხდება „მსოფლიო მწუხარების“ უდიდესი პოეტისათვის, რომელიც მწუხარებით აღსავსე სულს პრომეთესეულ გზნებად აანთებს. ვფიქრობთ, ამ უაღრესად საინტერესო პროცესმა განაპირობა ის, რომ გამოჩენილმა ბრიტანელმა ბაირონოლოგმა ქალმა, ანა ფლემინგმა, პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ წიგნს სათაურად „კაშკაშა წყვდიადი“ – „Bright Darkness“<sup>26</sup> შეურჩია. ეს იყო პირველი წიგნი იმ მრავალთაგან, რომელიც ჩემმა კოლეგებმა ბრიტანეთში პირველი სტუმრობისას მისახსოვრეს.

თუ ინგლისის დიდებულ სალონებში მამაკაცებმა შვებით ამოისუნთქეს, როდესაც მომხიბვლელმა ლორდმა დატოვა ალბიონის კუნძული და მათ ცოლებს, ქალიშვილებსა და დებს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, აქ, ჟენევაში, ბაირონს მრავალი ინგლისელი ადევნებდა თვალს, რათა ახალ-ახალი ამბები ინგლისს ეფრინათ. თავად ბაირონი კი ამას შესჩიოდა ტომას მეღვინს:

*„არსად მიცხოვრია ისეთი ზნეობრივი ცხოვრებით, როგორც ამ ქვეყანაში, მაგრამ ზეირი ვერ ვნახე. არ დარჩა სულელური და უაზრო სიტუაცია, რომელიც მათ ჩემთან კავშირში არ გამოივონეს. ტბის მეორე ნაპირიდან ყოველ წუთს ბინოკლებით მომჩერებიან“.*

<sup>26</sup> Anne Fleming, Bright Darkness, Nottingham Court Press, London, 1983.

1816 წლის ოქტომბერს ბაირონი იტალიას მიემგზავრება, ამჯერად ისევ ჯონ კემ ჰობსაუზთან ერთად, რომელიც შვეიცარიაში მასთან აგვისტოს თვეში ჩასულა. პირველად ისინი მილანს ესტუმრნენ. აქ ბაირონი ხვდება და ეცნობა სილვიო პელიპოს, „ფრანჩესკა და რამინის“ ავტორს, პოეტ მონტის და პენრი ბეილს, ცნობილს ფსევდონიმით – სტენდალი. როგორც სტენდალი აღწერს, ბაირონი აღფრთოვანებულია მონტის პოეტური მიძღვნით ნაპოლეონისადმი, რომელიც ავტორმა დამსწრეთ თავად წაუკითხა. როგორც მოგვხსენებათ, სტენდალმა დაგვიტოვა ბაირონის შეუდარებლად საინტერესო ლიტერატურული პორტრეტი, რომლითაც პირველი ჰობსაუზი აღფრთოვანებულია.

28 ოქტომბერს ბაირონი ლა სკალას ეწვია, ხოლო 2 ნოემბერს გეზი ვენეციისაკენ აიღო. 6 ნოემბერს ის გზად ვერონაში ჩასულა და კაპულეტების სავარაუდო საფლავი მოუნახულებია. როგორც კი ლიდოს ლაგუნა გადაჭრეს, ალპების ფონზე ვენეცია გამოჩენილა, რომელიც მზის ქვეშ მთლად ოქროსფერი მოჩანდა. „ვენეციამ ისე მომხიბლა, როგორც ველოდი, და მე ბევრს ველოდი“ – მისწერს ის ჯონ მარის.

იმ პერიოდში, როდესაც ბაირონი ვენეციაში იმყოფება, ინგლისში, საკურორტო ქალაქ ბათში, იქ, სადაც ერთმანეთი გაიცნეს კეტრინ გორდონმა და კაპიტანმა ბაირონმა, კლერ კლერმონტს 1817 წლის 12 იანვარს ქალიშვილი შეეძინა.

*„შელომ მომწერა ჩემი პატარა ქალიშვილის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, ნამდვილი მზეთუნახავია.... მე ვაპირებ ის შვილად ვაღიარო და თავადვე აღვზარდო. ის იქნება გვარად ბირონი (ბირონი – ბაირონების გვარის თავდაპირველი ფორმაა – ი. მ), – რათა განსხვავდებოდეს ჩემი პირველი კანონიერი შვილისაგან. მისი ნათლობის სახელი იქნება ალევრა, რომელიც ვენეციური სახელია“, – წერდა ბაირონი თავის მეგობარ კინიარდს.*

ალევრაზე მზრუნველობა დედამისმა მართლაც ბაირონს მიანდო, როდესაც ბავშვი მას იტალიაში ჩაუყვანა და დაუტო-

ვა. ბაირონმა ალეგრა აღსაზრდელად კათოლიკურ მონასტერს მიაბარა. უილბლო ბედის პატარა ალეგრა 5 წლის ასაკში სწორედ იქ გარდაიცვალა, რავენიდან ათიოდე მილის მოცილებით. ბავშვს თურმე მამის ნახვა ენატრებოდა, მაგრამ ბაირონმა მას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო.

ალეგრას ცხედარი ბაირონმა ინგლისს გაამგზავრა. ჯონ მარისთვის უთხოვია, ბავშვი ჰაროუს სკოლის ეკლესიასთან ეზოში დაეკრძალათ, სადაც ბავშვობაში უყვარდა განმარტობა თავად ბაირონს. როგორც მარი იტყობინებოდა, ეკლესია დართავდა ამის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფლავის ქვას ბავშვის გვარსა და სახელს არ დააწერდნენ. ამით ისინი აპროტესტებდნენ არაკანონიერი შვილის ყოლას. ბაირონს გადაუწყვეტია, რომ საფლავის ქვას ბიბლიური სტრიქონი დაამშვენებდა.

ალეგრა დაკრძალულია ბრიტანეთში, ჰაროუს სკოლის სასაფლაოზე. მის საფლავზე ასეთი წარწერაა:

*„მე მოვალ შეთან, მაგრამ შენ აღარასოდეს დამიბრუნდები.“*

ალეგრა 1822 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა. ეს წინასწარმეტყველება ბაირონს ზუსტად ორი წლის თავზე აუსრულდა, ბაირონი 1824 წლის 19 აპრილს აღესრულა.

ჰობჰაუზი დამოუკიდებლად აგრძელებს იტალიის ირგვლივ მოგზაურობას, ბაირონი რჩება ვენეციაში და წმინდა ლაზარეს კუნძულზე, ლიდოს მახლობლად, სომხურ მონასტერსაც გადაეყრება.

*„მე ყოველდღე დავდივარ სომხურ მონასტერში (წმინდა ლაზარეს კუნძულზე ლიდოს მახლობლად) და ვსწავლობ სომხურს. მივხვდი, რომ ჩემს გონებას სჭირდებოდა რაიმე კლდესავით მაგარი, რომ მასზე თავი მემტვრია – რითაც შეიძლებოდა თავის შექცევა, როგორც ურთულესი რამით.... მე გავაკეთე ჩემი არჩევანი...“, – წერდა ის ტომას მურს.*

ბაირონმა მურს მრავალი წერილი მისწერა. არაერთი წერილი თავად ბაირონის ლექსსაც მოიცავს. ერთ-ერთი მათგანია “So, We'll go no more a roving” – „დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ“ (იხ. გვ. 79), რომელიც განსაკუთრებული ლირიზმით გამოირჩევა. იმავე წერილით ბაირონი მოიკითხავს ტომას მურს, მის ჯანმრთელობას და იქვე დასძენს, რომ თავს კარგად არ გრძნობს. ის მოუთხრობს მეგობარს ჩამთავრებულ კარნავალზე, რომელმაც, ცოტა არ იყოს, გადაღალა:

*„კარნავალი მასკარადით დაიხურა „ფენიჩეში“.<sup>27</sup> მე მას დავესწარი, როგორც ყველა სხვა მეგლისს და ა. შ. და ა. შ., და თუმც მთლიანობაში დროის ტარებით თავი არ მომიკლავს, მაინც მივხვდი, რომ ხმაღს ქარქაში გაუცვეთია. ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ ოცდაცხრა წელს გადავაბიჯე“.*

აღნიშნული წერილი იმითაცაა საინტერესო და საგულისხმო, რომ მასში წარმოჩინდა პოეტის მაღალი ჩანაფიქრი თავისი საქმითა და მოქმედებით, და არა მხოლოდ მწერლობით, შეძრას სამყარო და წარუშლელი კვალი დატოვოს:

*„თუკი კიდევ ათიოდე წლის სიცოცხლე დამცალდა, ნახავთ თუ რა შემიძლია, – არ ვგულისხმობ ლიტერატურას, რამეთუ ეს არაფერია. ვიცი ყოველივე უცნაურად მოგეჩვენებათ, თუ ვიტყვი, რომ არა მგონია ეს ჩემი მოწოდება იყოს. თქვენ ნახავთ, რომ მე მოვიმოქმედებ რაიმე ისეთს, თუ დრომ და იღბალმა ხელი შემეწყოს, რაც ვითარცა კოსმოგონია, ანუ შექმნა ამა ქვეყნისა, ყველა დროის ფილოსოფოსისათვის ამოცანად დარჩება. თუმც მეეჭვება, ჩემმა ჯანმრთელობამ ამას გაუძლოს, ცალკეულ შემთხვევებში მე ზომ მას უღმერთოდ ვეპყრობოდი“.*

ეს წერილი 1817 წლის 28 თებერვლითაა დათარიღებული და ერთ-ერთია იმ 158 წერილთაგან, რომელიც ბაირონმა ტო-

<sup>27</sup> ფენიჩე – საოპერო თეატრი ვენეციაში.

მას მურს მისწერა. მათი მეგობრობა 1811 წელს დაიწყო და ბაირონის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. მურმა ეს ურთიერთობა აღბეჭდა ბაირონისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ ორტომეულში „წერილები და დღიურები ლორდ ბაირონისა მისი ცხოვრების ირგვლივ არსებული ცნობებით“<sup>28</sup>.

ბაირონის გარდაცვალებისთანავე მრავალმა ავტორმა სცადა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერა. ფაქტობრივად ეს იყო ბაირონის ბიოგრაფიის ირგვლივ ატეხილი ბუმი, რაც სრულიად გასაგებ მოვლენად რჩება. რაც შეეხება მურის მიერ შექმნილ ბიოგრაფიას, აქ ავტორმა წინ წამოწია თავად ლორდ ბაირონის პიროვნება და ის მეგობრებისა და ახლობლებისადმი მიწერილი წერილებით ააღაპარა. ბაირონის წერილების საერთო რაოდენობა, რომლებიც ამ დროისათვის მურმა მოიძია, 561-ს შეადგენდა. ამდენად ამ ბიოგრაფიამ გადაწონა იმხანად არსებული გამოცემები და ყველაზე ცოცხალ, სარწმუნო და სანდო წყაროდ იქცა. მასზე მუშაობა ტომას მურმა 1824 წლის ნოემბერში დაიწყო და ხუთიოდე წლის შემდეგ დაასრულა. პირველი ტომი 1830 წელს გამოქვეყნდა, მეორე – 1831 წელს. წარმატებას წინ უძვლოდა ორი პოეტის ურთიერთობის დიდი ცხოვრებისეული დრამა და მისი არაერთმნიშვნელოვანი შეფასება, რაც პრაქტიკულად კვლავაც გრძელდება, თუმც უკვე ნაკლები გზნებითა და შემართებით, რამეთუ ცოდვა-ბრალი უკვე აშკარად გამოიკვეთა.

რაც შეეხება თავად ლორდ ბაირონის მიერ მიწერილ წერილებს, მათი მოძიება გრძელდება და დღეს სამიათს წერილზე მეტი იქნა გამოქვეყნებული ცნობილი ამერიკელი ბაირონოლოგის, ლესლი მარშანდის, მიერ. რაც შეეხება თითოეული წერილის დედანს, მათი ფასი აუქციონზე 5000-დან 10000 ამერიკულ დოლარამდე მერყეობს.

ქართველ მკითხველს კარგად მოეხსენება ტომას მურის სახელი, როგორც ბაირონის თანამედროვე ირლანდიელი პოეტი-

---

<sup>28</sup> Thomas Moore. Letters and Journals of the Lord Byron: With Notices of his Life. 2 vols. London. John Murray, 1830-31.

სა, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია „ირლანდიული მელოდიებით“.

ტომას მური დაიბადა 1779 წელს დუბლინში, მედუქნის ოჯახში. დედამისს, ანასტასიას, ბავშობიდანვე განუვითარებია მურისათვის პოეზიისა და მუსიკის სიყვარული, რამაც თავი იჩინა მისი სიმღერის ტკიბლხმოვნებასა და ლექსის ელეგანტურობაში. იმ დროისათვის, როდესაც 23 წლის ბაირონი მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნდა, მური უკვე ცნობილი იყო ლონდონის არისტოკრატიულ სალონებში საკუთარი სიმღერების უბადლო შესრულებით. 1806 წელს მუსიკალურმა გამომცემლებმა ჯეიმზ და ვილიამ პაუერებმა მურს შესთავაზეს ირლანდიური მელოდიების კოლექციის შექმნა, რომლისთვისაც იგი დაწერდა ტექსტს, ხოლო ჯონ სტივენსონი გაუკეთებდა მუსიკალურ არანჟირებას.

ასე შეიქმნა განუმეორებელი „ირლანდიური მელოდიები“, რომელთა პოპულარიზაციას დიდად უწყობდა ხელს თავად ავტორის შესრულება. საღამოს წვეულებებზე პოეტი მიუჯდებოდა ხოლმე როიალს და იწყებდა სიმღერას. მდიდარი ტონალობის ხმა, მისი გაბრწყინებული სახე, თუ შესრულების არაჩვეულებრივად თბილი და მსუბუქი მანერა ერთხმად აღაფრთოვანებდა მსმენელს.

მურმა ბაირონი გაიცნო ლონდონში, სამუილ როჯერსის სახლში გამართულ სადილზე 1811 წლის ნოემბერში. სულ რამოდენიმე დღე გასულიყო იმ დღიდან, როდესაც ჩაილდ ჰაროლდის ავტორმა „სახელგანთქმულმა გაიღვიძა“. როგორც ამბობენ, იმ დღისათვის ბაირონის დიდებას არ უნდა შეექმნა მურში მეტოქის გამოჩენის განცდა, რამეთუ ის თვითონ ძალზედ პოპულარული და აღიარებული გახლდათ. გულჩათხრობილი და სევდიანი ბაირონისათვის მასზე უფროსი, მაგრამ ხალისითა და იუმორით აღსავსე ირლანდიელი სულ ძალე საუკეთესო კომპანიონად იქცა.

მათ ხშირად ხედავდნენ ერთად თეატრსა თუ ყავის სახლში. თავადაც იუმორის მოყვარულ ბაირონს მური მუდამ გონება-მახვილური ანეკტოდებით ხიბლავდა, მაგრამ ხიბლავდა უპირ-



ველესად ნიჭითა და პოეტურობით. ბაირონი ასე წერდა მის შესახებ:

*„მურს აქვს განსაკუთრებული ტალანტი, უფრო ზუსტად არაერთი: პოეზია, მუსიკა, ხმა – ყველაფერი ეს მისია და ყოველ მათგანში ის აღწევს საკუთარი თავის ისეთ გამოხატვას, როგორსაც სხვა ვერაფრით შეძლებდა“.*

ბაირონი ურჩევს მურს კიდევ უფრო თამამად გაშალოს თავისი ნიჭის შესაძლებლობები და შექმნას ეპიკური პოემა ეგზოტიკური ფონით. ასე ჩაეყარა საფუძველი ტომას მურის „ლალა რეკს“, სადაც მოქმედება ინდოეთში ვითარდება.

ის, რომ მურმა თავი გამოცადა პოეტურ სატირაში, და საკმაოდ წარმატებულად, ესეც ბაირონის შეგონებით ყოფილა, რამეთუ ბუნებით უშურველ ლორდს გულწრფელად ეწადა, რამენაირად გაეუმჯობესებინა მეგობრის ფინანსური მდგომარეობა.

მური ჩინებულად გრძნობდა ბაირონის თავდადებას და, ამიტომაც, მესამე შვილი, ოლივია, სწორედ მას მონათვლინა.

ტომას მურზე (და არამარტო მასზე) ზრუნვა, თავდადება, თუ მისდამი ნდობა, ბაირონს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ როდესაც 1819 წლის შემოდგომით იტალიაში სამოგზაუროდ ჩასული მური ბაირონს სტუმრად ეწვია, მასპინძელმა მას თავისი მემუარები და 1814 წლის დღიური გადასცა საჩუქრად. ეს იყო ტყავის საქალაქში მოთავსებული 78 თაბახი პოეტის ხელნაწერისა. პოეტი იმედოვნებდა, რომ ასეთი საჩუქრით ვალებში ჩავარდნილი ტომას მური თავის ფინანსურ მდგომარეობას გამოისწორებდა. ბაირონის თხოვნის თანახმად, არც მემუარები, და არც დღიური, პოეტის სიცოცხლეში არ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ მურს უფლება ჰქონდა გაეყიდა ისინი.

მემუარების წერა ბაირონმა 1818 წელს დაიწყო ვენეციაში, და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოეტმა ის მურს 1819 წლის შემოდგომით გადასცა. ერთი წლის შემდეგ ბაირონმა მეგობარს კიდევ 18 ახალი თაბახი გადაუგზავნა პარიზში, სადაც

მური იმხანად მოვალეებს გარიღებული ცხოვრობდა. საჩუქრით ნასიამოვნები მური ირწმუნება, რომ ბაირონმა მემუარები მას ასეთი პირობით უსახსოვრა: „როცა მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ ჩათვალო. შეგიძლია მანამ თავად გაეცნო მათ, და ვისაც გსურს, იმასაც წააკითხო“.

ტომას მურს დიდხანს არ დაუყოვნებია და ყოველივე ეს ჯონ მარის, ბაირონის გამომცემელს ორი ათას გინეად მიჰყიდა, რაც იმ ხანად საკმაოდ დიდი თანხა იყო. მანამდე კი, პარიზში ყოფნისას, მურს თადარიგი დაუჭერია და მემუარების ასლი გაუკეთებია. ამ მიზნით მას ორი კაცი ჰყოლია დაქირავებული. არ გამორიცხავენ მესამის არსებობასაც. რაც შეეხება მემუარების წამკითხველთ, როგორც დორის ლენგლი მურმა მოიკვლია და შემდგომ აღწერა თავის ცნობილ წიგნში „აწ გარდაცვლილი ლორდ ბაირონი“, ტომას მურის ჩათვლით მათი სია, როგორც უკვე ითქვა, 22 კაცისაგან შედგება.

განადგურებული მემუარების კოპირების პრეტენზიითაა შესრულებული მეთიუ აილის მიერ 1825 წელს გამოცემული სამტომეულიც „ცხოვრება, შეხედულებები, დრონი და თხზულებანი მისი უგანათლებულესობის ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონის, ლორდ ბაირონისა“, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, და სადაც მოთხრობილია ამბავი ბაირონის შეხვედრისა ქართველ გოგონასთან.

თავად ლორდ ბაირონი ჯონ მარისადმი მიწერილ წერილში ასე განსაზღვრავდა მემუარების ხასიათს:

*„ეს არის მემორანდუმი და არა აღსარება. მე არ ვეხები ჩემს სასიყვარულო ამბებს, რათა ვინმეს კომპრომეტირება არ მოვახდინო. ამდენად ყოველივე ემსგავსება ჰამლეტის წარმოდგენას, სადაც თავად ჰამლეტის როლი ჩემ მიერვეა შეგნებულად ამოვღებული. მიუხედავად ამისა, აქ მრავალ აზრსა და შეხედულებას შეხვდებით, არის ზოგი რამ სასაცილოც. ჩემი ქორწინების ამბავი და მისი შედეგები დეტალურადაა აღწერილი, ისე, როგორც ეს უშუალო მონაწილემ შეიძლება გააკეთოს, რამეთუ მჯერა,*

*რომ ჩვენ ყველანი ცრუ რწმენით შეპყრობილი ხალხი ვართ“.*

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბაირონმა მემუარები უშურველად გადასცა მეგობარს საჩუქრად და ამით თავისი მემკვიდრეობის ნაწილი თითქოსდა სანდო ხელში მოაქცია, მიუხედავად იმისა, რომ მურმა საკადრისი თადარიგი დაიჭირა და მოახერხა მათი დროული გადაწერა, მიუხედავად იმისა, რომ მურმა ისინი მიჰყიდა თავად ბაირონის გამომცემელსა და მეგობარს, ჯონ მარის, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ბაირონის გარდაცვალებიდან, ლონდონში, ალბერმალ სტრიტზე ჯონ მარისთან შეიკრიბნენ ბაირონის მეგობრები, მათ შორის თავად ჯონ მარი, ტომას მური და ჯონ კეპ ჰობჰაუზი, რათა გადაეწყვიტათ ბაირონის მემუარების ბედი. ჯონ მარი და ჯონ კეპ ჰობჰაუზი ითხოვდნენ მემუარების დაწვას იმ მოტივით, რომ მათ გამოქვეყნებას მოჰყვებოდა პოეტის სახელთან დაკავშირებული შემდგომი სკანდალი.

ტომას მური ეწინააღმდეგებოდა ამ გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, გადაწყდა მათი დაწვა, და ტომას მურს მოატანინეს მემუარების ის ასლი, რომელიც მან პარიზში ყოფნისას გააკეთა. ბაირონის ბიძაშვილს, იმხანად ცვილონის მთავარს, ლორდ ვილმოტს, პარიზული ასლი საკუთარი ხელით შეუგდია აგიზგიზებულ ბუხარში, სადაც ბაირონის ხელით ნაწერი თაბახები იწვოდა. ეს მოხდა 1824 წლის 17 მარტს.

იმ დღიდან მოყოლებული დღემდე არ ცხრება მსჯელობა და კამათი იმის თაობაზე, თუ რატომ გაანადგურეს პოეტის მემუარები:

ეს იყო პოეტის სახელის მოსაფერებლად გადადგმული ნაბიჯი, თუ დაინტერესებულ პირთა მიერ შეკვეთილი ბოროტება, რათა ამით მავანსა და მავანს თავიდან აეცილებინა საკუთარი სახელის მაკომპრომეტირებელი ცნობების გამოქვეყნება?

მივყვეთ მსჯელობას.

თუ ბაირონის მემუარები შეიცავდნენ ავტორის მაკომპრო-  
მეტირებელ ცნობებს, რატომ არ შეეცადა პოეტი მათ დამალ-  
ვას სიცოცხლეში და გადასცა მურს იმ პირობით, რომ ის თა-  
ვად წაიკითხავდა და წააკითხებდა სხვას თავისი სურვილის  
მიხედვით. რაც შეეხება მემუარების წამკითხველთ, ამასთან  
დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნდა არაერთი პი-  
რის აზრი, სადაც ითქვა, რომ მემუარებში არაფერი იყო განსა-  
კუთრებულად უხერხული თავად პოეტთან მიმართებაში, რის  
გამოც აუცილებელი იქნებოდა მათი განადგურება. უნდა ით-  
ქვას, რომ სწორედ უხერხულობა, თუ არადელიკატურობა (in-  
delicacy) იყო ის ძირითადი არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობო-  
და ჯონ კემ ჰობჰაუზი ჯერ კიდევ თავის რჩევებში ბაირონი-  
სადმი. იგი დაჟინებით უმტკიცებდა ბაირონს, რომ „ღონ უუანი“  
სამუდამოდ დაასამარებდა მის სახელს, და ურჩევდა არ გამო-  
ექვეყნებინა. საგულისხმოა, რომ პირველი მოგზაურობისას,  
საკუთრივ 1809 წელს, ბაირონს სწორედ რომ ჰობჰაუზის, რო-  
გორც საუკეთესო მეგზურის, რჩევით დაუწვია თავისი ყმაწ-  
ვილკაცობის დღიური. თუ ბაირონმა ახალგაზრდობაში ჰობჰა-  
უზის რჩევა ყურად იღო, ამჯერად აღშფოთებას უკვე ვეღარ  
ფარავდა. აი, რას სწერდა იგი თავის გამომცემელს, ჯონ მა-  
რის, ვენეციიდან 1819 წლის 15 მაისს:

*„მივიღე, და იმავე ფოსტით, მაგრამ განსხვავებული  
კონვერტით, გიბრუნებ „ღონ უუანის“ კორექტურის პირ-  
ველ ნაწილს. მეორის ჩამოსვლამდე შესაძლოა წავიდე  
ვენეციიდან და ჩემი აქ არყოფნის დრო იმდენად განუ-  
საზღვრელია, რომ უმჯობესია გააგრძელოთ მუშაობა  
პუბლიკაციაზე და თავი აღარ მომაბეზროთ კორექტურე-  
ბით...“*

ბატონი ჰობჰაუზი ისევ პოემის არადელიკატურობას  
ჩემობს. იქ არაფერია არადელიკატური, და თუ მაინც და  
მაინც ამას ეძებს, მაშინ ნება იბოძოს და სვიფტი იკითხ-  
ოს, მისი დიდი კერპი; თუ ამ პოემაზე იგი ასეთ ვარაუდებს  
გამოთქვამს, წარმოსახვის ნაცვლად თავში ნეხვის გროვა

უნდა ეყაროს, რომლის შუაგულში გველის ბუდეა მოთავესებული. თუ მკითხავთ, გეტყვით, რომ თქვენ ყველანი გაგიჟებულხართ... უთხარით მას, „არ გამაცოფოს“, როგორც ამას სერ ენტონი აბსოლუტი იტყოდა, „მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა ისეთი შემწყნარებელი მამა, როგორიც მე ვარ“.<sup>29</sup>

ისმის კითხვა: თუ ბაირონის მემუარებში, დაახლოებით ისევე, როგორც მის „დონ ჟუანში“, არაფერი იყო უხერხული და თავად ბაირონის სახელის შემლახველი, მაშ ვისთვის უნდა ყოფილიყო ყოველივე განსაკუთრებულად მაკომპრომეტირებელი?

უდავოდ, პირველ რიგში, თავად ლედი ბაირონისთვის, რომელიც ასე გააფთრებით იბრძოდა, რათა უცოდველი და მართალი ქალბატონის იმიჯი დაემკვიდრებინა, და, რადაც უნდა დასჯდომოდა, ემხილა ბაირონი მრავალ დანაშაულში. როგორც ამას ადასტურებს თავად ბაირონის წერილი ჯონ მარისადმი (რომლის ნაწყვეტი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ), მემუარებში დეტალურად იყო აღწერილი მათი ქორწინების ამბავი.

ის, რომ ბაირონისათვის განქორწინება ყველა თავისი გამოვლინებითა და შედეგით უმძიმეს განცდად დარჩა, ამაში ეჭვი არ გვეპარება. ამდენად, სრულიად დასაშვებია, რომ რამოდენიმე წლის გადასახედიდან ბაირონი ამ ყოველივეს მისთვის ჩვეული აზროვნების დიდებულებით შეაფასებდა. დღეს უკვე ხამამალლა ლაპარაკობენ ლედი ბაირონზე, როგორც მთავარ ინსპირატორზე მემუარების დაწვისა. აქ, ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მემუარების დაწვის დღე ლედი ბაირონის დაბადების დღეს, 1824 წლის 17 მაისს, დაემთხვა.

და მაინც, მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ ლედი ბაირონის პირადი სურვილი ან პირადი თხოვნა მი-

---

<sup>29</sup> „არ გამაცოფოს, „მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა ისეთი შემწყნარებელი მამა, როგორიც მე ვარ“. — ციტატა აღებულია შერიდანის პიესიდან „The Rivals“ (მოქიშპენი).

სი ყოფილი მეუღლის მეგობრებისადმი ვერ იქნებოდა საკმარისი არგუმენტი მათ გასანადგურებლად. აქ დიდი როლი უნდა ეთამაშა თავად ლედი ბაირონის გავლენიან ოჯახს და საკუთრივ მის ალალ მამიდაშვილს, ლორდ ვილიამ ლემს, შემდგომში ლორდ ვილიამ მელბურნად წოდებულს, რომელსაც იმხანად დიდი გავლენა ჰქონდა არისტოკრატულ წრეებზე. ასე რომ არა, ლორდ ვილიამ მელბურნი ვერ შეიქმნებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და შემდგომში ძირითადი საყრდენი და მრჩეველი დედოფალ ვიქტორიასათვის.

ლორდ ვილიამ ლემის დაინტერესებას ბაირონის მემუარებით არაერთი მიზეზი ჰქონდა. ლორდ ლემი დაპირისპირებული აღმოჩნდა ლორდ ბაირონთან არა მხოლოდ იმის გამო, რომ მან ბედნიერი ცხოვრება ვერ შეუქმნა მის ალალ ბიძაშვილს, ანაბელა მილბენკს. ლორდ ბაირონი დაკავშირებულია ლორდ ლემთან, როგორც მისი მეუღლის, ლედი კაროლინა ლემის საქვეყნოდ აღიარებული საყვარელი. ლედი კაროლინა ლემის საქციელი ბაირონთან მიმართებაში ხომ ყოველგვარი ეტიკეტის ნორმებს სცილდებოდა და პრობლემებს უქმნიდა თავად ბაირონს მისი ინგლისში ყოფნის პერიოდში. რამდენად რთული პრობლემა იყო ეს ლორდ ვილიამ ლემისა, თუ მისი თავმომწონე ოჯახისათვის, კომენტარს აღარ საჭიროებს.

თუ ბაირონის მემუარებში აღწერილი არ იყო მათი სასიყვარულო სცენები, გამორიცხული არაა, რომ მასში აღბეჭდილიყო ბაირონისეული შეფასება თავად ლედი კაროლინა ლემისა, მითუმეტეს, რომ კაროს უარყოფითი იმიჯი უკვე დამკვიდრებულიყო. მის მდაბალ ზნეობაზე მისივე წერილებიც მეტყველებენ, რაც დღეს უკვე გახმაურებულია.

შვეიცარიაში ყოფნის დროს, 1816 წელს, ბაირონი მაღამ დე სტალისაგან შეიტყობს, რომ ლედი კაროლინა ლემმა გამოაქვეყნა ბაირონის იმიჯის შემლახველი რომანი „გლენარვონი“. ბაირონს საპასუხოდ მაღამ დე სტალთან მახვილგონივრულად უხუმრია: „დარწმუნებული ვარ, ლედი კაროლინა თავის წიგნში ჩემს პორტრეტს ვერ დახატავდა, რამეთუ მის წინაშე დიდხანს არ ვმჯდარეარო“.

გამორიცხული არაა, რომ მემუარები შეიცავდა ცნობას ან მსჯელობას თავად ლორდ ვილიამ ლემის ოჯახის შესახებ. მითუმეტეს, რომ ჭკუითა და სილამაზით განთქმული ქალბატონი, ლორდ ლემის დედა, ბაირონის გულითადი მეგობარი, ლედი მელბურნი, თავად იყო სკანდალურ ჭორებში ჩაფლული და გახვეული. მის სახელს სათანადო წყაროები სხვადასხვა დიდებულთან კავშირში მოიხსენიებენ. მათ შორისაა ველსის პრინცი, შემდგომში ბრიტანეთის მონარქი, ჯორჯ IV. რაც შეეხება ლედის უსაყვარლეს შვილს, თავად ვილიამს, არაერთი ისტორიკოსი მას მიიჩნევს არაკანონიერ შვილად, რომლის მამა შეიძლება ყოფილიყო ან ჯორჯ IV, ან ლორდ ეგრემონტი. ისტორიკოსები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ ლედი მელბურნის შვილები ხშირად სტუმრობდნენ ლორდ ეგრემონტს მის სახლში, ჰეტვორსში, სასესქის საგრაფოში. ამდენად მელბურნის ოჯახის გავლენა ჯონ მარისა თუ მის მეგობრებზე თავისთავად დასაშვები და თვალშისაცემია.

ასე და ამგვარად, ბაირონის მემუარები განადგურდა. ამ შემთხვევაში გამორიცხული არაა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ამბიციურობა და პატივმოყვარეობა, მითუმეტეს, რომ ბაირონი არასოდეს გაურბოდა სიმართლის თქმას ცალკეულ პირთა შესახებ. ეს თანაბრად ეხებოდა ყველას, იქნებოდა ის ბრიტანეთის მონარქი, თუ ბაირონის პირადი მსახური.

ჩვენი რწმენით, მემუარების განადგურებაში, გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ორმა ფაქტორმა: პირველი ის, რომ ბაირონი გარდაიცვალა ძალიან ადრე და მასთან დაპირისპირებულნი ჯერ კიდევ შემძლე და გავლენიანი პირები იყვნენ. მეორე ის, რომ მემუარები ბაირონის სიცოცხლეშივე მოექცა ბრიტანელთა ხელში, რაც წამყვანი ხელისშემწყობი პირობა უნდა ყოფილიყო მათი გაუჩინარებისათვის.

ერთი კი ცხადია, რომ ლორდ ბაირონის მემუარები შეიცავდნენ ძალზედ მნიშვნელოვან ინფორმაციას, უპირველესად მი-

სი შეფასებითი ხასიათის გამო, რასაც, როგორც თავად ლორდ ბაირონი ამბობდა, „უნდა შეეძრა და გაენათლებინა სამყარო“.

მემუარები განადგურდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენი ასლის გაკეთება მოასწრო ტომას მურმა. თუ მან გააკეთა ერთზე მეტი, ჩვენთვის უცნობია მეორეს ბედი. გამორიცხული არაა, რომ ის გადარჩენილი იყოს, მაგრამ ამაში ჩვენ ეჭვი გვეპარება უპირველესად იმ 158 წერილის ბედის გამო, რომელიც ბაირონმა მურს მიწერა, და რომლებიც მურმა სხვა წერილების გვერდით პოეტისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ ორტომეულში შეიტანა. საზოგადოებას სწამდა, რომ ამ წერილების დედნები, თავად ტომას მურის არქივში ინახებოდა. ტომას მურის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი არქივი, როგორც სათანადო ხელნაწერებისა და დოკუმენტების შემცველი, გადავიდა ლორდ რასელის მფლობელობაში, ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრე შეიქნა თავად ჯონ რასელი, მე-20 საუკუნის დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი. სამწუხაროდ, ამ ხელნაწერებში ჯონ რასელმა ტომას მურისადმი მიწერილი ბაირონის წერილები ვერ აღმოაჩინა.

დღესდღეობით დაკარგული წერილების ბედი გაურკვეველია. ვარაუდობენ, რომ ისინი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განადგურდა. სასწაულად გადარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც ამჟამად დაცულია ჰანტინკტონის ბიბლიოთეკაში, კალიფორნიაში. ბაირონის ეს წერილი დათარიღებულია 1824 წლის 4 მარტით. პოეტს ის მიუწერია მურისათვის ქალაქ მისოლუნგიდან, სადაც ის ექვსიოდე კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

აი, რას წერდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ბაირონის ცნობილი ბიოგრაფი, როლანდ პროტერო მისივე რედაქტორობით გამოსული ბაირონის წერილებისა და დღიურების ექვსტომეულის ერთ-ერთ წინასიტყვაობაში: „მურმა თავის თავს, როგორც რედაქტორს, უჩვეულო უფლებები მიანიჭა. როგორც ვარაუდობენ, მან გაანადგურა არა მხოლოდ მისდამი მიწერილი წერილები ბაირონისა, არამედ ასევე მთელი რიგი



იმ წერილებისა, რომლებიც სხვადასხვა პირებმა მას თავისი „ცხოვრების“<sup>30</sup> გამოსაცემად ანდეს“.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა იმთავითვე გააცნობიერეს ის დიდი დანაკლისი, რომელიც ბაირონის მეგობრებმა, ვითომდაც მისი სახელის გადასარჩენად, კაცობრიობას განაცდევინეს. რუსეთში, მაგალითად, მემუარების განადგურებაში ბრალი იმთავითვე ტომას მურს დასდეს. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1827 წელს „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ (Московский телеграф): “В характере и в жизни Байрона много психологических загадок. Для сокращения времени и облегчения труда стали их разгадывать клеветой. Решение прекрасной задачи предложит будущему жизнеописателю и судье Байрона! Сколько погибло (если в самом деле записки погибли) с ними ключей к любопытным тайнам! В прочем, кажется, можно ожидать от Томаса Мура, истребителя сей драгоценности, вознаграждения за убыток, всем мыслящим людям нанесенный, пожертвованием хотя и бескорыстным, но не менее того досадным и недозволительным”.<sup>31</sup>

ფრიად საყურადღებოა ის, რომ ეს სიტყვები დაიბეჭდა რუსეთში ჯერ კიდევ 1827 წელს, სამი წლით ადრე, ვიდრე ტომას მური ბაირონს მისივე წერილებით აალაპარაკებდა, სამწუხაროდ, იმ წერილებით, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან მან ჯერ უმოწყალოდ აჩეხა, ხოლო შემდეგ დაუნდობლად განადგურა.

როგორც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ვილიამ სენტ კლერი აღნიშნავს, ირკვევა, რომ მურმა პუბლიკაციისას გარკვეულწილად შეცვალა ბაირონის წერილების ტექსტი, რათა საკუთარი პიროვნება უკეთ წარმოეჩინა და დასაფასებელი შეექმნა. ამას ვილიამ სენტ კლერი ამტკიცებს უპირველესად გადარჩენილი წერილით. მკვლევარს აგ-

<sup>30</sup> ავტორს მხედველობაში აქვს ტომას მურის ცნობილი ორტომეული.

<sup>31</sup> Авторство этих слов предположительно приписывается П.А. Вяземскому, см. Русско-Английские Литературные Связи (18 в.-первая половина 19 в.). Литературное Наследство, Москва 1982 г. стр. 730.

რეთვე ხელთ აქვს ბაირონის სიცოცხლეშივე გაკეთებული მისი ერთ-ერთი წერილის ასლი, რომელიც ასევე ადასტურებს ცვლილებებს მურის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის, რომ შესაძლოა მურმა ბაირონის ტექსტი მრავალ წერილში განზრახ შეცვალა, ხოლო ყველა დედანი კვალის დაფარვის მიზნით გაანადგურა.

„დღესდღეობით ბაირონი ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი გიგანტია, ხოლო მური ყველასაგან მივიწყებულია, – წერს ვილიამ სენტ კლერი, – დავიწყებას ლიტერატურაში მური უმთავრესად ბაირონის ბიოგრაფიით გადაურჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მისი სახელი, როგორც ბიოგრაფისა, მიჰყვება მის სახელს, როგორც პოეტისას“.<sup>32</sup>

საგულისხმოა ისიც, რომ მურისადმი მიწერილი ბარათები ბაირონისა აღინიშნება პოეტის წუხილით იმის გამო, რომ მური მასში მეტოქეს ხედავს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ბაირონი აღსავესება სიწრფელითა და თავდადებით მეგობრისადმი, რაც მისდამი მიძღვნილი პოეტური სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს. სწორედ ასეთი სიწრფელით აღინიშნება 1817 წლით დათარიღებული ლექსი “To Thomas Moore” – „ტომას მურს“, რომელიც პოეტმა ვენეციაში ყოფნისას დაწერა (იხ. გვ. 80).

როდესაც აცნობიერებ ბაირონის მემუარებისა და წერილების განადგურების ფაქტს, მითუმეტეს დღევანდელი გადასახედიდან, ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ კიდევ ერთხელ მოკლეს პოეტი. ეს, ალბათ, ასეცაა. მერე კი, ტომას მურმა დაწერა პოეტის ცხოვრების ამსახველი ორტომეული, რითაც ფაქტობრივად პომპეზური პანაშეიდი, გნებავთ, იუბილე, გადაუხადა მგოსანს. ეს მან თავადვე გააკეთა, რათა უფლება და საშუალება აღარავის მისცემოდა მასზე სიმართლის თქმისა.

როგორც ვხედავთ, მურმა თავისი საქმე კარგად გააკეთა. ორტომეულმა მძლავრად გადაწონა იმ დროისათვის არსებული ყველა ბიოგრაფია ბაირონისა და ძალიან დიდხანსაც შეი-

---

<sup>32</sup> William St.Clair. The Temptation of a Biographer: Thomas Moore and Byron, Byron Journal, 1989, p.55.

ნარჩუნა უპირატესობა მრავალრიცხოვანი მკითხველის თვალში.

მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ რჩეულთა შორის რჩეული ბიოგრაფები, ვინც გამჭვრიახი გონებითა და ბასრი კალმით ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარეს სიმართლე, ის სიმართლე, რომელიც არასოდეს იქნება შეუფერებლად შელამაზებული და დამტკბარი, როგორც ამას თავად ბაირონი ითხოვდა:

*„ნუ დაშაქრავთ ჩემს საბრალო დიდებას, მაგრამ ნურც ზედმეტად მოაყრით მარილს“.*

1817-1823 წლები ცნობილია, როგორც ბაირონის ცხოვრების იტალიური პერიოდი, რომელიც აღსავსეა მშფოთვარე დღეებითა და დიდი შემოქმედებითი აღმავლობით. იტალიური პერიოდი გამორჩეულია ბაირონის დრამატული ნაწარმოებებით. აღმოჩნდება, რომ ბაირონი არის მეტი პიესის ავტორი, ვიდრე მისი თანამედროვე ნებისმიერი ინგლისელი. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, განპირობებულია პირველ ყოვლისა პოეტის მჭიდრო კავშირით დრური ლეინის თეატრთან (Drury Lane Theatre) ჯერ კიდევ ლონდონში ყოფნის დროს.

მიუხედავად დიდი აღფრთოვანებისა შექსპირით, ბაირონი თვლიდა, რომ დროა, პოეტურმა დრამამ თავი დააღწიოს დედოფალ ელიზაბეთის დროინდელ ყალიბს. ამგვარად, ბაირონი ცდილობდა შეექმნა ნეოკლასიკური დრამა, რითაც ნაწილობრივ იზიარებდა არისტოტელეს შეხედულებებს ადგილისა და დროის ერთიანობის შესახებ, აგრეთვე, იდეას ამაღლებული ფაბულის თაობაზე, როგორსაც გეთავაზობს მითოლოგიური, თუ ისტორიული სიუჟეტი. მიუხედავად ნოვატორული მიწრაფებისა, როგორც თავად აცხადებს, მისი პიესები გონების თეატრს უფრო ქმნიან, ვიდრე სცენისას. მის დრამატურგიაში ორ ძირითად კატეგორიას განასხვავებენ. ეს გახლავთ პოლიტიკური ტრაგედია, რომელიც ისტორიულ საფუძველზე აღმოცენდა – „მარინო ფალერო“, „ორი ფოსკარი“, „სარდანაპალი“, და რელიგიურ-ფილოსოფიური „მანფრედი“, მისტერია „კაენი“.

ბაირონის შემოქმედება გამორჩეულად მდიდარია სხარტი და მახვილი ეპიგრამებით. მათ შორისაა "On My Wedding Day" – „ჩემი ქორწინების დღეს“ (იხ. გვ. 81), რომელიც 1820 წლის 2 იანვრითაა დათარიღებული, როდესაც ბაირონი რავენაში იმყოფებოდა.

ჩვენს წიგნში აგრეთვე შეტანილია ჯონ ბულისადმი მიძღვნილი ეპიგრამა ინგლისზე... (იხ. გვ. 82).

აქვეა პატარა ლექსი "John Keats" – „ჯონ კიტსი“ (იხ. გვ. 83), რომელიც კიტსის უდროოდ დაღუპვითაა შთაგონებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბაირონი თავდაპირველად არ სწყყლობდა კიტსს, რომელმაც გაბედა და მისი უსაყვარლესი პოეტი ალექსანდრ პოპი გააკრიტიკა, მოგვიანებით, გაეცნო რა მის შემოქმედებას, დიდად დააფასა იგი. ამას, ალბათ, ისიც ემატებოდა, რომ შელლიმ ჯონ კიტსის ხსოვნას ელეგია „ადონაისი“ მიუძღვნა. ხოლო როდესაც დამხრჩვალე შელლის გვამის ამოსაცნობად ნაპირზე ედვარდ ტრელონი მისულა, პირველი, რამაც მიანიშნა შელლის ვინაობაზე, ეს იყო კიტსის პოეზიის პატარა ტომი, რომელიც პოეტს მუდამ უბით დაჰქონდა.

ჯონ მარისადმი მიწერილ წერილში ბაირონი სთხოვს გამოცემელს, თუ ოდესმე რაიმე უარყოფითი მიუწერია კიტსის შესახებ, აუცილებლად ამოიღოს და არ გამოაქვეყნოს. მისი აზრით, კიტსი მხოლოდ ტიტანებითაა ინსპირირებული და მისი „ჰიპერიონი“ ამაღლებულია, ვითარცა ესქილე.

ტუბერკულოზით დაავადებული ახალგაზრდა კიტსი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად 1821 წელს რომში ჩასულა და სწორედ იმ სახლის მოპირდაპირე ბინაში დასახლებულა Piazza di Spagna-ზე, სადაც ოთხი წლით ადრე ბაირონი ცხოვრობდა. 25 წლის ასაკში კიტსი აქვე გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც ლიტერატურულ წრეებში ირწმუნებოდნენ, სიცოცხლე მას მოუსწრაფა ედინბურგის ჟურნალმა „კვორტერლიმ“, რომელმაც ერთ დროს არც ახალგაზრდა ბაირონი დაინდო. კიტსის დვენაში ბაირონი ბრალს სდებდა სამ ინგლისელს: ჰენრი ჰარტ მილმანს, მღვდელს, პოეტსა და ისტორი-

კოსს, რომელიც XIX საუკუნის 20-იან წლებში ოქსფორდის პროფესორია, რობერტ საუთის, „ტბის სკოლის“ განთქმულ პოეტს, და ჯონ ბეროუს, ინგლისელ გეოგრაფს, მოგზაურსა და მწერალს.

1820 წლითაა დათარიღებული მისი “Stanzas” – „სტანსები“ (იხ. გვ. 84).

ეს პატარა ლექსი ფაქტობრივად პოეტის ცხოვრების კრედოს წარმოადგენს და აქ ბაირონმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება თავისუფლების იმ დიდი საქმისადმი, რომელსაც ოთხიოდე წლის შემდეგ სიცოცხლე შესწირა.

ამ პერიოდში დაასრულებს იგი „მანფრედს“, „მაზეპას“, ქმნის „ბეკპოს“, „მარინო ფალეროს“, „ორ ფოსკარს“, „კაენს“, „სარდანაპალს“, უკვდავ „დონ ჟუანს“.

ამ დროისათვის ბაირონის სახელი და დიდება მთელს მსოფლიოს მოსდებოდა.

1821 წლის 15 ოქტომბერს ბაირონი იწყებს პროზაულ ჩანაწერებს სათაურით “Detached Thoughts” – „დაქსაქსული აზრები“, რომლის უკანასკნელი ჩანაწერი 1822 წლის მაისითაა დათარიღებული. ეს ჩანაწერები გასაოცარი სიბრძნითა და გონებამახვილობით აღინიშნება და აქ მრავალ სხვა საკითხთან ერთად პოეტი საკუთარ პოპულარობასა და აღიარებაზეც საუბრობს. იგი არცთუ უსაფუძვლოდაა აღშფოთებული თანამემამულეების დამოკიდებულებით და მიაჩნია, რომ უსამართლო ლანძღვა მათ უფრო ჰკვრის სირცხვილს, ვიდრე პირადად მას.

*„უცნაურია, მაგრამ, გერმანელები ამბობენ, რომ მე იქ უფრო პოპულარული ვარ, ვიდრე ინგლისში, ამერიკელები იმავეს მეუბნებიან ამერიკაზე“, – დასძენს პოეტი.*

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს ამ პროზაული ჩანაწერიდან:

*„ბოლო ცხრა წლის მანძილზე ვის არ შემადარეს პირადად მე, თუ ჩემი პოეზია... იქნებოდა ეს რუსსო – გოეთე –*

იუნგი - არეტინო - ტიმოთე ათონელი - ალუბასტრის ლარნაკი, რომელიც შიგნიდან ანათებს - სატანა - შექსპირი - ბუნაპარტე - ტიბერიუსი - აქილეუსი - სოფოკლე - ევრიპიდე - არლეკინი - ჯამბაზი - სტერნჰოლდი - ჰოპკინსი - ფანტასმოგორია - ჰენრი VIII - შენიე - მირაბო - ახალგაზრდა რ. დალლასი (სკოლის მოსწავლე) - მიქელანჯელო - რაფაელი - *petit matre*<sup>33</sup> - დიოგენე - ჩაილდ ჰაროლდი - ლარა - გრაფი „ბეპოდან“ - მილტონი - პოპი - დრაიდენი - ბერნსი - სევიჯი - ჩატერტონი - შექსპირის ბირონი („ხშირად მსმენია თქვენს შესახებ, ო, ლორდ ბირონო“)<sup>34</sup> - პოეტი ჩერჩილი - მსახიობი კინი - ალფიერი და ა. შ. და ა. შ.

ამ სიტყვებს ბაირონს პირველსავე წერილში ამბობს და მისთვის ჩვეული იუმორით, ცდილობს რა დაამტკიცოს შედარებათა უსაფუძვლობა თავად რუსსოს მაგალითზე, მკითხველს ჩინებულ ავტოპორტრეტს სთავაზობს:

„ჩემი საკუთარი დედა ირწმუნებოდა, როცა ჯერ ოცი წლისაც არ ვიყავი, რომ რუსსოს ვგავდი. იმავეს ამბობდა ჩემზე მადამ დე სტალი 1813 წელს, მსგავსი აზრია გამოთქმული „ედინბურგის მიმომხილველის“ რეცენზიაში „ჩაილდ ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერაზე. პირადად მე ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობ: ის წერდა პროზით, მე - ლექსით; ის ხალხიდან იყო გამოსული, მე - არისტოკრატი ვახლავართ; ის ფილოსოფოსი იყო, მე - არა; მან ორმოცი წლის ასაკში გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოები, მე - თერამეტიისამ; მისმა პირველმა თხზულებამ საყოველთაო მოწონება დამსახურა, ჩემმა - პირიქით; მან ცოლად შეირთო ეკონომი ქალი, რომელიც მის სახლს მართავდა, მე კი საკუთარ სახლში ცოლი ვერ ვმართე; ის თვლიდა, რომ მთელი ქვეყანა მის წინააღმდეგ

<sup>33</sup> პეწენიკა.

<sup>34</sup> იხ. კომენტარი გვ. 85.

შეთქმულებაში გაერთიანდა, ხოლო თუ იმ ლანძღვის მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც პრესა და ცალკეული წრეები თავს მატებენ, ჩემს პატარა ქვეყანას მიაჩნია; რომ ეს მე ჩავიფიქრე შეთქმულება ყველას წინააღმდეგ; მას ბოტანიკა უყვარდა, მე – ყვავილები, მცენარეები და ხეები მიყვარს და მათი წარმომავლობისა არაფერი გამეგება; ის წერდა მუსიკას, მე მხოლოდ ის ვიცი მასში, რასაც ყურით ვიჭერ, და, საერთოდ, დასწავლით არასოდეს არაფერი ამითვისებია, თავად ენაც კი, მხოლოდ ზეპირად, ყურით, მეხსიერებით; მას ცუდი მეხსიერება ჰქონდა, მე, ნამდვილად ვიცი – ბრწყინვალე (ჰკითხეთ პოეტ ჰოჯსონს, ის კარგი ექსპერტია, რამეთუ თავად აქვს განსაცვიფრებელი მეხსიერება), ის წერდა ნელა და გულმოდგინედ, მე სწრაფად და თითქმის ძალდაუტანებლად; მას არც ცხენზე ჯირითი შეეძლო, არც ცურვა და არც „ფარიკაობაში ყოფილა გაწაფული“<sup>35</sup> მე – ჩინებული მოცურავე ვახლავართ და საკმაოდ ნორმალური მხედარი, მაგრამ არცთუ ცუდი მას შემდეგ, რაც თვრამეტი წლისას ჯირითობის დროს ნეკნი ჩამემტვრა, ცუდად არ ვფარიკაობ, განსაკუთრებით ჰაილენდური ილეითით, კრივში არ მოვისუსტებდი, ეს როცა თავის ხელში აყვანა შემეძლო, რაც საკმაოდ რთული იყო, და რის გაკეთებასაც ვცდილობდი მას შემდეგ, რაც 1806 წელს ანჯელოსა და ჯექსონის სასწავლებელში ძირს დავანარცხე პერლინგი და მუხლის თავიც გავუტეხე; ასევე ძლიერი ვიყავი კრიკეტში. 1805 წელს პაროუზ გუნდში ვთამაშობდი იტონის წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად უნდა ითქვას, რომ რუსსოს ცხოვრების წესი, მისი ეროვნება, მისი მანერები და საერთოდ მთლიანად მისი ხასიათი იმდენად განსხვავებულია, რომ ვერ გამოვივა, რამ გამოიწვია ასეთი შედარება, ისიც სამჯერ, და საკმაოდ საყურადღებო გარემოებებში. დამა-

<sup>35</sup> „ფარიკაობაში ყოფილა გაწაფული“ – შექსპირი, „მეთორმეტე ღამე“. III მოქმ., მე-2 სცენა.

ვიწყდა დამემატებინა, რომ რუსსო ახლომხედველი იყო, მე – იმდენად საპირისპირო, რომ ბოლონიის ყველაზე დიდ თეატრში გავარჩიე და ამოვიკითხე ყველა წარწერა ბიუსტებზე თუ სცენასთან ახლოს. ამ დროს ვიჯექი იმდენად დაცილებულ და ცუდად განათებულ ლოჯიაში, რომ ვერც ერთმა იმათგან, ვინც იქ ჩემთან ერთად იყო (ყველა მათგანი ახალგაზრდა და მახვილი მხედველობის მქონე იყო – ზოგიც იმავე ლოჯიაში იჯდა) ერთი ასოც კი ვერ გააჩნია. მათ ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მე ყველას ვასულელებდი, მიუხედავად იმისა, რომ ამ თეატრს პირველად ვეწვიე“.

იტალიაში ყოფნის პერიოდში ბაირონი მოუწოდებდა ხალხს ეროვნული თავისუფლებისაკენ და უშუალოდ მონაწილეობდა იტალიელი ხალხის ბრძოლაში ავსტრიელი და ფრანგი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ფონზე ბაირონი დაუახლოვდა იტალიის თავისუფლებისათვის თავდადებული ოჯახის შვილს ტერეზა გვიჩიოლის, რომლისადმი განცდილმა სიყვარულმა ახალი სიმღერებით გაამდიდრა „დონ ჟუანი“.

დღეს ბაირონის შემოქმედება წარმოუდგენელია „დონ ჟუანისა“ და მისი თავნება გმირის გარეშე, რომელიც, მოგეხსენებათ, ძალზე გავრცელებულ ლიტერატურულ ტრადიციაზეა დამყარებული. ეს ტრადიცია სათავეს იღებს ტრაგიკული პიესიდან „სევილიელი ქარაფშუტა“, რომელიც 1630 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც ესპანელ ავტორს ტირსო დე მოლინას მიაწერენ. პიესაში წარმოდგენილ ფაბულას საფუძვლად უდევს ის ამბავი, რომელიც XIV საუკუნის ესპანეთში თავს გადახდა კასტილიის მეფის კარისკაცს დონ ზუან ტენორიოს, როგორც ცნობილ ავანტურისტ მექალთანეს.

ტირსო დე მოლინას მიხედვით, დონ ჟუანი, თავისი თავაწყვეტილი ცხოვრების ზენიტში მყოფი, კიდევ ერთ ქალიშვილს, დიდებული ოჯახის შვილს შეაცდენს და მოკლავს ქალიშვილის მამას, რომელიც შეეცადა შური ეძია მასზე. გადის დრო და დონ ჟუანი ხედავს, რომ მის მიერ მოკლული დიდებულის



საფლავზე ძეგლია აღმართული. თავხედი არისტოკრატი სა-  
დილზე მიიპატიჟებს ქვის ძეგლს. ქვის ძეგლი მართლაც და-  
ნიშნულ დროზე გამოცხადდება მასთან, როგორც სიკვდილის  
მაწვებელი.

მოლინას მიერ დამუშავებული ლიტერატურული სახე მრავალ ვარიაციას განიცდის და ისევე პოპულარულია ლიტერატურაში, როგორც „ფაუსტი“, „დონ კიხოტი“, თუ „ჰამლეტი“. ესპანეთში ეს თემა კვლავ აისახა XVIII საუკუნეში ანტონიო დე ზამორას „ქვის სტუმარში“, რამაც მოგვიანებით პუშკინის იმავე სახელწოდების ნაწარმოებში ჰჰოვა შემდგომი განვითარება. ესპანეთის ფარგლებს გარეთ დონ ჟუანის თემა გაცილებით ადრე იწყებს გავრცელებას და ამ მხრივ პრიორიტეტი საფრანგეთს ეკუთვნის, რამეთუ მოლიერის „ქვის ბანკეტი“ 1665 წლითაა დათარიღებული. დონ ჟუანის თემა თავისი განვითარების უაღრესად საინტერესო მწვერვალს აღწევს მოცარტის ოპერაში „დონ ჟუანი“.

დონ ჟუანი ყველა ინტერპრეტაციაში ანგრევს მორალის ჯებირებს, მაგრამ მისი გასაოცარი მიმზიდველობის მიზეზი პირველ რიგში საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ პროტესტშია საძიებელი. დონ ჟუანი ებრძვის აუცილებლად ისეთ რამეს, რომელთანაც შებრძოლება მიუღებელია. ამდენად, ყველა პირობით ეს არის იერიში აკრძალულ ხილზე, უსულო ტაბუსა თუ დოგმებზე. ეს არის სულის წინააღმდეგ ამხედრებული ბუნება, ხოლო სულის ბუნებისნაირად ქცეული ჟინი უკვე არის საწყისი ჟუანური დემონიზმისა. სწორედ ამ ქარიშხლის ამოკითხვამ აქცია დონ ჟუანი უაღრესად პოპულარულ პერსონაჟად ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობასა თუ, საზოგადოდ, ხელოვნებაში. ამ პოპულარობის მტკიცებად ისიც კმარა, რომ სადღეისოდ ლიტერატურის ისტორია 100-ზე მეტ დონ ჟუანს იცნობს.

„არც „ჩაილდ ჰაროლდი“ და არც ბაირონის შესანიშნავი ადრეული პოემები არ შეიცავენ იმაზე უფრო მშვენიერ ნაწყვეტებს, ვიდრე „დონ ჟუანშია“ მიმობნეებული“, – წერდა ვოლტერ სკოტი. მწერალი „დონ ჟუანის“ ავტორს თემათა

მრავალფეროვნებაში მხოლოდ შექსპირს თუ შეადარებს, რამეთუ მიაჩნია, რომ ამ ნაწარმოებით „ბაირონი მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს.... და თავისი ლექსით ააჟღერებს ღვთიურ ქნარს, რომელიც გამოსცემს, ერთი მხრივ, უფაქიზეს ბგერებს, ხოლო მეორე მხრივ, მძლავრ და გულისშემძვრელ აკორდებს.“

როდესაც ბაირონმა დონ ჟუანი წარმოაჩინა, როგორც მისი ეპოქის პასიური და დამყოლი მამაკაცი, მან ამით გარკვეულწილად გადაუხვია ტრადიციიდან. მის გმირში აისახა ის გარემო და საზოგადოება, რომელშიც თავად ტრიალებდა. ბაირონი თავის გმირს სხვადასხვა გარემოსა და ქვეყანაში ამოგზავრებს, რათა ამხილოს ამ ქვეყნების მანკიერებანი და მათი სახე გამოააშკარაოს.

„დონ ჟუანის“ შექმნაში მრავალი წყარო მონაწილეობდა. ზოგადად ეს იყო პოეტის მიერ განცდილი ცხოვრება და ის ვეება სამყარო, რომელიც ბაირონმა ამ დროისათვის შეიცნო წაკითხულით, ნააზრევითა თუ ნანახით. წაკითხულიდან პირველ ყოვლისა ასახელებენ ჰენრი ფილდინგის რომანს „ტომ ჯონსი“, როგორც ბაირონის უსაყვარლეს ნაწარმოებს. ფილდინგის შემდეგ ასახელებენ ლორენს სტერნის „ტრისტამ შენდის“.

რაც შეეხება პოეტის განცდებს და წარსულის შთაბეჭდილებებს, აქ პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია დონნა ინესას სახე, რომელიც ერთდროულად მოიცავს ბაირონის ორი უახლოესი ქალის ხასიათს. ერთი მხრივ, ეს გახლავთ მისი ღედა, მისის ბაირონი, ხოლო მეორე მხრივ, პოეტის მეუღლე – ღედი ბაირონი. დონ ხოსეში ორი ბაირონი შეინიშნება, მამაცა და შვილიც, ხოლო ჟუანში პოეტის ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებია თავმოყრილი. „დონ ჟუანში“ აისახა პოეტის სიყვარული ტერეზა გვიჩიოლისადმი, აქ კვლავ ახშიანდა მისი უფაქიზესი განცდა მერი ჩავორსისადმი და ა. შ. და ა. შ.

ბაირონის „დონ ჟუანი“, როგორც მისი შემოქმედების მწვერვალი, უდავოდ ვერ ეტევა რომანტიზმის პირობით ჩარჩოებში და ის თავისი ძირითადი განზომილებებით რეალისტუ-

რი ნაწარმოებია. „ღონ ქუანი“ გახლავთ მწვავე რეალისტური სატირა პოეტის თანამედროვე სამყაროზე, რომელიც ამავედროულად აღმოჩნდა უნივერსალური ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების ასახვის თვალსაზრისით. რეალისტური თხრობა სატირულ მხილებას ერწყმის. ამავე დროს ნაწარმოები პოეტური ლირიზმითაა უაღრესად მომხიბვლელი და მომაჯადოებელი. აქ, როგორც არასდროს, პოეტი და მოქალაქე ერთ არსებაში არიან გამთლიანებულნი.

აღნიშვნის ღირსია „ღონ ქუანის“ მიძღვნა, რომელიც პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა იმ სკანდალური მტრობის გამო, რომელიც ბაირონსა და რობერტ საუთის შორის გაჩაღებულიყო. ეს პოემა ბაირონმა მიუძღვნა პოეტ-ლაურეატ საუთის, რასაკვირველია, არა მისდამი სიმპათიების გამო. ბაირონი ვერ ურიგდებოდა თავმომწონე და პირფერ პოეტს, რომელშიც, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ რეაქციონერს ხედავდა. ის უპირისპირდებოდა მას აგრეთვე, როგორც „ტბის სკოლის“ ყველაზე ნაკლებად ნიჭიერ პოეტს.

ბაირონს მიაჩნდა, რომ „ლეიკისტებმა“ ანუ „ტბის სკოლის“ პოეტებმა – ვოდსვორთმა, კოლრიჯმა და საუთიმ, რომლებმაც ბინა მართლაც ტბის მიდამოებში, ინგლისის თვალწარმტაც კუთხეში – კესიკში დაიდეს, ახალგაზრდული იდეალები მატერიალურ კეთილდღეობასა და ჯილდოებს შესწირეს. მათ გარკვეულ მფარველობას უწევდა იმხანად ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი სერ კესრლი, რომლის დახმარებით ვოდსვორთი საბაჟოს ჩინოვნიკის თბილ ადგილს მოერგო. ყოველივე ეს უდავოდ აღაშფოთებდა ბაირონს. მას მიაჩნდა, რომ პოეტმა არ შეიძლება გაყიდოს თავისი პრინციპები, პოეტი უნდა პირველ ყოვლისა იცნობდეს ცხოვრებას და ჰქონდეს ამ ცხოვრების დიდი გამოცდილება. ასეთად მას წარსულში ჯონ მილტონი ესახებოდა, ხოლო ძველ საბერძნეთში – ესქილე. აღფრთოვანებას ვერ ფარავდა სერვანტესით. „ლეიკისტებზე“ კი წერდა:

*„მათ ხომ ამქვეყნისა არაფერი გაეგებათ, და რაა პოეზია, თუ არა ამ სამყაროს ასახვა. რით თანაუგრძნობს ეს ხალხი ამ მგზნებარე საუკუნის სულს? ჯობდა საუთი ეკლესიის მსახური ყოფილიყო, ზოლო ვოდსვორთი მეანი გამოსულიყო. მე ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე მათგანი ერთხელ მაინც დამთვრალა გეარიანად“.*

თუმცა, სათაყვანებელ მწერალთა სიაში იყვნენ ბაირონის თანამედროვენიც, რომელთა გვერდით ყოფნა მას ყოველთვის სიამაყით აღავსებდა: შერიდანი, სკოტი, მური, რომ აღარაფერი ეთქვათ მის მეგობარ შელლიზე.

1823 წელს იტალიაში მყოფ ლორდ ბაირონს საბერძნეთმა დასახმარებლად მოუხმო. თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ელადა თავისუფლებისათვის იბრძოდა. მის შვილებს უჭირდათ ურთიერთგაგება და, რაც მთავარია, მტრის წინააღმდეგ გაერთიანება. საბერძნეთის გათიშული პარტიები ცალ-ცალკე მოუხმობდნენ თავისუფალი კუნძულის შვილს საშველად. ბაირონმა რაინდულად აღასრულა პირობა მიხმარებოდა არა ცალკეულ პირებს, არამედ ბერძენ ხალხს, და საბერძნეთს სწორედ მაშინ მიაშურა, როდესაც შეიტყო, რომ მიღწეული იყო თუნდაც დროებითი შეთანხმება დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ფლეტჩერს, პოეტის ერთგულ მსახურს, კარგად ახსოვდა საბერძნეთის დაწყევლილი ყოფა და დაუჩივლია, ეტყობა, ჩემი ბატონი ჭკუაზე ველარ არის, თუ კვლავ იქ დაბრუნებას აპირებსო. ეს ბაირონის ყურამდეც მისულა, რაზეც პოეტს ასეთი პასუხი გაუცია: *„თუ ყოველივეს უმაღლური კაცის თვალით შეხედე, ეს ასეა, მაგრამ მე ხომ ყველაზე უფრო ბედნიერი საბერძნეთში ვიყავი, და თუ რაიმე შემიქმნია, ეს იყო ან საბერძნეთში, ან საბერძნეთის გამო“.* ედვარდ ტრელონისათვის კი მიუწერია: *„თუ პოეტი ვარ, საბერძნეთს უნდა ვუმაღლოდე“.*

ბაირონს ისიც დაუწერია, *„წინათგრძნობა მაქვს, საბერძნეთში გარდავიცვლებიო“.*

ბაირონს აღაშფოთებდა არაერთი ბერძნის უპატიოსნება, არაკეთილსინდისიერება, გაუტანლობა, რაც ხშირად ეროვნული გაჭირვებით ყოფილა შენიღბული. და მაინც, მისთვის დღესავით ნათელი იყო, რომ თავისუფლების მოპოვება საჭირო იყო არა იმ ცალკეული უღირსი პირებისათვის, არამედ მთელი ბერძენი ხალხისათვის, რომლის ნათელი სახე ჯერ ისევ მომავლიდან იყურებოდა, და, რაც მთავარია, იმ საყოველთაო თავისუფლებისათვის, დედამიწის ზურგზე რომ უნდა დამყარებულიყო დიდი და მცირე ერებისათვის თანაბრად.

საბერძნეთში ჩასვლისთანავე ბაირონი მეომართა რიგებში ჩადგა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ პოეტს ბრძოლის ყიჟინა ენატრებოდა, ან თურქების სისხლი სწყუროდა. არამც და არამც. თურქეთში ყოფნისას მას სხვა ერზე არანაკლებ თურქი ხალხი შეეყვარებია, მრავალი თურქიც გამოუხსნია ტყვეობიდან ბერძენთაგან, მაგრამ, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ის აუცილებლად საბერძნეთს მიეხმარებოდა. გულის სიღრმეში კი თურმე ამ ორი ერის შერიგებაზე ოცნებობდა, მაგრამ, ვაი, რომ ჯერ თავად ბერძენი ხალხი იყო შესარიგებელი და გასაერთიანებელი.

გადაწყდა, ხალხის შერიგებისა და გაერთიანების მიზნით მთელი ბერძენი ხალხის წარმომადგენელთა ყრილობა მოეწვიათ. ამ ყრილობაზე შემრიგებელი და გამაერთიანებელი მოციქულის კეთილშობილური მისია სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ მოქალაქეს – ლორდ ბაირონს უნდა შეესრულებინა. ბაირონი ემზადებოდა ამ შეხვედრისათვის, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფიზიკურმა თავდაუზოგაობამ ჯარის ვარჯიშის დროს ავადმყოფობაში იჩინა თავი. ეს ვერას დააკლებდა ბაირონს, რომ არა ის უმძიმესი მორალური ტრავმა, რომელიც მან ჯარისკაცებისაგან მიიღო. წვრილმანი ანგარიშსწორების მიზნით გააფთრებული სულიოტები შინ მიეჭრნენ ავადმყოფს და უზნეო უმადურობით საბედისწეროდ ატყინეს გული.

*„დროა ამ გულმა შეწყვიტოს ძგერა, თუ აღარ ძალუქს სხვათა აღელვება“, –* თქვა ბაირონმა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ

ლექსში. 1824 წლის 19 აპრილს, საბერძნეთის პატარა ქალაქ მისოლუნგში, მისმა გულმა შეწყვიტა ძგერა.

ტირილსა და გლოვას თურმე ცა შეუერთდა. საშინელი ჭეჭა-ჭეხილი თითქოსდა რისხვის დატეხვით ემუქრებოდა იქაურობას. მის ცხედართან ბერძენი ხალხი, ახლა უკვე გამოფხიზლებული და ამაღლებული, ერთ მუშტად შეიკრა. მან სიკვდილით გააკეთა ის, რისთვისაც სიცოცხლეში იღვწოდა და რამაც საბერძნეთი ბოლო გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს როლი მან შეასრულა არა იმდენად მის მიერ ჩადენილი გმირობით, არამედ თავგანწირვითა და თვით სიკვდილის ფენომენით. ბაირონი იქცა უანგარო პატრიოტიზმის სიმბოლოდ და საბერძნეთის ეროვნულ გმირად.

მოგეხსენებათ, საბერძნეთის განთავისუფლებას მრავალი ევროპელი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე ეხმიანებოდა და უჭერდა მხარს. ფილელინისტი იყო დიდი გოეთე, ფილელინისტი გახლდათ შილერი.... მაგრამ, მათ შემთხვევაში სისხლი მხოლოდ სტრიქონებში იღვრებოდა და არც ერთი მათგანი საბერძნეთს არ ჩასულა საბრძოლველად.

გადაწყდა, რომ ბაირონი თავის სამშობლოში დაიკრძალებოდა. თავად საბერძნეთში კი ერთთვიანი გლოვა გამოცხადდა. ბერძენ ხალხს, განსაკუთრებით კი მისოლუნგელებს, გულით ეწადათ მისი სხეულის ნაწილი საბერძნეთში დარჩენილიყო. მათი სურვილი აღსრულდა და პოეტის ფილტვები სან სპირიდონის ეკლესიამ მიიბარა.

24 მაისს ღუზა აუშვა გემმა, რომლითაც პოეტის უახლოესი მეგობრები და მსახურები ინგლისს მიასვენებდნენ მის ცხედარს.

როდესაც ბაირონმა რვა წლის წინ სამუდამოდ დატოვა ინგლისი, მისი უახლოესი მეგობარი კემ ჰობჰაუზი ყოფილა ბოლო, ვისაც პოეტი ღუვრში დამშვიდობებია. ახლა კი განგებამ ისე ინება, რომ 2 ივლისს ლონდონის მისადგომებთან, ტემზაში შემოცურებულ გემს, რომელზეც ბაირონის ნეშტი ესვენა, პირველი სწორედ ჯონ კემ ჰობჰაუზი დახვდა.

ჰობჰაუზი იმ ხანად თემთა პალატის წევრი იყო და მათ მეგობარ დაგლას კინიარდს სწორედ მისი სახელით მიუმართავს თხოვნით ვესტმინსტერის სააბატოსთვის, ბაირონი პოეტთა პანთეონში დაეკრძალათ. ეს ცნობა, როგორც ტყვია, ისე მოხვედრია ჰობჰაუზს. „რა საჭირო იყო, მიგვეცა მათთვის საშუალება, უარი ეთქვათ ბაირონისათვის სამუდამო განსასვენებელზე“, – უთქვამს მას, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა პოეტის დას, ოგასტა ლის, ბაირონი მშობლიურ ნოტინგემში, ჰაკნალის საგვარეულო აკლდამაში დაკრძალულიყო.

12 ივლისს სამგლოვიარო პროცესია ლონდონიდან ნოტინგემისაკენ გაემგზავრა. მთავრობასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფმა არისტოკრატებმა უსაფრთხო ნაპირზე ყოფნა ამჯობინა და ჰობჰაუზისა და მისი მეგობრების ვითომდაც პატივსაცემად, მხოლოდ ეტლები გააგზავნა.

დღე მზიანი და ნათელი დადგა. ორმოცდაშვიდი ეტლიდან, ოქსფორდ სტრიტს რომ მიუყვებოდა, რამდენიმეს გარდა, ყველა ცარიელი იყო. სამაგიეროდ ქუჩები გავსებულიყო ხალხით. დიდგვაროვანი ქალბატონები სულგანაბულნი მხოლოდ ფანჯრებიდან ადევნებდნენ თვალს...

16 ივლისს ჰაკნალ ტოკარდის პატარა და ღარიბულ ეკლესიაში სამგლოვიარო ზარების ხმა გაისმა. იქ დიდმა ბაირონმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. „ჩვენ ის დაკრძალეთ, როგორც დიდგვაროვანი, რადგან ვერ შეეძელით დაგვეკრძალა, როგორც პოეტი“, უთქვამს ჰობჰაუზს.

„მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება არც კი მიუჩინონ ადგილი ჩვენს საკათედრო ტაძარში, ის უდავოდ მიეკუთვნება იმ მოელვარე ადამიანთა გუნდს, რომელთა შესახებ პერიკლემ განაცხადა, – მათი საფლავი მთელი დედამიწაა“. ჯონ მორლის ეს სიტყვები სემუილ ჩიუმ ეპიგრაფად წარუშემდვარა თავის წიგნს: „ბაირონი ინგლისში“ (1924).

აკლდამაში ბაირონის კუბოს გვირგვინი ადგას თავზე. კუბოს გვერდით ურნაა, რომელშიც, როგორც გვაუწყებენ, პოეტის ტვინთან ერთად მისი გულია მოთავსებული. მიუხედავად

მრავალი სარწმუნო ცნობისა, კვლავ ცოცხლობს ლეგენდა, რომ საბერძნეთის მიწამ სწორედ მისი გული მიიბარა, რაც სრულიად ბუნებრივად გაისმის, განსაკუთრებით, იმ ერის მხრიდან, რომელმაც ბაირონი თავის მესიად აღიარა. აზრთა სხვადასხვაობის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ფრედერიკ რაფაელის წიგნს „ბაირონი“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ მისი „დაბალზამებული სხეული ჩაასვენეს თუნუქშემოვლებულ ყუთში... და გემზე მოათავსეს... გული, პირდაპირი მნიშვნელობით, საბერძნეთში დარჩა“.<sup>36</sup> წყაროთა უმრავლესობა კი მიაჩნებდა იმაზე, რომ გული მოთავსებული იყო ურნაში და ის ინგლისშია. აი, რას მწერს ამის თაობაზე საბერძნეთის ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი პროფ. მარიუს ბაირონ რაიზის (ბაირონი – პროფესორის ფსევდონიმია):

*„კუბოს წინ მართლაც დგას ურნა, რომელშიც მისი გული და ტვინია... მეორე ურნა, ბაირონის ფილტვებით, მოთავსდა წმინდა სპირიდონის ეკლესიაში (ექვევარეშეა, საკურთხეველთან), მისოლუნგში. ის ტაძარი განადგურდა 1826 წლის აპრილში, როცა ეგვიპტელთა და თურქთა ჯარებმა დაიპყრეს უბედური ქალაქი. ამდენად, ურნა იმ დროს დაიკარგა და მერე ველარასოდეს მოინახა.... მეტაფორულად, გადატანითი მნიშვნელობით თუ ვილაპარაკებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან გული საბერძნეთში დატოვა“<sup>37</sup>*

აღსანიშნავია, რომ არსებობს მეორე ვერსიაც, რომელსაც თავად პროფესორი რაიზი გვაცნობს. ამ უკანასკნელის თანახმად, ურნა მოინახა და ის მოთავსებულია სწორედ იმ ადგილას ქალაქ მისოლუნგში, სადაც დღეს გმირთა პარკში აღმართულია ბაირონის ძეგლი.

<sup>36</sup> Frederic Raphael, Byron, Thomas and Hudson, Reprinted 1982, p. 210.

<sup>37</sup> პროფ. მ. ბ. რაიზის პირადი წერილიდან, 14. IX. 1994 წ. ათენი.



ბაირონის ძეგლი აგრეთვე დგას ათენის ცენტრში, სადაც ის პოეტურ მუზასთან ერთადაა გამოსახული. ძეგლზე მისი ცნობილი სიტყვებია ამოტვიფრული „ჩაილდ ჰაროლდიდან“:

But I have lived, and have not lived in vain –

ვიცი ვიცხოვრე მე ამ ქვეყნად არა ამაოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლორდ ბაირონის დაკრძალვის შემდეგ აკლდამის კარი მხოლოდ მისი ერთადერთი ქალიშვილის, ადა ლავლეისისათვის გაარღვიეს. ადა გახლავთ ოცდამეშვიდე ბაირონი, რომელიც საგვარეულო აკლდამაში განისვენებს. იქ მას შემდეგ აღარავინ დაუკძალავთ.

1938 წლის 15 ივნისს ჰაკნალის ეკლესიის წინამძღვარმა ტომას ბარბერმა რამდენიმე ოფიციალურ პირთან ერთად გახსნა აკლდამა მისი მღებარეობისა და მღვდმარეობის შესასწავლად. გამორიცხული არაა, რომ მას ბაირონის ნეშტის ნახვის სურვილი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე არქეოლოგიური ექსპედიცია. აი ის, რაც მან თავის წიგნში ასახა: „დიდი მოწიწებით თავსახური აეწიე. ჩემს თვალწინ იდო დაბალზამებული სხეული ბაირონისა, ისეთსავე სრულყოფილ მღვდმარეობაში, როგორშიც ის ასთოთხმეტი წლის წინ უნდა ჩაესვენებინათ. მისი ნაკვთები და თმა ადვილად ამოიცნობოდა ჩემთვის ასე ახლობელი პორტრეტებიდან. მისი სახის მშვიდმა და თითქოს ბედნიერმა გამომეტყველებამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ტერფებსა და კოჭებზე არაფერი ეფარა, ამდენად, შემეძლო დამედგინა, რომ ის მარჯვენა ტერფის გამო კოჭლობდა. ეს უკვე საკმარისი იყო. მე ფრთხილად დავუშვი კუბოს თავსახური და იქვე მისი სულის მოსახსენიებელი ლოცვა წარმოვთქვი“.<sup>38</sup>

1968 წელს ვესტმინსტერის სააბატოთ დააკმაყოფილა ბრიტანეთის პოეზიის საზოგადოების თხოვნა და 1969 წლის 8 მაისს სააბატოში შედგა ლორდ ბაირონისადმი მიძღვნილი მემო-

<sup>38</sup> Thomas Gerrard Barber, *Byron and Where He is Buried*, Haywood and Davenport. Huknall, Forth Impression, March, 1991.

რიალის გახსნის საზეიმო ცერემონია. პოეზიის საზოგადოების  
პრეზიდენტს, ვილიამ პრუმერს, თავისი გამოსვლა "შემდეგი  
სიტყვებით დაუსრულებია:

„თუ წარმოვიდგენთ, რომ ბაირონის აჩრდილი დღეს აქ  
ჩვენთანაა, მას, ალბათ, ოდნავ გესლიანი ღიმილი ექნებოდა“.





## მთარბმნელის ბოლოთქმა

*ლორდ ბაირონს*

პირველად ლექსი შენთვის დავსტამბე,  
თარგმანში გიძღვენ რითმა ქართულად,  
მაგრამ, არ ვიტყვი ხელი ვცადე-თქო,  
რადგან ვწერდი და დავწერ ფარულად.

როს ღამე ცაზე სანთლებს აანთებს,  
როს ჩემში ერჩებით მხოლოდ ჩვენ ორნი,  
თვალნათლივ გხედავ, ამაყო ლორდო!  
გესაუბრები, ვითარცა ტოლი.

სხვა დროს იცხოვრე, სხვაგან სახლობდი,  
თუმც ჩვენში თერგი შენთვის კიოდა,  
ვერ განუგეშე მაშინ ვერაფრით,  
როცა უკვდავი სული გტკიოდა.

იქნებ, ეს დღესაც არ არის გვიან,  
მესაიდუმლედ თუ გეგულები,  
შენს სიტყვას თამამს, გრძნეულს და ფრთიანს,  
მივანდო ჩემი ხალხის გულები.

მეხივით ქუხდი, ცეცხლად აენტე,  
პოეტი იყო შენი სახელი,  
პრომეთეს გზნებით ანათებ ახლაც,  
და მაინც კაცად დარჩი საქები.

მე ღმერთს ვუმაღლი შენთან შეხვედრას,  
წლებზე ქედმაღლა დგანან სულები,  
შენს სათქმელს, გწამდეს, რომ არ შევბღალავ,  
ეს შენს ლექსს შესწევს ძალა უღევი.



გვ. 24 – „ფრთები რომ მომცა გარეულ მტრედის  
ცის კარს გაეაპობ, გავცდები ფრენით,  
მაშინ ვიქნები მე სულ სხვა ბედის  
და მოვისვენებ მარადის შვებით.

ბიბლიური ალუზია დავითის ფსალმუნისა – (54-55):

7. „და ვამბობ ვინ მომცემს ფრთას, ვითარცა მტრედს?  
გავფრინდებოდი და დავბინავდებოდი.
8. აჰა, შორს, შორს გადავიხვეწებოდი,  
უდაბნოში დავიდებდი ბინას“.

გვ. 29 – ლეანდრისა და ჰეროს მითის შესახებ იხ. გვ. 118.

ეს მითი ასახულია რომაელი პოეტის ოვიდიუსის მიერ (43 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და 17 წელი ჩვენი წელთაღრიცხვისა). უფრო ადრე ის ბერძნულ პოეზიაშიც ყოფილა აღბეჭდილი, მოგვიანებით ინგლისელი დრამატურგი კრისტოფერ მარლო (1564-93) პატევს მიაგებს მითს თავისი სტრიქონებით.

გვ. 37 – აჰასფერი (აგასფერი) (ლათ. – Ahasverus) – შუა საუკუნეებში შექმნილი ქრისტიანული თქმულებების გმირი, ყარბი ებრაელთა („მარადი ურია“). თქმულებათა მიხედვით, აჰასფერმა გოლგოთის გზაზე ჯვრის ტვირთვით დაღლილ ქრისტეს შესვენება დაუშალა, რისთვისაც ღმერთმა შეაჩვენა და მარადიული ხეტიალი არგუნა წილად (გადატანით – უთვისტომო, მიუსაფარი კაცი).

აჰასფერის სხვაგვარად გააზრებული სახე გვხვდება გოეთეს, შელლის, ანდერსენის, ბერანჟესა და სხვათა თხზულებებში.

თქმულება აპასფერის შესახებ საფუძვლად უდევს ფრანგი ისტორიკოს-ფილოსოფოსის ე. ინეს მისტერიას „აპასფერი“ (1833) და ე. სიუს სატირულ რომანს „მოხეტიალე ურია“ (1844).

გვ. 40 – „ვიდრე არ შთანთქავს ლეთე სიცოცხლეს“.

„ლეთე“ – დავიწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში.

გვ. 43 – „აღარ ვემონოთ თითბერის კერპს თავგამეტებით, ხმაღს რომ იქნევს და დააბიჯებს თიხის ტერფებით“, – ნაბუქოდონოსორის სიზმარი დანიელ წინასწარმეტყველს აუხსნია: საზარელი ბუმბერაზი, მუცელი და თეძოები აქვს თითბრისა, ხოლო ტერფები თიხისა, კენჭიც შუმუსრავს, რაც ტირანთა სამეფოს დამხობის სიმბოლიკადაა მიჩნეული.

იხ. ძველი აღთქმა, დანიელი თ. 2

გვ. 44 „ერთმა ბერძენმა მუხა თურმე ხელით გახლიჩა“ – აქ ბერძენში იგულისხმება მილონ კროტონელი (კროტონი – ძვ. ბერძნული ქალაქი სამხრეთ იტალიაში), გამოჩენილი ატლეთი ძველ საბერძნეთში, რომელმაც მუხა ხელით გახლიჩა, მაგრამ ხემ პირი შეკრა და მილონის ხელები შიგ ჩაიყოლა. მილონმა თავი ველარ გამოითავისუფლა და ნადირის მსხვერპლი გახდა.

ლექსის შექმნამდე ორი დღით ადრე ბაირონს დღიურში ჩაუწერია: „ექვსი დღის მანძილზე გასული ვიყავი ქალაქიდან, როდესაც დავბრუნდი, შევიტყვე, რომ ჩემი საბრალო პატარა კერპი, ნაპოლეონი, ტახტიდან გადმოუგდიათ. ყველაფერი თავისი ბრალია. მილონის მსგავსად მან მუხის გაპობა მოინდომა. მუხამ კი პირი შეკრა და მისი ხელებიც შიგ ჩაიყოლა. ახლა ყველა მხეცს – ლომს, დათვსა და თვით ბინძურ ტურასაც კი შეუძლია მისი გაგლეჯა. მოსკოვურმა ზამთარმა მას ხელები მოაწეწკა და იგი მხოლოდ ფეხებითა და კბილებით იბრძოდა“.

გვ. 45 – „რომაელ სულას“ – აქ პოეტს მხედველობაში ჰყავს რომაელი სარდალი და დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა (ძვ. წ. 138-78), რომელმაც გაანადგურა მტერი მასობრი-

ვად, აღადგინა სენატი და თავისი ნებით გადადგა მმართველობიდან.

გვ. 45 - „ვინ იფიქრებდა, ესპანელი იცვლიდა რწმენას“ - „ესპანელში“ იგულისხმება კარლ V, წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი (1519-1556), ესპანეთის მეფე, კურთხეული, როგორც კარლ I, რომელმაც 1555 წ. სამეფო ტახტი ვაჟიშვილს დაუთმო, ხოლო 1556 წ. იმპერატორის გვირგვინი ძმას უბოძა, თვითონ კი მონასტერს მიაშურა. ცნობილია, აგრეთვე, რომ მანვე მოაწყო თავისი დაკრძალვის სცენა და წინასწარ ჩაწვა კუბოში, რათა საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ პატივს მიაგებდა მას ხალხი.

გვ. 48 - „შორეულ ქვეყნის მგლოვიარე ნაზი ყვავილი“ - მარი-ლუიზა, ავსტრიელი იმპერატორის ფრანც I-ის ასული, რომელიც ნაპოლეონმა ცოლად შეირთო 1810 წელს პირველ მეუღლესთან, ჟოზეფინ ბოარნესთან განქორწინების შემდეგ.

ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომისთანავე მარი-ლუიზას წარუდგინეს ავსტრიის იმპერატორის ერთ-ერთი მხლებელი, გრაფი ნაიპერგი, რომელიც გახდა მისი კამერგერი, ხოლო შემდგომში - მეუღლე.

გვ. 48 - „მაშ მიაშურე პირქუშ კუნძულს დაუყოვნებლივ“ - მხედველობაშია კუნძული ელბა, რომელიც ნაპოლეონს საკუთარ სამფლობელოდ გადასცეს ტახტიდან გადმოგდების შემდეგ.

გვ. 48 - „და რაც კორინთელს შუბლზე აჩნდა დარდი, ნაღველი“ - კორინთელში იგულისხმება დიონისე II უმცროსი (ძვ. წ. IV საუკუნე), სირაკუსელი ტირანი სიცილიაში. მისი სისასტიკით შევიწროებულმა სირაკუსელებმა 344 წ. იგი მეორედ განდევნეს ქალაქიდან. დიონისე II-მ საბერძნეთს მიაშურა და ქალაქ კორინთოში დასახლდა, სადაც გახსნა ვაჟების სკოლა. გარდაიცვალა იქვე სიღარიბეში.



გვ. 50 – მარენგო – სოფელი იტალიაში, რომლის მახლობლად ნაპოლეონის ჯარებმა გამარჯვება იზეიმეს ავსტრიელებზე 1800 წლის 14 ივნისს.

გვ. 50 – „სად გაქრა ჯვარი, ან ვარსკლავი, ვერცხლი თუ ოქრო“ – ერთ-ერთ პორტრეტზე, რომლის გრავეიურაც ბაირონს ჩარჩოში მოუთავსებია, ნაპოლეონი გამოსახულია ხავერდის მოსასხამით, მას მკერდს უმშვენებს ჯვარი და საპატიო ლეგიონის ვარსკლავი.

გვ. 51 – ცინცინატუსი – სიმკაცრითა და სისადავით განთქმული რომაელი დიქტატორი (დაბ. დაახლ. ძვ. წ. 519 წ.), რომელიც ორგზით დიქტატორობის შემდეგ გუთანს დაუბრუნდა.

გვ. 82 – ჯონ ბული – წარმოსახვითი პერსონაჟი, რომლის საშუალებითაც პერსონიფიცირებულია ინგლისი (შეადარეთ ბიძია სემს – Uncle Sam – ამერიკის შეერთებულ შტატებში). ეს პერსონაჟი სათავეს იღებს XVIII საუკუნის დასაწყისში ჯონათან სვიფტისა და ალექსანდრ პოპის შემოქმედებაში და განსაკუთრებით პოპულარული ხდება XIX საუკუნეში. შარყებსა და კარიკატურებში მას წარმოაჩენენ, როგორც შეძლებულსა და გასუქებულ ფერმერს.

